

ISSN 1512-3936

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
სამეცნიერო გარეულობის



№1(44) 2017

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი  
„გვერდობა“



თბილისი 2017

## გ მ ა ნ გ ა მ ი ს ა მ ა ნ გ ა

მთავარი რედაქტორი – მალხაზ წიქარიშვილი

მთავარი რედაქტორის

მოადგილები – გელა ყიფიანი  
როინ იმედაძე

დამფუძნებელი  
გიორგი ლალუნდარიძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგიის წევრები:

ბაციკაძე თამაზი, გურგენიძე დავითი, დანელია დემური, დრაშკოვიჩი ფერდინანდი (სლოვაკეთი), კვიციანი ტარიელი, კოდუა ნოდარი, კლიმიაშვილი ლევანი, კუბლაშვილი მურმანი, კუბესკოვა დარია (ჩეხეთი), მახვილაძე რევაზი, მემარიაშვილი ელგუჯა, მიაჩენკოვი ვლადიმერი (რუსეთი), მშვენიერაძე ინგუშა, ნადირაძე ანზორი, რაიხიკი იაროსლავი (პოლონეთი), რეკვავა პაატა, რიპი იანი (პოლანდია), ფრანგიშვილი არჩილი, ჩერნოგოლოვი იგორი (რუსეთი), ჩიხლაძე ვლადიმერი, ჩიქოვანი არჩილი, ციხელაშვილი ზაური, ცხვედაძე რევაზი, ჭოხონელიძე გუგა, ხაზარაძე ომარი, ხმელიძე თამაზი, ჯავახიშვილი მარინა.

პასუხისმგებელი მდივანი: თინათინ მაღრაძე

საქონტაქტო ტელ. 65-93; 599-478422

E-mail: [tinmag@mail.ru](mailto:tinmag@mail.ru)

ვებ-გვერდი: [www.sheneba.ge](http://www.sheneba.ge)

კომპიუტერული და გრაფიკული უზრუნველყოფა

ლიკა ლალუნდარიძე

« »

## **BUILDING**

**EDITOR-IN-CHIEF:** M. Tsikarishvili

## **DEPUTY EDITORS**

**IN-CHIEF: G. Kipiani;  
R. Imedadze**

## **CONSTITUTIVE: G. Lagundaridze**

## **MEMBERS OF SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD:**

**T. Batsikadze; Chernogolov (Russia); V. Chikladze; A. Chikovani; G. Chokhonelidze; D. Gurgenidze; D. Danelia; F. Drashkovich; M. Javakhishvili; T. Kvitsiani; O. Khazaradze, T. Khmelidze; N. Kodua; L. Klimiashvili; M. Kublashvili; D. Kubeskova (Czech Republic); R. Makhviladze; E. Medzmariaashvili; V. Miachenkov (Russia); I. Mshvenieradze; A. Nadiradze; A. Prangishvili; Y. Raichik (Poland); J. Rip (Nederland); P. Rekvava; Z. Tsikhelashvili; R. Tskhvedadze.**

**Responsible secretary T. Magradze**

Tel: 65-93; 599 478422

*E-mail:tinmag@mail.ru*

---

*Web-site:* [www.sheneha.ge](http://www.sheneha.ge)

## Computer and Program providing:

3

## შინაარსი

. ? . ? , . ? , . ? .

	6
ლ. კლიმიაშვილი, დ. გურგენიძე, ა. ჩიქოვანი. პეტონის და რპინაპეტონის კონსტრუქციის აღდგენა	12
თ. მელქაძე. სამშენებლო კონსტრუქციების თერმული მედიების შეფასება..17	
გ. გრძელიშვილი, ა. კოპალიანი, ი. მარლიშვილი. შენობათა ენერგომცვეჭურობის გაზრდა შემომზღვდი კონსტრუქციების ოპტიმალური თაოფექციები მახასიათებლების შერჩევით .....	21
რ. იმედაძე, თ. მაღრაძე, ლ. ბერიძე. ბარემოს დაპროექტება .....	27
ი. ქვარაია, ა. ფიროსმანიშვილი. მცირე მანქანა-მექანიზმების და მოწყობილობების გამოყენება მშენებლობაში .....	30
ბ. სურგულაძე, ნ. სვიანაძე, ლ. ფირუკულაშვილი. ვოლარის ზინასტარდაპული ჩარჩოვანი კონსტრუქცია .....	33
დ. ჯანყარაშვილი, გ. დანელია, დ. ტაბატაძე, ლ. ყორდანაშვილი. საპუთარი რხევის სიხშირის განსაზღვრა მიმღევობითი მიახლოების მეთოდით, მატრიცული ფორმით .....	38
თ. ბაციკაძე, ნ. მურჯულია, ჯ. ნიუარაძე. ცილინდრული გარსების მდგრადობის საკითხისათვის .....	41
შ. დოლიძე. სუსტ ბრუნებული ჩვაბულის მოწყობა მეთოდით „კედელი ბრუნებული“ .....	45
თ. გახარაშვილი, გ. ხოჭერია. თბილისის საპჭოთა პერიოდის 50-70-იანი წლების საცხოვრებელი მასივების მშენებლობის რეტროსპექტიული ანალიზი .....	52
დ. საგინაძე, გ. მიქაელიშვილი. ინტენგრირებული პროექტირება შსაცრთხეობისათვის .....	56
გ. სულამანიძე. ასფალტგეტონის კომარზიტური მასალების სტრუქტურების მათებატიკური მოდელირების საფუძვლები .....	64
გ. ბაქანიძე, ლ. ზამბახიძე, ა. ჩხარჩხალია, გ. შალიტაური. საყრდენი კედლის დაპროექტება კლიენტის და ნახევრადკლიენტის ზერდობაზე .....	69
ნ. არეშიძე, გ. არეშიძე, თ. გორგვიშვილი. ვერდოების გამაბრების აუცილებლობის და მიზანდასახულობის გეოლოგიური ზარტონობები .....	73
გ. მოისწრაფიშვილი, ა. კორელი. „რელსი-თგალი“ სისტემის დინამიკური შრთიერთობების ანალიზი სარარტელოს რპინიგზის მაგალითზე მატარებელთა მომრაობის უსაცრთხეოების ამაღლების დონისძიებების შემუშავებისთვის .....	77
შ. გელაშვილი, თ. ჩიგოვიძე. ტურიზმის ბანკითარების პერსპექტივები კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მდრენე დასახლებებში (უშგულის თემის მაბალითზე) .....	82
გ. ბეგიაშვილი, ნ. მუმლაძე, თ. შებითიძე. ბრტყელი რთხულობების თვისება.....	85
ზ. დანელია, გ. თოფურია. ვერდოს და კალაკოტური ფყლის ჩამონადენის ეროვნული მუშაობა .....	87
გ. ჭოხონელიძე, შ. ბაქანიძე, ბაშარ ბდულლაჟ ალ იმამ. საყრდენი კედლების მზიდუნარიანობის ამაღლება ჰორიზონტალურად გათიავსებული ხილიჯებით .....	95

ი. ჭანტურია. სტრომოძღვრული მემკვიდრეობის გამჭვირვალის მიზნითადი თავისებურებანი .....	99
გ. მახათაძე. საქართველოს ტერიტორიის რელიეფური სამეცნიეროება და მისი გათვალისწინება განსახლებაში, რიგოთი – ზესტაცონის მონაპვეთის მაგალითზე .....	101
ი. ქვარაია. რპინაგეოტონის კედლების მოწყობა მრუდზაზოგანი წილებას გათვალისწინებით .....	109
გ. მოის რაზაზიშვილი, ა. კორელი. რპინიგზის ლიადეაგზი ბიკლოფონიდური მრუდების ბამოყენების შესაძლებლობის შესახებ .....	112
შ. გელაშვილი. კულტურული ლანდშაფტის მდგრადი განვითარებას სამართაშორისო გამოცდილება .....	116
დ. ბაქრაძე, ო. ამურლაძე, ქ. ჯინჯარაძე. პეტონისა და რპინაგეოტონის ნაკეთობათა ტექნოლოგია პოვინირებული ჰელიოფარმული დამუშავებას გამოყენებით .....	121
გ. წიქარიშვილი, ნ. ტაბატაძე. ისტორიულ-კულტურული ეგზების დიაგნოსტიკის ორგანიზებული სტრუქტურის შექმნა .....	126
ა. ხატელაშვილი. საქართველოს თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის ძირითადი ასპექტები და თანამედროვე საინჰორმაციო-ტექნოლოგიური შესაძლებლობები, როგორც სამხედრო ძლიერების ზეარო .....	130
ო. მახარაშვილი, გ. ხელაძე. მწვანე სარეპრეზიტო სივრცეების პროექტირებისა და მშენებლობის უცხოური გამოცდილება .....	134
ა. საყვარელიძე, ნ. კანდელაკი. პეტონის შეკლება .....	138
გ. ლოლაძე, შ. დოლიძე, ო. ლარიბაშვილი. წყალნაჯერ და ლამიან ბრუნტებში “კედელი ბრუნტში” მეთოდით მონოლიტური კედლის აბების ახალი ტექნოლოგია .....	142
ზ. მჭედლიშვილი, ა. ტაბატაძე. ლილგზე გათიაშებული პარაბოლური კვეთის მქონე მბრუნავი დისპის დაპატულ დევორმინებული მდგრამარების ანალიზი .....	146
გ. ზალიკაშვილი, ქ. თოფურია. სასრულ სხვაობათა მეთოდის გამოყენება სადაზნეო მიღსაღენში სითხის დაუმჯარებელი მოძრაობისას .....	149
გახსენება .....	153
ახალი ტექნოლოგიები .....	155
SUMMARIES .....	158

« »

. Я. ( , . ? , . ? , . ? )  
« »

1.


1999 5- . . [1].


- ( );  
-
- , 80- ” ”.  
,
- , ” ” CCCP  
” ” :  
) (9 8 );  
) (8 ).  
(1995 .), (1999 .), (1988 .), ” ”  
,
- ” ” ( )
- ,
- ,
- ,
- ,
- ,
- ,
- ,
- ,
- ,
- 2.
- ,
- ,
- ,
- ,
- ,
- ,
- ;
1. ( );  
2. ( );  
3. ( );  
4. ( );  
5. ( );  
6. ( );  
7. ( )
- 3-5 .

,  
 ,  
 ).  
 ,  
 -h  
 (0.15-0.3)L.  
 ( )  
 ,  
 .

[2, 3, 4, 7, 8, 9],

, «SCAD», «Stark-ES» . , .






. 1. балочных

(L=4-6 )

( . 2 , ).

( )

« »



. 2.

; 2, 3-

; 4-

: 1-

; 5-

« » [12]


: 1.

; 2. ; 3.  
 ; 4. (Y) – 100 50 50 50; 100 60 60 60.

:

	1X, .	1Y, .	,	Y,	, %
1	1.86	2.34	26.5	43.1	1.61
2	2.02	2.52	30.3	47.4	1.87
3	2.16	2.58	32.8	50.6	2.58
4	2.05	2.39	30.6	44.9	1.84

, 3 – . 4- 3,  
 ,



. 3. ( 1)

3.

1.

,

2.

$$h \geq (3L_1 + L_2) / 100 \quad L_1 - 3, \quad , \quad , \quad , \quad , \\ - L, \quad , \quad , \quad - h, \quad , \\ (0.15-0.3)L.$$

3. , ( )

4.

5.

6.

## გეტონის და რკინაბეჭონის პრინციპების აღდგენა

ლ. კლიმიაშვილი, დ. გურგენიძე, ა. ჩიქოვანი  
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 0175, გ. ქოსტავას 77,  
ქ. თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** ბეტონის და რკინაბეჭონის კონსტრუქციის აღდგენა საშუალებას გვაძლევს შედარებით ნაკლები რესურსის ხარჯით გავახანგრძლივოთ მისი ექსპლუატაციის ვადა, მოვახდინოთ შენობის და ნაგებობის რესტავრაცია და სანაცია.

**საკანონმდებლო სიტყვები:** რეტონი, რესტავრაცია, სანაცია, რეკონსტრუქცია, დეფექტები, ლოკალიზაცია, ფილტრაცია, კოროზია, მონტაჟი, დემონტაჟი.

### 1. შესავალი

აღდგენა შეიძლება დასჭირდეს ქვის, ბეტონის, რკინაბეჭონის, ლითონის, მერქნის, პოლიმერის და სხვა კონსტრუქციის. ლითონის კონსტრუქციის რემონტისას მთავარია დაზიანებული ნაწილების ახლით შეცვლა, შედეულება, მერქნის კონსტრუქციისათვის – ქველის ახლით შეცვლა და დამაგრება ჭანჭიკით, წებოთი, ნაჭდევით, ბეტონის და რკინაბეჭონის კონსტრუქციისათვის – ბზარების, ნაკერების, ხვრელების ამოვსება.

ბეტონის და რკინაბეჭონის ნაკეთობის და კონსტრუქციის დამზადების უველა სტადიაზე, ტრანსპორტირებისას, მონტაჟისა და ექსპლუატაციის დროს, კოროზიული ზემოქმედების პროცესში, ხანძრის და სხვა მიზეზებისას, ბეტონისა და არმატურაში შეიძლება წარმოიშვას ესა თუ ის დეფექტი, რომელიც შეამცირებს სიმტკიცეს და კონსტრუქციის მზიდუნარიანობას.

### 2. მირითადი ნაწილი

დაბეტონების დროს ნაკეთობაში და კონსტრუქციაში მთლიანობის დარღვევის და სიმტკიცის შემცირების დეფექტებია: მომეტებული ფორიანობა, სხვადასხვა ბზარი, ნაჯაო, ანახლები, ხვრელი, განშრევება, არმატურის გაშიშვლება, ნიუარა, სიცარიელე, სამუშაო ნაკერი და ნახეთქი.

ბეტონის დეფექტებს, რომლებიც არ ამცირებენ მის სიმტკიცეს და არ არღვევენ ნაკეთობის და კონსტრუქციის მთლიანობას, მიეკუთვნება: ნაღვენთი, გამომარილება, დაჭუჭყიანება, რელიეფურობის დარღვევა, ბიოდაზიანება და სხვა, რომლის აცილებაც შეიძლება ბეტონის ზედაპირის დამუშავებით: შედებვით, დამცავი შრით დატანით, გაჟღენთვით და ა.შ.

ქვის, ბეტონის და რკინაბეჭონის კონსტრუქციის შესაკეთებლად გამოიყენება ცემენტის, პოლიმერცემენტის და პოლიმერული მასალები.

ცხრ. 1-ში წარმოდგენილია ბეტონის და რკინაბეჭონის კონსტრუქციისათვის დამახასიათებელი დეფექტები და მათი აცილების დონისძიებები.

დეფექტის სახეობა, წარმოქმნის მიზეზი და მათი აცილება ცხრილი 1

დეფექტის სახეობა	წარმოქმნის მიზეზი	დეფექტის აცილების საშუალება
მომეტებული ფორიანობა (დაბალი სიმტკიცე)	მომეტებული წ/ც, უხარისხო შემცვების, ცემენტის და დანამატის გამოყენება; ნარევის განშრევება; არასწორი არევა და შემკვრივება; კოროზით და ყინვით დაშლა, მაღალი ტემპერატურის და ბიოორგანიზმების მოქმედება.	„სუსტი“ ბეტონის მექანიკური მოცილება, შეფითხნა ან ახალი დაბეტონება; ბეტონის ახალი შრის დატანა, მათ შორის არმატურით; კონსტრუქციის გაძლიერება ლითონის ელემენტებით.

ბზარები	ბეტონის შეკლება გამაგრებისას, ნაკეთობის გაბზარვა ყალიბიდან ამოღებისას, ტრანსპორტირებისას, მონტაჟის დროს, ექსპლუატაციური გადატვირთვისას, ხანძრის დროს, არმატურის კოროზიისას. გაბზარვა ფიზიკური და მექანიკური ზემოქმედებისას.	ცემენტ-ქვიშის დუღაბით შეკეთება, მათ შორის წინასწარი დამუშავებით, ცემენტის ან პოლიმერცემენტის დუღაბით ინიციაცია. ლენტის დაკვრა პოლიმერული წებოთი.
კავერნები, ნიუარები	ბეტონის ნარევის ცუდი შემკვრივება, ყალიბის არადამაკმაყოფილებელი მდგრმარეობა.	ცემენტის, პოლიმერცემენტის და პოლიმერდუღაბით შეფითხება.
არმატურის გაშიშვლება და კოროზია	კოროზიული პროცესის, მექანიკური ზემოქმედების, არასწორი განლაგების შედეგი.	არმატურის ფანგისაგან გაწმენდა და ცემენტის, პოლიმერცემენტის და პოლიმერული შედგენილობით შეფითხება.
ანახლები, ნაჯაო	არასაკმარისი სიმტკიცის დროს დარტყმითი დატვირთვა, განყალიბება.	ბეტონის ნარევით, ცემენტ-ქვიშის, პოლიმერცემენტის და პოლიმერის დუღაბით შეფითხება, მათ შორის არმორებაც.
სამუშაო ნაკერი და გარღვევა	ძველი და ახალი ბეტონის ცუდი შეჭიდულობა, ჩაწყობისას ცუდი შემცვრივება, განსაკუთრებით კერტიკალური დაყალიბებისას.	ბეტონის ნარევით, ცემენტ-ქვიშის, პოლიმერცემენტის, პოლიმერის დუღაბით შეფითხება, მათ შორის არმორებაც.
ზედაპირული დაშლა, აშრევება	კოროზიის და ყინვის ზემოქმედების შედეგი, აბრაზიული ცვეთა.	ზედაპირის გასუფთავება და მასზე ბეტონის, ცემენტ-ქვიშის, პოლიმერცემენტის ან პოლიმერდუღაბის ფენის დატანა.

ამრიგად, ბეტონის რემონტისათვის საჭირო ძირითადი მასალაა ცემენტ-ქვიშის დუღაბი, ბეტონი, პოლიმერცემენტის დუღაბი (უმეტესად პოლივინილაცეტატის ემულსის და სინთეზური კაუჩუკის ლატექსის საფუძველზე). ასევე პოლიმერდუღაბი როგორც წესი, ეპოქსიდური ფისის საფუძველზე.

ბზარის ზრდის აღსაკვეთად ლოკალიზაციას ახდენენ მისი ამოქოლვით მთელ სიღრმეზე. სასურველია ბზარის წვერომდე. ამისათვის გამოიყენება დაბალი სიბლანტის, მცირე ზომის მოლეკულების მქონე მასალა, მაგალითად, სტიროლი, მეთილმეტაკრილატი.

ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციის ყველაზე გავრცელებული დეფექტია: მომატებული ფორიანობა, ბზარები, გარეგანი დაფაქტები.

გადიდებული ფორიანობა ბეტონის ნაკეთობის დამზადების ტექნოლოგიის დარღვევის ან ექსპლუატაციის დროს წარმოიშობა. ამასთან ხდება სტრუქტურის გაფხვიერება, კრისტალური ახალწარმონაქმნებსა და ცემენტის ქვას შორის კავშირების შესუსტება, ცემენტის ქვასა და შემვსების მარცვლებს შორის კონტაქტის გაუარესება. სტრუქტურის დარღვევა ბეტონის სიმტკიცის და კონსტრუქციის მზიდუნარიანობის შემცირების მიზეზი ხდება, ხელს უწყობს ბეტონში აგრესიული გარემოს ფილტრაციას და კონსტრუქციის სწრაფ რღვევას.

ბეტონის ნაკეთობის და კონსტრუქციის ყველაზე გავრცელებული დეფექტია ბზარი, რომელიც შეიძლება შეუიარაღებელი თვალით აღმოაჩინო. ბზარები უნდა ამოიქოლოს წარმოქმნის ყველა სტადიაზე, მათი ზრდის თავიდან ასაცილებლად.

გარეგანი დაფაქტები – ნაკეთობის ან კონსტრუქციის ბეტონით შეუვსებელი უბანი, რომელიც ბეტონირებისას (ნიუარა, კავერნა, სიცარიელე, ნახეთქი), განყალიბებისას (ანახლები, ამონაგლეჯი), ტრანსპორტირების, მონტაჟისა და ექსპლუატაციის დროს (ანაშრევი, ანახლები) წარმოქმნა.

სივრცობრივი განლაგების მიხედვით ბზარი შეიძლება პორიზონტალური ან ვერტიკალური ან დახრილი იყოს, მიმართული ზევით ან ქვევით, ბეტონის ზედაპირზე ან შიგნით. სივრცობრივი განლაგების მიხედვით შეიჩენება დეფექტის ამოქოლვის სამუშაოების ტექნოლოგია: მაგალითად, სარემონტო შედგენილობის იატაკის ბზარში ჩასხმა, ან იმავე შედგენილობის წნევით ინიუქცია ჭერის ბზარში.

ბეტონის დეფექტის შიგა ზედაპირი შეიძლება იყოს მშრალი, ტენიანი, სუფთა, გაჭუჭყიანებული. რემონტის ჩატარების წინ ბეტონის ზედაპირის მდგომარეობა განსაზღვრავს შრობის და გასუფთავების ოპერაციების ჩატარების აუცილებლობას.

დაზიანებული კონსტრუქციის გამოკვლევა ტარდება რამდენიმე ეტაპად:

1. ზოგადი გამოკვლევა, მათ შორის რომელიც ტარდება დამხმარე ხელსაწყოების გამოყენებით, განსაზღვრავს დეფექტის ძირითად ტიპს, მის გავრცელებას, განვითარების ინგენიურობას, სივრცით განლაგებას. გარდა ამისა უნდა დადგინდეს არმატურის ბეტონთან შეჭიდულობის დარღვევა, ჩასაყოლებელი დეტალების გადაადგილება. შემაერთებელი ელემენტების დეფორმაცია, კონსტრუქციის საყრდენი ფართობის შეუსაბამობა საპროექტო ზომებთან და სხვა ხილული დეფექტი.

2. საჭიროა საპროექტო დოკუმენტაციას, სამუშაო ნახაზების და კონსტრუქციის საანგარიშო სქემების გაცნობა, სამუშაოთა წარმოების ფურნალს, ფარული სამუშაოების და საკონტროლო ნიმუშების გამოცდის აქტებსმ რემონტის, დემონტაჟის, გადაკეთების შესრულების მონაცემებს, განსაკუთრებით გარემოს აგრესიული ზემოქმედებისაგან დაზიანებულის ექსპლუატაციის რეალურ პირობებს.

3. საჭიროა მოხდეს დეტალური გამოკვლევა, რათა დაზუსტდეს კონსტრუქციაში ბეტონის და არმატურის მდგომარეობის მონაცემები, რომელიც აუცილებელია აღსაღები კონსტრუქციის მზიდუნარიანობის გასაანგარიშებლად და სარემონტო სამუშაოების კონკრეტიზაციისათვის.

ბეტონის სიმტკიცის ცვლილებას ადგენენ ურლვევი კონტროლის მეთოდებით, ეტალონური ჩაქენის (ფიზდელის, კაშკაროვის, შმიდტის) ან ულტრაბგერითი იმპულსური მეთოდით ხელსაწყოების -1, -10 დახმარებით. რიგ შემთხვევაში ურლვევი მეთოდით მიღებული შედეგის დასაზუსტებლად გამოიყენება მეთოდები: მოწვევება ჩამოტევით ( 4, 1, 2.4); წიბოს ჩამოტევით ( -30, 4, -50) ან ნიმუშის (კერნის) ამობურდვის.

ბეტონის შედგენილობის ანალიზი ტარდება ცემენტის სახეობის და რაოდენობის შემცხების, წყალცემენტის ფარდობის, ქლორიდების და სხვა აგრესიული ნივთიერების, კარბონიზაციის სიღრმის, ბეტონის კოროზიის პროდუქტების განსაზღვრის მიზნით. ანალიზი ტარდება საეციალიზირებულ ლაბორატორიაში (საჭართველოში ჯერჯერობით არ გააქს). ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ბეტონის სიმტკიცის კონტროლისათვის აღებული ნიმუშები.

არმატურის კოროზიის ნიმუშების არსებობისას უნდა შემოწმდეს დამცავი შრის სისქე, რისთვისაც გამოიყენება ელექტრომაგნიტური მზომი ( -10 , -2). იმ შემთხვევაში, თუ არმატურის დაზიანება მნიშვნელოვანია, ახდენენ დამცავი შრის მექანიკურ მოცილებას და პირდაპირ ადგენენ არმატურის რაოდენობას, დამცავი შრის სისქეს და კოროზიული დაზიანების ხარისხს.

კვლევის მითითებული ეტაპები უმცესი სახეობის დაზიანებისათვის საერთო ხასიათისაა. თუმცა დაზიანების კველა სახეს აქვს თავისი საეციფიკური თავისებურება და მოითხოვს საეციალურ კვლევას. მაგალითად, ხანძრის შედეგად გამოწვეული დეფექტი განირჩევა კოროზით გამოწვეულისაგან. უკანასკნელ შემთხვევაში საჭიროა ბეტონის გულმოდგინე ქიმიური ანალიზი, ანტიკორიზოული დაცვის გამოკვლევა, განსაკუთრებით მაშინ, თუ კონსტრუქცია დამზადებულია წინასწარდაძაბული რკინაბეტონისაგან.

სამშენებლო კონსტრუქციაში დეფექტების გამოკვლევის და წარმოშობის მიზეზების განსაზღვრის შემდეგ ზუსტდება სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების სახეობა და მოცულობა. მასალის, მოწყობილობის და დანადგარების ტიპი და რაოდენობა.

დაზიანებული ნაკეთობა და კონსტრუქცია შეიძლება იყოს სარემონტოდ ვარგისი ან უგარგისი. უგარგისს მიეკუთვნება კონსტრუქცია გეომეტრიული ზომების და ფორმის დარღვევით, უხარისხმო ბეტონით, დაბალი კლასის და ნაკლები დიამეტრის არმატურით დამზადებული, ჩასაყოლებელი დეტალების არმქონე, მსხვილდზარიანი, მოცულობითი და სხვა დეფექტებით, რომელთა გამოსწორება ვერ აღადგენს კონსტრუქციის მზიდუნარიანობას და სხვა ექსპლუატაციურ თვისებებს. სარემონტოდ უგარგისი კონსტრუქცია და ნაკეთობა ექვემდებარება ჩამოწერას.

სარემონტოდ ვარგისი ნაკეთობა და კონსტრუქცია, რომელსაც აქვს ანახლები, ნიჟარა, ზოგიერთი სახეობის ბზარი და სხვა დაზიანება, შეიძლება აღვადგინოთ უშუალოდ ქარხანა-დამამზადებლის ტერიტორიაზე. რემონტს ექვემდებარება ისეთი კონსტრუქცია, რომელსაც ტექნიკური პირობებით გათვალისწინებულთან შედარებით ნაკლები გადახრები აქვთ.

ექსპლუატაციაში არსებული კონსტრუქციის რემონტი არის შენობის და ნაგებობის რემონტის შემადგენელი ნაწილი, წარმოდგენის ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების კომპლექსს, მიმართულს ობიექტის ან მისი ცალკეული ნაწილების საპროექტო ან თავდაპირველი ექსპლუატაციური თვისებების აღდგენასა და შენარჩუნებაზე.

რემონტის ჩატარების პერიოდულობაზე დამოკიდებულებით ის შეიძლება იყოს მიმდინარე, რომელიც ტარდება ყოველწლიურად, ან კაპიტალური, რომელიც ტარდება რამდენიმე წლის შემდეგ, ცხრ. 2.

### საწარმო შენობის კაპიტალური რემონტის სამაგალითო პერიოდულობა ცხრილი 2

შენობის ტიპი	რემონტის პერიოდულობა, წელი	
	ნორმალურ პირობებში	აგრესიულ გარემოში
რკინაბეტონის, ლითონის ან რკინაბეტონის კარგასით	20...25	10...15
რკინაბეტონის ან ლითონის კარგასით	10...15	5...10
შემსუბუქებული წყობის კედლებით, სვეტები, ბოძები და გადახურვა რკინაბეტონით	10...12	8...10

რეკონსტრუქციის დროს სამუშაოს ძირითადი თავისებურებაა სივიწროვე, რაც დიდ დაფს ასვამს სამუშაოთა ორგანიზაციის ხასიათს, განსაკუთრებით თუ ის ხდება მოქმედ საამქროში. ამ შემთხვევაში სამუშაოები ტარდება სამ ეტაპად: გაჩერებამდე, გაჩერებით და გაჩერების შემდეგ. სამშენებლო კონსტრუქციის რემონტი ხშირად ძირითადი საწარმოს გაუჩერებდად კეთდება.

იმასთან დაკავშირებით, რომ ექსპლუატაციაში არსებული შენობის სამშენებლო კონსტრუქციები, როგორც წესი, დამზადებულია სხვადასხვა მასალისაგან (ბეტონი, რკინაბეტონი, ლითონი, მერქანი, მინა, პლასტმასა და სხვ.) რემონტისათვის საჭირო მასალის შერჩევაც ხდება გასარემონტებელი კონსტრუქციის მასალის სახეობის, მდგომარეობის, ხანძედეგობის, ფიზიკურ-ქიმიური, ფიზიკური და სხვა პარამეტრებთან შეხამებით.

თანამედროვე პირობებში რემონტისათვის სულ უფრო მეტ გამოყენებას პოულობს პოლიმერულ შემკვრებულზე დამზადებული კომპოზიცია, რომლის თვისებები შეიძლება ფართო საზღვრებში ვცვალოთ. ამისათვის შედგენილობაში შეგვავს სხვადასხვა ნივთიერება. ზოგი მათგანი აჩქარებს, ზოგი კი ანელებს კომპოზიტის შეკვრას, ზოგიც ანელებს დაბერებას და ა.შ.

შენობის და ნაგებობის რემონტსა და რეკონსტრუქციაზე მიღებული საპროექტო გადაწყვეტა არსებით გავლენას ახდენს მანქანათა კომპლექტის შერჩევაზე.

შენობის და ნაგებობის რემონტისა და რეკონსტრუქციისათვის სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციას აქვს რიგი თავისებურებანი, ვიდრე ახალ მშენებლობაზე. დიდი ნაირგვარობა, შესასრულებელი სამუშაოების განწერტება და მცირე მოცულობა: ისეთი სამუშაოების კომპლექსის განხორციელება, რაც ახალი მშენებლობისათვის არაა

დამახასიათებელი (კონსტრუქციის დემონტაჟი, გაძლიერება, ცალკეული კონსტრუქციის ელემენტის შეცვლა და ა.შ.).

სამუშაოები ძირითადად შეზღუდულ პირობებში წარმოებს, რაც გადამწყვეტ გავლენას ახდენს სამუშაოთა ორგანიზაციის საერთო სქემაზე.

შენობის და ნაგებობის რეკონსტრუირებისას სამშენებლი მოედნის პირობები აისახება სამრეწველო პროცესების მექანიზაციის დონეზე და ხშირად მივყავართ იმ სამუშაოთა მოცულობის გაზრდასთან, რომელიც ხელით სრულდება.

შეზღუდვის და განწერტების ფაქტორების გავლენით ყველაზე შრომატევადია მონტაჟის და დემონტაჟის სამუშაოები, კონსტრუქციის და მონოლითური მასივის დაშლა და დანგრევა, შეზღუდულ პირობებში არსებული საძირკვლის გაძლიერება და ახლის მოწყობა, ასევე მიწისქვეშა კომუნიკაციების გაყვანა.

ამიტომ, სამუშაოების ტექნოლოგიის და მექანიზაციის ოპტიმალური ვარიანტის არჩევა რეკონსტრუქციის დროს, არსებითად განსაზღვრავს საერთო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის დონეს. შეზღუდულ პირობებში ხშირად ვერ გამოიყენება ნომენკლატურული და საჭირო ტიპზომების სპეციალური მანქანები. შენობის რეკონსტრუქციის დროს ეს იწვევს ისეთ საშუალებების გამოყენების აუცილებლობას, რომელიც ემსახურება სამუშაოების მექანიზაციას ახალი შენობის და ნაგებობის შენების დროს.

სამშენებლო ობიექტი ხასიათდება გარე და შიგა შეზღუდვით. ობიექტის გარე შეზღუდვა განპირობებულია სამუშაო ზონის და სამშენებლო მანქანების და სატრანსპორტო საშუალებების სავალი გზების სივიწროვით, სამშენებლო მოედანზე ბუნებრივი და ხელოვნური წინაღობებით.

ობიექტის შიგა შეზღუდვა ფასდება საწარმოს შიგა სივრცეში არსებული სამშენებლო კონსტრუქციებით, სპეციალური და ტექნოლოგიური აღჭურვილობით, რომელთა დემონტაჟი ტექნიკურად შეუძლებელია ან ეკონომიკურად წამგებიანია. ეს დაბრკოლებები ართულებს სამუშაოთა რაციონალურიზაციას, ზღუდვს სამუშაო ფრონტს, სამშენებლო კონსტრუქციების და დეტალების ობიექტის შიგნით გადაადგილებისას ქმნის დამატებით სიძნელებს.

სამრეწველო ობიექტის რეკონსტრუირების დროს, მოცულობით-დაგეგმარებითი გადამწყვეტის შეცვლასთან დაკავშირებით, ხშირად აუცილებელია არსებული შენობის ნაწილის დემონტაჟი. დემონტაჟის სამუშაოებს და კონსტრუქციის გაძლიერებას ყოველთვის თან ხდევს შენობის შესანარჩუნებელი და გასაძლიერებელი კონსტრუქციის მდგრადობის უზრუნველყოფის სამუშაოების კომპლექსი. ეს სამუშაოები ჩვეულებრივ ხორციელდება მოქმედი სამაქროს პირობებში, რაც აძნელებს მის მექანიზაციას. ამასთან მონტაჟის ძირითადი საშუალებებია მარტივი სამონტაჟო მოწყობილობები: ჯალამბარი, ტალი, პოლისპასტი, დომქრატი, სამონტაჟო კოჭები, რასაც მივყავართ შრომის დიდ დანახარჯებთან და მოცულობასთან.

### 3. დასპგნა

ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციის რემონტი საშუალებას გვაძლევს, შედარებით ნაკლები რესურსების ხარჯით გავახანგრძლივოთ მისი ექსპლუატაციის ვადა, მოვახდინოთ შენობის და ნაგებობის რესტავრაცია და სახაცია.

### ლიტერატურა

1. . . . , 2007.
2. . . . , 2010.
3. . . . , 2004.
4. . . . , 2010.
5. . . . , 2011.
6. ა. ჩიქოვანი. ბეტონის ტექნოლოგია. ობილისი, 2015.

## სამშენებლო პონსტრუქციების თერმული მეზობლის შევასება თ. მელქაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, 0175 თბილისი  
საქართველო)

**რეზიუმე:** ნაშრომში განხილულია, შესაძლო საგანგებო სიტუაციების დროს, შექმნილი ხანძრებით გამოწვეულ ზემოქმედებაზე სამშენებლო კონსტრუქციების თერმული მედეგობის შეფასების მეთოდიკა. შესაბამისად წარმოდგენილია შენობის ცალკეული ელემენტების ცეცხლგამძლეობის დადგენისა და თბური გამოსხივების მოქმედებაზე სამშენებლო კონსტრუქციების მედეგობის ამაღლების ღონისძიებები. ასევე, განსაზღვრულია ხანძრის შედეგად წვის თბური გამოსხივების ნაკადის სიმკრივე, თბური ზემოქმედების ზონის გავრცელების რადიუსი, ფოლადის სიმტკიცის შემამცირებელი ტემპერატურული კოეფიციენტი და სხვა ძირითადი პარამეტრები.

**საკანონი** სიტუაციები: შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება; საგანგებო სიტუაციების რისკის მართვა; სამშენებლო კონსტრუქციები; თერმული მედეგობა.

### 1. შესავალი

საგანგებო სიტუაციების რისკის მართვა და მისი შემცირების გათვალისწინება ეკონომიკის ობიექტების შენობა-ნაგებობათა დაპროექტების პროცესში, მნიშვნელოვანია საგანგებო სიტუაციაში ამ ობიექტის სტაბილური მუშაობისა და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. განსაკუთრებით ხშირია, ისეთი საგანგებო სიტუაციები, რომლებიც დაკავშირებულია მასშტაბური ხანძრების წარმოშობასთან. სამშენებლო კონსტრუქციების თერმული მედეგობის განსაზღვრის მიზნით, პირველ რიგში, ხდება შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგად შექმნილი სახანძრო საგანგებო ვითარების შეფასება. იგი გულისხმობს ხანძრის მასშტაბების და ხასიათის (სახეობის), ხანძრის სიჩქარისა და მიმართულების განსაზღვრას, ასევე ხანძრის ფიზიკური და ქიმიური პარამეტრების დადგენით, თერმული ზემოქმედების ტოქსიკური და თბური გამოსხივების გავრცელების ზონათა რადიუსების გამოთვლას. სახანძრო ვითარების შეფასება ხდება პროგნოზირებისა და სახანძრო მონიტორინგის მონაცემთა შეჯერების საფუძველზე.

ობიექტზე შესაძლო სახანძრო ვითარების ხასიათი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი სახის სამშენებლო მასალებია გამოყენებული შენობა-ნაგებობებში - არაწვადი, ძნელად წვადი თუ წვადი.

### 2. ძირითადი ნაწილი

სამშენებლო ლითონის კონსტრუქციის თერმომედეგობაზე გამოკვლევა გულისხმობს: ლითონის კონსტრუქციის კონსტრუქციულ-გეომეტრიული მასასიათებლების გამოკვლევას; თერმომედეგობის მისაღები მეთოდის შერჩევასა და მის დასაბუთებას; მეტალის და საჭირო თერმოდამცავი საშუალების დაკვანილი სისქის გაანგარიშებას; ლითონის კონსტრუქციების ცეცხლისაგან დაცვის მიზნით გასატარებელი ტექნოლოგიური პროცესების აღწერას; კონსტრუქციების და მისი თერმოდაცვის ამსახველი ნახაზების და სქემების შექმნას და თერმოდაცვის განხორციელებისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადებას.

სამშენებლო მასალის წვის ხარისხის დადგენის შემდეგ განისაზღვრება შენობის ცალკეული ელემენტების ცეცხლგამძლეობა და თბური გამოსხივების მოქმედებაზე მათი მედეგობის ამაღლების ღონისძიებები.

კონსტრუქციის მედეგობაზე ხანძრის თბური გამოსხივების ზემოქმედების კრიტერიუმს წარმოადგენს თბური გამოსხივების ნაკადი, რომლის დროსაც ხდება შენობის კონსტრუქციული ელემენტის წვა ანდა მზიდუნარიანობის კარგვა. თბური გამოსხივების ზემოქმედების ზონის რადიუსის განსაზღვრა გულისხმობს წვის საზღვრიდან იმ წერტილამდე მანძილის გაანგარიშებას, რომელიც შეესაბამება თბური ნაკადის სიმკვრივის იმ მნიშვნელობას, რომლის დროსაც ადგილი აქვს მოცემული სამშენებლო მასალის აალებას ანდა მასში კრიტიკული ტემპერატურის განვითარებას. სამრეწველო ობიექტებზე ხანძრების შემთხვევაში თბური ზემოქმედების ზონის გავრცელების რადიუსი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$R=0,282x\bar{R}x\sqrt{(q_{\text{სა}}/q_{\text{კრ}})},$$

სადაც,  $\bar{R}$  არის ხანძრის კერის დაყვანილი გაბარიტული ზომა, მ-ში. შენობაში ხანძრის შემთხვევაში მისი მნიშვნელობა ტოლია სიღიდის -  $\sqrt{I \cdot h}$ ; სადაც,  $I$  და  $h$  შესაბამისად შენობის სიგრძე და სიმაღლეა. ნავთობპროდუქტების რეზერვუარზე ხანძრის შემთხვევაში -  $R = 0,8$ ;  $D_{\text{რეზერ}}$ , სადაც,  $D_{\text{რეზერ}}$  რეზერვუარის დიამეტრია მ-ში.  $q_{\text{სა}}$  - ხანძრის ალის საკუთარი გამოსხივების ნაკადის სიმკვრივე, კვტ/კვ-მ;  $q_{\text{კრ}}$  - ხანძრის ალის გამოსხივების ნაკადის კრიტიკული სიმკვრივე, რომელიც შთაინოქმება კონკრეტული ობიექტის ზედაპირის მიერ და იწვევს კონკრეტულ თერმულ ეფექტს კვტ/კვ-მ. ასევე, ხანძრის ალის გამოსხივების ნაკადის კრიტიკული სიმკვრივე გამოითვლება, სტეფან ბოლცმანის კანონის მიხედვით, ფორმულით:

$$q_{\text{კრ}} = C_s \times \epsilon \times \left(\frac{T}{100}\right)^4, \quad 3\text{ტ}/\text{ტ}^2, \quad \text{სადაც, } C_s=5,68 \quad 3\text{ტ}/\text{ტ}^2. \quad \text{არის აბსოლუტური შავი სხეულის გამოსხივების შთანთქმის კოეფიციენტი; } \quad - \text{ გამოსხივების კოეფიციენტი ანუ } \epsilon. \quad \text{ სიშავის ხარისხია, რომელიც გვიჩვენებს, სტეფან ბოლცმანის კანონის შესაბამისად, მოცემული სხეულის ზედაპირის თბური გამოსხივების ენერგიის ფარდობას იგივე ტემპერატურის აბსოლუტურად შავი სხეულის გამოსხივებასთან. } \quad \text{ აბსოლუტურად შავი სხეულის გამოსხივების კოეფიციენტი } = 1. \quad T \text{ არის გამოსხივების ზედაპირზე განვითარებული ტემპერატურა („გრადუსი კელვინებში“ } = ^{\circ}\text{C} + 273.15). \quad \text{ ეს ის ტემპერატურა, რომლის ფარგლებშიც შეიძლება გახურდეს ლითონის კონსტრუქცია და რომლის სიღიდემაც არ უნდა გადააჭარბოს კრიტიკული ტემპერატურის მნიშვნელობას. } \quad \text{ ლითონის კონსტრუქციებისათვის გაცხელების კრიტიკული ტემპერატურა, კონკრეტული დატვირთვისა და დაყვანილი სისქის პირობებში, დგინდება ფოლადის სიმტკიცის შემამცირებელი ტემპერატურული კოეფიციენტის ყოფილების ყოფილების საშუალებით. } \quad \text{ ხოლო დაყვანილი სისქის მნიშვნელობა დგინდება კონსტრუქციული ელექტრის განიკვეთის ფართის გახურებადი ზედაპირის პერიმეტრან ფარდობით და გამოითვლება ფორმულით: } F_{\text{დაყ}} = S/P, \quad \text{ სადაც } F_{\text{დაყ}}. \quad \text{ არის მეტალის დაყვანილი სისქი; } S - \text{ განიკვეთის ფართი; } P - \text{ გახურებადი ზედაპირის პერიმეტრი. } \quad \text{ ხოლო, ფოლადის სიმტკიცის შემამცირებელი ტემპერატურული კოეფიციენტის ყოფილების ყოფილების სიღიდე განისაზღვრება ყველაზე მეტად დატვირთულ კეთში ძაბვის მნიშვნელობის ფარდობით დენადობის ზღვრის მიხედვით დადგენილ ნორმატიული წინადობის მნიშვნელობასთან ანუ: } \quad \Upsilon_{\text{ფ}} = \frac{N_n}{R_{yn}},$$

ტემპერატურული კოეფიციენტის მნიშვნელობა დუნგადი ელემენტებისათვის ტოლია:  $\Upsilon_{\text{ფ}} = \frac{M_n}{W \cdot C \cdot R_{yn}}$ , სადაც:  $C$  არის პლასტიკურობის კოეფიციენტი. მისი მნიშვნელობა სწორკუთხა კვეთებისათვის ტოლია 1,5-ის; ორგესებრი და შველერებისათვის -1,17 და მილოვანი კვეთებისათვის - 1,25-ის ტოლი. გაჭიმული დეროებისათვის:

$$\Upsilon_{\text{ფ}} = \frac{N_n}{A \cdot R_{yn}},$$

ხოლო, ტემპერატურული კოეფიციენტის მნიშვნელობა არაცენტრალურად შეაუმშელი და გაჭიმული ელემენტებისათვის ტოლია:  $\Upsilon_{\text{ფ}} = \frac{N_n}{R_{yn}} * \left[ \frac{1}{A} + \frac{e}{W_{\text{პლ}}}\right]$ ,

რაც შეეხება გახურების კრიტიკული ტემპერატურის მნიშვნელობებს ისინი

გამოითვლებიან გაჭიმული და ღუნვადი ელემენტებისათვის შემდეგი ფორმულებით:

$$T_{\text{გ.}}=750 - 440 * \text{უფრ.}, \text{როცა } \text{უფრ.} < 0,6; T_{\text{გ.}}=1330 * (1 - \text{უფრ.}), \text{როცა } \text{უფრ.} \geq 0,6.$$

ცენტრალურად შეკუმშული ელემენტებისათვის გახურების კრიტიკული ტემპერატურა განისაზღვრება მათი მდგრადობის დაკარგვის შესაძლებლობის გათვალისწინებით. თავის მხრივ, ელემენტების მდგრადობის დაკარგვას განსაზღვრავს, მდგრადობის კრიტიკულ დეფორმაციასა და მოქმედი დატვირტვით გამოწვეულ დეფორმაციას (საწყისს ანუ ხანძრამდე) შორის სხვაობა. მისი მნიშვნელობა ტოლია:

$$\Delta\varepsilon = \left(\frac{\pi}{\lambda}\right)^2 - \frac{\sigma_n}{E},$$

შეკუმშული ელემენტებისათვის გახურების კრიტიკული ტემპერატურა, როცა  $\leq 20 * 10^4$  დგინდება  $\Delta\varepsilon * 10^4$  სიდიდისა და  $\text{უფრ.}$ -ის მიხედვით, ხოლო როცა  $> 20 * 10^4$ , მაშინ ფორმულებით:  $T_{\text{გ.}}=750 - 440 * \text{უფრ.}, \text{როცა } \text{უფრ.} < 0,6; T_{\text{გ.}}=1330 * (1 - \text{უფრ.}), \text{როცა } \text{უფრ.} \geq 0,6.$

და ბოლოს, ვიცით რა კონსტრუქციული ელემენტების დაყვანილი სისქე და გახურების კრიტიკული ტემპერატურის მნიშვნელობა ვადგენთ, როგორც თერმოდაუცველი ფოლადის კონსტრუქციების, ასევე, სხვადასხვა თერმოდაცვის ქვეშ მყოფი კონსტრუქციების თერმომედეგობას ანუ იმ დროის ხანძრძლივობას, რომლის განმავლობაში შესაძლებელია კონსტრუქციაში მიღწეულ იქნას გახურების კრიტიკული ტემპერატურა.

გააჩვარიშებების შემდეგ ეტაპზე გამოითვლება შენობის თერმომედეგობის ხარისხი და ცალკეული კონსტრუქციების თერმედეგობის ზღვრული მნიშვნელობები. მიღებული მაჩვენებლების შესაბამისად შეირჩევა ხანძარმედეგი დაფარვის ხერხები, საშუალებები და მათი სისქეები. შესაბამისად დგინდება თერმომედეგობის ზღვრული მაჩვენებლები  $R90$ ,  $R45$  და  $R$ . თერმოდამცავი საშუალებების თერმოეფექტურობა ზღვრული მდგომარეობის დადგომის მიხედვით იყოფა შვიდ ჯგუფად: 1 - არაუმცირეს 150 წუთისა ( $R150$ ); მე-2 - არაუმცირეს 120 წუთისა ( $R120$ ); მე-3 - არაუმცირეს 90 წუთისა ( $R90$ ); მე-4 - არაუმცირეს 60 წუთისა ( $R60$ ); მე-5 - არაუმცირეს 45 წუთისა ( $R45$ ); მე-6 - არაუმცირეს 30 წუთისა ( $R30$ ) და მე-7 - არაუმცირეს წუთისა ( $R$ ).

თერმოდაუცველი ლითონის კონსტრუქციების მცირე ცეცხლმედეგობა განპირობებულია ლითონის დიდი თბოგამტარობითა და მცირე თბოტევადობით, რაც იწვევს დიდ ტემპერატურაგამტარობას. ამიტომაც, სითბო სწრაფად ვრცელდება კონსტრუქციის შიგნით. ამ მიზანით, ხანძრების ან თერმული ზემოქმედების დროს, თერმოდაუცველ ლითონის კონსტრუქციებში ტემპერატურა სწრაფად აღწევს მეტალის გახურების კრიტიკულ მნიშვნელობას, რომლის დროსაც მასალის სიმტკიცის მახასიათებლები იმ სიდიდემდე მცირდება, რომ კონსტრუქცია კარგავს უნარს გაუქმლოს მასზე მოდებულ დატვირთვას და დგება მზიდუნარიანობის დაკარგვასთან დაკავშირებული ზღვრული მდგომარეობა.

ლითონის კონსტრუქციების თერმომედეგობის ამაღლების დონისძიებებია:

1. ლითონის კონსტრუქციების უწვადი, მაღალითერმოდამცავი თვისებების მქონე მასალებით მოპირკეთება. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ბეტონის ფილები, კერამიკული მასალები, ბათქაში. მაგალითად 2,5 სმ. სისქის ბათქაში ზრდის თერმომედეგობის ზღვარს ლითონის კონსტრუქციებისათვის  $R50$ -მდე. ხოლო, ხახევარი აგურით მოპირკეთება -  $R300$ -მდე. ეს მეთოდი თერმომედეგობის ამაღლების თვალსაზრისით ძალიან ეფექტურია, მაგრამ დაკავშირებულია კონსტრუქციის საკუთარი წონის გაზრდასთან და ითხოვს შრომატევად ტექნოლოგიურ ოპერაციებს;

2. ლითონის კონსტრუქციების ზედაპირის სპეციალური თერმოდამცავი საღებავებითა და საცხებით დაფარვა. ამ დროს თერმოდამცავი დაფარვა მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებისას ამოიბურცება და თერმოზოლირებას უკეთებს ლითონის ზედაპირს. მაგალითად, 2-3 მმ.-იანი საცხით დაფარვა მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებისას გარკვეული დროის განმავლობაში ლითონის კონსტრუქციის ზედაპირზე წარმოქმნის მასალის ნამატ ფენას 25-35 მმ.-ს სისქის ფარგლებში. ეს ხერხი საშუალებას იძლევა ლითონის კონსტრუქციების თერმომედეგობა გაიზარდოს  $R45-R60$ -მდე;

3. კონსტრუქციების მოცულობათა შევსება მუდმივი ან სააგარიო, ბუნებრივი ან ძულებითი ცირკულირების მოწყობილობებითა და საშუალებებით;

4. ლითონის კონსტრუქციების აღჭურვა წყლის ჭავლის გამფრქვევი მოწყობილობებით;

5. სათავსოებში დამცავი შეკიდული ჭერის მოწყობა.

რაც შეეხება რკინაბეტონის სამშენებლო კონსტრუქციების თერმომედეგობას. მისი შემცირება შეიძლება გამოიწვიოს: ბეტონის სიმტკიცის შემცირებამ, მისი გადახურების გამო; არმატურის თერმულმა გაფართოებამ და ცოცვადობამ; კონსტრუქციის განიკვეთში გამჭოლი ხერელებისა და ბზარების წარმოშობამ და თერმოსაიზოლაციო უნარის დაჭვებითებამ. რკინაბეტონის ღუნგაზე მომუშავე ელემენტების თერმომედეგობა მერყეობს, როგორც წესი, R45 - R90-ის ფარგლებში, ხოლო კოლონებისათვის R90 - R150-ის ფარგლებში.

რკინაბეტონის სამშენებლო კონსტრუქციების თერმომედეგობის გაზრდის მიზნით რეკომენდებულია შემდეგი ღონისძიებების გატარება: ბეტონის დამცავი ფენის სისქის გაზრდა; კონსტრუქციის არაწვადი მასალით მოპირკეთება; სათავსოში თერმული დატვირთვის შემამცირებელი ღონისძიებების გატარება; კონსტრუქციაზე მოსული მექანიკური დატვირთვების შემცირება და ისეთი მუშა არმატურის გამოყენება, რომელსაც გააჩნია გახურების უფრო მაღალი კრიტიკული ტემპერატურა.

### 3. დასპენა

მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში, სანდრით გამოწვეულ თბურ ზემოქმედებაზე სამშენებლო კონსტრუქციების თერმული მედეგობის შეფასებისა და თბური გამოსხივების ზემოქმედებაზე მათი ცეცხლმედეგობის ამაღლების ღონისძიებების დასახვის მიზნით, პირველ ეტაპზე, განისაზღვრება სავარაუდო წვის პროდუქტების ფიზიკური და ქიმიური თვისებების გათვალისწინებით ხანძრის შედეგად წვის თბური გამოსხივების ნაკადის სიმკრივე, დგინდება თბური ზემოქმედების ზონის გავრცელების რადიუსი და მათი საშუალებით სამშენებლო კონსტრუქციებში შესაძლო მაქსიმალური ტემპერატურა. შეფასების მეორე ეტაპზე, ტემპერატურის ეს სიდიდე საჭიროა შევადაროთ ფოლადის სიმტკიცის შემამცირებელი ტემპერატურული კოეფიციენტითა და კონსტრუქციული ელემენტის დაყვანილი სისქით დადგენილ კონსტრუქციის კრიტიკულ ტემპერატურას. თუ ტემპერატურა გადააჭარბებს სათანადო ცეცხლმედეგობის განმსაზღვრელ კრიტიკულ ტემპერატურას, საჭიროა დაპროექტდეს ცეცხლმედეგობის ამაღლების ღონისძიებები ან გენგეგმაზე მოხდეს თბური ზემოქმედების ზონის გავრცელების რადიუსის გათვალისწინებით ობიექტებს შორის მანძილების ვარიეტება, ასევე, ამ ობიექტებს შორის თერმული გამოსხივების ამრეკლი სპეციალური კონსტრუქციების გათვალისწინება.

### ლიტერატურა

1. საგანგებო სიტუაციებში კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის საფუძვლები. თ.მელქაძე. სახელმძღვანელო. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი. 2012წ. (ISBN 978-9941-20-095-3)
2. В.М.Бубнов. Задачи и упражнения по огнестойкости строительных конструкций. Методическое пособие. М: Академия ГПС МЧС России, 2004 г.

## შენობათა ენერგოეფექტურობის გაზრდა შემომზღვდი კონსტრუქციების ოპტიმალური თაღოფენიგური მახასიათებლების შეარჩევით

მ. გრძელიშვილი, ა. კოპალიანი, ი. მარლიშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია შენობათა ენერგოდაზოგის საკითხები  
შემომზღვდი კონსტრუქციების ოპტიმალური თაღოფენიგური  
მახასიათებლების შერჩევით და ამ მახასიათებლების მიხედვით შედგენილ  
შემომზღვდი კონსტრუქციების ტემპერატურულ-ტენიანობრივი რეჟიმების  
შესწავლით.

ამ საკითხის შესწავლა უზრუნველყოფს შენობათა თბური ენერგიის  
მოთხოვნილების მინიმუმამდე დაყვანას ან შენობათა გათბობის სისტემების  
სრულ უგულებელყოფას, ისე რომ არ დაიღვეს სათავსების მიკროკლიმატის  
უზრუნველყოფის ნორმატიული პარამეტრები.

**საკვანძოსიტუაციები:** ენერგოეფექტურობა, ენერგომოთხოვნილება, თბური  
რეჟიმი, პასიური სახლი, თბოტექნიკური გაანგარიშება, თბოგამტარობა,  
თბოგადაცემა, თერმული წინააღმდეგობა.

### 1. შესავალი


სხვადსხვა ექსპერიმენტული შეფასებებით მსოფლიოში ენერგიის ძირითადი  
წყაროების (ნავთობი, გაზი, ნახშირი) მარაგი საკმარისია მაქსიმუმ 100 წელი.  
განვითარებულ ქვეყნებში მოხმარებული ენერგიის დაახლოებით 42% მოდის შენობა-  
ნაგებობებზე. ამიტომაც ენერგორესურსების დაზოგვის ერთ-ერთი ძირითადი გზა  
შენობათა ენერგოეფექტურობის გაზრდაში მდგომარეობს.

### 2. ძირითადი ნაწილი

ენერგოეფექტური მშენებლობა თანამედროვე სამრეწველო და სამოქალაქო  
მშენებლობის ერთ-ერთი ინოვაციური მიმართულებაა, რომელიც მსოფლიოში  
წარმატებით ვითარდება, საქართველოში კი ჯერაც არ დაწყებულა. თანამედროვე  
ენერგოეფექტური მშენებლობის დასაწყისად, პირველი მსოფლიო ენერგეტიკული  
კრიზისი, ანუ 1973 წელი ითვლება.

პირველი ენერგოეფექტური სახლი (საოფისე შენობა) აგებულ იქნა 1974 წელს  
ქ. მანქესტერში (აშშ). ამ შენობის ენერგომოხმარების შემცირება მოხდა ორშრიანი  
შემომზღვდი კონსტრუქციების, მზის რადიაციის ეფექტური და შენობათა  
მიკროკლიმატის უზრუნველყოფის კომპიუტერული მართვის სისტემების  
გამოყენებით.

ენერგოეფექტურობის გაზრდის მიზნით სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს  
ევროპაში. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დაახლოებით 12000 ენერგოეფექტური  
შენობაა აგებული. ამ მხრივ ლიდერი ქვეყნებია გერმანია, ფინეთი, დანია. ენერგოეფექტური მშენებლობის ტექნოლოგიის დანერგვით შესაძლებელი ხდება  
ტრადიციულ შენობებთან შედარებით 40% ენერგიის დაზოგვა. ნახ. 1 ნაჩვენებია  
საყოფაცხოვრებო ენერგომოხმარების სიდიდეები. როგორც ამ ნახაზიდან ჩანს  
ენერგიის ყველაზე დიდი მომხმარებელია გათბობისა და ცხელი წლით მომარაგების  
სისტემები (86%). სწორედ ამ სისტემებში უნდა ვეცადოთ ენერგომოთხოვნილებების  
შემცირებას, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის შენობის ენერგოეფექტურობას.



- ნახ. 1 ენერგიის მოხმარება ყოფაცხოვრებაში 76%-გათბობა, 12%-ცხელი წყალი, 6% - მაცივარი, სარეცხი მანქანა და ა.შ., 4% - საჭმლის მომზადება, 2% - განათება შენობათა ენერგოეფექტურობის გაზრდის მრავალი გზა არსებობს:
- შენობათა შემომზღვდი კონსტრუქციებიდან გარემოში თბოდანაკარგების შემცირება;
  - სიცივის ხიდების მინიმუმადე დაყვანა;
  - შენობის პერმეტულობის გაზრდა;
  - გათბობის სისტემების მქე გაზრდა;
  - გათბობის სისტემების მართვისა და რეგულირების გაუმჯობესება;
  - შენობაში მოდინებული სითბოს გამოყენება;
  - ზაფხულის პირობებში შენობათა გადახურების აცილება;
  - განახლებადი ენერგიის გამოყენება.

ენერგოეფექტურობის გაზრდის ყველაზე ეკონომიკური და მარტივი გზა შენობათა ზემოთ ჩამოთვლილი ხერხებიდან პირველი სამია, რაც გამოიხატება შენობის გარსის ენერგოეფექტურობის გაზრდაში.

შენობის გარსი შედგება შემომზღვდი კონსტრუქციებიდან (კედლები, ფანჯრები, გადახურვა, იატაკი). სწორედ მათი კონსტრუირების დროს უნდა მოხდეს ენერგოეფექტური ლონისძიებების გატარება. ცნობილია რომ სამშენებლო მასალები, რთაც აგებულია შენობა წარმოადგენენ კაპიტალურ-ფორმებიან სხეულებს, რომლებშიც მიმდინარეობს სითბოს და მასის გადატანის რთული პროცესი.

შემომზღვდი კონსტრუქციების კომპლექსური თბოტექნიკური გაანგარიშების საფუძველზე უნდა მოხდეს მისი მასალის და სისქის განსაზღვრა სანქიციური და ტექნიკო-ეკონომიკური მახასიათებლების გათვალისწინებით. შემომზღვდი კონსტრუქციის კომპლექსურ თბოტექნიკური გაანგარიშების ქვეშ იგულისხმება მისი ტემპერატურული, ტენიანობრივი და საპარო რეჟიმების შესწავლა. კონსტრუქცია შერჩეული უნდა იქნას ისე, რომ არ მოხდეს მის სიზრქეში ტემპერატურის დასაშვებ ზღვარზე დაბლა დაცემა. ტემპერატურა კედლის სიზრქეში ყოველთვის მეტი უნდა იყოს ნამის წერტილზე ( $t_{\text{t}}$ ), რათა არ მოხდეს კედლის სიზრქეში დიფუნდირებული წყლის ორთქლის კონდესაცია და კონსტრუქციის მოსალოდნელი დატენიანება. კონსტრუქციის დატენიანება იწვევს სოკოვანი მიკროორგანიზმების წარმოქმნას, კონსტრუქციის დაშლას და ენერგოდანაკარგების გაზრდას, რადგანაც დატენინებულ კედლები მკვეთრად იზრდება მისი თბოგამტარობის კოეფიციენტი.

შემომზღვდი კონსტრუქციის თბოტექნიკური ანგარიშის აუცილებელი პირობაა, რომ

$$R_0^{\text{ნორ}} = R_0^{\text{საჭ}} \quad (1)$$

ე.ი. კონსტრუქციის ნორმირებული თერმული წინააღმდეგობის სიდიდე უნდა იყოს მისი საჭირო თერმული წინააღმდეგობის  $R_0^{\text{საჭ}}$  ტოლი.

სადაც  $R_0^{\text{საჭ}}$  – შემომზღვდი კონსტრუქციის ბაზური საჭირო თერმული წინააღმდეგობაა,  $\text{M}^2/\text{C}/\text{გ}$  და იგი მშენებლობის რაიონის გათბობის სეზონის გრადუს დღეებზეა დამოკიდებული.

გათბობის სეზონში გრად. დღეების რაოდენობა გამოითვლება ფორმულით: გრად.  $\text{ღღ} = (t_{\text{d}} - t_{\text{g}}) z_{\text{გათ.სეზ.}} \cdot \text{C} \text{ღღ} / \text{წელ.}$

სადაც:  $t_0$  – შიგა ჰაერის საანგარიშო ტემპერატურაა ზამთრის პერიოდში;

$t_g$  – ზამთრის სეზონზე გარე ჰაერის საშუალო ტემპერატურა;

$z$  – გათბობის სეზონის ხანგრძლივობა დღედამობით.

ქ. თბილისისათვის გრადუს. დღეების რაოდენობა ტოლია

$$\text{როდესაც } t_g \leq 8^\circ\text{C} \text{ გრად. დღ.} = (20-4,1) \cdot 121 = 1924^\circ\text{C დღ./წელ.}$$

$$\text{როდესაც } t_g \leq 10^\circ\text{C} \text{ გრად. დღ.} = (20-5,3) \cdot 143 = 2102^\circ\text{C დღ./წელ.}$$

შემომზღვდი კონსტრუქციების თბოტექნიკური გაანგარიშების დროს მათი თერმული წინააღმდეგობების ბაზური მნიშვნელობები განისაზღვრება სამშენებლო ნორმებით [2].

ქ. თბილისისა და საქართველოს უმეტესი ქალაქებისათვის გრადუს. დღეების რაოდენობა 2000 ფარგლებშია, რის გამოც კედლების თერმული წინააღმდეგობები უნდა იყოს  $2,1 \text{ გ}^2\text{C}/\text{გ}^\circ\text{C}$ -ის ტოლი ე.ი. მასიური შემომზღვდული კონსტრუქციების (კედლების) თბოგადაცემის კოეფიციენტის სიდიდე უნდა იყოს

$$K = \frac{1}{R_0} = \frac{1}{2,1} = 0,476 \text{ გ}^\circ/\text{გ}^2\text{C}$$

საქართველოს კლიმატური პირობებისათვის დამახასიათებელ რეგიონებში კედლის ნორმირებული თბოტექნიკური მახასიათებლები ნაჩვენებია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1

ადგილმდებარეობა	გათბობის სეზონის საშ. ტემპერატურა გრად.	გათბობის სეზონის ხანგრძ. დღე-დამეები	გათბობის პერიოდის გრად. დღეები	კედლის ნორმირებული თერმული წინააღმდეგობა $\text{გ}^2\text{C}/\text{გ}^\circ\text{C}$	კედლის თბოგადაცემის კოეფიციენტი $k=1/R_0 \text{ გ}^\circ/\text{გ}^2\text{C}$
თბილისი	4,1	121		2,1	0,476
ახალქალაქი	-0,8	206	4284	2,8	0,357
ჯარი-გუდაური	-1,9	291	6373	3,5	0,286
ყაზბეგი	-5,7	365	7380	3,8	0,263
მესტია	-0,4	202	4040	2,8	0,357

ამ ცხრილში ნაჩვენები კედლების თბოგადაცემა გაცილებით მეტია ვიდრე ამას ევრონორმები ითვალისწინებს, ЕнЕ2009 ნორმების თანახმად კედლის თბოგადაცემა  $k=0,24 \text{ გ}^\circ/\text{გ}^2\text{C}$ . ასეთი მახასიათებლის საშუალებით აგებულ სახლებს ევროპაში ენერგოეფექტური სახლები ეწოდება. სითბოს ხვედრითი ხარჯი ასეთი სახლების აგების დროს ორჯერ მცირება ვიდრე ამას ითვალისწინებს СНиП. ევროპაში ეს ნორმები კიდევ უფრო გამკაცრებულია და მიღებულია ახალი ნორმა, რომლის თანახმადაც  $k \leq 0,15 \text{ გ}^\circ/\text{გ}^2\text{C}$ . სახლები, რომლებიც ამ მოთხოვნებს აქმაყოფილებენ იწოდებიან პასიურ სახლებად. ევროპარლამენტის გადაწყვეტილების თანახმად 2018 წლიდან აგებულ სახლებში მისი კედლის თბოგადაცემა უნდა აკმაყოფილებდეს პირობას  $k \leq 0,1 \text{ გ}^\circ/\text{გ}^2\text{C}$ . სახლები ასეთი თბოტექნიკური მახასიათებლებით წარმოადგენენ ე.წ. „ნელოვანი ენერგომოთხოვნილების“ სახლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთ სახლებში სითბოს ხარჯი შენობის გათბობაზე ნულის ტოლია ე.ი. შენობა შეიძლება აგებულ იქნას გათბობის სისტემის გარეშე. ამ შენობის შემომზღვდი კონსტრუქციები უზრუნველყოფებ როგორც სანჭიგიერური ასევე კომფორტული პირობების სრულ დაცვას.

ამრიგად თანამედროვე ენერგოეფექტური მშენებლობის ძირითად კრიტერიუმად შეიძლება ჩაითვალის შენობათა ენერგომოთხოვნილება. წლის განმავლობაში თუ შენობათა გასათბობად ენერგომოთხოვნილება შეადგენს  $90 \text{ გ}^\circ/\text{გ}^2\text{C}$  შენობა ენერგოეფექტურია. თუ  $45 \text{ გ}^\circ/\text{გ}^2\text{C}$ -ზე ნაკლებია შენობა ენერგოპასიურია;  $15 \text{ გ}^\circ/\text{გ}^2\text{C}$  ენერგომოთხოვნილების დროს სახლი ნულოვანი ენერგომოთხოვნილებისაა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სახლის გასათბობად ენერგია არ გვესაჭიროება, იგი მხოლოდ ცხელი წყლის მოსამზადებლადაა საჭირო.

ზემოთ დასახელებული ენერგომოთხოვნილების დაკმაყოფილება ძირითადად დამოკიდებულია შენობის შემომზღვედი კონსტრუქციების თბოტექნიკურ მასასიათებლებზე, რომლებიც ძირითადად ამ კონსტრუქციის სისქით განისაზღვრება.

ქ. თბილისის კლიმატური პირობებისათვის ერთგვაროვანი შემომზღვედი კონსტრუქციის სისქეები ნაჩვენებია ცხრილ 2-ში.

ერთგვაროვანი შემომზღვედი კონსტრუქციის სისქეები ქ. თბილისისათვის  
 ცხრილი 2

№	კედლის მასალა	სიმკვრივე კგ/მ <sup>3</sup>	თბოგამტარობის კოეფიციენტი კგ/მ <sup>2</sup> °C	სისქე გ, მ
1	პენოპოლისტიროლის ფილები	25-30	0,044	0,09
2	ექსტრუდირებული პენოპოლისტიროლი	25-33	0,03	0,065
3	კერამზიტობეტონი	1600	0,79	1,659
4	თიხის წვეულებრივი გამომწვარი აგური	1800	0,81	1,7
5	ბეტონი	2400	1,86	3,9
6	რკინაბეტონი	2500	2,04	4,3

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს არც ერთი საშშენებლო მასალა არ ზის რეალურ ფარგლებში. მსუბუქი თბოსაიზოლაციო მასალების სისქეები (9÷6,5 სმ) ძალიან მცირეა, რაც კონსტრუქციული თვალსაზრისით დაუშვებელია. ასევე დაუშვებელია ტრადიციული სამშენებლო მასალებით შემომზღვედი კონსტრუქციების მოწყობა. თიხის წვეულებრივი გამომწვარი აგურის შემთხვევაში კედლის სისქე უნდა იყოს 1,7 მ, ხოლო რკინაბეტონის შემთხვევაში ეს სისქე უნდა იყოს არა ნაკლებ 4,3 მეტრისა.

ამრიგად ენერგოეფექტური შენობების შემომზღვედი კონსტრუქციების დაპროექტების დროს დაკმაყოფილებული უნდა იქნას როგორც კონსტრუქციული მოთხოვნები, ასევე თბური რეჟიმის პირობები. ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო შედეგებს იძლევა ორი ან მრავალ შრიანი შემომზღვედი კონსტრუქციები.

ცხრილ 2-ში ნაჩვენებია ორშრიანი შემომზღვედი კონსტრუქციის (კედლის) თბოგადაცემა. როდესაც ამ კედლის კონსტრუქციულ მასალად გამოყენებულია თიხის წვეულებრივი გამომწვარი აგური სისიქთ 25 სმ და რკინაბეტონი სისიქთ 20 სმ. თბოსაიზოლაციო მასალად გამოყენებულია ექსტრუდირებული პენოპოლისტიროლი სისქით 12(15), 20 და 30 სმ. სამივე შემთხვევაში ხდება თბური ენერგიის მნიშვნელოვანი დაზოგვა. ამასთანავე პირველ შემთხვევაში, როდესაც თბოსაიზოლაციო შრის სისქე 12(15) სმ-ია კმაყოფილდება E<sub>n</sub>E<sub>v</sub>2009 მოთხოვნები და ასეთი კედლებით აგებული სახლები ენერგოეფექტურია. მეორე შემთხვევაში, როდესაც თბოსაიზოლაციო შრის სისქე 20 სმ-ია, გვაქვს პასიური სახლი (k≤15ვტ/მ<sup>2</sup>°C). მესამე შემთხვევაში, როდესაც თბოსაიზოლაციო შრის სისქე 30 სმ-ია გვაქვს ნულოვანი ენერგომოთხოვნილების სახლები რომლებიც აკმაყოფილებენ ZERO სტანდარტს (k≤0,1ვტ/მ<sup>2</sup>°C).

თუ კედლებს მოვაწყობთ ერთშრიანს, საკედლე ბლოკებით, რომლის თბოგამტარობის კოეფიციენტი ტოლია 0,09 კგ/მ<sup>2</sup>°C შეგვიძლია მივაღწიოთ, როგორც ენერგოეფექტური ასევე პასიური სახლის სტანდარტებს.

ორშრიანი შემომზღვედი კონსტრუქციის (კედლის) თბოგადაცემა  
 ქ. თბილისისათვის  
 ცხრილი 3


კედლის კონსტრუქციული ნაწილი	თბოიზოლაცია	კედლის თბოგადაცემა k კგ/მ <sup>2</sup> °C
აგურის წყობა δ=25 სმ λ=0,66 კგ/მ <sup>2</sup> °C	ექსტრუდირებული პენოპოლისტიროლი λ=0,03 კგ/მ <sup>2</sup> °C δ=12 სმ	0,22 0,14

	$\delta=20$ სმ $\delta=30$ სმ	0,99
რკინაბეტონი $\rho=2500$ კგ/მ <sup>3</sup> $\delta=20$ სმ $\lambda=2,5$ ვტ/მ°C	ექსტრუდირებული პენოპოლისტროლი $\lambda=0,03$ ვტ/მ <sup>2</sup> °C $\delta=15$ სმ $\delta=20$ სმ $\delta=30$ სმ	0,19 0,14 0,1

ანალოგიური თბოტექნიკური ანგარიშები უნდა ჩატარდეს სხვა მასიური შემომზღვდი კონსტრუქციებისათვის (იატაკი, სახურავი). მათი თბოგადაცემაც უნდა იყოს კედლის თბოგადაცემის კოეფიციენტის ტოლი. რაც შეეხება შუქბამჭვირვალე შემომზღვდ კონსტრუქციებს (ფანჯრები, აივნის კარბები, შუქფანრები), მათი თბოგადაცემის კოეფიციენტი პასიური და ნულგვანი ენერგომოხმარების სახლებისათვის 0,8 ვტ/მ°C არ უნდა აღემატებოდეს.

ჩვეულებრივი ენერგოდამზოგი სახლებისათვის შემომზღვდი კონსტრუქციების ბაზური თერმული წინაღმდეგობები მშენებლობის რაიონის გრადუს.დღეების მიხედვით აიღება СНиП-დან [2].

შემომზღვდი კონსტრუქციების დაპროექტების დროს საჭიროა ჩატარდეს კომპლექსური თბოტექნიკური გაანგარიშება, რაც გულისხმობს ამ კონსტრუქციის საექსპლუატაციო ტემპერატურული, ტენიანობრივი და საპაერო რეჟიმების დადგენას. ექსპლუატაციის პირობებში შემომზღვდ კონსტრუქციებში წყლის ორთქლის დიფუზიის დროს მათი შესაძლო დატენიანება იწვევს ამ კონსტრუქციის თბოგამტარობის მკვეთრ გაზრდას, რაც ზრდის თბური ენერგიის ხარჯს შენობის გათბობაზე და ქმნის სათავსებში დისკომფორტულ პირობებს.



ნახ. 2 შემომზღვდი კონსტრუქციის მასალის და ნამის წერილის ტემპერატურის ცვლილების გრაფიკები მის სიზრქეში

მე-2 ნახაზზე ნაჩვენებია სხვადასხვა კონსტრუქციული მასალებისგან აგებული გარე კედლების ტემპერატურულ-ტენიანობრივი რეჟიმები როგორც ორშრიანი, ასევე ერთშრიანი შემომზღვდი კონსტრუქციებისათვის.

ორშრიანი კედლები განხილული გვავქს რკინაბეტონისთვის სისქით 20 სმ თიხის ჩვეულებრივი გამომწვარი აგურისათვის სისქით 25 სმ (ერთი აგური). ორივე შემთხვევაში კედლის კონსტრუქციული ნაწილი გარედან დაფარულია ექსტრუდირებულიო პენოპოლისტიროლის თბოიზოლაცით. ერთშრიანი კედლის შემთხვევაში კი განხილული გვაქს 350 კგ/მ<sup>3</sup> სიმკვივის პენოპლოკი სისქით 40 სმ.

როგორც აგურის ( $k=0,09 \text{ W}/\text{m}^2\text{°C}$ ) ასევე რკინაბეტონის ( $k=0,13 \text{ W}/\text{m}^2\text{°C}$ ) შემთხვევაში შემომზღვდი კონსტრუქცია პასუხობს ZERO სტანდარტს, ხოლო ერთშრიანი პენოპლოკის შემთხვევაში  $k=0,22 < 0,24 \text{ W}/\text{m}^2\text{°C}$  ეს კონსტრუქცია აკმაყოფილებს E<sub>n</sub>E<sub>v</sub>2009-ის მოთხოვნებს, რაც მის ენერგოეფექტურის მაჩვენებელია.

ამ გრაფიკებზე ზემო მრუდები გვიჩვენებენ შესაბამის კედლის სისქეში ტემპერატურის განაწილებას, ხოლო ქვედა მრუდები ამ ტემპერატურის შესაბამის ნამის წერტილებს. ქ. თბილისისათვის გარე პაერის საანგარიშო ტემპერატურა,  $t_g=2,1^\circ\text{C}$ , და ფარდობითი ტენიანობა  $\varphi_g=76\%$  აღებულია СНиП-ის მიხედვით. სათავსის ჰაერისათვის  $t=23^\circ\text{C}$ , ხოლო  $\varphi=50\%$ .

როგორც ამ გრაფიკებიდან ჩანს არც ერთ განხილულ კონსტრუქციაში დიფუნდირებული წყლის ორთქლის კონდესაციას ადგილი არა აქს, რადგანაც გრაფიკზე ნაჩვენები ტემპერატურული (ზემო) და ტენიანობრივი (ქვემო) მრუდები ერთმანეთს არ კვეთს.

ადსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სამივე განხილული კონსტრუქციისათვის ტემპერატურული სხვაობა სათავსის ჰაერისა და გარე კედლის შიგა ზედაპირს შორის  $0,3^\circ\text{C}$ -ის ფარგლებშია. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ შენობა აგებულია თბილი გარსისაგან რაც გამორიცხავს ადამიანის მიერ გამოსხივებით თბოგადაცემას. ეს კი ქმნის მიკროკლიმატის იდეალურ პირობებს, მაშინ როდესაც შენობაში გათბობის სისტემა არ ფუნქციონირებს.

### 3. დასპპნა

შენობა-ნაგებობები წარმოადგენენ ქვეყნის ყველაზე დიდ ენერგომომხმარებლებს. ქვეყნის საერთო მოხმარებული ენერგიის 42% სწორედ მათზე მოდის. ამ ენერგიის 87% მოდის გათბობისა და ცხელი წყალმომარაგების სისტემებზე. ამიტომ სისტემებში თბური ენერგიის და შესაბამისად წიაღისეული სათბობის დაზოგვა ენერგომომარაგების პრიორიტეტული მიმართულებაა.

ენერგოდაზოგვის ყველაზე მარტივი გზაა შენობათა ენერგოეფექტურობის გაზრდა შემომზღვდი კონსტრუქციების თბოტექნიკური მახასიათებლების გაუმჯობესების გზით. მასიური შემომზღვდი კონსტრუქციების (კედლები, გადახურვები, იატაკები) თბოგადაცემის შემცირება  $0,1 \text{ W}/\text{m}^2\text{°C}-\text{მდე}$  მოგვცემს საშუალებას ავაშენოთ სახლები, სადაც გათბობის სისტემის მოწყობა საჭირო არ იქნება. დღევანდელი საშენი მასალების ნაირსახეობა გვაძლევს საშუალებას დავაპროექტოთ ისეთი შემომზღვდი კონსტრუქციები, რომლებიც უზრუნველყოფენ შენობათა მიკროკლიმატის პარამეტრებს, ენერგიის მინიმალური დანახარჯებით ან მის გარეშე.

### ლიტერატურა

1. 23-01-99 . 2003 ,
2. 13330.2012 23-02-2003. . 2012 ,
3. E<sub>n</sub>E<sub>v</sub>2009 – Energieeinsparverordnung fur Gebäude
4. . . . . 2003 ,
5. Water Bläsi – Bauphysik. Verlag Europalehrmittel 2012

## გარემოს დაკროხებულება

**რ. იმედაძე, თ. მაღრაძე, ლ. ბერიძე**

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, გ. კოსტავას 77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** უკანასკნელ პერიოდში საზოგადოება იჩენს მაღალ დაინტერესებას გარემოს გაუმჯობესების შესახებ, როგორც არსებულ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში ისე ქალაქების გასაფართოებულ ტერიტორიების მიმართ. მაგრამ საზოგადოებას შეუძლია მხოლოდ მიუთითოს ნაკლოვანებებზე და გამოხატოს უძმაყოფილება არსებულ მდგომარეობაზე. აუცილებელია შეიქმნას ქმედითი მექანიზმი რათა დაკმაყოფილდეს საზოგადოების მოთხოვნა გარემოს ნორმალურად დაცვასთან დაკავშირებით. თუ კველა პროფესიის წარმომადგენელი არ იქნება გარემოს დაცვის ხისტების აქტიური მხარდაჭერი, მაშინ ვინ აიღებს თავის თავზე ამ როლს. საზოგადოებასთან ერთად აქ პირველ რიგში აქტიურად უნდა ჩაერთონ არქტიკებულები, მშენებლები, მეტალურგები, ტრანსპორტის მუშაკები და სხვა მიმართულების წარმომადგენლები. მოცემულ სტატიაში აკტორები შეუცადნენ ამ საკითხის გადაწყვეტის საკუთარი ხედვა წარმოედგინათ, რომლებიც ითვალისწინებენ საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას.

**საბუნებრივი სიტყვები:** გარემო, გარდაქმნა, დაცვა, ურბანიზაცია.

### 1. შესაბამის

დღევანდელ დღეს მწვავედ დგას პრობლემა ქალაქებისა და დასახლებულ პუნქტებში და მათ ახლო განლაგებულ ტერიტორიებზე გარემოს დაცვასთან დაკავშირებით. ამ პრობლემას დიდი ყურადღება ექცევა მთელი მსოფლიოს მოწინავე ქალაქებში. ეს პრობლემა აქტიურად დგას საქართველოს წინაშე. გარემოს დაჭუჭყიანების თავიდან აცილების პრობლემა მწვავე გახდა ურბანული პრობლემების მზარდი პირობების გამო განსაკუთრებით დიდი ქალაქებში, მათ შორის თბილისისთვისაც. ავტორების მიერ სტატიაში მოცემულია საინტერესო მიდგომა ამ საკითხებოს გადაწყვეტისათვის.

### 2. პირითადი ნაწილი

ინჟინრები ყველაზე მეტად უნდა იყვნენ დაინტერესებულნი დაამუშაონ სისტემები, რომლებშიც ჩართული იქნება მრავალ კომპონენტი ტერმინი „სისტემური პროექტირება“ შეადგენს პროფესიონალური ენის ნაწილს. მაგრამ გარემოს დაცვის დამპროექტებლებს არა აქვთ დამუშავებული ქალაქის დაცვის სისტემები, არ აწარმოებენ სისტემურ ანალიზს ქალაქის ტერიტორიების დაცვის შესახებ. გარემოს დამპროექტებლებმა უნდა დაპროექტონ ის სამუშაო, რომელიც გააუმჯობესებს გარემოს. ამისათვის მიწვეული უნდა იყვნენ სხვა პროფესიის ადამიანები, რომლებიც გააკეთებენ ანალიზს დაპროექტების მიმდინარეობის დროს და დაეხმარებიან მათ.

მაგალითად, თუ პროექტდება ქალაქის რომელიმე საავტომობილო გზა, ხალხის გადასაყვანად A პუნქტიდან B-ში, აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს მისი გავლენა გარემოზე.

ასევე უნდა დაპროეტდეს ქალაქის საავტომობილო გზები იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქი იზრდება. ამავე დროს უნდა განისაზღვროს ქალაქის განვითარების სქემა და გამოყენებული იქნას საავტომობილო გზები ქალაქის განვითარების ხელისშემწყობ ფაქტორად.

ეს მაგალითები აჩვენებენ, რომ დამუშავებული არ არის ქალაქის განაშენიანების საჭირო ელემენტები, რომლებიც დაპროექტებული უნდა იყოს სხვადასხვა პროფესიის ადამიანების ჩართვით გარემოს გარდაქმნის და შექმნის მიზნით, ე.ო. საჭიროა ამ განმსაზღვრელი ელემენტების დაპროექტება, როგორც ნაწილი საერთო პრობლემისა.

ჩვენ ვლაპარაკობთ სისტემაზე, რომლის განხორცილებისთვის საჭიროა დამკვეთი. (ინჟინერი, არქიტექტორი, ლანდშაფტის დიზაინერი, ეკოლოგი, დამგეგმარებელი) და სხვა. დამკვეთად შეიძლება აგრეთვე მოგვევლინოს ქარხნის მშენებლები, საავტომობილო გზების სამმართველო, სატრანსპორტო კომპანია, მეტროპოლიტენის მშენებლები, რკინიგზის მშენებლები, ქალაქის მერია, ქალაქის მიწიქვეშა ქსელების მშენებლობის სამსახურები, საცხოვრებელი ნაგებობების მშენებლები და სხვა. სწორედ ამ ინდივიდუალური დამკვეთებისათვის მუშაობენ დამპროექტებელი ორგანიზაციები.

ხშირად ასეთი დამკვეთები არ არსებობს. ამიტომაც საჭიროა ამ საკითხის მიმართ სისტემური მიღომა. ამისათვის ქალაქებში ამ საკითხის გადაწყვეტა თავის თავზე უნდა აიღოს ქალაქის მუნიციპალიტეტმა გარემოს დაცვის ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან ერთად. შესაბამისაფ დამპროექტებლები, რომლებიც აწარმოებენ გარემოს გაუმჯობესების სამუშაოებს, ამავე დროს პასუხისმგებლები არიან საზოგადოების წინაშე პროექტების მაღალი ხარისხით შესრულებისათვის, რომელსაც უნდა აკონტროლებდეს ქალაქის მერიის თანამშრომლები და პრაქტიკულად განხორცილებების დროს გაუწიოს მას ტექნიკური ზედამხედველობა.

გარემოს დამპროექტებელმა სპეციალისტებმა უნდა გაითვალისწინონ მოსახლეობის მოთხოვნები. გარემოს დაპროექტების საკითხი, სცილდება ცალკეული პირების კომპეტენციის ზღვრებს. დამკვეთად უნდა გამოდიოდეს მოსახლეობა, რომლებიც დაინტერესებულია გარემოს გაუმჯობესებით და არა მარტო რომელიმე ექსპერტი. შედეგად წარმოჩნდებიან საზოგადოებრივი დამკვეთები, რომლებიც დაინტერესებული არიან საკითხზე სისტემური მიღომით, როგორც ქალაქის ტერტიორიების გაფართოების, ისე ჩვენი ქლალქების ცენტრის რეკონსტრუქციის დროს.

დღევანდელ დღეს აუცილებელია ასეთი დამკვეთების არსებობა, რამდენადაც ფაქტია, რომ, ქვეყანაში მიმდინარეობს ურბანიზაციის პროცესი, რაც იწვევს ქალაქების გაზრდას, რაც ქვეყნის განვითარების თანმდევია.

მაშინაც კი მოსახლეობის ზრდა, რომ იყოს მცირე, მაინც შეიქმნება ახალი ოჯახები და აუცილებელი გახდება მათ საცხოვრებლით უზრუნველყოფა, მომსახურება და განათლების კერძის და სკოლამდელი ასაკის დაწესებულებებით უზრუნველყოფა.

ამ სასტილი ავტორებმა გვინდა გაჩვენოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს ქალაქების ზრდა, განსაკუთრებით ჩვენი დედაქალაქის თბილისის და ჯერ კიდევ არა დამუშავებული ამ პრობლემის გადაწყვეტის კონცეფცია დამაკმაყოფილებელი გარემოს შექმნის მიზნით. ამიტომ უნდა გაგრძელდეს გარემოს გარდაქმნის ღონისძიებები ქალაქების და მის მოსაზღვრე ტერიტორიებისათვის.

ეს საკითხი აქტუალურია მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის, რომელსაც დიდ უზრადდებას და სახსრებს უთმობენ. მაგალითად, აშშ-ში ქალაქებში შექმნეს სპეციალური საპროექტო ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ საავტომობილო გზების, ქსტაკადების და ფაბრიკების დაპროექტება განლაგებაზე, მათ ამ

საკითხების გადაწყვეტისას ეხმარებიან თითქმის ყველა დარგის სპეციულისტები და მოსახლეობის წარმომადგენლები.

ჩვენს ქვეყანაში არსებული გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო პირდაპირ ვალდებულია ყურადღება მიაქციოს გარემოს გაუმჯობესებას დასახლებულ პუნქტებში და მის გარეთ და ის თავისი შესაძლებლობის მიხედვით აკეთებს კიდევ. მაგრამ რაც შეეხება ქალაქებს და შედარებით დიდ პროვინციულ დასახლებებს აქ პასუხიმგებლობა მუნიციპალიტეტებზეა, რომლებმაც ყურადღება უნდა მიაქციონ აქცევენ ქალაქებში მიმდინარე მშენებლობებს, ტრანსპორტს, საგზაო მეურნეობას, ქალაქის მიწიქვეშა ქსელების მშენებლობას, კავშირგაბმილობის და კულტურული ობიექტების მდგრადი ათვისებას და სხვა.

მუნიციპალიტეტები დღევანდელ დღეს ვერ აწარმოებენ ქალაქების მშენებლობას, მაგრამ მათ შეუძლიათ კონტროლი გაუწიონ მშენებლობას და სხვა საქმიანობებს, რომლებსაც შეუძლიათ გარემოს გაუარესება. ეს სამუშაოები ყოველთვის შესაბამის დონეზე არ სრულდება, რაც გამოისახება მშენებელი ორგანოზაციების მიერ გარემოს გაუარესებაზე ნაკლები ყურადღებით.

სხვადასხვა ქვეყნებში ეს საკითხი სხვადასხვანაირად წყდება. ევროპის ქვეყნებში (გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, ავსტრია, შვეიცარია, დანია, შვეცია, ჰოლანდია) და სხვა, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატები ამ საკითხის გადასაწვეტად ქალაქმშენებლობის კორპორაციებთან ერთად ჩართულია მუნიციპალიტეტები. ისეთი საკითხების გადაწყვეტისას როგორიცაა: ახალი უბნების, გზების, მიწიქვეშა ქსელების, თაგისუფალი ტერიტორიების ათვისების სამუშაოების წარმართვა, ხდება ქალაქების გენერალური გეგმის მიხედვით.

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, თბილისისათვის, როგორც ჩვენთვის ცნობილია დამუშავებულია გენერალური გეგმა და ყველა მშენებლობა, რომელიც ხდება ჩვენ დედაქალაქში უნდა დაემორჩილოს მას. ამის შესრულებას კონტროლი უნდა გაუწიოს ქალაქის მერიის სამსახურებმა, სპეციალისტებმა და საზოგადოების წარმოამადგენლებმა იმ მიზნით, რომ შენარჩუნებული და გაუმჯობესებული იქნას ჯანმრთელი გარემო ქალაქმშენებლობაში მიმდინარე პროცესების მიუხედვად.

### 3. დასპეციალური გეგმის მიზანი

მზარდი ურბანიზაციის პირობებში უფრო ცხადად ვლინდება იმ ფაქტის ნიშნები, რომ დედამიწას არ გააჩნია უსაზღვრო შესაძლებლობები. არქიტექტურებს და მშენებლებს უკვე აღარ შეუძლიათ დააპროექტონ ცალკეული კომპლექსები, თუ არ გაითვალისწინებენ მათ გავლენას ქალაქზე. დამპროექტებლებს მუდმივად უნდა ახსოვდეთ დიდი და რთული დამკვეთი-საზოგადოება და დამკვეთი ორგანიზაცია. ამიტომ გარემოს დამპროექტებლებს ესაჭიროებათ მიიწვიონ სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები.

## მცირე მანქანა-მექანიზმების და მოწყობილობების გამოყენება მშენებლობაში

### 0. ქვარაია, ა. ფიროსმანიშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ.კოსტავას ქ.№77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია, ერთ-ერთ უკიდურესად შეზღუდულ პირობებში მშენებარებული მცირე მანქანა-მექანიზმების და მოწყობილობების გამოყენების შემთხვევა, რომელმაც ძალიან გააძარტივა სამუშაოების წარმოება. **საჭარბო ხიტყვები:** მშენებლობა, დაბეტონება, ბეტონი, ამწერა, დემონტაჟი, უქსავატორი, დამტკირთავი, ჭრა.

### 1. შესაბამისობის მიზანი

სამშენებლო პროცესების წარმოების დროს, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მანქანა-მექანიზმების ეფექტურად გამოყენებას. სამშენებლო პრაქტიკაში, სამწუხაოდ დღესაც აქვს ადგილი მარტივი სამუშაოების შესასრულებლად დიდი სიმძლავრის მანქანების და დანადგარების გამოყენებას, რაც ხშირად გაუმართლებელ შრომით და მატერიალურ დანახარჯებს იწვევს. ეს ძირითადად განპირობებულია სამუშაოების არასწორად დაგეგმვისა და მექანიზმების შერჩევის დროს დაშვებული შეცდომებით. ადრე, თუ ასეთი მდგომარეობის გასამართლებლად ძირითადად შესაბამისი მექანიზმების არ არსებობა ითვლებოდა, ამჟამად სამშენებლო ტექნიკის ბაზარზე ნებისმიერი სახის და სიმძლავრის მანქანა-მოწყობილობის მოძიებაა შესაძლებელი. ქ. თბილისი ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ობიექტის უკიდურესად შეზღუდულ პირობებში მშენებლობისას, სამშენებლო წარმოების ტექნოლოგიური პროექტის შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მანქანა-მექანიზმების შერჩევის საკითხს. რომელმაც საკმაოდ მნიშვნელოვანი კვლევების ჩატარება მოითხოვა. კვლევების შედეგების ანალიზის შედეგად დადგენილი იქნა მანქანა-დანადგარების ყველაზე ოპტიმალური ტიპები. მაგალითად: დიდგაბარიტიანი ამწერების გამოყენების ნაცვლად, ტკირთების მოსაწოდებლად და ბეტონის ჩასასხმელად მრავალსართულიანი შენობების სართულშეუკეთებების მინი დამტკირთველის („ბობ-კატი“) გამოყენებამ თითქმის 60% შეამცირა ამ მიზნით ხარჯთაღირცხვით გათვალისწინებული ხარჯები, ხოლო საქალაქო ქვის კიბეების რეკონსტრუქციის სამუშაოების შესრულებამ მინი ექსკავატორის საშუალებით კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გაზარდა ეფექტურობის პროცენტი.

### 2. ძირითადი ნაწილი

განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს მშენებლობებზე მინიმატკირთველი „ბობ-კატი“. ეს განპიროვნებულია მცირე გაბარიტული ზომის მქონე მანქანის უნივერსალური თვისებებით. მისი საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა სამშენებლო ტკირთების გადატანა და მიწოდება დასრულებული შენობების სართულებზე, სადაც შეუძლებელია ან დიდი დანახარჯებოთან არის დაკავშირებული სხვა ამწერების გამოყენება. ნახ.1-ზე მოყვანილია შენობის სახურავზე „ბობ-კატის“ მუშაობის ამსახველი ფოტო. მისი საშუალებით ხდება ასევე შენობის მიუღიობელი ტერიტორიების სამშენებლო ნაგვისაგან გაწმენდა და გამოტანა. იგი შეუცვლელია ასეთ ადგილებში ბეტონის მისაწოდებლად (ნახ.2). მისი გამოყენება

იმდენად ეფექტურია, რომ შენობებში შესაყვანად ხშირად სპეციალური ღიობები ეწყობა. ნახ.3-ზე ნაჩვენებია სარდაფუში სამუშაოების შესასრულებლად წინასწარ მომზადებულ ღიობებში “ბობ-კატის” ჩაშვება, სადაც მან რამდენიმე კვირის განმავლობაში ხელით შესასრულებელი სამუშაო სულ რამდენიმე საათში შეასრულა.



ნახ.1. “ბობ-კატის” გამოყენება ტვირთის მისაწოდებლად შენობის სახურავზე



ნახ.2. ბეტონის მიწოდება შენობის შიგნით



ნახ.3. “ბობ-კატის” ჩაშვება სარდაფუში სპეციალური ღიობიდან

სათანადო კვლევისა და საჭირო მანქანა-მექანიზმების გამოყენების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შედეგად ძალიან დიდი მოცულობის სამუშაოების შესრულება გახდა შესაძლებელი საქალაქო ქვის კიბის რეკონსტრუქციისას მცირე ექსკავატორით. კიბის დაშლა, რკინაბეტონის პანდუსის მოწყობა და შემდეგ ახალი საფეხურების დაწყობა შეზღუდულ პირობებში თითქმის შეუძლებელი იყო ჩვეულებრივი ამწით ან ექსკავატორით. მათი ხელით

შესრულება დიდი მატერიალური და შრომითი დანახარჯების გარდა დაკავშირებული იყო მშენებლობის გადების მნიშვნელოვან გაზრდასთან. მცირე მუხლებიანი ექსკავატორით მარტივად მიმდინარეობდა ასევე ზედაპირის მოსწორებისა და ქვების აწევის სამუშაოები (ნახ.4).

პრაქტიკაში მყარად დაიმკვიდრა ადგილი მრავალმა სხვა ტიპისა და დანიშნულების მქონე მცირე მანქანა-მექანიზმებმა და მოწყობილობებმა. ისინი ძალიან ამარტივებენ სამშენებლო პროცესების წარმოებას. აღნიშნულ ობიექტზე ყველაზე ხშირად იქნა გამოყენებული რკინაბეტონის საჭრელი, ალმასის პირიანი ხელსაწყო. მისი საშუალებით სუფთად და მარტივად მოხდა დიობების გაჭრა კედელებში და გადახურვის ფილებში, რაც წინათ სანგრევი ჩაქუჩით მათ ხანგრძლივ დამუშავებას. მოითხოვდა.



ნახ.4. საქალაქო ქვის კიბის რეკონსტრუქცია მცირე ექსკავატორით

### 3. დასკვნა

მცირე მანქანა-მექანიზმების და მოწყობილობების გამოყენება თანამედროვე მშენებლობის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობაა. მათი დაგეგმვა და განხორციელება შესაძლებელია ნებისმიერი მოცულობის სამუშაოს შესაბამისად, რასაც აუცილებლად უნდა უსწრებდეს წინ შესაბამისი კვლევა და მათი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ყოველმხრივი შედარება. განსაკუთრებით იზრდება მათი გამოყენების ეფექტურობა უკიდურესად შეზუდულ პირობებში მშენებლობის წარმოების დროს.

### ლიტერატურა

1. ი. ქვარაია. გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების წარმოება უკიდურესად შეზღუდულ პირობებში მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დროს. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი. 2016. 100 გვ;
2. ი.ქვარაია, ა.ფიროსმანიშვილი. მცირეგაბარიტიანი საბურდი დანადგარების გამოყენება ბურღენილი ხიმინჯების მოწყობის დროს სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“. №2(41), თბილისი 2016, გვ.60-62.

## ფოლადის წინასარღაპული ჩარჩოვანი პრესტრუქტი

ბ. სურგულაძე, ნ. სვიანაძე, ლ. ფირფულაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №68, 0175,  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** განხილულია ახლი ტიპის ფოლადის წინასწარდაბული ჩარჩოვანი კონსტრუქცია, რომლის კონსტრუქციული გადაწყვეტა ანალოგებისაგან განსხვავდება მაძლიერებელი ბერკეტების განლაგებით ხაკოჭის დასაძაბად და მისი დაძაბის ახლი-გაუმჯობესებული სქემით. აღწერილი ტექნიკური გადაწყვეტით მიიღწევა ჩარჩოვანი კონსტრუქციის ყველა ელემენტი და მათგანის მოხერხებული რეგულირება, მასალის ხარჯის შემცირება და ნაგებობის საექსპლუატაციო პირობების გაუმჯობესება საიმედოობის გაზრდით.

**საკვანძო სიტყვები:** წინასწარდაბული ჩარჩოვანი კონსტრუქცია, ფოლადი, ჩონჩხედი (კარკასი), ხიდები, სვეტები, მაძლიერებელი ორმხარა ბერკეტი, ხაკოჭი, ცილინდრული საგორავები, ფერდები, კილოები, ლილვი, დამჭერი კავები, დამჭიმავი მოწყობილობა, ძალვათა რეგულირება, ზიდვის უნარი, საიმედოობა, ძალი, საყრდენები, შრომატევადობა, ღირებულება.

### 1. შესავალი

განხილულია ახალი ტიპის ფოლადის წინასწარდაბული ჩარჩოვანი კონსტრუქცია, რომელიც განკუთვნილია მიწისზედა ნაგებობების მშენებლობისთვის, მისი გამოყენება შესაძლებელია სამრეწველო და სამოქალაქო დანიშნულების ნაგებობების ჩონჩხედის (კარკასის) ასაგებად და ხიდების მშენებლობაში. შემოთავაზებული ახალი ტიპის წინასწარდაბული ჩარჩოვანი კონსტრუქციის ამგებ ელემენტებში გამარტივებულია ძალვათა რეგულირება, შემცირებულია მასალის ხარჯი და საიმედოობის გაზრდით გაუმჯობესებულია საექსპლუატაციო პირობები.

### 2. პირითადი ნაწილი

წინასწარ დაძაბული ჩარჩოვანი კონსტრუქცია, რომელიც შეიცავს სვეტებს ან ბურჯებს, საყრდენი ნაწილებით დაყრდნობილ მალის ნაშენს, საკოჭს, რომელიც გადადებულია მალის ნაშენის შეს ნაწილში ქვედა მხარეს მოწყობილ პორიზონტალურდერმიან საგორავზე და ბოლოებით მიმაგრებულია მაძლიერებელი ორმხარა ბერკეტების თითო ბოლოსთან. მალის ნაშენსა და საკოჭს შორის მოთავსებულია დამჭიმი საშუალება, განსხვავდება იმით, რომ მალის ნაშენი და ვერტიკალური ელემენტები (სვეტები) შესრულებულია ორი შეწყვილებული ბრტყელი კონსტრუქციებისაგან, რომელთა შორის (დრეჩოებში) გატარებულია საკოჭები, ხოლო მაძლიერებელი ორმხარა ბერკეტები შესრულებულია სამკუთხედის ფორმის ღეროვანი ელემენტებისაგან, რომლის მართკუთხა ან ბლაგვკუთხა წვერო აღჭურვილია სამკუთხა ელემენტის სიბრტყის მართობულად განლაგებული წრიული განიკვეთის მქონე პორიზონტალურდერმიანი ღეროებით. ღეროების ბოლოები აღჭურვილია ცილინდრული საგორავებით, რომლებიც შეერთებულია ვერტიკალურ საყრდენი სვეტების მალის მხარეს განთავსებულ შტოებთან (ან ვერტიკალური ელემენტის განივი კვეთის მალის მხარეს განთავსებულ ნაპირებთან). სამკუთხედის ფორმის ელემენტების მახვილურიან წვეროებს გააჩნია ვერტიკალური კილოები, ნახვრეტები და მათში განთავსებული ლილვი, ხოლო ჩარჩოვანი კონსტრუქციის

პორიზონტალური და ვერტიკალური ელემენტების შეა ნაწილების შიდა მხარეები აღჭურვილია საკოჭის დამჭერი კავებით და დამჭიმავი მოწყობილობებით, რომლებზეც განთავსებულია პორიზონტალური და ვერტიკალური მიმართულების საკოჭები. პორიზონტალური მიმართულების საკოჭების ბოლოები სახსრულადაა მიმაგრებული ორმხარა ბერკეტების ნაშენის შიდა მხარეს განთავსებულ წვეროებზე, ხოლო ვერტიკალური მიმართულების საკოჭების ბოლოები სახსრულადაა მიმაგრებული ორმხარა ბერკეტების ნაშენის გარე მხარეს განთავსებულ წვეროებზე და ვერტიკალური ელემენტების ქვედა განაპირა საყრდენ კვანძებზე.

არსებული (ანალოგიური) წინასწარდაძაბული ჩარჩოვანი კონსტრუქციების (რომელებიც შედგენილია ერთმანეთთან შეერთებული სვეტებისა და ორი მთლიანგანივალებითიანი ფერდებისაგან ან გისოსოვანი ნახევარწამწებისაგან, ფერდების ან ნახევარწამწებს (წამწებს) შორის გარკვეულ სიმაღლეზე მოწყობილი საკოჭისაგან, საყრდენი კვანძებისაგან, საკოჭის ჩასამაგრებელ ელემენტებისაგან, სისტემის დამჭიმავ მოწყობილობასა და დამჭიმავი ძალის მზომ ხელსაწყოსაგან [4]) ტექნიკური გადაწყვეტის უარყოფით მხარეს წარმოადგენს ის, რომ სისტემის დაძაბვა ხორციელდება საყრდენებზე ან ძალის შუაში განლაგებული დამჭიმავი მოწყობილობების გამოყენებით, ასევე მნიშვნელოვნად დიდია წინასწარდაძაბვის ძალები და თვითდაძაბვის ძალის სიდიდე შედარებით მცირება წინასწარდაძაბვის საერთო ძალასთან შედარებით. დამჭიმავი მოწყობილობების, საყრდენი და საკოჭის ჩასამაგრებელი კვანძების გეომეტრიული ზომების გამო ხშირად შეუძლებელია მათი გამოყენება ჩარჩოების, კამარების და სხავადასხვა სახის კონსტრუქციების აგებისას. ვერტიკალური მზიდი ელემენტების (სვეტების, ბურჯების) განივალებული ასევე გართულებულია ძალვათა სასურველი გადანაწილების (რეგულირების) მიღწევა. არსებული ტექნიკური გადაწყვეტილებების უარყოფითი შედეგები იწვევს მასალის ხარჯის, შრომატევადობის, ზიდვის უნარის, საიმედოობის შემცირებასა და საერთო დირებულების გაზრდას.

ცნობილია აგრეთვე წინასწარდაძაბული ჩარჩოვანი კონსტრუქცია, რომელიც შეიცავს სვეტებს, ჩარჩოს ელემენტებს, წინასწარდაძაბულ კოჭებს საკოჭით, საკოჭის ჩასამაგრებელ ელემენტებს, ორმხრიან ბერკეტებს და სისტემის დამჭიმავ მოწყობილობას კონსტრუქციის (ჩარჩოვანი კონსტრუქციის, ორ საყრდენზე განთავსებულ წამწის ან კოჭის, კომბინირებული კიდული ხიდის და ა.შ) წინასწარდაძაბად [1,5].

აღნიშნული ტექნიკური გადაწყვეტის უარყოფითი მხარეა ის, რომ კონსტრუქციების (ასე მაგ. კოჭის ან წამწის) დასაძაბად ბერკეტები განთავსებულია ჩარჩოს რიგელის ზედა ნიშნულზე ან საყრდენზე, რაც ართულებს იატაკის ან ხიდის სავალი ნაწილის მოწყობას, ბერკეტის მუშაობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სპეციალური ხუფი, ასევე გართულებულია საკოჭში წინასწარი დაძაბვისათვის საჭირო ძალის სიდიდის მიღწევა და მისი რეგულირება.

განხილული ახალი ტიპის წინასწარდაძაბული ჩარჩოვანი კონსტრუქცია უზრუნველყოფს ზემოთ მოყვანილი ნაკლოვანებების აცილებას.


განხილული ახალი ტიპის წინასწარდაძაბული ჩარჩოვანი კონსტრუქციის აკრეფა წარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით: 1.ორი შეწყვილებული ბრტყელი კონსტრუქციისაგან, მათ შორის საკოჭის გასატარებლად საჭირო სათანადო დრენის გათვალისწინებით, აიკრიფება ჩარჩოს სვეტები (ან ბურჯები) და ჩარჩოს ნაშენის ძალის კონსტრუქცია (წამწე ან კოჭი); 2.მიღებული ელემენტები გაერთომთლიანდება და მასზე მოწყობა ორმხარა სამკუთხა ფორმის ბერკეტები (ბერკეტების დამზადება შესაძლებელია როგორც ერთიანი ტანის ასევე შესაძლებელია მისი ცალკეული ელემენტებისაგან დამზადება) და დამჭიმავი მოწყობილობებისათვის საჭირო საკანძო ელემენტები; 3.მაძლიურებელი სამკუთხა ფორმის ბერკეტებზე, ნაშენის ძალის კონსტრუქციისა და სვეტების შეა ნაწილში დამონტაჟებული დამჭიმავი

მოწყობილობებისათვის საჭირო საკვანძო ელემენტებზე გადატარდება საკოჭები; 4.გარიშებით საჭირო სიდიდით ჩატარდება აკრეფილი ჩარჩოვანი კონსტრუქციის ერთიანი დაძაბვა და მისი მონტაჟი ჩონჩხედის ასაგებად.

შემოთავაზებული ჩარჩოვანი კონსტრუქციის დაძაბვა ხორციელდება შემდეგნაირად: მალის ნაშენისა 1 და ვერტიკალური ელემენტების 2 (სვეტების ან ხიდის ბურჯების 1 შეერთების კვანძზე მოწყობილ სამკუთხა ფორმის ორმხარა ბერკეტების 4 მალის შიგა ბოლოების კილოებში 8, ნახვრეტებში 9 განთავსებულ წრიული განიკვეთის მქონე ლილვზე 10 და მალის ნაშენის 1 (კოჭი, წამწე), შუა ნაწილში განთავსებულ საკოჭის დამჭერ კავებზე 11 და დამჭიმავ მოწყობილობაზე 12 ჩამაგრებულია პორიზონტალური მიმართულების (წამწის) საკოჭები 3, ხოლო ორმხარა ბერკეტების გარე ბოლოების კილოებში 8, ნახვრეტებში 9 განთავსებული წრიული განიკვეთის მქონე ლილვზე 10 და ჩარჩოვანი კონსტრუქციის ვერტიკალური ელემენტების 2 (სვეტის ან ბურჯის) შუა ნაწილში განთავსებულ საკოჭის დამჭერ კაბზე 11 და დამჭიმავ მოწყობილობაზე 12 ჩამაგრებულია ვერტიკალური მიმართულების (სვეტების) საკოჭები 3. მალის ნაშენზე 2 (კოჭი, წამწე), ვერტიკალურად მოქმედი ძალების ზემოქმედებით მარცხენა და მარჯვენა ბერკეტების 4 შიგა ბოლოებზე აღიძვრება პორიზონტალური და ვერტიკალური მიმართულების ძალები, ხოლო გარე ბოლოებზე წარმოიქმნება მისი ტოლი სიდიდის ზემოთ მიმართული ვერტიკალური და პორიზონტალური ძალები, რომლებიც გამოიწვევს ვერტიკალური მიმართულების საკოჭის 3 თვითდაბაბვას, ასევე, ვერტიკალურ ელემენტებზე მოქმედი პორიზონტალური დატგირთვები გამოიწვევს ზემოთ აღწერილის საპირისპირო ზემოქმედებას, ანუ, დაიძაბება პორიზონტალური მიმართულების საკოჭები 3, ხოლო ჩარჩოვანი კონსტრუქციის ელემენტებში ძაბვათა რეგულირება შესაძლებელია მალის ნაშენისა და ვერტიკალურ ელემენტების შუაში განთავსებული დამჭიმავი მოწყობილობის 12 საშუალებით.






შემოთავაზებული წინასწარდაბაბული ჩარჩოვანი კონსტრუქციის ტექნიკური გადაწყვეტა უზრუნველყოფს შენობის ჩონჩხედის მზიდი ელემენტების ზიდვის უნარის ამაღლებას, ამგებ ელემენტებში ძალვათა რეგულირებას, მასალის ხარჯის შემცირებას და ნაგებობის ექსპლუატაციისას საიმედობის გაზრდას. ყოველივე გამოიწვევს მშენებლობის საერთო ღირებულების 15-20%-ით შემცირებას.

ნაშრომში განხილული ახალი ტიპის წინასწარდაბაბული ჩარჩოვანი კონსტრუქციის ტექნიკური გადაწყვეტილების გასაცნობად წარმოგიდგენილია გრფიკული მასალა ნახაზების სახით, ნახ.1,2,3,4,5,6,7,8.



ნახ.1. დეროვანი წინასწარდაბაბული  
ჩარჩოვანი კონსტრუქცია

ნახ.2. მთლიანგანიველთიანი  
წინასწარდაბაბული ჩარჩოვანი კონსტრუქცია



### 3. დასპანა

წარმოდგენილი ახალი ტიპის ჩარჩოვანი კონსტრუქციის ტექნიკური გადაწყვეტის უპირატესობა არსებულ ანალოგებთან განპიროვნებულია იმით, რომ შენობის ჩონჩხედის ჩარჩოვანი კონსტრუქციის მზიდი ელემენტების ზიდვის უნარის ამაღლება ხდება მაძლიერებელი ბერკეტებით საკოჭის დასაძაბავად ჩარჩოვანი კონსტრუქციის რიგელზე (მაღის ნაშენზე) და სვეტებზე (ვერტიკალურ ელემენტებზე) მოდებული დატვირთვების გამოყენებით, გამარტივებულია კონსტრუქციის ამგებ ელემენტებში ძალვათა რეგულირება, შემცირებულია მასალის ხარჯი და საიმედობის გაზრდით გაუმჯობესებულია საექსპლუატაციო პირობები.

### ლიტერატურა

1. საავტორო უფლება, SU 1451201 კლ. E01D11/00, 15.01.1989
2. . . . . « 1979 . . 81, . 4.14. . 205, . 8.1 da 8.2. ». .
3. . . . . « 1963 . 229-268, . 8.6. . VI.1, VI.9. ». .
4. პატენტი № p1656, კლ. E04C3/10 1997, ბიულეტენი №4.
5. საავტორო უფლება, 700614 კლ. E04C3/00, 30.11.1979.
6. პატენტი GE P 2010 5096 B, კლ. E04C3/10, 2010, ბიულეტენი №9.

## საპუთარი რხევის სისტემის განსაზღვრა მიმდევრობითი მიახლოების მეთოდით, მატრიცული ფორმით

დ. ჯანყარაშვილი, გ. დანელია, დ. ტაბატაძე, ლ. ყორდანაშვილი  
 (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175,  
 თბილისი, მ. კოსტავას 77)

**რეზიუმე:** ნაშრომში მოყვანილია საექიურო სისტემის განსაზღვრა მიახლოებითი მიმდევრობის მეთოდით. ფორმულები წარმოდგენილია მატრიცული ფორმით. მიღებულია მარტივი და კომპაქტური ფორმულები, რომელთა საშუალებითაც ერთნაირი მატრიცების გადამრავლების გზით მარტივად განიხილავთ რხევის პირველი ფორმის სისტემა. ეს ფორმულები ადვილად პროგრამირდება კომპიუტერზე.

**საკვანძო სიტყვები:** სისტემა, მატრიცა, ჩაღუნვა, ინერციას ძალა.

### 1. შესაბამის

დინამიკური ამოცანების ამოხსნისათვის საჭიროა ნაგებობის ან შენობის საკუთარი სისტემების გამოყენება. ნაშრომში განხილულია მიმდევრობითი მიახლოების მეთოდით საკუთარი სიშირის განსაზღვრა მატრიცული ფორმით. ასეთი ფორმით გაანგარიშება მნიშვნელოვნად ააღვილებს ამოცანის ამოხსნას.

მიმდევრობითი მიახლოების მეთოდი ძირითადად გამოიყენება რხევის პირველი ფორმის სიშირის გამოხსათვლელად. თუ სისტემა შედგება რამოდენიმე შეფერსული მასისგან და ასრულებს თავისუფალ რხევით მოძრაობას, წინასწორობის მდგომარეობიდან უკიდურესი გადახრისას მასზე მოქმედებს ინერციული ძალები  $L_i=m_i\varphi^2$ , რომლებიც განსაზღვრავენ სისტემის რევის ფორმას. სადაც  $y_i$  - მაქსიმალური გადახრა  $i$ -ური მასის მოდების წერტილის. მივიღოთ ინერციული ძალები გარე დატვირთვად, გადახრები  $y_i$  შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ჩაღუნვები სტატიკური  $P_i=m_i\varphi^2$  ძალებისგან. ამასთან პარალელურად განვიხილოთ დრეკადი (ფიქტიური) მდგომარეობა, სადაც იგივე სისტემაში, იგივე შეფერსული მასების წერტილებში მოქმედებს  $\varphi^2$ -ჯერ შემცირებული ძალები  $m_i$ . რადგან პირველ შემთხვევაში ძალები  $\varphi^2$ -ჯერ მეტია, ვიდრე მეორე შემთხვევაში ამიტომ გადაადგილებები და შინაგანი ძალვებიც პირველ შემთხვევაში  $\varphi^2$  ჯერ მეტი იქნება ვიდრე მეორე შემთხვევაში. ამრიგად ჩვენ შეგვიძლია დაგწეროთ:

$$\varphi_i^2 = \frac{y_i}{y_i''}, \quad (1)$$

(1) ფორმულით  $\varphi_i^2$  სიდიდე განიხილავთ შეფერსული მასების წერტილისთვის და თუ შედეგები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაშინ განიხილავთ გარე დატვირთვად, მესამე და ა.შ. გამოთვლებით  $\varphi_i^2$  სიდიდე. მაქსიმალური გადახრის სიდიდე უცნობია და იქცვიან შემდეგნაირად: წინასწარ საზღვრავენ მიახლოებით გადუნდი დერძის განტოლებას, შემდგომ მიახლოების მეთოდით საზღვრავენ სისტემებს, რომლებიც უველავე ახლოს იქნებიან ჭეშმარიტ სისტემებთან.

### 2. მირითადი ნაშირი

განვიხილოთ ამოცანა ზოგადად. კონკრეტულად სისტემაზე მოქმედებს შეფერსული ძალები:  $P_1=m_1g$ ,  $P_2=m_2g$ , ...,  $P_n=m_ng$  და დერძის ჩაღუნვების განტოლებას პირველი მიახლოებისთვის მივიღოთ (ნახ.1) სახით. ჩაღუნვები მატრიცული სახით განიხილავთ:

$$Y_i^T = AP, \quad (2)$$

სადაც  $A$  - კვადრატული მატრიცაა ერთულოვანი გადაადგილებებისგან

$$A = \begin{bmatrix} \delta_{11} & \delta_{12} & \dots & \delta_{1n} \\ \delta_{21} & \delta_{22} & \dots & \delta_{2n} \\ \vdots & \vdots & \ddots & \vdots \\ \delta_{n1} & \delta_{n2} & \dots & \delta_{nn} \end{bmatrix},$$

ხოლო  $Y_i^I$  და  $P$  არის ჩაღუნვების და ძალების სიდიდეები.

მეორე მიახლოების მისაღებად დრეკად სისტემას მოვდოთ ახალი ძალები:

$P_1=m_1y_1^I$ ,  $P_2=m_2y_2^I$ , ...,  $P_n=m_ny_n^I$ , რომლებიც  $\varphi^2$  - ჯერ მცირეა ვიდრე პირველი ძალები. ამ დატვირთვებისგან ჩაღუნვების ორდინატები მიიღება მეორე მიახლოებისგან (2) ფორმულით:  $Y_i^{II}=AMAP=A_1P$  (3)

სადაც  $M=\begin{bmatrix} m_1 & 0 & \dots & 0 \\ 0 & m_2 & \dots & 0 \\ \vdots & \vdots & \ddots & \vdots \\ 0 & 0 & \dots & m_n \end{bmatrix}$  მასების დიაგონალური მატრიცაა  $A_i=AMA$  (2) განტოლების

თანახმად მივიღებთ

$$\varphi_I^Z A_1 P = AP \quad (4)$$

მესამე მიახლოების მისაღებად სისტემას მოვდოთ ახალი დატვირთვები  $P_i=m_iy_i^{II}$ , რომლებიც  $\varphi^2$  ჯერ მცირეა ვიდრე წინამორბედი. გადაადგილება ამ ძალებისგან მიიღება მესამე მიახლოებად და მატრიცული მეთოდით ჩაიწერება სადაც  $A_2=A_1MA$


$$Y_i^{III}=A_i M A M A P = A_2 P, \quad (5)$$

(3) და (5) ფორმლების თანამად სიშირეების მეორე მიაღლება განისაზღვრება განტოლებიდან

$$\varphi_{II}^Z A_2 P = A_1 P \quad (4I)$$

სისტირეს მესამე მიაღლებისთვის მივიღებთ:

$$\varphi_{III}^Z A_3 P = A_2 P, \quad A_3 = A_2 MA \quad (4II)$$



ნახ.1

ტოლი მასების შემთვევაში  $m_1=m_2=m_3=M$ , გვექნება:

პირველი მიაღლებისთვის -  $\varphi_I^Z m A^2 P = AP$ ,

მეორე მიაღლებისთვის -  $\varphi_{II}^Z m A^3 P = A^2 P$ ,


(4a)

მესამე მიაღლებისთვის -  $\varphi_{III}^Z m A^4 P = A^3 P$ ,

უნდა აღინიშნოს, მიღებულ განტოლებებში ვექტორების ტოლობა არ სრულდება და ამ მიზეზის გამო ტოლობების (4) და (4a) გადამრავლება  $A$  შებრუნებულზე  $-A^{-1}$  მატრიცაზე არ შეიძლება. მოყვანილი ფორმულები მოყვანილია მატრიცული სახით და გვაძლევს საკუთარი რევენების სისტირეების განვსაზღვრას მეორე და შემდგომი მიახლოვებით. ანგარიშისათვის საჭიროა შევადგინოთ მატრიცა ერთეულოვანი გადაადგილებებისგან და დიაგონალური მატრიცა მასებისგან. მიღებული ფორმულები ადვილად პროგრამირდება კომპიუტერზე.

მაგალითი: განვიხილოთ კოჭი ხუთი მასით (ნახ.2).

$$\begin{aligned} \text{გადაადგილები: } \delta_{11} &= \frac{810l^3}{3 \cdot 10^5 EI}, & \delta_{12} &= \delta_{21} \frac{2758l^3}{3 \cdot 10^5 EI}, & \delta_{13} &= \delta_{31} \frac{2600l^3}{3 \cdot 10^5 EI}, & \delta_{14} &= \delta_{41} \frac{2106l^3}{3 \cdot 10^5 EI}, & \delta_{15} &= \delta_{51} \frac{490l^3}{3 \cdot 10^5 EI}, \\ \delta_{22} &= \frac{12250l^3}{3 \cdot 10^5 EI}, & \delta_{23} &= \delta_{32} \frac{635l^3}{3 \cdot 10^5 EI}, & \delta_{24} &= \delta_{42} \frac{7022l^3}{3 \cdot 10^5 EI}, & \delta_{25} &= \delta_{52} \frac{2106l^3}{3 \cdot 10^5 EI}, & \delta_{33} &= \frac{6250l^3}{3 \cdot 10^5 EI}, & \delta_{34} &= \delta_{43} \frac{6350l^3}{3 \cdot 10^5 EI}, \\ \delta_{35} &= \delta_{53} \frac{2600l^3}{3 \cdot 10^5 EI}, & \delta_{44} &= \frac{12250l^3}{3 \cdot 10^5 EI}, & \delta_{45} &= \delta_{54} \frac{2758l^3}{3 \cdot 10^5 EI}, & \delta_{55} &= \frac{810l^3}{3 \cdot 10^5 EI}. \end{aligned}$$



6.3b.2

$$\text{მატრიცები: } A = \frac{ml^3}{1.5 \cdot 10^5 EI} \begin{bmatrix} 810 & 2758 & 2600 & 2106 & 490 \\ 2758 & 12250 & 6350 & 7022 & 2106 \\ 2600 & 6350 & 6250 & 6350 & 2600 \\ 2106 & 7022 & 6350 & 12250 & 2758 \\ 490 & 2106 & 2600 & 2758 & 810 \end{bmatrix}, \quad M = \begin{bmatrix} 1 & 0 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 2 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 2 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 2 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 0 & 1 \end{bmatrix}$$

$$P = mg \begin{bmatrix} 1 \\ 2 \\ 2 \\ 2 \\ 1 \end{bmatrix}$$

მივიღებთ:  $\varphi^2 A M A P = A P$ ,

$$\varphi^2 \frac{ml^2}{1.5 \cdot 10^5 EI} \begin{bmatrix} 315615193 \\ 1143827331 \\ 793341640 \\ 1036941838 \\ 301186697 \end{bmatrix} = \begin{bmatrix} 12820 \\ 53876 \\ 34150 \\ 34504 \\ 15578 \end{bmatrix};$$

აქედან

$$\begin{aligned} \varphi_1^2 &= 6.092 \frac{EI}{ml^2}, & \varphi_1 &= 2.468 \sqrt{\frac{EI}{ml^2}}; \quad \varphi_2^2 = 6.2 \frac{EI}{ml^2}, & \varphi_2 &= 2.49 \sqrt{\frac{EI}{ml^2}}; \\ \varphi_3^2 &= 6.1 \frac{EI}{ml^2}, & \varphi_3 &= 2.47 \sqrt{\frac{EI}{ml^2}}; \quad \varphi_4^2 = 6.45 \frac{EI}{ml^2}, & \varphi_4 &= 2.466 \sqrt{\frac{EI}{ml^2}}; \\ \varphi_5^2 &= 6.05 \frac{EI}{ml^2}, & \varphi_5 &= 2.46 \sqrt{\frac{EI}{ml^2}}; & \varphi_{\omega\delta}^2 &= 2.47 \sqrt{\frac{EI}{ml^2}}. \end{aligned}$$

ერთნაირი მასების შემთხვევაში მივიღებთ:

$$\varphi^2 \frac{ml^3}{1.5 \cdot 10^5 EI} \begin{bmatrix} 54359376 \\ 175655147 \\ 143063125 \\ 193612147 \\ 54685376 \end{bmatrix} = \begin{bmatrix} 4382 \\ 14293 \\ 12075 \\ 15293 \\ 4382 \end{bmatrix};$$

აქედან

$$\begin{aligned} \varphi_1^2 &= 12.09 \frac{EI}{ml^2}, & \varphi_1 &= 3.47 \sqrt{\frac{EI}{ml^2}}; \quad \varphi_2^2 = 12.205 \frac{EI}{ml^2}, & \varphi_2 &= 3.49 \sqrt{\frac{EI}{ml^2}}; \\ \varphi_3^2 &= 12.66 \frac{EI}{ml^2}, & \varphi_3 &= 3.44 \sqrt{\frac{EI}{ml^2}}; \quad \varphi_4^2 = 11.83 \frac{EI}{ml^2}, & \varphi_4 &= 3.44 \sqrt{\frac{EI}{ml^2}}; \\ \varphi_5^2 &= 12.01 \frac{EI}{ml^2}, & \varphi_5 &= 3.46 \sqrt{\frac{EI}{ml^2}}; & \varphi_{\omega\delta}^2 &= 3.466. \end{aligned}$$

საშუალო სიდიდე პირველი სიხშირის  $\varphi_{\omega\delta} = 3.466 \sqrt{\frac{EI}{ml^2}}$ .

### 3. დასკვნა

რიცხვითი რეალიზაციის მიზნით განხილულია ხუთმასიანი ორ საყრდენზე მდებარე კოჭის მაგალითი. გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ პირველი მიახლოება გვაძლევს პრაქტიკისთვის საკმარის სიზუსტეს დატერატურა

1. ა. ასტვაცასატუროვი. სამშენებლო მექანიკა II ნაწ. 1979 წ.

2. . . . . 2004 .

## ცილინდრული გარსების მდგრადობის საკითხებისათვის

თ. ბაციკაძე, ნ. მურდულია, ჯ. ნიუარაძე  
 (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77,  
 0175, თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** ნაშრომში განხილულია ცილინდრული გარსის მდგრადობის დერძსიმუტრიული ამოცანა. შერჩეულია იზოტროპული სხეულის კერძოწარმოებულიანი განტოლებათა სისტემა გადაადგილებებში. პენერაციული ინტერაციული გარდაქმნით ამოცანა დაიყვანება მუდმივ კოეფიციენტიან ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებებათა სისტემის ამოხსნაზე.  
**საკვანძო სიტყვები:** ცილინდრი, დერძსიმუტრიული, ადიალური, გადაადგილება, ძაბვა, რეკურენტული, კვადრატული.

### 1. შესავალი

იზოტროპული ცილინდრული გარსის მდგრადობის შესასწავლად სხეულებისათვის გამოიყენება ცნობილი კერძო წარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებები, ჩაწერილი ცილინდრულ კოორდინატებში. ცილინდრის კიდეებზე მოქმედებს დერძსიმუტრიული, თანაბრად განაწილებული მკუმშავი დატვირთვა, ამ განტოლებების გარდაქმნაში ჩვეულებრივ არაერთგვაროვან დიფერენციალურ განტოლებებად.

### 2. პირითადი ნაწილი

იზოტროპული სხეულის მდგრადობის განტოლებებს ცილინდრულ კოორდინატებში, დერძსიმუტრიული დატვირთვის შემთხვევაში აქვთ შემდეგი სახე [3]

$$\begin{cases} \left[ (\lambda + 2G) \left( \frac{\partial^2}{\partial r^2} + \frac{1}{r} \cdot \frac{\partial}{\partial r} - \frac{1}{r^2} \right) + (G - q) \frac{\partial^2}{\partial x^2} \right] \cdot w + (\lambda + G) \frac{\partial^2 u}{\partial r \partial x} = 0; \\ \left[ (\lambda + G) \left( \frac{\partial}{\partial r} + \frac{1}{r} \right) \right] \cdot \frac{\partial w}{\partial x} + \left[ G \left( \frac{\partial^2}{\partial r^2} + \frac{1}{r} \cdot \frac{\partial}{\partial r} \right) + (\lambda + 2G) \frac{\partial^2}{\partial x^2} \right] \cdot u = 0. \end{cases} \quad (1)$$

ამ განტოლებებში  $r = \frac{R}{b}$ ;  $x = \frac{X}{b}$  – უგანზომილებო რადიალური და დერძული კოორდინატებია;  $r_0 = \frac{a}{b}$ ;  $a, b$  – ღრუ ცილინდრის შიგა და გარე რადიუსებია.  $L$  – ცილინდრის სიგრძე.  $u, v$  – გადაადგილების ვექტორის კომპონენტებია, შესაბამისად  $r$  და  $x$  საკოორდინატო დერძების მიმართულებით;  $\lambda$  – ლამეს კოეფიციენტია,  $G$  – ძვრის მოდული.  $q$  – ცილინდრის კიდეებზე მოდებული თანაბრად განაწილებული მკუმშავი დატვირთვის ინტესივობაა.

ძაბვათა კომპონენტები ჩავწეროთ შემდეგი ფორმით

$$\begin{cases} \sigma_{rr} = (\lambda + 2G) \frac{\partial w}{\partial r} + \lambda \left( \frac{1}{r} w + \frac{\partial u}{\partial x} \right); \\ \sigma_{rx} = \left( \frac{\partial u}{\partial r} \mid \frac{\partial w}{\partial x} \right); \\ \sigma_{xx} = \lambda \left( \frac{\partial w}{\partial r} + \frac{w}{r} \right) + (\lambda + 2G) \frac{\partial u}{\partial x}; \end{cases} \quad (2)$$

განვიხილოთ სასაზღვრო პირობების ორი ვარიანტი:

1. ცილინდრული გარსის თავისუფალი კიდეებით

$$\sigma_{xx}|_{x=0,l} = \sigma_{rx} - \mu q \frac{\partial w}{\partial x}|_{x=0,l} = 0; \quad l = \frac{L}{b} \quad (3)$$

2. ცილინდრული გარსის ჩამაგრებული კიდეებისთვის გვექნება

$$w|_{x=0,l} = 0; \quad u|_{x=0,l} = 0. \quad (4)$$

როდესაც ცილინდრის გვერდით ზედაპირები დაუტვირთავია, სასაზღვრო პირობები ჩაიწერება შემდეგი სახით

$$\sigma_{rr}|_{r=r_0,l} = 0; \sigma_{xx}|_{r=r_0,l} = 0 \quad (5)$$

გამოვიყენოთ პერიოდის ინტეგრალური გარდაქმნები (1) სისტემისათვის

$$\bar{f}(p) = \int_{r_0}^1 r B_n(p \cdot r) f(r) dr \quad (6)$$

სადაც  $B_n(pr) = I_n(p \cdot r) Y_1(p \cdot r) - Y_n(p \cdot r) I_1(p \cdot r)$ ;

აქ  $I_n(pr)$  და  $Y_n(pr)$  ბესელის ფუნქციებია 1 და 2 რიგის ნამდვილი არგუმენტებისათვის.

$p \rightarrow B_1(pr) = 0$  განტოლების დადებითი ფესვია;  $n$  – ინდექსი დებულობს 1 და 0 მნიშვნელობებს (1) განტოლებათა სისტემის პირველი და მეორე განტოლებების შესაბამისად.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ვღებულობთ

$$\left. \begin{aligned} a_1 \frac{d^2 \bar{w}}{dx^2} + a_2 \cdot \bar{w} + a_3 \cdot \frac{d \bar{u}}{dx} &= w_0 p r_0 B_0(p \cdot r_0) - w_b \cdot p \cdot B_0(p); \\ \frac{d^2 \bar{u}}{dx^2} - a_4 \cdot \bar{u} + a_3 \cdot \frac{d w}{dx} &= \chi \left[ \frac{dw_a}{dx} + r_0 \cdot B(p \cdot r_0) - \frac{dw_b}{dx} \cdot B_0(p) \right]. \end{aligned} \right\} \quad (7)$$

$w_a$  და  $w_b$  – რადიალური გადაადგილებებია საზღვრებზე  $r = r_0$  და  $r = 1$

$$\chi = \frac{\lambda}{\lambda+2G}; \quad a_1 = \frac{G-q}{\lambda+2G}; \quad a_2 = p^2; \quad a_3 = \frac{p(\lambda+G)}{\lambda+2G}; \quad a_4 = \frac{p^2 G}{\lambda+2G}.$$

მე-7) განტოლებათა შედგენის პროცესში ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა  $z_n(z)$  ცილინდრული ფუნქციის რეგურენტული თანაფარდობანი და სასაზღვრო პირობების მეორე ჯგუფი

$$z_{n+1}(z) = \frac{2n}{z} z_n(z) - z_{n-1}(z) = \frac{n}{z} z_n(z) - \frac{d}{dz} z_n(z)$$

ამგვარად კერძო წარმოებულებიანი ერთგვაროვანი ცვლად კოეფიციენტებიან დიფერენციალურ განტოლებათა ნაცვლად მივიღეთ არაერთგვაროვანი ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა მუდმივი კოეფიციენტებით საძიებელი  $\bar{w}$  და  $\bar{u}$  ფუნქციების მიმართ.

ბუბნოვ-გალიორკინის მეთოდის გამოყენებით მივიღებთ (7) სისტემის ზოგად ამონასს სიმეტრიული შემთხვევისათვის ( $X=L/-\text{ნორმალია}$  სიმეტრიის სიბრტყისადმი)

$$\left. \begin{aligned} \bar{w}^0 &= C_1 c h \eta_1 \left( x - \frac{l}{2} \right) + C_2 s h \eta_2 \left( x - \frac{l}{2} \right); \\ \bar{u}^0 &= \alpha_1 C_1 s h \eta_1 \left( x - \frac{l}{2} \right) + \alpha_2 C_2 s h \eta_2 \left( x - \frac{l}{2} \right). \end{aligned} \right\} \quad (8)$$

სადაც  $\eta_1$  და  $\eta_2$ -მე-7) სისტემიდან მიღებული მახასიათებელი განტოლების ფესვებია

$$\left| \frac{a_1 \eta^2 a_3 \eta}{a_3 \eta - \eta^2 - a_4} \right| = 0 \quad \eta_1 = \frac{\sqrt{b_1 + (b_1^2 + 4a_1 b_2)}}{2a_1}; \quad \eta_2 = \frac{\sqrt{b_1 - (b_1^2 + 4a_1 b_2)}}{2a_1}. \\ b_1 = a_1 a_4 + a_3^2 - a_2, \quad b_2 = a_2 a_4.$$

$C_1$  და  $C_2$  ნებისმიერი მუდმივებია, რომლებიც სასაზღვრო პირობებიდან უნდა განისაზღვროს.

$\bar{w}^0$  და  $\bar{u}^0$  გამოსახულებების ჩასმით ერთგვაროვან განტოლებაში, რომელიც (7)-ის პირველ განტოლებას შეესაბამება და ამავე დროს მამრავლების დაჯგუფებით  $C_1$  და  $C_2$  -ის გათვალისწინებით მივიღებთ განტოლებებს, რომელთა ამონასნები იქნება.

$$a_1 = -\frac{a_1 \eta_1^2 + a_2}{a_3 \eta_1}; \quad a_2 = -\frac{a_1 \eta_2^2 + a_2}{a_3 \eta_2};$$

მე-7) სისტემის კერძო ამონასნები უნდა მოიძებნოს შემდეგი ფორმით:

$$\bar{w}^* = \sum_{m=1}^{\infty} A_m \cdot \sin Y_m \cdot X; \quad \bar{u}^* = \sum_{m=1}^{\infty} B_m \cdot \cos Y_m \cdot X; \quad (9)$$

ხოლო გადაადგილებები საზღვრებზე  $r = r_0$ ,  $r = 1$  წარმოვადგინოთ შემდეგი სახით  
 $w_a = \sum_{m=1}^{\infty} C_m \cdot \sin Y_m \cdot X; w_b = \sum_{m=1}^{\infty} d_m \cdot \sin Y_m \cdot X; Y_m = m \frac{\pi}{l}$ . (10)

$A_m$  და  $B_m$  კოეფიციენტები განისაზღვრებიან (7)-დან მასში (9) -ს ჩასმით.  $C_1$  და  $C_2$  ინტეგრების მუდმივების გამოსათვალელად გამოვიყენოთ (8), მე-3) სასაზღვრო პირობების გათვალისწინებით, რომლებიც თავის მხრივ (2)-ის გამოყენებით ჩავწეროთ გადაადგილებებში. პირველ სასაზღვრო პირობას მივუყენოთ (6)-ით გათვალისწინებული გადაქმნები როცა  $n = 0$ , ხოლო მეორე პირობას - როცა  $n = 1$ . მივიღებთ განტოლებათა შემდეგ სისტემას

$$\left. \begin{aligned} p\bar{w} + \frac{1}{\eta} \cdot \frac{du}{dx} &= w_0 \cdot r_0 B_0(p \cdot r_0) - w_b \cdot B_0(p), \\ (1 - \mu q) \frac{aw}{dx} - p \cdot \bar{u} &= 0 \end{aligned} \right\} \quad (11)$$

ამ სისტემის ამოხსნა 8, 9 და 10-ის გათვალისწინებით მოგვცემს.

$$C_1 = \frac{(g_4 g_5 - g_2 g_6)}{(g_1 g_4 - g_2 g_3)}, \quad C_2 = \frac{(g_1 g_6 - g_3 g_5)}{(g_1 g_4 - g_2 g_3)} \quad (12)$$

სადაც

$$\begin{aligned} y_1 &= (p + u_1 \cdot \eta_1 \cdot \beta^{-1}) ch \eta_1 \frac{l}{2}; y_2 = (p + u_2 \cdot \eta_2 \cdot \beta^{-1}) ch \eta_2 \frac{l}{2} \\ g_3 &= [p \cdot \alpha_1 - \eta_1 (1 - \mu q)] sh \eta_1 \cdot \frac{l}{2}; g_4 = [p \cdot \alpha_2 - \eta_2 (1 - \mu q)] sh \eta_2 \cdot \frac{l}{2}; \\ g_5 &= \sum_{m=1}^{\infty} [C_m \cdot r_0 \cdot B_0(p \cdot r_0) - d_m \cdot B_0(p)]; \\ g_6 &= \sum_{m=1}^{\infty} (B_m - A_m \cdot \gamma_m). \end{aligned}$$

იმ შემთხვევაში, როცა  $C_1$  და  $C_2$  განისაზღვრებიან მე-4) სასაზღვრო პირობები- დან, მაშინ ანალოგიური გზით მივიღებთ (12)-ს, რომელშიც

$$\begin{aligned} g_1 &= ch \eta_1 \frac{l}{2}; \quad g_2 = ch \eta_2 \frac{l}{2}; \quad g_3 = \alpha_1 sh \eta_1 \cdot \frac{l}{2}; \\ g_4 &= \alpha_2 sh \eta_2 \cdot \frac{l}{2}; \quad g_5 = 0; \quad g_6 = \sum_{m=1}^{\infty} B_m; \end{aligned}$$

მე-6) გარდაქმნების გამოყენებით განისაზღვრებიან საძებნი  $W$  და  $u$  ფუნქციები

$$w(r, x) = 2 \sum_p \frac{\bar{w}(p, x) B_1(p \cdot r)}{B_0^2(p) - r_0^2 \cdot B_0^2(p \cdot r_0)}; \quad (13)$$

$$u = (r_1 x) = 2 \left\{ \int_{r_0}^1 \frac{r u(r, x) dr}{1 - r_0^2} + \sum_p \bar{u}(p, x) \frac{B_0(p \cdot r)}{B_0^2(p) - r_0^2 \cdot B_0^2(p \cdot r_0)} \right\} \quad (14)$$

(14)-ში პირველი შესაქრების გამოსათვალელად 1 სისტემის მეორე განტოლება გავამრავლოთ  $r$ -ზე, შემდეგ გავაინტეგრალოთ საზღვრებში  $r_0$ -დან 1-მდე და (5) სასაზღვრო პირობების და (2)-ის გათვალისწინებით მივიღებთ შემდეგ განტოლებას

$$\eta \left( \frac{dw_b}{dx} - r_0 \frac{dw_a}{dx} \right) + \int_{r_0}^1 r \frac{d^2 u}{dx^2} \cdot dr = 0 \quad (15)$$

ჩაგსვათ (10) ფორმულები ამ განტოლებაში. ავიდოთ კვადრატურა  $x$  ცვლადის მიმართ და საბოლოოდ მივიღებთ

$$\int_{r_0}^1 r u(r, x) dr = \frac{\eta}{\pi} \sum_{m=1}^{\infty} \frac{c_m \gamma_m \cdot x}{n} (d_m - r_0 C_m) \quad (16)$$

განშლის კოეფიციენტები  $C_m$  და  $d_m$  განისაზღვრებიან 5-ის პირველი ჯგუფიდან.

### 3. დასპენა

მიღებულია არაერთგვაროვანი წვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა (7) სისტემა მუდმივი კოეფიციენტებით საძიებელი  $\bar{w}$  და  $\bar{u}$  ფუნქციების მიმართ.

მათი შედგენის პროცესში გამოყენებულია  $z_n(z)$  ცილინდრული ფუნქციის რეკურენტული თანაფარდობანი და სასაზღვრო პირობების მეორე ჯგუფი. სიმეტრიული

შემთხვევისათვის ბუბნოვ-გალიორკინის მეთოდის გამოყენებით მიღებულია (7) სისტემის ზოგადი ამონასსნი. კერძო ამონასსნები მოიძებნა ფურიეს მწკრივების მოშველიებით. განშლის კოეფიციენტები  $C_m$  და  $d_m$  განისაზღვრო სასაზღვრო პირობების პირველი ჯგუფიდან.

## ლიტერატურა

1. ამბარცუმიანი ს.ა. „გარსების თეორიის სპეციფიკური განსხვავებანი“. მექანიკა. 1968 წ. ტომი №21
- 2.ნოვოუილოვი ვ.ვ. „არაწრფივი დრეკადობის თეორიის საფუძვლები“. სახელმწიფო ამონა 1948 წ.
3. ო. ბაციკაძე, ნ. მურდულია, ჯ. ნიუარაძე. შედგენილი ცილინდრის პლასტიკური დეფორმაციები. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ №3(10). 2008 წ. თბილისი.
4. ო. ბაციკაძე, ნ. მურდულია, ჯ. ნიუარაძე. სქელკედლიანი, დრუტანიანი ცილინდრული გარსის მზიდუნარიანობა გარე და შიგა დაწნევის მოქმედებისას. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ №4(19). 2010 წ. თბილისი.
5. ო. ბაციკაძე, ნ. მურდულია, ჯ. ნიუარაძე. სქელკედლიანი ცილინდრული გარსების არადრეკადი დეფორმაციები მუდმივი ტემპერატურული გრადიენტის და წნევის პირობებში. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ №2(5). 2007 წ. თბილისი.

## სუსტ გრუნტებში ქვაბულის მოწყობა მეთოდით „პედელი გრუნტში“

შ. დოლიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** ხტატიაში განხილულია სუსტ გრუნტებზე ქვაბულების და ნაგებობების  
საფუძვლების მოსაწყობ სამუშაოთა წარმოების არსებული მეთოდები; სუსტ  
გრუნტებზე ქვაბულის მოწყობის ძირითადი ტექნოლოგიები; მეთოდის „პედელი  
გრუნტში“ მონალითური, ანაკრებ-მონალითური და ანაკრები ვარიანტები.  
განხილულია „პედელი გრუნტში“ მეთოდის გამოყენების არე და  
დასაბუთებულია მისი გამოყენების შეუძლებლობა ლამიან, მცურავ და  
წყალნაჯერ ქვიშოვან გრუნტებზე ქვაბულის მონალითური კედლების  
დაბეჭონებისას.

**საკვანძო სიტყვები:** „პედელი გრუნტში“, წყალგაჯერებული გრუნტები; გვერდითი  
დაწევება; ბურღვითსატექნიკური სიმინჯები; ჭავლური ცემენტაცია; ინვენტარული  
შემომზღვდავები; ანაკრებ-მონალითური კედლები; სამუშაოთა შრომატევადობა.

### 1. შესავალი

საქართველოს დიდ ქალაქებში, მათ შორის თბილისში, საჭიროა ძველი  
ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია და ახალი, თანამედროვე სამოქალაქო და  
სამშენებლო ობიექტების მშენებლობა, რომლებიც თავის მხრივ ახალ  
ინფრასტრუქტურას საჭიროებენ. ქალაქის მოსახლეობის დასახლების სიმჭიდროვე,  
ისტორიული ობიექტების არსებობა, ქალაქის მთიანი რელიეფი - ყოველივე ამას  
მივყავართ მშენებლობის პირობების გართულებასთან. აგრეთვე გარშემო მცხოვრები  
და მოძრავი მოსახლეობის შეწუხებასთან.

კიდევ ერთი პრობლემა - ქალაქში ადარ არის ახალი ობიექტების ასაშენებელი  
ადგილები და უფრო ინტენსიურად ხდება მიწისქვეშა სივრცის ათვისება. დროთა  
განმავლობაში მწვავედ დგება ავტომობილების პარკირების საკითხი,  
განსაკუთრებით ქალაქის ცენტრში.

### 2. პირითადი ნაწილი

მშენებლობის ასეთი პირობები საჭიროებს შენობის აგების ოპტიმალურ და  
მისაღებ ტექნოლოგიის არჩევას. აუცილებელია შესაბამისი გამოყენებისათვის  
შესაძლებელი ისეთი ტექნოლოგიების მოძიება, რომლებიც მიბმული იქნება  
სამშენებლო მოედანზე არსებულ გრუნტებზე ან აუცილებლობის შემთხვევაში  
არსებული ტექნოლოგიების კორექტირება, შევსება ახალი ოპერაციებით და  
ელემენტებით, რომლებიც სრულყოფენ მათ გამოყენებას კონკრეტულ პირობებში.

1. სუსტ გრუნტებზე ქვაბულების და ნაგებობების საფუძვლების მოსაწყობ  
სამუშაოთა წარმოების არსებული მეთოდები.

1.1 სუსტ გრუნტებზე ქვაბულის მოწყობის ძირითადი ტექნოლოგიები:

1.1.1. მეთოდი „პედელი გრუნტში“.

ქვაბულის შემომზღვდავი კონსტრუქციები ასრულებენ გრუნტის წყლებისაგან  
დაცვით ეკრანის ფუნქციას და აუცილებელია სამშენებლო სივრცის  
გაშრობისათვის.

ქვაბულებისათვის სიღრმით 5 მ და მეტი გამოიყენება შემდეგი ტექნოლოგიები:  
„პედელი გრუნტში“, „ბურღვითსატექნიკური სიმინჯები“, და „ჭავლური ცემენტაცია“. მათი  
მოწყობა ხდება ქვაბულის დამუშავებამდე. ბეტონის ეს კონსტრუქციები მუდმივია და  
ხშირად ითავსებენ საძირკვლის ან შენობის ელემენტების ფუნქციას.

„კედელი გრუნტში“ მეთოდის არსეს წარმოადგენს გრუნტში დარებისა და თხრილების ამოღება და მათში მიწისქვეშა მონოლითური ან ანაკრები რკინაბეტონისაგან დამზადებული შემომზღვდავი კონსტრუქციების მოწყობა. თხრილში გრუნტის დამუშავება ხორციელდება ბეტონიტური სუსპენზიის დაცვის ქვეშ, რაც არ აძლევს თხრილის კედლებს ჩამოქცევის საშუალებას. შემდეგ ხდება ლითონის კარკასის (მონოლითური ვარიანტი) ან ანაკრები რკინაბეტონის კონსტრუქციის მონტაჟი. მონოლითური დაბეტონება ხდება ვგ.მ. (ვერტიკალურად გადაადგილებული მილი) მეთოდით. ამ დროს ბეტონიტური შემავსებელი გამოიდევნება თხრილიდან დამაგროვებლებში.

არსებობს მოცემული მეთოდის რამდენიმე ნაირსახეობა:

- ხიმინჯების მეთოდი, რომელიც ხასიათდება ბურდვითსატენი ხიმინჯების უწყვეტი რიგით, რომელიც ქმნის შემომზღვდავ კონსტრუქციას.
- თხრილის მეთოდი, რომლის განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს ნებისმიერი კონფიგურაციის უწყვეტი კედლის ამოყვანა მონოლითური ან ანაკრები რკინაბეტონისაგან.

### 1.1.2. „კედელი გრუნტში“ მეთოდის ტექნოლოგიური პროცესი.

განსახილები მეთოდით მიწისქვეშა ნაგებობების მოსაწყობი ტექნოლოგიური პროცესი შედგება შემდეგი თანამიმდევრული ოპერაციებისგან.

-ტექნოლოგიური მოწყობილობის მონტაჟი. წინშახტის (მიმმართველი კედლის) და ტექნოლოგიური გზების მოწყობა.

-თხრილის დამუშავება ცალკეული ნაკვეთურებით.

-ნაკვეთურების არმირება და ბეტონის სამუშაოთა წარმოების დაწყებამდე ყველა საჭირო გაანგარიშების შესრულება, ტექნოლოგიური რეკის შედგენა.

-კონსტრუქციის უხილვათობა, საიმედობა და ხანმედეგობა დამოკიდებულია ყველა ოპერაციის ხარისხით შესრულებაზე და მათი თანმიმდევრობის მკაცრ დაცვაზე.

### 1.1.3. „კედელი გრუნტში“ მეთოდის გამოყენების არე.

მეთოდი „კედელი გრუნტში“ საშუალებას გვაძლევს ავაგოთ:

-საცხოვრებელი სახლების, სამრეწველო შენობების, ხიდების საძირკვლები.

-სხვადასხვა სითხეების შესანახი ნაგებობები.

-მიწისქვეშა ფარებები, სადგომები, გადასასვლელები, საავტომობილო გზების კვანძები.

-მცირე ჩაღრმავების გვირაბები (მეტრი).

-საფილტრაციო ფარდები.

-ჰიდროტექნიკური ობიექტები.

### 1.1.4. „კედელი გრუნტში“ ტექნოლოგიის უპირატესობები:

-ქვაბულის მოწყობის შესაძლებლობა ადგილებში, სადაც შეუძლებელია სხვა მეთოდების გამოყენება ან მათი გამოყენება ნაკლებად ეფექტურია.

-მაღალი წყალგაუმტარობა.

-რთულ გეოლოგიურ და კლიმატურ პირობებში სამუშაოთა წარმოების შესაძლებლობა.

-გრუნტის დინამიური რხევის დაბალი დონე.

### 1.1.5. „კედელი გრუნტში“ კლასიფიკაცია:

-დანიშნულების მიხედვით: მზიდი, შემომზღვდავი და ანტიფილტრაციული.


-მასალის მიხედვით: რკინაბეტონის, ბეტონის, გრუნტცემენტური, თიხოვანი, კომბინირებული.

-დამზადების მიხედვით: მონოლითური, ანაკრები, ანაკრებ-მონოლითური.

### 1.2. „კედელი გრუნტში“ მეთოდით აგებული საძირკვლები.


განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენენ „კედელი გრუნტში“ აგებული საძირკვლები, რომლებიც გამოიყენება სამრეწველო და სამოქალაქო ნაგებობების

მშენებლობისას. „კედელი გრუნტში“ შეიძლება გამოყენებულ იქნას მზიდი კონსტრუქციის სახით ან სარდაფის, მიწისქვეშა ავტოფარეხის შემომზღვდავი კედლის სახით შესაძლებელია მათი (სურათი 1 ა) გამოყენება ქვაბულის გამაგრებისთვის და შემდგომში საძირკვლის კონსტრუქციაში ჩართვა. (1 ბ) ხიდების მშენებლობაში „კედელი გრუნტში“ ამოყავთ ხიდის ბურჯების საძირკვლები (1 გ). ამ ტიპის საძირკველს გააჩნია რაციონალური ფორმა, რადგან განვითარებულია ძალვების მიმართულებით, რაც განაპირობებს საძირკვლის მასალის რაციონალურ დანახარჯს.



სურ. 1. „კედელი გრუნტში“ გამოყენების სქემები. ა)არსებულ შენობასთან აშენებული მიწისქვეშა ავტოფარეხი. ბ)ქაბულის შემომზღვდავი კედლი. გ)ხიდის ბურჯის საძირკველი. 1-შენობის საძირკველი; 2-„კედელი გრუნტში“; 3-გამბრჯენი; 4-გრუნტის წყალგაუმტარი ფენა; 5-ბურჯის ტანი.

„კედელი გრუნტში“ სისქე მერყეობს 0,4-1,0 მ ფარგლებში. მათი სიღრმე აღწევს 20 მ-ს და შესაძლოა მეტსაც. „კედელი გრუნტში“ ეწყობა სხვადასხვა მეთოდით. მეთოდის არჩევა ძირითადად დამოკიდებულია სამშენებლო მოედნის პიდროგეოლოგიური პირობებიდან.



სურ. 2. „კედელი გრუნტში“ მოწყობის სქემები: ა) გადამკვეთი ბურღვითი ხიმინჯები; ბ) ცალკეული სექციები, სადაც 1-4 არის სამუშაოთა მიმდევრობა;

არამდგრადი მცურავი გრუნტების შემთხვევაში გრძელი თხრილების დამუშავება სახიფათოა, რადგან მათი მოცურების საშიშროება არსებობს. ამ შემთხვევაში გადამკვეთი ხიმინჯების მოწყობა მიზანშეწონილია. მდგრად გრუნტებში შესაძლებელია სექციური ან უწყვეტი მეთოდით „კედელი გრუნტში“ ამოყვანა. ქალაქებში დიდი გაგრცელება პპოვა სექციურმა მეთოდმა.

მიზანშეწონილია „კედელი გრუნტში“ გამოყენება წყალგაჯერებულ გრუნტებში გრუნტის წყლების მაღალი დონის დროს კედლის ძირის წყალგაუმტარ ფენაში ჩაღრმავებით (სურ. 1). აგრეთვე მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობისას 6-10 მ-ზე მეტი სიღრმის დროს, როდესაც ქვაბულების მოწყობა წყალქცევით ძნელად შესასრულებელია ან ეკონომიურად გაუმართლებელი.

„კედელი გრუნტში“ მეთოდის დიდ ღირსებად მიიჩნევა მისი მოწყობის შესაძლებლობა არსებულ შენობა-ნაგებობების ახლოს, უკანასკნელთა დაზიანების გარეშე (სურ. 1ა).

1.3 „კედელი გრუნტში“ ამოყვანის ტექნოლოგია მონოლითური ბეტონისა ან რკინა-ბეტონისაგან თხრილის მეთოდით.

„კედელი გრუნტში“ მეთოდით სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგია გამოიყენება განვითარებულ ქვეყნებში და ძალიან გავრცელებულია დიდ ქალაქებში. ეს ტექნოლოგია მაქსიმალურად მოთხოვნადია ქალაქების ისტორიული ცენტრების რეკონსტრუქციის დროს, ქალაქის მჭიდრო განაშენიანების პირობებში, რადგანაც მისი მშენებლობისას არ გამოიყენება ლია ქვაბულები. ე.ი. მიიღება სამშენებლო მოედნის ეკონომია და ის უხილვათოა ახლომდებარე შენობა-ნაგებობებისათვის.

1.3.1. „კედელი გრუნტში“ მეთოდით მშენებლობისას წარმოებული მიწის სამუშაოები. თხრილების დამუშავებისას გამოიყენება თხრილსათხრელი მოწყობილობების შემდეგი სახეობები: დამუშავებული გრუნტის თხრილიდან ამოღების ხერხის მიხედვით მიწისმთხრელი მანქანები და მოწყობილობები იყოფა ორ ჯგუფად;

1.მანქანები და მოწყობილობები, რომელთა მიწისმთხრელ ინსტრუმენტს წარმოადგენს გრეიიფერი, რომელსაც ამოაქვს დამუშავებული გრუნტი ზედაპირზე და ათავსებს მას. სატრანსპორტო საშუალებაზე ან გროვაზე.

2.მანქანები და დანადგარები, რომლებიც ამუშავებენ გრუნტს სპეციალური საბურღი ელემენტით, ამ გრუნტის გადაყვანით მუშა თიხოვან ხსნარში და ერლიფტური დანადგარით ზედაპირზე ამოტანით.

პირველ შემთხვევაში დამუშავებული გრუნტი არ ერევა ბეტონიტურ ხსნარში, მაგრამ იზრდება ოპერაციების რიცხვი, რომლებიც დაკავშირებულია გრეიიფერის აწევა-დაწევასთან. მეორე შემთხვევაში საჭიროა ხსნარის უკუცირკულაცია და მისი გაწმენდა მინარევებისგან.

### 1.3.2. წინშახტის (მიმმართველი კედლის) მოწყობა.

კედლების დერძების გასწვრივ ხდება საწყისი თხრილის დამუშავება ბუნებრივად დახსრილი კედლებით 1,5 – 2,0 მ. დამუშავებულ თხრილში ეწყობა მონოლითური რკინაბეტონის მიმმართველი კედელი.

მიმმართველმა კედელმა უნდა უზრუნველყოს:

- ძირითადი თხრილის დამუშავების საპროექტო მიმართულება;
- გრუნტში გრეიიფერის აუცილებელი მდებარეობა;
- არმატურის კარკასების მასზე ჩამოკიდების შესაძლებლობა, თხრილის გავლის და ბეტონირებისათვის საჭირო მოწყობილობის მოწყობა;
- კიდეზე გადაქცეული თიხოვანი ხსნარის გადაყვანა;

### 1.3.3. ძირითადი ტექნოლოგიური ოპერაციები.

მიმმართველი კედლის მოწყობის შემდეგ, „კედელი გრუნტში“ მოწყობისათვის თანამიმდევრულად სრულდება შემდეგი ძირითადი ტექნოლოგიური ოპერაციები.

-თხრილის დამუშავება (მიმდინარეობს თიხოვანი ხსნარის დაცვის ქვეშ)

-ნაბეჭოურების შემომზღვდავების დაყენება და ამოღება;


-არმატურული კარკასების სექციების დაყენება;

-თხრილის დაბეტონება ვ.მ.გ. მეთოდით.

სამუშაოთა წარმოების პროცესში თიხის ხსნარის მოსამზადებლად, შესანახად, თხრილში მოსაწოდებლად, გრუნტისგან მის გასაწმენდად და მის ხელმეორედ გამოსაყენებლად სამშენებლო მოედანზე ეწყობა ცალკე თიხის მეურნეობა. თიხოვან ხსნარს ამზადებენ ბეტონიტური თიხებისგან ან ჩვეულებრივი თიხებისგან და ქარხანაში მათგან მიღებული თიხოვანი ფხვნილისაგან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თიხოვანი ხსნარის სიმჭიდროვეს, რომელიც უზრუნველყოფს თხრილის კედლის ნებისმიერ აღგილას გარშემო გრუნტის და გრუნტის წყლების დაწევაზე აღმატებულ პიდროსტატიკური დაწევას, რომელიც

უნდა აღემატებოდეს გარშემო მყოფი ნაგებობების დაწნევას. თხრილის მორიგი მონაკვეთის (ჩავლების) გავლის შემდეგ, მოწმდება კედლების ვერტიკალურობა და წარმოებს თხრილის მოზადება ბეტონის ნარევის ჩასაწყობად ვ.მ.გ. მეთოდით. ამისათვის ასუფთავებენ თხრილის ძირს და ცვლიან გაჭუჭყიანებულ თიხოვან ხსნარს ახალზე. ამის შემდეგ იწყებენ არმატურის კარკასების მონტაჟს, რომელთა ზომა შეესაბამება თხრილის მონაკვეთების ზომებს. კონკრეტული პირობების გათვალისწინებით ერთ ჩავლაზე მზადდება ერთი ან რამდენიმე არმატურული კარკასი. ჩაწყობის სიზუსტის და გაადვილების მიზნით არმოკარკასები მარაგდება გვერდებზე ლითონის ზოლებით, სისქით 30–50 მმ. მუშა არმატურის დეროებს შორის მანძილი ინიშნება 170-200 მმ, რაც უზრუნველყოფს ვ.მ.გ. მეთოდით ხარისხიან დაბეტონებას. კარკასებში გათვალისწინებულია მილების გასატარებელი ადგილები.

არმატურის კარკასის მონტაჟი ხდება 25–40 ტ ტვირთამწეობის მქონე ხიდურა ან ისრიანი ამწეთი.



სურ. 3. მონოლიტური კედლის მოწყობის პრინციპიალური ტექნოლოგიური სქემა: 1. მიმმართველი კედლის მოწყობა (თხრილის თავის გამაგრება); 2. თხრილის გათხრა ნაკვეთურის სიგრძეზე; 3. შემომზარგველების დაყენება (ნაკვეთურებს შორის ზღუდარები); 4. არმატურის კარკასების მონტაჟი; 5. ვერტიკალურად გადაადგილებადი მილის მეთოდით ნაკვეთურების დაბეტონება.

ცალკეული ნაკვეთურების შესაკავშირებლად მათ ბოლოებზე აწყობენ შემომზღუდავებს, რომელთა კონსტრუქცია დამოკიდებულია შეკავშირების სახეობაზე. არამუშა კავშირების შემთხვევაში (ნაკვეთურებში გამწელავი ძალვების არარსებობა) შემომზღუდავებს ასრულებენ დიაფრაგმიანი ფოლადის მილებისგან. ინვენტარულ შემომზღუდავებს დაბეტონების დამთავრების შემდეგ 3-5 სთ-ში იღებენ თხრილიდან და შემდეგ ამჟავებენ მომიჯნავე ნაკვეთურს.

სტაციონალურ შემომზღუდავებს აყენებენ ამწეს მეშვეობით ნაკვეთურის ბოლოში მთელ სიღრმეზე საკუთარი წონის მეშვეობით ასეთი შემომზღუდავები დრმავდებიან თხრილის ძირიდან 0,5-1,0 მ სიღრმეზე. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი ტვირთის დაწოლის გამოყენება. სტაციონარული შემომზღუდავები რჩებიან კედლებში და წარმოადგენენ მუდმივი კონსტრუქციის ნაწილს.


დაბეტონების დროს აუცილებელია მაღალპლასტიკური ბეტონის ნარევი (მარკით 200-300, შემავსებელი -50 მმ-მდე, კონუსის ჯდენა 16-20 სმ) მიეწოდოს უწყვეტად, ხოლო ვერტიკალური ბეტონჩამომსხმელი მილი დაბეტონების პროცესში იყოს ბეტონით გრუნტში.

დაბეტონების უწყვეტობა არის ვ.გ.მ. მეთოდის მთავარი პირობა, რომელიც მიიღწევა სამშენებლო მოედანზე ნაკვეთურისათვის საჭირო ბეტონის რაოდენობის მიწოდებით.

ბეტონი თიხოვან ხსნარზე უფრო მძიმეა, ავსებს ნაკვეთურს ქვევიდან ზევით და გამოდენის თიხოვან ხსნარს ზედაპირზე, სადაც ხსნარი თვითდინებით ჩადის დამუშავების სტადიაში მყოფ თხრილში, ან დგუშის მეშვეობით შემდგომი გამოყენებისათვის გროვდება თიხის შემკრებაში. ბეტონირება სრულდება როდესაც წინშახტის თავის დონეში გამოჩნდება ბეტონის ნარევი, ბეტონის ზედაპირული ფენა, რომელიც დაბინძურებულია თიხით, იხსნება.

#### 1.3.4. ანაკრებ-მონოლითური „კედელი გრუნტის“ კონსტრუქცია.

ანაკრებ-მონოლითური „კედელი გრუნტში“ კონსტრუქცია შედგება რკინაბეტონის საკედლებლო ბლოკებისგან, რომლებიც ეწყობა საწყის თხრილში გარკვეული ბიჯით და მათ შორის ბეტონის ან ქვიშა – ცემენტის დუღაბის შევსებით, აუცილებლად შემსუბუქებული კარგასით არმირებული.



სურ. 4. ანაკრებ-მონოლითური „კედელი გრუნტში“-ს ბლოკი

#### 1.4. „კედელი გრუნტში“ თხრილის მეთოდით ამოყვანის ტექნოლოგია ანაკრები ბეტონისაგან ან რკინაბეტონისაგან.

ანაკრები და ანაკრებ-მონოლითური „კედელი გრუნტში“ ეწყობა მთლიანი ბრტყელი პანელებისაგან, ღრუბანიანი პანელებისაგან და თხელ კედლიანი მოცულობითი ელემენტებისაგან. თხელკედლიან მოცულობით ელემენტებს აქვთ სხვადასხვა მოხაზულობა (კოლოფისებრი, ელიფსური, მრგვალი, ერთუჯრედოვანი, მრავალუჯრედოვანი და ა.შ.)

ელემენტებად დანაწევრება შეიძლება იყოს ვერტიკალური და პორიზონტალური. ნაკერების რიცხვის შემცირების მიზნით ანაკრებ ელემენტებს აპროექტებენ სიგანეზე მაქსიმალურად დიდ ზომებში. ელემენტის სიგრძეს იღებენ 150-500 სმ., სისქე 20-120 სმ. და მეტს. ელემენტის სისქე იღება თხრილი განზე 10 სმ-ით უფრო ვიწრო, მონტაჟის გამარტივების მიზნით. ანაკრები ელემენტების სიმაღლე არ აღემატება 15 მ-ს.


გამარტივების მიზნით. ანაკრები ელემენტების სიმაღლე არ აღემატება 15 მ-ს.

პირაპირების ფორმა უზრუნველყოფს ელემენტების მონტაჟის ჩატარებას შემოწმების გარეშე.

ანაკრები და მონოლითური ბეტონის შეფარდება შეიძლება იყოს განსხვავებული. ანაკრებ-მონოლითური კედლების მოწყობისას სტაციონალურ შემომზღუდებად იყენებენ ანაკრებ ელემენტებს. საძირკვლის დიდი ჩაღრმავების შემთხვევაში კედლის ზედა ნაწილი 6-12 მ-ის სიმაღლეზე სრულდება ანაკრები ელემენტებისაგან, რომლებიც ერთდროულად მიწისქვეშა ნაგებობის კედლებს წარმოადგენენ, ქვედა ნაწილი კი მონოლითური ბეტონისგან, თან ანაკრები ელემენტების ქვედა ნაწილი ღრმავდება მონოლითურ ბეტონში.

ანაკრები ელემენტების მონტაჟს იწყებენ 6-7 მ. სიგრძის გამზადებული თხრილის არსებობის პირობებში. მიწის მოხრელი მანქანის მუშა ორგანოსა და სამონტაჟო ელემენტს შორის მანძილი 2-3 მ-ზე არანაკლები უნდა იყოს.

„კედელი გრუნტში“ მეთოდით შესაძლებელია მიწისქვეშა სათავსოების მოწყობა არსებული შენობების შიგნით, მათი რეკონსტრუქციის დროს საძირკვლებთან უშუალო სიახლოვეს. ის საგრძნობლად შეამცირებს მიწის სამუშაოთა მოცულობას და ხერხით დამუშავებასთან შედარებით და ანთავისუფლებს წყლის დონის დაწევის აუცილებლობისაგან. ანაკრები რკინაბეტონის გამოყენება უზრუნველყობს მშენებლობის მაღალ ხარისხს, სხვადასხვა ფორმის კონსტრუქციების გამოყენების შესაძლებლობას (დრუგანიანი, კოჭები, ფილები და სხვ.)



სურ. 5 პანელების შეპირაპირების პროცესი 1.ანაკრები ელემენტები;  
2. წინშახტი; 3. სატამპონაჟო ხსნარი; 4. მოსახსნელი მიმმართველი ორტექსებრი;

5. ჩასატანებელი დეტალები.

აგრეთვე კედლის სისქის შემცირებას 0,25 მ-მდე. მაგრამ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ანაკრები კონსტრუქციები გამოირჩევიან მაღალი ლირებულებით და საჭიროებს დიდი ანაკრები ელემენტების ქარხნულ დამზადებას. გარდა ამისა, ანაკრები კონსტრუქციების გამოყენების არ შეზღუდულია, მირთადად თხრილის სიღრმით 20-25-მდე და მონტაჟის სირთულით.

### 3. დასტვა

ანაკრები ან ანაკრებ-მონოლიტური „კედელი გრუნტში“ კონსტრუქციის აგების სიჩქარის გაზრდის, შრომატევადობის შემცირებისა და ბეტონის ხარჯის შემცირების საშუალებას იძლევა.

ქვაბულების შემომზღვდავ კონსტრუქციებად „კედელი გრუნტში“ ტექნოლოგიის ანაკრები ან ანაკრებ-მონოლიტური გარიანტის გამოყენება საშუალებას იძლევა:

-მივიღოთ სიმტკიცეზე და წყალგაუმტარობაზე ბეტონის გარანტირებული მარკა.

-კედლების სუფთა ზედაპირი და გარანტირებული გეომეტრიული ფორმები და ზომები.

-ქარხნულ პირობებში ჩასატანებელი დეტალების დაყენება.

-კონსტრუქციის ამოყვანის სიჩქარის გაზრდა 15-20 %-ით.

-სამუშაოთა შრომატევადობის შემცირება.

### ლიტერატურა

1. Smorodinov M.I. Piodorovi B.C "Arrangement of structures and foundations using the "wall in the ground" method", Moscow. 1986. (In Russian).
2. Katzenbach R., Dunaevsky R. A, Franivsky A.A. "The method of construction from top to bottom", Technical University, (In Russian).
3. Loladze G.V, Loladze V.V. "Mold for concrete", Official Bulletin of Industrial Property #23(267) 2008. (In Georgian).
4. Dranovsky A.N. Fadeev A.B. "Underground structures in industrial and civil construction", Publishing house of Kazan University, 1993. (In Georgian).
5. Konyukhov D.S. "Construction of urban underground structures shallow", Moscow, Architecture, 2005. (In Russian).
6. Snarsky V.I. Aigumov M.M. Snarsky S.V. "Technology of erection of underground structures", Saratov State Technical University, Saratov, 2009. (In Russian).
7. Loladze V.V. Loladze G.V, Loladze N.V, Loladze V.V. "Recoverable temporary ground anchors", Official Bulletin of Industrial Property, #5418. (In Georgian).

თბილისის საბჭოთა პერიოდის 50-70-იანი წლების საცხოვრებელი  
მასივების მშენებლობის რეზონსპექტიული ანალიზი

თ. მახარაშვილი, გ. ხოფერია

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. 77,0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია, თბილისში, მეოცე საუკუნის 50-70 წლებში  
აშენებული მსხვილი საცხოვრებელი მასივების რეზონსპექტიული ანალიზი,  
რომლის გათვალისწინებითაც შესაძლოა შესაბამისი კომპლექსური  
კვლევების ჩატარება იმ მიზნით, რომ გამოვლინდეს მასივების  
სარეკონსტრუქციო ზონების დაღვენა, და შემუშავდეს შესაბამისი საპროექტო  
სამუშაოები.

**საკვანძო ხიტყვები:** საცხოვრებელი მასივები, ტიპიური პროექტები,  
ქალაქების მარებითი პრინციპები, მოსახლეობის მიგრაცია, საცხოვრებელი  
კვარტალები, რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, არქიტექტურული კომპოზიცია.

## 1. შესავალი

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა საბინაო  
კრიზისმა და მოსახლეობის მზარდები მიგრაციამ სოფლიდან ქაქლაქში, გააჩინა  
მსხვილი საცხოვრებელი მასივების შექმნის აუცილებლობა.

ასეთი ტიპის საცხოვრებელი მასივების მშენებლობა ძირითადად სოციალისტურ  
ქაუნიებში მიმდინერეობდა, ისინი გამოირჩეოდნენ ერთფერონებით და პრიმიტიული  
არქიტექტურით. ეს საცხოვრებელი მასივები საბჭოთა კავშირის ყველა ყველა  
ქალაქებში, თითქმის ერთნაირი ტიპიური პროექტებით ხორციელდებოდა. მიუხედავად  
იმისა, რომ მშენებლობები წარმოებდა იმდროინდელი ნორმების  
გათვალისწინებით, არქიტექტურული თვალსაზრისით ეს მასივები საქმაოდ დაბალი  
ლირებულებისაა, ისინი არ შეესაბამებიან ქალაქის არქიტექტურულ-სამშენებლო  
ტრადიციებს და არღვევენ მის საერთო სტრუქტურულ იერსახეს.

ეს პრობლემა აქტუალურია საქართველოშიც, სადაც საბჭოთა კავშირის  
ქალაქების მარებითი პრინციპები პირდაპირ იყო გადმოტანილი და არ  
ითვალისწინებდა ქვეყნის და ქალაქების ლანდშაფტურ-კლიმატურ და  
არქიტექტურულ ურბანულ თავისებურებებს. შედეგად, თბილისში და სხვა  
ქალაქებშიც აშენდა მსხვილი საცხოვრებელი მასივები, რომლის ტიპიურ  
შენობებსაც უკვე გაუვიდა ექსპლუატაციის ვადა, აქედან გამომდინარე უახლოეს  
პერიოდში, დადაქალაქი დაღვება მწვავე ურბანული პრობლემების წინაშე.

## 2. მირითადი ნაწილი

ისტორიულად თბილისი არის მტკვრის ხეობაზე განვითარებული ქალაქი. იგი  
ზღვის დონიდან 400-770 მ. სიმაღლეზე მას ამფითეატრის ფორმა აქვს და სამი  
მხრიდან მთები ემიჯნება. ქალაქი მდინარე მტკვრის გასწვრივ 33 კილომეტრზეა  
გადაჭიმული და 380 კვ/მ მოიცავს.

დედაქალაქის ტერიტორიულ-დემოგრაფიული ზრდა საბჭოთა პერიოდის ოციანი  
წლებიდან იწყება. კომუნისტური იდეოლოგია, რომელიც გეგმიურ სოციალისტურ  
ეკონომიკურ განვითარებაზე იყო დამყარებული, ხშირად ცალმხრივად უდგებოდა  
პრობლემების გადაწყვებას. კომუნისტურმა ლოზუნგმა, ყველა ოჯახს ცალკე ბინა,  
(კომუნალური ბინების პირობებში), როგორც საბჭოთა კავშირის ქალაქებში, ასევე  
თბილისშიც გამოიწვია საცხოვრებელი მასივების არნახული ტემპებით მშენებლობა.  
ეს იყო არქიტექტურულად უსახო და ტიპიური საცხოვრებელი კორპუსებით

გაშენებული მასივები, თუმცა ოჯახები უფასოდ იდებდნენ ინდივიდუალურ ბინებს, ე.წ. სოციალურ საცხოვრისს.

საბჭოთა პერიოდში შემუშავდა თბილისის პირველი გენერალური გეგმა (1934 წ) რომელიც აგრძელებდა ქალაქის ხაზოვანი განვითარების ტენდენციებს. მნიშვნელოვანი იყო ქალაქის მეორე გენერალური გეგმის (1954 წ) რეალიზაციის მასშტაბები. ამ პერიოდში შეიქმნა მარჯანიშვილის მოედანი, გაყვანილ იქნა განივი მაგისტრალები- ვარაზის ხევი, გურამიშვილის ქუჩა, დასრულდა მტკვრის ორივე სანაპიროს მაგისტრალური ქუჩების გაყვანა. გარდა ამისა საცხოვრებელი განაშენიანების განვითარება დაიწყო ვაკის, საბურთალოს და დიდის მიმართულებით. ამ ტერიტორიებზე აშენდა პირველი საცხოვრებელი კვარტალები და მასივები.

შემდგომ წლებში (50-70 წწ) კიდევ უფრო მასშტაბური გახდა დიდი საცხოვრებელი მასივების მშენებლობა ვარკეთილის, გლდანის, ავშნიანის მიმართულებებით.

პირველი მსხვილი საცხოვრებელი მასივი იყო საბურთალოს რაიონი, რომლის განაშენიანების პროექტი შემუშავდა და დამტკიცდა თბილქალაქპროექტში 1955 წელს. იმ დროისათვის 725 ჰა საერთო ტერიტორიიდან ათვისებული იყო მხოლოდ 40% ძირითადად ძველი საბურთალოს რაიონი. ძველი და ახალი საბურთალოს პირობით საზღვრად ითვლება ვაკე-საბურთალოს მაგისტრალი (გურამიშვილის ქუჩა), რაიონი მდებარეობს ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს და შემოსაზღვრულია ჩრდილოეთი ლისის მადლობებით.

საბურთალოს განაშენიანების პროექტში გათვალისწინებული იყო გამწვანება, ბულვარების პაკების და ტყებარების მოწყობა, რომელიც სამწუხაროდ ნაწილობრივ განხორციელდა.

პროექტის მიხედვით, ვაჟა ფშაველას პროსპექტის ორივე მხარეს აშენდა საცხოვრებელი კვარტალები (საშუალო ფართობით 10-11 ჰა), რომლებიც ერთმანეთს ემიჯნებიან მწვანე სკვერებით და მათში განთავსებულია საშუალო სკოლები და ბაგა-ბაღები. 60-იანი წლებიდან რაიონში აიგო სამკურნალო და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებები, უმაღლესი სასწავლებლები. რაიონი ძირითადად ხუთსართულიანი ე.წ. ხრუშჩოვებით არის განაშენიანებული, ხოლო პროსპექტის ბოლოში არის რვასართულიანი საცხოვრებელი სახლებიც. დღეისათვის ამ ნაგებობათა უმრავლესობა, შესაბამისი კვლევების ჩატარების საფუძველზე, საჭიროებს რეკონსტრუქცია რეაბილიტაციას.

დიდი მასივის საცხოვრებელი მასივის პროექტის დამუშავება დაიწყო 1956 წელს, 270 ჰა მიწა გამოიყო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე დიდი მიმავალი დიდუბის ხიდის ზემოთ. 150 ჰა განკუთვნილი იყო საცხოვრებელზე, 30 ჰა სპორტული პარკისათვის, ამდენივე უნდა დაეკავებინა კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკს, 40 ჰა სახალხო მეურნეობის გამოფენას, 20 ჰა კინოქალაქს. მთლიანად საცხოვრებელი მასივი უნდა განთავსებულიყო 225 ათას კვ/მ საცხოვრებელ ფართზე (ერთ კაცზე 9 კვ/მ შეადგენდა 25000 მაცხოვრებელს დაასხლოებით 6250 ბინა). პირობით კომპოზიციურ დერმს წარმოადგენს 50 მ. სიგანის და 500 მ. სიგრძის ხეივანი, რომლის ორივე მხარეს დაპროექტდა ოთხი მიკრორაიონი და ორი საცხოვრებელი კვარტალი.

მშენებლობა დაიწყო 1960 წელს, საბურთალოსგან განსხვავებით აქ მეტი არქიტექტურული მთლიანობაა გამოვლენილი, აქტიური გამწვანება მიკრორაიონებს შორის, სპორტული კომპლექსი, შიდა ეზოები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არქიტექტურული კომპოზიციის შექმნაში, მაგრამ, აქაც, ძირითადად 4-5 სართულიანი ”ხრუშჩოვები“ აუფერულებენ არქიტექტურულ იერსახეს. 1960-იან წლებში დამატებული იქნა ჯერ 8 სართულიანი, მოგვიანებით კი 14-16 სართულიანი საცხოვრებელი სახლები, რამაც გარკვეულწილად გამოაცოცხლა განაშენიანების

სილუეტი, მაგრამ ეს სახლები მაინც მექანიკურად იყვნენ ჩართულები, რის გამოც სრულყოფილი არქიტექტურულ-გეგმარებითი კომპოზიციის მიღება ვერ მოხერხდა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საცხოვრებელი ფართის მაჩვენებელი საგრძნობლად გაიზარდა.

ნავთლუდის რაიონში, საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიშალა ფართო სამრეწველო მშენებლობა. ნავთლუდის სადგურის არსებობამ განაპირობა მის მიდამოებში სასწყობო მეურნეობების შექმნა, განვითარდა ავეჯისა და ქაღალდის წარმოება, აშენდა ლითონის კონსტრუქციების, მანქანების, ფეხცაცმლის, ფაიფურის, ქსოვილების საწარმოები. დიდ ფართები დაიკავეს სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობებმა, ავტოსატრანსპორტო ბაზებმა, ხის სახერხმა საწარმოებმა.

ნავთლუდის ტერიტორია ფართო ტერასებით გადის მტკვრის მარცხენა ნაპირისკენ. აღმოსავლეთიდან ნავთლუდს საზღვრავს პატარა მდინარე ლოჭინისხევი, ჩრდილოეთიდან ქართლის ქედის კალთები, ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრები კი უშუალოდ სამგორს უახლოვდება. 1950-60-იანი წლებიდან აქ გაიშალა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. დასახლებები წარმოიშვა სამრეწველო ობიექტების ირგვლივ. კომპლექსური საცხოვრებელების მშენებლობისათვის გამოიყო ტერიტორია 60 ჰა ფართობით, სადაც გაშენდა 9 გამსხვილებული კვარტალი, თვითოული საშუალოდ 5 ჰა ფართობით, მათგან 8 კვარტალში გაშენდა ტიპური, ეკონომიური, მსხვილბლოკიანი 4-5 სართულიანი საცხოვრებელო სახლები, რომლებიც გათვლილი იყო 17000 მცხოვრებზე. ერთი კვარტალი გამოიყო სპეციალურად სკოლისათვის და პოლიკლინიკისათვის. ერთ პეტრარზე მოსახლეობა შეადგენდა 470 მცხოვრებს (9 კვ/მ ერთ მოსახლეზე), რაც იმდროინდელ ქალაქებებმარებით ნორმებს შეესაბამებოდა.

ამავე პერიოდს ეკუთვნის ”მესამე მასივი“ (ყოფილი 26 კომისრების რაიონი), რომელიც არქიტექტურული თვალსაზრისით აშენებისთანავე იყო მორალურად მოველებული, ხოლო გეგმარებითი თვალსაზრისით სქემატური და უღიძებამო (საცხოვრებელი სახლების ჯგუფები სქერმატურადაა განაწილებული მთელი ამ რაიონის ტერიტორიაზე). კორპუსებს არ გააჩნიათ შიდა ეზოები, მთლიანობაში წარმოადგენენ ერთ ან რამდენიმე ზოლში თანაბარ მანძილებზე ჩადგმულ საცხოვრებელ სახლებს. ამჟამად მათი უმეტესი ნაწილი ავარიულ მდგომარეობაში იმყოფება და წარმოადგენენ ქალაქის ერთ-ერთ მტკიცნეულ პრობლემას, რომლის გადაჭრის საკითხები დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული.

ამ ქალაქებმარებით პროექტებში ფუნქციური ორგანიზების პრინციპები ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული, 1960-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა მიკრორაიონული გეგმარება, ამის მაგალითებია გლდანისა და თემქის მსხვილი საცხოვრებელი მასივები, სადაც პირველადი მომსახურების ობიექტების გარშემო, რომლებიც საყოფაცხოვრებო-საზოგადოებრივი მომსახურების სისტემის პირველ საფეხურს წარმოადგენს, იქმნება საცხოვრებელი სახლების ჯგუფები. მეორე საფეხური მიკრორაიონული ცენტრია, ხოლო გლდანში, რომელიც ერთ რაიონულ ერთეულად იყო წარმოდგენილი, დაგეგმარდა მომსახურების მესამე საფეხურიც, რაიონული ცენტრი. საცხოვრებელი სახლები ისეთნაირად იყო განლაგებული, რომ მათ შორის შექმნილიყო მყუდრო სივრცეები, უკეთ იქნა გააზრებული საცხოვრებელი ჯგუფების კომპოზიცია, რომელიც მთელი მიკრორაიონის ერთიანი კომპოზიციის ნაწილს შეადგენდა. გლდანის და თემქის დაგეგმარებით თანაბათან დაიწყო, ქალაქის გენერალური გეგმის თანახმად, ქალაქის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიების ათვისება, ქალაქმა დაიწყო ზრდა თბილისის ზღვის მიმართულებით.

თემქის საცხოვრებელ რაიონში, ისევე როგორც გლდანში, გათვალისწინებული იყო სამსაფეხურიანი სისტემა. განაშენიანებაში გამოყენებულ იქნა სხვადასხვა სიმაღლის და გაბარიტების ტიპური საცხოვრებელი სახლები, რათა შექმნილიყო გამომსახველი სილუეტი და გაცოცხლებულიყო მიკრორაიონის სივრცობრივი

კომპოზიცია და განაშენიანება უგეთ ყოფილიყო შერწყმული გარემოსთან. პროექტის ავტორები ხშირად მიმართავენ გრძელი, პორიზონტალური მოცულობისა და კოშკურა სახლების კონტრასტული კომპოზიციის ხერხს. ამავე დროს, აქ ახალი ტენდენციაც არის ადსანიშნავი – ეს არის მიკრორაიონებში საცხოვრებელი ჯგუფების შიდა სივრცეების გამოვლენის და მათი სივრცობრივი ორგანიზების ცდა თბილისისათვის დამახასიათებელი მყუდრო ეზოების მსგავსად.

თუმცა ინდუსტრიული-ტიპობრივი მშენებლობის პირობებში, სახლების მსხვილი მასშტაბის მშენებლობის ძალზე დაბალი ხარისხის გამო, ძნელი ხდებოდა სასურველი ეფექტის მიღწევა, მოკრორაიონებში დაგეგმარებული იყო ვრცელი მწვანე ფართობები და იზრდებოდა მათი როლი არქიტექტურულ კომპოზიციაში, მაგრამ მათი განხორციელება მხოლოდ ნაწილობრივ და ისიც უხარისხოდ ხდებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ 50-70-იანი წლებში, თბილისში აშენებული საცხოვრებელი მასივების ტიპიურ შენობებს განსაზღვრული პქნდათ 30-40 წლიანი ექსპლუატაციის ვადა, რომელიც ფაქტიურად ამოწურულია. აქედან გამომდინარე, მთელი რიგი საცხოვრებელი კორპუსები ავარიულ მდგომარეობაშია, რაც აქტუალურს ხდის სერიოზული კვლევების ჩატარებას და მათი ეტაპობრივი რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოების ჩატარებას. თავის მხრივ ეს პროცესი დიდ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთანაა დაკავშირებული.

### 3. დასპგნა

ამრიგად, საბჭოთა პერიოდის მსხვილი საცხოვრებელი მასივების რეტროსპექტიული ანალიზი საშუალებას იძლევა, რომ ჩატარდეს ამ რაიონების შესაბამისი კვლევები, რომლის საფუძველზეც, შესაძლო იქნება არსებული პრობლემების არქიტექტურულ-ქალაქების გადაწყვეტის პრინციპების შემუშავება და მასივების სარეკონსტრუქციო ზონების შენობათა ჯგუფების გამოვლენა.

### ლიტერატურა

- თ. მახარაშვილი გ. მახარაშვილი. თბილისის პოსტსაბჭოთა პერიოდის ურბანული და საცხოვრებელი განაშენიანების განვითარების წინამდღვრები. სტუ-ს სამეცნიერო შრომების კრებული- №4(470), თბილისი 2008 წ. გვ-15
- გ. ბერიძე. არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის პრობლემები, თბილისი 2001 წ.
- გ. მელქაძე. “ქალაქური კვარტალის განვითარების ისტორია”, სტატია, კავკასიის მაცნე, 2003 წ.

## ინტებრირებული პროექტირება უსაფრთხოებისათვის

დ. საგინაძე, გ. მიქიაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 0175, გ. კოსტავას 77,  
ქ. თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია ეკოლოგიური ფაქტორებისა და გლობალური ტერორისტული საფრთხეების გათვალისწინების აუცილებლობა თანამედროვე შენობების დაპროექტებისას, რაც საჭიროებს საერთაშორისო საპროექტო პრაქტიკისა და გომოცდილების შესწავლა-გამოყენებას. დასახული მიხედვის მიხედვის მიხედვის მისაღწვევად საჭიროა ინტეგრირებული პროექტირების მეთოდების განხორციელება. სტატიაში განხილულია თუ რა საფრთხის შემცველია არსებული გამოწვევების იგნორირება თანამედროვე არქიტექტურაში. აქვე ხაზგასხვლია სხვადასხვა განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა, გამოცდილება და მათი გამოყენების მეთოდიკა. უკადდება გამახვილებულია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა პროექტირების პროცესში უსაფრთხოების და მდგრადი არქიტექტურის პრინციპების გათვალისწინება და ურთიერთშერწყმა. მიიღებს საბოლოო სახეს. სურათი №2 უჩვენებს მოდელირების პროცესუალურ გრაფიკს.

**საქანძო სიტყვები:** ინტეგრირებული პროექტირება, მდგრადი არქიტექტურა, ენერგო ეფექტურობა, შენობა-ნაგებობის უსაფრთხოება.

ბოლო დრომდე სამოქალაქო სექტორის არქიტექტორებს პროექტირებისას აფეთქებით გამოწვეული დამანგრეველი და სხვა უარყოფითი ზემოქმედებისაგან შენობების დაცვის გათვალისწინება იშვიათად თუ უხდებოდათ. ეს თემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა იმ ქვეყნებში, სადაც, რთული საერთაშორისო ვთარებიდან გამომდინარე, მკვეთრად გაიზარდა ტერორისტული აქტების განხორციელების საშიშროება და წინა პლანზე წამოიწია მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების აუცილებლობამ.

იმ შენობების დაპროექტება რომლებიც დააგმაყოფილებენ ასეთ განსაკუთრებულ მოთხოვნებს, გამოირჩევა დაპროექტების პროცესთან თავისი კომპლექსური/ინტეგრირებული მიღომით, რაც გულისხმობს მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებას, მათ შორის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ენერგოეფექტურობას, ფუნქციასთან შესაბამისობას, კომფორტს, ესთეტიკურობას, მისადგომობას, ეკონომიკურობას და სხვას.

პროექტირების ადრეულ სტადიაზე პროფესიონალებს შორის გამოცდილების გაზიარებამ შეიძლება აამაღლოს დამპროექტებელთა მთელი გუნდის შემოქმედებითი შესაძლებლობები და გააჩინოს კრეატიული იდეები შენობათა მრავალფუნქციური სისტემების შესაქმნელად. მაგალითისათვის, რკინაბეტონის კედელს, რომელიც უზრუნველყოფს შენობის კონსტრუქციულ მდგრადობას, შეუძლია შეასრულოს ისეთი ფუნქციები, როგორებიცაა ტერაქტისაგან დაცვის ფუნქცია და ტრომბული კედლის ფუნქცია (მასიური კედელი რომლის მეშვეობით ხდება მზის ენერგიის აბსორბცია, შემდეგ ში კი მისი ემისია) პასიური ენერგიის დასაკონსერვებლად. ამის შედეგად მიიღწევა ენერგოეფექტურობა, კომფორტულობა და, ამავე დროს – უსაფრთხოება. საბოლოო ჯამში შენობა იძენს ენერგოეფექტურობის სტატუსს. ესეთი კონცეპტუალური ჩარჩო იქმნება კომპლექსური/ინტეგრირებული პროექტირების ადრეულ ეტაპზე და იძლევა გრძელვადიან სარგებელს შენობა-ნაგებობის მთელი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე.

ინტერიერებულ პროექტზე აქცენტირდება.



სურ. 1

სასურველი პროექტის შესაქმნელად სჭირო ხდება შენობა-ნაგებობების ინდუსტრიაში მოღვაწე ყველა დარგის პროფესიონალის გამოცდილების გათვალისწინება. ასეთი კოორდინირებული მოქმედების საშუალებას იძლევა თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიები და ქსელური სისტემები, როგორიცაა შენობათა ინფორმაციული მოდელირება (BIM). ასეთი მოდელირების დროს არქიტექტორის მიერ შექმნილი შენობის ციფრული მოდელი გადაეცემა კონსტრუქტორს, კონსტრუქტორის მიერ კორექტირებული მოდელი უბრუნდება არქიტექტორს, შემდეგში იგივე მოდელი გადაეცემა მექანიკური მოწყობილობების ინჟინერს (HVAC), შემდეგში ელექტრო ინჟინერს, და ა.შ. სანამ მოდელი არ მიიღებს საბოლოო სახეს. სურათი 2 უზვენებს მოდელირების პროცესუალურ გრაფიკს.



სურ. 2


სამგანზომილებიანი მოდელირებაპროექტირებაში ჩართულ სხვადასხვა პროფესიონალის ადამიანებს რისკების უკეთ გაანალიზების საშუალებას აძლევს. არქიტექტორი რეალობიდან გამომდინარე არქიტექტორთა ის ჯგუფები, რომელთაც უხდებათ აფეთქებაგამძლე (რეზისტრიულ) შენობების დაპროექტება, მუდმივი კონსულტაციის რეჟიმში იმყოფებიან უსაფრთხოებისა და სამხედრო სამსახურის ექსპერტებთან, საკანონმდებლო უწყების პირებთან და სხვადასხვა სფეროს კონსულტანტებთან. არქიტექტორთა ესეთ ჯგუფს „უსაფრთხოების პროექტირების ჯგუფ“ უწოდებენ (Security Design Team)[1]. მაღალეფექტური, უსაფრთხო შენობის დაპროექტებისას არქიტექტორის მოვალეობაა მაშველების, მეხანიკების და სასწრაფო დახმარების სამოქმედო გეგმის გათვალისწინება. ხშირ შემთხვევაში ასეთი შენობები, როგორც წესი, აღჭურვილია ტყვიაგაუმტარი ფანჯრებით, ამიტომაც მაშველებს უძნელდებათ მინის ჩამსხვრევა და შენობაში ფანჯრიდან შეღწევა სამაშველო ოპერაციების ჩასატარებლად. ისეთ შენობაში სადაც ძნელია შეღწევა და ვენტილაციაც

<sup>1</sup>Handbook for Blast Resistant Design of Buildings, Edited by Donald O. Dusenberry.

მინიმალურია, ხანძრის ლიკვიდაციისათვის მეხანძრებს სჭირდებათ სპეციალური მოწყობილობები და არაორდინალური მიღები. ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით პროექტირების ჯგუფს უხდება დამატებითი ზომების მიღება, რაც საგრძნობლად ზრდის ფინანსურ ხარჯებს ფუნქციურად სრულყოფილი შენობის მისაღებად.

**მინიმალური დისტანციონების ზონა.** პოტენციური საფრთხის ათვლის წერტილიდან, შენობა ნაგებობის დისტანციონება ითვლება ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც აფეთქების შემთხვევაში უზრუნველყოფს შენობის მდგრადობას. რაც უფრო დიდია მანძილი აფეთქების წერტილიდან მით უფრო ნაკლებია შენობაზე დამანგრევები ტალღის ზემოქმედება. სამიზნე ობიექტთან (ჩვენს შემთხვევაში საპროექტო შენობასთან) პოტენციური თავდამსხმელის მიერ ასაფეთქებელი მოწყობილობის მიახლოებით გამოწვეული რისკებისა და აფეთქებით გამოწვეული დაზიანებების გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება პრევენციული ზომების გატარება. ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ თავიდან იქნეს აცილებული შენობის კონსტრუქციული ნაწილის ჩამოშლა და მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ადამიანთა ფიზიკური დაზიანებები. საერთაშორისო ორგანიზაციები და სამოქალაქო სექტორის არქიტექტორები ხშირად სარგებლობენ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს (Department of Defense (DoD)) მიერ შემუშავებული შეკვეთით.

განსაზღვრული რაოდენობის ასაფეთქებელი ნივთიერების გამოყენებითა და მოცემული დისტანციის გათვალისწინებით (სურათი 3) საშუალებას იძლევა განისაზღვროს თუ რა დონის ზიანს მიღებს შენობა–ნაგებობა ტერორისტული თავდასხმის შემთხვევაში.




სურათი 3. აფეთქების სპექტრი და გარემოზე ზემოქმედების ეფექტები (წყარო: Defense threat reduction agency<sup>2</sup>. აშშ).

რისკების ანალიზის შედეგად უნდა განისაზღვროს პოტენციური საფრთხეები და ასაფეთქებელი მოწყობილობების გამოყენების შესაძლებლობები რეგიონში. ამიტომაც ხშირ შემთხვევაში აუცილებლობას წარმოადგენსპროექტირებაში უსაფრთხოების სფეროში მომუშავე კონსულტანტების ჩართვა.

<sup>2</sup><http://www.dtra.mil/>

მაღალი რისკების ზონაში განთავსებული შენობა ნაგებობების დაცვისას ხდება ზონების პრიორიტეტებად დაყოფა დამცავი ბარიერების მეშვეობით. ექსპლუზიური დისტანციონური განთავსებულია ტერიტორიის შესაძლებლობით სადაც მთავარი შენობა-ნაგებობებია განთავსებული (იხილეთ სურათი №4). იმის გათვალისწინებით რომ მანქანებს შეუძლიათ გაცილებით მეტი ასაფეთქებელი ნივთიერების გადატანა ექსპლუზიური ზონა მხოლოდ ქვეითად გადაადგილების შესაძლებლობას იძლევა დაცვის თვალსაზრისით მეორეხარისხოვანი შენობებისათვის (საწყობები, სახელოსნოები, ავტოსადგომები) განკუთვნილია არაექსპლუზიური დისტანციის ზონა. საკონტროლო პუნქტზე ავტომანქანების საგულდაგულო შემოწმების შემდეგ შესაძლებელი ხდება მათი პარკირება არაექსპლუზიურ ზონაში.



სურ. 4 დასაცავი ტერიტორიის დაყოფა ექსპლუზიური და არაექსპლუზიურ ზონებად.

თანამედროვე არქიტექტურაში არსებობს მაგალითები როდესაც არსებული ტერიტორია გამოიყენება პოტენციური საფრთხის დისტანციონურებისათვის, ეს შეიძლება იყოს სკერი, ტბა, წყალსაცავი, ზღვის სანაპირო და ა.შ. ინგენირინგებული პროექტირება და სწორი სტრატეგიის შემუშავება შესაძლებელს ხდის უსაფრთხოების ზომების შერწყმას ესთეტიკასთან.

არაერთი თანამედროვე შენობის ჩამოვლა არის შესაძლებელი, რომლის განთავსებაც უსფრთხოებისა და ესთეტიკის შერწყმის მიზნითმოხდა ხელოვნურად გაშენებულ კუნძულზე ან ნახევარკუნძულზე. ქვემოთ განთავსებული სურათები დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში აშენებული მაღალეფებზე შენობების ილუსტრაციაა, რომლებიც თანამედროვე მოთხოვნების სრული გათვალისწინებითაა აშენებული. აღსანიშნავია დანიის სახელმწიფოს ამბიციური გეგმა, 2025 წლისათვის კოპენჰაგენი აქციოს მსოფლიოში პირველ მწვანე დედაქალაქად, რომელსაც სასათბურე გაზების გამოყოფის ნულოვანი მაჩვენებელი ექნება, ხოლო 2050 წლისათვის დანიის სახელმწიფო გეგმავს სრულიად განთავისუფლდეს მიწისქვეშა წიაღისეულისენერგო-მოხმარებისაგან. შესაბამისად არქიტექტურა და სამშენებლო ინდუსტრია ახალი გამოწვევების წინაშე დგას.



ოპერის სახლი (კოპენჰაგენი)



სასწავლო ცენტრი (კოპენჰაგენი)



გაეროს შტაბბინა (ვოპენჰაგენი)

აეტომობილის მყისიერი შეჩერების ბარიერები. დღევანდელი ურბანიზაციის პირობებში მინიმალური დისტანციების უზრუნველყოფა ტერიტორიულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, თუმცა კრეატიული არქიტექტურული გადაწყვეტილებები სასურველ შედეგებს იძლევა. მყისიერი შეჩერების ბარიერები გამოიყენება შენობა— ნაგებობების ასფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთული ავტომანქანისაგან დასაცვად.

მათი დაჯგუფება შემდეგნაირად ხდება:

- პასიური ზომები.
- ა. სტატიკური ბოლარდები
- ბ. მიწაყრილები და ორმოები
- გ. რკინის კონსტრუქციის გალავანი
- დ. რკინაბეტონის საყვავილები



ა.



ბ.




ბ.



დ.

- აქტიური ზომები
- ე. ასაწევი ბარიერები
- ვ. პიდრავლიკური ბარიერები
- ზ. მოძრავი გალავანი




ქ.

მათი გარემოსთან ესთეტიკური მორგება არქიტექტორებისათვის ერთერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია. მე-5 სურათზე ნაჩვენებია ვაშინგტონის მემორიალის ირგვლივ განთავსებული რკინა ბეტონის ბარიერების ჩანაცვლების კონცეფცია გამწვანებული სკერით, სადაც მყისიერი შეჩერების ბარიერების როლს ასრულებენ საყვავილები და სკერის სკამები.

3.

მათი გარემოსთან ესთეტიკური მორგება არქიტექტორებისათვის ერთერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია. მე-5 სურათზე ნაჩვენებია ვაშინგტონის მემორიალის ირგვლივ განთავსებული რკინა ბეტონის ბარიერების ჩანაცვლების კონცეფცია გამწვანებული სკერით, სადაც მყისიერი შეჩერების ბარიერების როლს ასრულებენ საყვავილები და სკერის სკამები.

ზ.



სურათი 5

ზემოთ აღნიშნულ დეტალებზე და სხვა არაერთ მნიშვნელოვან ფაქტორზე არის გამახილებული ყურადღება ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის (AIA) მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებში, არქიტექტორებისა და დიზაინერებისათვის.

პერიმეტრის უსაფრთხოების ზომების გათვალისწინება, ლანდშაფტის კეთილმოწყობის პროექტირებისას.	პერიმეტრის უსაფრთხოებისა და ლანშაფტის ესთეტიკური შერწყმა: ხელსაყრელი მისადგომი, მინიმალური დისტანცირების ზონა, მწვანე სახურავი ა.შ
ბარიერების გამოყენება ავტომანქანების მყისიერი შეჩერებისათვის.	ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივი ბარიერების მოწყობა (ხეების, საყვავილეების და სკვერების განთავსება, შადრევნებისა და რეკრიაციული ტერიტორიების ინტეგრირება უსაფრთხების მიზნით).
საერთო შესასვლელების კონტროლი.	უცხო პირთა მიმოსვლის მინიმუმადი დაყვანა, ბუნებრივი განათების მაქიმალურად გამოყენება.
ადვილად ხელმისაწვდომი ღიობების დაცვა (პრივალი სართულის ფანჯრები და კარები).	გისოსები და დამცავი მექანიზმების მოწყობა, ბუნებრივი განათების დახმობის გარეშე.
ლიფტებისა და პარკირების სათანადო ელექტრო მოწყობილობით აღჭურვა.	ენერგო ეფექტური სისტემებისა და განახლებადი ენერგიის გამოყენება.
კრიტიკულად ფუნციური სისტემების სათანადო დაცვის უზრუნველყოფა (ინფორმაციოული ტექნოლოგიები, კრიტიკული მექანიკური სისტემები)	ავტონომიური, სპეციალურად ფუნქციური სისტემებისათვის განკუთვნილი ვენტილაციის/კონდენცირების მოწყობა.
მეთვალყურეობა	
კარებისა და ფანჯრების განთავსება კარგი ხილვადობით.	დღის სინათლესთან დაკავშირებული წესების გათვლით[3].
თავდამსხმელთათვის მისამალი ადგილების არარსებობა	

<sup>3</sup><http://www.wbdg.org/resources/daylighting.php>

ტერიტორიების დაყოფა საზოგადოებრივ და პრივატულ ზონებად.	გზამკვლევი ნიშნების მოწყობა.
საზოგადო მოხმარების (მაგ. სპირპარეშო) ადგილების სამეთვალყურეო არეალში მოქმედა	
კრილიმინალისაგან დამცავი მოწყობილობები, სათვალთვალო კამერები.	შენობის კონტროლის სისტემაში ინტეგრირება, ენერგოეფექტური განათებისა და სისისტემების გამოყენებით. დაბალი განათებით ან განათების გარეშე ფუნქციონირებადი კამერების გამოყენება, ელექტროენერგიის დაზოგვის მიზნით.
<b>ბალისტიკური გამძლეობა</b>	
შენობის კონსტრუქციის დაპროექტება ბალისტიკური რეზისტანტობის სტრატეგიის გათვალისწინებით რათა არ მოხდეს შენობის უეფარი ჩამოშლა.	პასიური მზის ენერგიის კონსერვირების მეთოდების გამოყენებით (მაგ. ტრომბული კედლების გამოყენება). მდგრადი/ეკოლოგიურად სუფთა მასალების გამოყენება.
შენობა ნაგებობის ფორმისა და კონფიგურაციის დაგეგმარება ბალისტიკური რეზისტანტობის სტრატეგიის გათვალისწინებით.	პასიური მზის ენერგიის კონსერვირების მეთოდების გამოყენებით
მინიმალური დისტანცირების ზონის გათვალისწინება.	
ფანჯრების განთავსება აფეთქების ეფექტის გათვალისწინებით.	ფრაგმენტების დამჭერი ფირის გამოყენება რომელიც ასევე უზრუნველყოფს ენერგოეფექტურობას.
ფასადის მოსაპირეთებელი საშუალებების შერჩევა აფეთქების ეფექტის გათვალისწინებით.	ეკოლოგიურად სუფთა მასალების გამოყენება თერმული უპირატესობის გათვალისწინებით.
უფანქციო ჩუქურთმებისა და გაფორმებების თავის არიდება, რომელთა ფრაგმენტებსაც შეუძლიათ ზიანის მიყენება	ესთეტიკის მიზნით მზის კონტროლისა და საჩრდილობელი მოწყობილობების ფასადთან ინტეგრირება.
<b>ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული საფრთხეები</b>	
შენობაში სუფთა ჰაერის მიმწოდებელი არხების დაცულ ადგილას განთავსება.	ენერგო ეფექტური კონდენცირებისა და ვენტილაციის სისტემებში ინტეგრირება.
შენობაში შემავალი ჰაერის ფილტრაციის უზრუნველყოფა.	შენობის კონტროლის სისტემაში ინტეგრირება,
იშვით გამოყენებაში არსებული ფართების დაცვა (საწყობი, მექანიკური მოწყობილობების ოთახი, ტვირთის მიმღები ტერიტორია).	ავტონომიური, სპეციალურად ფუნქციური სისტემებისათვის განკუთვნილი ვენტილაციის/კონდენცირების მოწყობა.
სათადარიგო/ადეკვატური გეგმის მომზადება ბიოქიმიური თავდასხმის შემთხვევაში.	
<b>ენერგო უსაფრთხოება</b>	
ეფექტური სისტემების შექმნა	ენერგოდამოკიდებულების მინიმუმამდი დაყვანა. ენერგოეფექტური სისტემების გამოყენება. განახლებადი ენერგიების გამოყენება.
<b>მობინადრეთა ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე ზრუნვა</b>	
დიზაინ სტრატეგია, რომელიც გამორიცხავს ან შეამცირებს ინციდენტებს.	უსაფრთხოების მექანიზმების ინტეგრირება მდგრად ტექნოლოგიებთან, ავტომატიზირებული მართვის სისტემების გამოყენებით.
ჯანმრთელობის საფრთხეების პრევენცია.	ბუნებრივი და მექანიკური ვენტილაციის გამოყენება, ავტომატიზირებული მართვის სისტემებში ინტეგრირებით.
სიმაღლიდან ვარდნის ინციდენტების პრევენცია.	მოაჯირებისა და დამცავი სისტემების ეკოლოგიურად სუფთა

	მასალებით გამოყენება. ავტომატურად მართვადი ფანჯრების უსაფრთხოების ზომებით უზრუნველყოფა.
მოცურების, წაბორძივებისა და დაცემის საფრთხის პრევენცია.	დღის სინათლის ინტეგრირება შიდა განათების სისტემაში. ენერგო ეფექტური (LED) ნათურების გამოყენება. ელექტროლუმინიზირებული ტექნოლოგიების გამოყენება რაც არ საჭიროებს დენის წყაროს.
ელექტრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.	პრაქტიკაში არსებული რეკომენდაციებისა და სტანდარტების დაცვა ფოტოვოლტური სისტემებისა და განაწილებული ენერგეტიკული რესურსების გამოსაყენებლად, როგორიცაა მიკროტურბინები და გონიერი ქსელები.
ჯანმრთელობისათვის საშიში მასალების ზემოქმედების აღმოფხვრა. (მაგ, აქროლადი ორგანული ნაერთები (VOCs) და ფორმალდეჰიდი, ტყვიის შემცველი მასალები და აზბესტით გადახურულიძველი შენობები).	ეკოლოგიურად სუფთა/მდგრადი მასალების გამოყენება( მაგალითად, საღებავი რომელიც არ შეიცავს აქროლვად ორგანულ ნივთიერებებს (VOCs), ფორმალდეჰიდის შემცველი პანელები, და ა.შ.) სპეციალურად განკუთვნილი სავენტილაციო სყსტემები: ლაბორატორიებში, გზავნილების მიმღებ ოთახებში, ტვირთის მიმღებ ზონებში და ა.შ.
შენობაში ჰარის ხარისხის უზრუნველყოფა და კონტროლი, ადვატური ვენტილაციით.	ბუნებრივი და მექანიკური ვენტილაციის გამოყენება, ავტომატიზირებული მართვის სისტემებში ინტეგრირებით.
ერგონომიული სამუშაო პირობების შექმნა, რათა თავიდან აცილებულ იქნას ორგანიზმის დეფორმაციასთან და კუნთოვან დარღვევებთან დაკავშირებული რისკები.	მდგრადი/ეკოლოგიურად სუფთა მასალების გამოყენება, მათ შორის, განახლებული ავეჯისა და არატოხსიკური შემადგენლობის მასალების გამოყენება.
შენობის ეფექტური ექსპლუატაციისათვის ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფა.	შენობის ექსპლუატაციაში შესვლისას არსებული სისტემების ეფექტური მართვის უზრუნველყოფა, ავტომატიზირებული მართვის სისტემებში ინტეგრირებით.
ხშირი მოხმარების ნივთებისა და მასალების სათანადო პირობებში მიღება, გაცემა და შენახვის უზრუნველყოფა.	შენობის ეფექტური ექსპლუატაციისათვის ტექნიკური მომსახურების პირობების დაცვით.

## ლიტერატურა

1. Handbook for Blast Resistant Design of Buildings, Edited by Donald O. Dusenberry. 2010
2. Defense Threat Reduction Agency. <http://www.dtra.mil/>. 10.11.2015
3. State of Green. [www.stateofgreen.com](http://www.stateofgreen.com) 14.02.2016
4. Whole Building Design Guide.<http://www.wbdg.org/resources/daylighting.php>. 05.06.2016
5. Source: Building Security Through Design: A Primer for Architects, Design Professionals, and their Clients by The American Institute of Architects. Washington, DC: AIA, p. 15. 06. 2015
6. Source: WBDG Safe—Ensure Occupant Safety & Health. 15.05.2015

ასფალტგეტონის პომპოზიტური მასალების  
სტრუქტურების მათემატიკური მოდელირების საზოგადო

მ. სულამანიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, 0175,  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** ასფალტგეტონის ნარევების ძვრისადმი მდგრადობისა და  
ცვეთამედევობის ამაღლების მიზნით უკანასკნელ დროს ფართოდ  
გამოიყენება კომპოზიტური მასალები. განსაკუთრებით აღსანიშნავია  
პოლიმერბიტუმის შემკვრელები, რომელთა ბაზაზე მომზადებული  
ასფალტგეტონის ნარევები გამოირჩევა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული  
მახასიათებლებით.

კომპოზიტური მასალების სტრუქტურის შერჩევაში მათემატიკური  
მოდელირების გამოყენებამ ფართო გაქანება მოიპოვა საგზაო მშენებლობაში.  
მათემატიკური მოდელირების გამოყენება საშუალებას იძლევა შევარჩიოთ  
მასალების ოპტიმალური ფრაქციული შემადგენლობა, რაც უზრუნველყოფს  
ექსპლუატაციის პირობებში მათი ხარისხისა და საიმედობის ამაღლებას და  
საჭირო თვისებების მქონე ახალი მასალების შექმნას.

**საკვანძო სიტყვები:** გზა, ასფალტგეტონი, კომპოზიტური მასალები,  
მოდიფიცირებული ასფალტგეტონი, მათემატიკური მოდელი, სტრუქტურის  
ელემენტები, ელემენტების მატრიცა.

1. შესაბამის

მათემატიკური მოდელირება ითვალისწინებს მოცემული ფიზიკური მოვლენის  
შინაარსს და ინიციატივის მხოლოდ მათემატიკურ განტოლებებს, რომელთა მეშვეობით  
აღწერილი იქნება მოცემული ფიზიკური მოვლენა, ამასთან ფიზიკური მოვლენის  
აღწერილობიდან ხდება იმ განტოლებებისა და პარამეტრების შერჩევა, რომლებიც  
არსებით გავლენას ახდენენ ამ მოვლენის მიმდინარეობაზე.

კომპოზიტური მასალების სტრუქტურის საბოლოო მათემატიკური მოდელი  
წარმოადგენს სტრუქტურის ყველა ელემენტის განზოგადებული კოორდინატების  
მატრიცას, რომელთა განთავსება და გაანგარიშება ხდება სპეციალური  
მოდელირებადი ალგორითმების მეშვეობით სათანადო სიმძლავრის კომპიუტერებით.

2. პირითადი ნაწილი

კომპოზიტური მასალების სტრუქტურის მათემატიკური მოდელის შექმნისას  
უნდა ვიხელმძღვანელოთ მათემატიკური მოდელირების საერთო პრინციპებით.

პირველ რიგში, მათემატიკური მოდელი ითვალისწინებს კონკრეტულ ფიზიკურ  
შინაარსს და ინიციატივის მოცემული ფიზიკური მოვლენის მხოლოდ მათემატიკურ  
მხრეს, განიხილავს მხოლოდ მათემატიკურ განტოლებებს, რომელთა მეშვეობით  
შეიძლება აღწერილი იქნას მოცემული ფიზიკური მოვლენა.

მეორეს მხრივ, ფიზიკური მოვლენის ყველა მათემატიკური აღწერილობიდან  
არჩევენ იმ განტოლებებსა და პარამეტრებს, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ  
ამ მოვლენის მიმდინარეობაზე. შეუძლებელია საერთო უნივერსალური მოდელის  
შექმნა, რომელსაც შეეძლება აღწეროს მოცემული ფიზიკური მოვლენის ყველა  
პროცესი. ნებისმიერი მათემატიკური მოდელი შეფარდებითა ამოცანის გადაწყვეტის  
სისტემის მიმართ. მათემატიკურ მოდელში ძირითადია ასკექტების გამოყოფა-  
გამოკვლეული იქნას მოელი რიგი ერთგვაროვანი მოვლენები და მეორეს მხრივ,  
გაანალიზებული იქნას ამა თუ იმ გვერდითი მოვლენის გავლენა, რომლებიც არ

აისახება ძირითად მოდელში მათემატიკურ მოდელში შესაბამისი შესწორებებისა და დაზუსტებების შეტანის გზით.

კომპოზიტური სამშენებლო მასალების თვისებების მათემატიკური მოდელის აგების თეორიული და ორგანიზაციული საფუძვლები ეფუძნება ეგრეთოდებულ „პერიო“-ს კანონს. იგივე პრინციპები მისაღებია არაერთგაროვანი მასალების სტრუქტურის მათემატიკური მოდელირების შექმნისათვისაც.

მათემატიკური მოდელის აგება დამოკიდებულია სტრუქტურის ტიპზე და კომპოზიტის გამოსაკვლევი ფიზიკო-სტრუქტურული თვისებების ნაკრებზე.

მასალის ფიზიკო-სტრუქტურული თვისებების გარკვეული სპეციალის გამოკვლევის მიზნით, შეუძლებელია თავიდანვე საკმარისი სიზუსტით შევარჩიოთ საჭირო მათემატიკური მოდელი.

თეორიული კვლევის განხორციელების პროცესში და მათი შედეგების შედარებით ექსპერიმენტაციურ კვლევებთან შესაძლებელია მათემატიკური მოდელის დაზუსტება, რომელთაც შეიძლება ქონდეთ არაერთგაროვანი ხასიათი ფიზიკო-სტრუქტურული თვისებების განსხვავებული ტიპებისათვის.

მიღებული თეორიული მონაცემების დადასტურება შედარებითი კვლევებით იძლევა საშუალებას, რათა მოცემული მათემატიკური მოდელი ჩაითვალოს საკმარისად, რომ გავხადოთ ის უფრო ეკონომიკური, შეიძლება ვეცადოთ აღმოფენათ ზოგიერთი ადრე შეტანილი დაზუსტებები, რომლებიც არ ახდენენ ან ძალიან სუსტ გავლენას ახდენენ საკვლევ თვისებებზე.

ჩვეულებრივ ერთი ტიპის ფიზიკო-სტრუქტურული პარამეტრების რიცხვი გარკვეულად უმნიშვნელოა, ამიტომ კომპოზიტური მასალების ტიპების რაოდენობაც შეზღუდულია. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მასალების ცალკეული ნაკრებისათვის და მათი ფიზიკო-სტრუქტურული მახასიათებლებისათვის შევუთავსოთ სტრუქტურის ესა თუ ის მათემატიკური მოდელი, რომელიც ყველაზე სრულად და ოპტიმალურად მოერგება ამ ნაკრებს. ასეთი შესაბამისობის განსაზღვრის შედეგ შედარებითი ექსპერიმენტაციური კვლევების რაოდენობა შეიძლება შევამციროთ ან მთლიანად გამოვრიცხოთ.

ძირითადი სირთულე სტრუქტურის მატემატიკურ აღწერაში განპირობებულია უმრავლესი პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კომპოზიტური მასალების სტატისტიკური ხასიათით. შესაბამისად ასეთი სისტემა არ შეიძლება აღწერილი იყოს სტაციონალური განტოლებების სასრული რიცხვით.

კომპოზიციის სტრუქტურის ბოლო მათემატიკური მოდელისათვის დამახასიათებელია ორგვაროვნება, რაც იმაში გამოიხატება, რომ ერთის მხრივ სტრუქტურის კომპონენტების განაწილებას აქვს შემთხვევითი ხასიათი, მეორეს მხრივ, სტრუქტურა აღიწერება სასრული რაოდენობის განტოლებით.

ეს ორგვაროვნება შედის ნაჩვენებ საბოლოო განტოლებათა სისტემაში სპეციალური პარამეტრებით, რომელთაც აქვთ შემთხვევითი ხასიათი.

ამავე დროს განტოლებათა სისტემის სასრულობა საშუალებას იძლევა პრინციპულად განვახორციელოთ ყველა გამოსაკვლევი ფიზიკო-სტრუქტურული პარამეტრების რაოდენობრივი ანგარიში. ამგვარად სტრუქტურის სასრული მათემატიკური მოდელის ორგვაროვნება არ ეწინააღმდეგება სტატისტიკური გამოცდის მეთოდით არაერთგაროვანი კომპოზიციის თეორიული კვლევის არჩევულ პრინციპებს.

სტრუქტურის საბოლოო მათემატიკურ მოდელში წარმოდგენილი სტატისტიკური კომპოზიციის მოცულობა უნდა იქნას შეზღუდული ყველა განზომილებაში. თუმცა სტრუქტურის ელემენტები განაწილებულია ამ მოცულობაში შემთხვევითი ხასიათი, თითოეული კონკრეტული ელემენტის მდებარეობა მოცემულ კონკრეტულ მოცულობაში სრულად განსაზღვრულია, რაც მთლიანად გამოისახება ამ ელემენტის კოორდინატების შერჩევულ სისტემაში, ამასთან კოორდინატების


რაოდენობა შეესაბამება სტრუქტურის ელემენტების ფორმას. მაგალითად, სფეროს ფორმის ელემენტების კომპოზიციისათვის თითოეული ელემენტის მდგბარეობა განისაზღვრება სამი კოორდინატით.

განვიხილოთ სქემატურად კომპოზიტური მასალის სტრუქტურა შემავსებლის განსხვავებული მოცულობითი კონცენტრაციით (ნახ.1).

დავუშვათ, რომ შემავსებლის მოცულობითი კონცენტრაციის გაზრდას მოსდევს კომპოზიტური მასალის რომელიმე თვისების გაუმჯობესება. მაგალითად, იმ შემავსებლის რაოდენობის ზრდასთან ერთად, რომლის სიმტკიცე უფრო მაღალია ვიდრე სხვა შემავსებლისა, იზრდება კომპოზიტის სიმტკიცე.

ა)                    ბ)                    გ)

ნახ.1. კომპოზიტური მასალის სტრუქტურის სქემატური გამოსახულება



„შემავსებელი-შემაკავშირებელი მატრიცა“ შემავსებლის განსხვავებული მოცულობითი კონცენტრაციით. 1-მატრიცა; 2-შემავსებელი; 3-კლასტერი

კომპოზიტის თვისების ხარისხობრივი დამოკიდებულება შემავსებლის მოცულობით კონცენტრაციაზე გამოსახულია (ნახ.1)-ზე. აქედან კომპოზიციის ნებისმიერი სტრუქტურა, რომელიც შეზღუდულია შერჩეული მოცულობით, განისაზღვრება მთლიანად სტრუქტურის ცალკეული ელემენტის განზოგადებული კოორდინატების ნაკრებით, რომლის სისტემაც შეიძლება წარმოდგენილი იქნას ამ კოორდინატების მატრიცით, რომლის შენახვა ხდება კომპიუტერის მეხსიერებაში. ნებისმიერი სტრუქტურული დახასიათება, რომელიც დამოკიდებულია მხოლოდ გამოსაკვლევი სტრუქტურის კომპონენტების გეომეტრიულ განაწილებაზე, შეიძლება გაანგარიშებული იქნას ამავე კომპიუტერზე სპეციალური ალგორითმების მიხედვით.

მათი რაოდენობრივი დახასიათება მთლიანად განისაზღვრება კოორდინატების მატრიცის ელემენტებით, რომელიც ინახება კომპიუტერის მეხსიერებაში. მოცემული სასრული მათემატიკური მოდელით წარმოდგენილი მოცულობა შეზღუდულია კომპიუტერის მეხსიერების ტევადობით, რომელსაც შესწევს უნარი შეინახოს მატრიცის ელემენტების განზოგადებული კოორდინატების რიცხვითი მნიშვნელობები. ასეთი მატრიცის ანგარიში აგრეთვე უნდა ვაწარმოოთ სპეციალური პროგრამებისა და ალგორითმების მიხედვით.

კომპოზიტური მასალების ფიზიკური თვისებების გამოკვლევისათვის სტრუქტურის კომპონენტების გეომეტრიული განლაგების გარდა აუცილებელია ვიცოდეთ თითოეული ელემენტის ფიზიკური თვისებები. სტრუქტურის ელემენტების ყველა ფიზიკური პარამეტრები, რომლებიც სავალდებულოა მოცემული კვლევისათვის, უნდა იყოს მოცემული რიცხობრივი პარამეტრების სახით, რომლებიც ქმნიან მატრიცას და რომელიც შეიძლება შევუსაბამოთ განზოგადებულ კოორდინატების მატრიცას.

განზოგადებული კოორდინატების მატრიცის სისტემაში კომპოზიციის თითოეულ ელემენტს უკავია მატრიცის ერთი სტრიქონი, მათ შორის კომპონენტს, რომელიც წარმოადგენს გარემოს შემავსებელს. მატრიცის სტრიქონი წარმოადგენს სტრუქტურის მოცემული ელემენტის ყველა აუცილებელი ფიზიკური პარამეტრების გეომეტრიულ კოორდინატებს და რიცხობრივ მახასიათებლებს.

ამ მატრიცის ანგარიში და განაწილება ხდება მოდელირებადი ალგორითმის სპეციალური პროგრამით, ხოლო მატრიცის ელემენტების ამოკრეფის წესი კომპოზიციის ფიზიკო-სტრუქტურული მახასიათებლების ანგარიშის დროს განისაზღვრება სხვა ალგორითმით, რომელიც დამუშავებულია მოცემული მათემატიკური მოდელისათვის. განზოგადებული კოორდინატების მატრიცისა და რიცხობრივი ფიზიკო-სტრუქტურული მახასიათებლების ანგარიში ხდება ერთი და იმავე კომპიუტერზე.

ამგვარად კომპოზიტური მასალების სტრუქტურის საბოლოო მათემატიკური მოდელი წარმოადგენს სტრუქტურის ყველა ელემენტის განზოგადებული კოორდინატების მატრიცას, რომლის განთავსება და გაანგარიშება ხდება სპეციალური მოდელირებადი ალგორითმების მეშვეობით კომპიუტერზე.

ყველაზე მარტივი, ეკონომიური და ეფექტურია სტრუქტურების მოდელი, სადაც ელემენტები წარმოადგენილია სფეროს ფორმით. განზოგადებულ კოორდინატობის მატრიცას ამ შემთხვევაში გააჩნია სვეტების მინიმალური რაოდენობა, რაც თავის მხრივ ზრდის სტრიქონების რაოდენობას, რომლებიც შეესაბამება მოცემული საბოლოო მათემატიკური მოდელის შეფუთვაში არსებული ელემენტების რაოდენობას, ამგვარად იზრდება წარმოდგენითი მოცულობა.

ადნიშნული მატრიცის ანგარიში, აგრეთვე ფიზიკო-სტრუქტურული პარამეტრების კვლევა ამ შემთხვევისათვის იქნება ყველაზე მარტივი და ეკონომიური.

მითუმეტეს ახალი მარტივი მათემატიკური მოდელების მეშვეობით შეიძლება გაანგარიშებული იქნას ფიზიკო-სტრუქტურული პარამეტრები, თუნდაც სტრუქტურები, რომელთა ელემენტების ფორმა განსხვავებულია იზომეტრიულისაგან.

მოცემული მათემატიკური მოდელის შემთხვევაში ცდომილება ანგარიშში დევს სტატისტიკური შეცდომის ფარგლებში, ამიტომ მოცემული პარამეტრებისათვის არ უნდა იქნას გათვალისწინებული სტრუქტურის ნაწილაკების რეალური ფორმის ფორმისაგან გადახრა.

ნაწილაკების ფორმაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კომპოზიტური მასალების მექანიკური სიმტკიცის პარამეტრები, აგრეთვე მათი სტრუქტურული მახასიათებლების რიგი.

ამიტომ სფერული ელემენტების შევსების ქონე მათემატიკური მოდელებით შეიძლება გამოკვლეული იქნას მასალები იზომეტრიული ფორმის ელემენტებით, იშვიათად-მასალები სტრუქტურის შევსების მცირე სიმჭიდროვით არაიზომეტრიული ფორმის სხეულებით. აქედან გამომდინარე არასფერული ფორმის ელემენტების ქონე კომპოზიტების ფიზიკო-სტრუქტურული თვისებების გამოკვლევის მიზნით უნდა იქნას აგებული გაცილებით როლი მათემატიკური მოდელები ელემენტების რეალური ფორმის გათვალისწინებით. ე.ი. დავამუშაოთ განზოგადოებულ კოორდინატობის მატრიცა სვეტების დიდი რიცხვით.

ეს პროგრამები გაცილებით დიდი მოცულობისაა და გააჩნიათ გაცილებით ნაკლები სწრაფქმედება, ამასთან ისინი ეფექტურია გაანგარიშებული მახასიათებლების ჭეშმარიტების თვალსაზრისით.

### 3. დასბონა

კომპოზიტური მასალების, კერძოდ პოლიმერბიტუმის შემკვრელების ბაზაზე მომზადებული ასფალტებების ნარევები გამოირჩევა მნიშვნელოვანად გაუმჯობესებული მახასიათებლებით, როგორც ძვრისადმი მდგრადობით ისე ცვეთამედეგობის კუთხით.

კომპოზიტური მასალების სტრუქტურის შერჩევაში მნიშვნელოვანია მათემატიკური მოდელირების პროცესი, რაც საშუალებას გვაძლევს შევარჩიოთ მასალების ოპტიმალური შემადგენლობა.

კომპოზიტური სამშენებლო მასალების თვისებების ამსახველი მათემატიკური მოდელი ეფუძნება გ.წ. „კვეთი“-ს კანონს.

ძირითადი სირთულე, სტრუქტურის მათემატიკურ აღწერაში, განპირობებულია კომპოზიტური მასალების სტატისტიკური ხასიათით, შესაბამისად ასეთი სისტემა არ შეიძლება აღწერილი იყოს სტაციონალური განტოლებების სასრული რიცხვით. მათემატიკური მოდელისათვის დამახასიათებელია ორგვაროვნება-ერთის მხრივ სტრუქტურის კომპონენტების განაწილებას აქვს შემთხვევითი ხასიათი, მეორეს მხრივ სტრუქტურა აღიწერება სასრული რაოდენობის განტოლებით.

კომპოზიტური მასალების ფიზიკური თვისებების გამოკვლევისათვის სტრუქტურის კომპონენტების გეომეტრიული განტოლებების გარდა უნდა ვიცოდეთ თითოეული ელემენტის ფიზიკური თვისებები.

სტრუქტურის ელემენტების ფიზიკური პარამეტრები წარმოდგენილი უნდა იყოს რიცხობრივი პარამეტრების სახით, რომლებიც ქმნიან მატრიცას და იგი შეიძლება შევუსაბამოთ განზოგადებული კოორდინატების მატრიცას.

ამ მატრიცის ანგარიში და განაწილება ხდება მოდელირებადი ალგორითმის პროგრამით.

განზოგადებულ კოორდინატთა მატრიცას ამ შემთხვევაში გააჩნია სვეტების მინიმალური რაოდენობა, რაც თავის მხრივ ზრდის სტრიქონების რაოდენობას, რაც შეესაბამება საბოლოო მათემატიკური მოდელის შეფუთვაში არსებული ელემენტების რაოდენობას. აღნიშნული მატრიცის ანგარიში, აგრეთვე ფიზიკო-სტრუქტურული პარამეტრების კვლევა ამ შემთხვევისათვის იქნება ყველაზე მარტივი და ეკონომიური. ახალი მარტივი მათემატიკური მოდელების მეშვეობით შეიძლება გაანგარიშებული იქნას ფიზიკო-სტრუქტურული პარამეტრები და თუნდაც სტრუქტურები, რომელთა ელემენტების ფორმა განსხვავდებულია იზომეტრიულისაგან.

სფერული ელემენტების შევსების ქეთება მათემატიკური მოდელებით შეიძლება გამოკვლეული იქნას მასალები იზომეტრიული ფორმის ელემენტებით, იშვიათად მასალები სტრუქტურის შევსების მცირე სიმჭიდროვით არაიზომეტრიული ფორმის სხეულებით.

## ლიტერატურა

1. Кербер М.Л. Композиционные материалы // Соросов. Образоват. журнал. 1999. №5.
2. Баженов Ю.М. Задачи компьютерного материаловедения строительных композитов / Ю.М. Баженов, В.А. Воробьев, А.В. Илюхин // Изв. вузов. Стр-во. 2000. № 12.

## საყრდენი კედლის დაკროხებული კლდოვან და ნახევრადკლდოვან ფერდობები

შ. ბაქანიძე, ლ. ზამბახიძე, ა. ჩხარჩხალია, გ. შალიტაური  
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175,  
თბილისი, გ. ჭავჭავაძის 77)

**რეზიუმე:** აღწერილია კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი მთის ქანების შრეებისგან შედგენილი ფერდოვების მდგრადობის საკითხი იმ შემთხვევისათვის, როცა შრეების დახრა თანხვედრილია ფერდოს დახრასთან და მდგრადობის გამოვლენილი დეფიციტის მნიშვნელობისათვის კონტროლსებიანი საყრდენი კედელი შემოწმებულია მდგრადობაზე.  
**საკვანძო სიტყვები:** კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი გრუბი, ფერდო, მდგრადობა, საყრდენი კედელი, კონტროლს.

### 1. შესავალი

ცნობილია, რომ კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი მთის ქანების შრეებისაგან შექმნილ ფერდოზე მშენებლობისას ფერდოს ამოწმებენ მდგრადობაზე [1] ფორმულით

$$S = n_c N - \frac{1}{K_H} R \leq 0 \quad (1)$$


სადაც:  $N$  და  $R$ -შესაბამისად, განზოგადოებული ქვრის ძალის და ქრის ზღვრული წინააღმდეგობის საანგარიშო მნიშვნელობებია ტ;  $S$  – მდგრადობის მარაგი, ტ.

$K_H$  და  $n_c$ -შესაბამისად, საიმედოობისა და დატვირთვათა შეთაწყობის კოეფიციენტები.

იმ შემთხვევაში, თუ (1) პირობა სრულდება, ფერდოს მდგრადობა უზრუნველყოფილია, წინააღმდეგ შემთხვევაში - საჭიროა სათანადო კონსტრუქციული ღონისძიებების გატარება ფერდოს მდგრადობის გამოვლენილი დეფიციტის აღმოსაფხვრელად.

ზემოაღნიშნული მეტწილად შეეხება ისეთ ფერდოებს, რომლებშიც კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი მთის ქანების შრეების დახრა თანხვედრილია ფერდოს დახრასთან.

ჩვენს მიერ აღწერილი იყო აღნიშნული საკითხი კონკრეტული სამშენებლო მოედნისთვის [2], სადაც ფერდოს ნიშნულების ვარდნა სამშენებლო მოედნის ფარგლებში შეაღგენდა 10-12 მეტრს [ნახ.1] და ფერდოს მდგრადობის დეფიციტმა შეადგინა 11.91 ტ/გრ. მეტრზე.



ნახ. 1 სამშენებლო მოედნის ტოპოგრაფიული გეგმა


« »

ამჯერად გთავაზობთ ზემოაღნიშნული მშენებლობისთვის დაპროექტებული საყრდენი კედლის მდგრადობის შემოწმებას ფერდოს მდგრადობის გამოვლენილ დეფიციტზე.


## 2. მირითადი ნაშილი

ზემოაღნიშნული კონკრეტული მშენებლობის (6 სართულიანი საცხოვრებელი სახლი) საპროექტო დოკუმენტაციის კონსტრუქციული ნაწილის მიხედვით, გათვალისწინებული იყო კონტრფორსებიანი რკინაბეტონის საკონსტრუქციო კედლის მოწყობა (კედლის გეგმა ნახ.2, ხოლო კედლის განშლა - ნახ.3). ფართობი კონტრფორსებს შორის გათვალისწინებული იყო მანქანების სადგომად.

ჩვენს მიერ შემოწმებულ იქნა ფერდოს მდგრადობა და მიცემულ იქნა სათანადო რეკომენდაციები.




### ნახ. 2 საყრდენი კედლის გეგმა




### ნახ. 3 საყრდენი კედლის განშლა

ქვემოთ გთავაზობთ მდგრადობის გამოვლენილ დეფიციტზე, მხოლოდ ერთი განივი პროფილისთვის (ნახ.4) კონტრფორსებიანი საყრდენი კედლის (მისი ელემენტების გეომეტრიული ზომები დავტოვეთ პროექტის შესაბამისად) შემოწმებას მდგრადობაზე.



ნახ. 4 კონტრფორსი

საყრდენი კედლის კონტრფორსების საანგარისო სქემა მოცემულია ნახ.5-ზე.  
 კონტრფორსების ბიჯი – 4.5 ტ.



ნახ.5 კონტრფორსის საანგარიშო სქემა

1. გრუნტის დაწევა კედლის 1 გრძ. მეტრზე  
 $E = 11.91 \text{ ტ}$
2. გრუნტის დაწევა მთლიანად კონტრფორსზე  
 $E = 11.91 \cdot 4.5 = 53.6 \text{ ტ}$

მარაგის გათვალისწინებით ( $K=1.5$ ):

$$E = 53.6 \cdot 1.5 = 80.4 \text{ ტ}$$

3. კონტრფორსის შემოწმება გადაბრუნებაზე:

$$M_{\text{გად}} = 80.4(4.32+3.2) = 604.6 \text{ ტმ};$$

დამჭერი მომენტი წარმოადგენს საყრდენი კედლის, კონტრფორსის, მისი ცოკოლის და საძირკვლის მასების დამჭერი მომენტების ჯამს საძირკვლის გადაბრუნების წერტილის მიმართ.

$$M_{\text{დამ}} = M_{\text{კედ}} + M_{\text{კობ}} + M_{\text{ცობ}} + M_{\text{ხად}}$$

$$M_{\text{კედ}} = (0.4 \cdot 9.68 \cdot 4.5 \cdot 2.5) \cdot (10.18 - 0.2) = 43.6 \cdot 9.98 = 435.1 \text{ ტმ};$$

$$M_{\text{კობ}} = (9.68 \cdot \frac{6+1}{2} \cdot 0.8 \cdot 2.5) \cdot (10.18 - 1.75) = 67.8 \cdot 8.43 = 571.6 \text{ ტმ};$$

$$M_{\text{ცობ}} = (10.18 \cdot 4.27 \cdot 0.8 \cdot 2.5) \cdot \frac{10.18}{2} = 86.9 \cdot 5.09 = 442.3 \text{ ტმ};$$

$$M_{\text{ხად}} = (10.18 \cdot 1.9 \cdot 1.5 \cdot 2.5) \cdot 5.09 = 72.5 \cdot 5.09 = 369 \text{ ტმ}.$$

$$M_{\text{დამ}} = 1818 > M_{\text{გად}} = 604.6 \text{ ტმ}$$

4. შემოწმება ძვრაზე ( მოცურებაზე):

$$Q = 270.8 \text{ ტ}$$

$$T = Q \cdot f = 270.8 \cdot 0.55 = 148.9 > E = 80.4$$

5. ფუძის შემოწმება ძაბვებზე ( გრუნტის  $R = 4 \text{ კგ/ სმ}^2$  )

მომენტების ჯამი საძირკვლის სიმძიმის ცენტრის მიმართ :

$$M_{\text{ჯ}} = M_{\text{გად}} - \Sigma M_{\text{დამ}} = M_{\text{გად}} - M_{\text{კედ}} - M_{\text{კობ}} = 604.6 - 435.1 - 442.3 = 350.8 \text{ ტმ};$$

$$\sigma = \frac{270.8}{1.5 \cdot 10.2} + \frac{350.8 \cdot 6}{1.5 \cdot 10.2^2} = 17.7 \pm 13.5$$

$$\sigma_{\text{გად}} = 31.2 \text{ ტ/მ}^2 = 3.12 \text{ კგ/ სმ}^2 < R = 4 \text{ კგ/ სმ}^2$$

$$\sigma_{\text{დამ}} = 4.2 \text{ ტ/მ}^2 = 0.42 \text{ კგ/ სმ}^2 > 0$$

ე.ო კონტრფორსის მდგრადობა უზრუნველყოფილია.

### 3. დასპენა

კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი მთის ქანებისაგან შედგენილი ფერდოების მდგრადობა, როცა შრეების დახრა თანხევდრილია ფერდოს დახრასთან, ყოველთვის უზრუნველყოფილი არ არის და საჭიროა საყრდენი კედლის დაპროექტება ფერდოს მდგრადობის დეფიციტის გათვალისწინებით.

### ლიტერატურა

1. Рекомендации по расчету устойчивости скальных откосов, М., 1986, с. 50
2. შ. ბაქანიძე, ლ. ზამბანიძე გ. შალიტაური. კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი მთის ქანების შრეებისაგან შედგენილი ფერდოების მდგრადობა. “მშენებლობა”, № 3 (42), 2016, გვ. 5

## ვერდოგის გამაბრების აუცილებლობის და მიზანდასახულობის გეოლოგიური ფაქტორები

ნ. არეშიძე, გ. არეშიძე, თ. გიორგიშვილი

(მშენებლობის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
საქართველო, თბილისი, კოსტავას 77).

**რეზიუმე:** ვერდოგების და კარიერის ბორტების მთის ქანების ფენების განლაგების მიხევით დადგენილია ფერდოს პორიზონტებისადმი დახრის სიბრტყესა და ფენებს შორის იმ კუთხის მნიშვნელობა, როცა მოსალოდნელია ფერდოების ჩამოშვავება. აგრეთვე დადგენილია ფენების კონტაქტებს შორის ძვრის კუთხე. მოყვანილია ფერდოს მოცემული სიმაღლის შემთხვევაში ფენების ჩამოცვენის დახრის კუთხის მნიშვნელობა, რომლის დროსაც დასაშვებია კუთხე ბორტის მიმდებარე ფენების დახრილობისათვის. გაუმაგრებელი ფერდოების მდგრადობის პირობებით მიღებულია ბორტის ხაერთო დახრის კუთხე. განხილულია ფერდოების კალთებზე და მის ხიახლოვებს დეფორმაციის გამომწვევი გეოლოგიური და პიდროგეოლოგიური ფაქტორები. აღწერილია ფერდოების გამაგრების აუცილებლობის და მიზანდასახულობის გეოლოგიური ფაქტორები.

**საკვანძო სიტყვები:** მთის ქანები, ფერდო, ბორტი, მდგრადობა, შეჭიდულობა, ჩამოშვავება.

### 1. შესაბამი

მეწყვერსაშიში ფერდოს, კარიერის ბორტების (ქიმების) მდგრადობის შეფასებისა და პორიზონტისადმი მათი დახრის დასაშვები კუთხის განსაზღვრისას განასხვავებენ ფერდოების ან მისი მიმდებარე მიდამოს ნაკევეთების და ცალკეული კალთების ან ბორტების ცალკეული მონაკვეთების საერთო მდგრადობას. ფერდოს დახრის კუთხე და საერთო მდგრადობა განისაზღვრება: მოცემული ნაკვთის ინუინრულ-გეოლოგიური გაკვეთით; ქანების ლითოლოგიური შემადგენლობით, მისი სიმტკიცის მახასიათებლებით; ბზარიანობის საერთო ინტენსიობით; მოცემული ბორტის ან კალთის ტექტონიკური რღვევით, რომელიც ბორტის სიახლოვეს ვრცელდება; ფერდოების შემადგენელი ქანების გამოფიტვისკენ მიდრეკილებით; მასალით, რომლითაც შეივსება ტექტონიკური რღვევის შედეგად წარმოქმნილი ღრმულები; ფერდოს ფენილობის ან ფიქალურობის გავრცელების ორიენტაციით; ფერდოს კალთებიდან წყლის გამოდევნით გამოწვეული ფილტრაციული დეფორმაციით; დაცურების ზედაპირზე გავრცელებული პიდროსტატიკური დაწნევით და სხვ.

### 2. მირითადი ნაშილი

ფერდოების ან მთის კალთების ხელოვნური გამაგრება მისაღებია იმ შემთხვევებში, როდესაც გაუმაგრებელი ფერდოების მდგრადობის პირობებით მიღებული ბორტის საერთო დახრის კუთხე ბორტების დახრის კუთხეზე დამრეცი აღმოჩნდება. დახრის კუთხის მნიშვნელობა გამოითვლება შემდეგი ფორმულით [1;2]:

$$r = \arctg \frac{\sum h_i}{\sum a_i + \sum h_{ctg u}}. \quad (1)$$

სადაც:  $h_i$  - არის ფერდოს კალთის სიმაღლე;  $r$  - ქანობის გამონაშვერი ბორტის დახრის კუთხე;  $a_i$  - ბორტის სიმაღლე.

ფერდოს და ბორტების ხელოვნური გამაგრება აუცილებელია ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამის მოკლე მონაკვეთებზე ფერდოების კალთებს

გააჩნიათ არასაკმარისი მდგრადობა, თუმცა ეს არსებითად არ მოქმედებს ბორტის დახრის საერთო კუთხეზე. განვიხილოთ ფერდოების კალთებზე და მიმდებარე არების დეფორმაციის გამომწვევი გეოლოგიური და პიდროგეოლოგიური ფაქტორები.

მეტამორფული მთის ქანების ფიქალურობა ფერდოების კალთების ჩამოშვავებას იწვევს იმ შემთხვევებში, როდესაც ფიქალური სიბრტყეები ფერდოების თავისუფალ სიბრყის მხარეს დახრილი არიან  $25^{\circ}$ -ზე მეტი კუთხით. ფიქალური სიბრტყეების ფერდოს კალთების გავრცელების მიმართ დიაგონალურად დაცემის შემთხვევაში ფერდოების კალთების ჩამოშვავება შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევებში, როდესაც ფიქალური სიბრტყეები ფერდოების თავისუფალი სიბრტყის მხარეს ეცემიან  $30^{\circ}$ -იან და მეტი დახრის კუთხით. თუ ფერდოს კალთების დაცემის კუთხე, მეტია ფიქალური სიბრტყეების დაცემის კუთხეზე, მაშინ ფერდოს მდგრადობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია შესრულდეს ფერდოს გამაგრებითი ღონისძიებები.

ფერდობის მდგრადობაზე ჩაჯდომადი მთის ქანების ფენილობა ისეთივე უარყოფით გავლენას ახდენს, როგორც მეტაფორული ქანების ფიქალურობა. იმ შემთხვევებში, როდესაც ფერდოს თავისუფალ ზედაპირის მხარეს ფენების დახრის კუთხე გადააჭარბებს ქანების ფენებს შორის შიგა ხახუნის კუთხეს, მაშინ შესაძლებელია მოხდეს კალთის ჩამოშვავება. სუსტად დაკავშირებულ ფენებს შორის შეჭიდულობა არ აღმატება  $2-5$  ტმ/მ<sup>2</sup>-ს, ამასთან აფეთქებითი სამუშაოების ზემოქმედებამ, აგრეთვე დროს რადაც შუალედში ქანების გაჯირჯვებამ და გამოფიტვამ შესაძლოა უფრო დააჩქაროს ფერდოს ჩამოშვავების პროცესი. ამიტომ ფერდობის მდგრადობაზე გაანგარიშების დროს ფენებს შორის ურთიერთ შეწიდულობის გათვალისწინება საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დიდი ხნის განმავლობაში შევძლებო მის მდგრად მდგომარეობაში შენარჩუნებას.

ტექტონიკური რდვევა ფერდოების კალთების მდგრადობაზე ზეგავლენას ახდენს იმ შემთხვევებში, როდესაც მათ მიმართულებასა და ფერდოს დახრილობის მიმართულებას შორის კუთხე  $45^{\circ}$ -ზე ნაკლებია და როდესაც ტექტონიკური რდვევის კუთხე აკმაყოფილებს პირობას [2]:


$$S > \arctg \frac{tg \dots}{\cos \alpha}, \quad (2)$$

სადაც: ' არის ტექტონიკური რდვევის დროს ქანების შიგა ხახუნის კუთხე;


- გამოფიტული ფერდოს ზედაპირის წრფესა და რდვევის წრფეს შორის კუთხე.

ფერდოს კალთის ამგვარი განლაგების დროს იქმნება ტექტონიკური რდვევით ჩაჭრილი ბლოკების ჩამოშვავების შესაძლებლობა (ნახ.1). გარდა ამისა, ტექნიკურ რდვევის ზონაში ქანები აღმოჩნდებიან დაქუცმაცებულ მდგომარეობაში, ხოლო 50-70 მეტრის სიღრმეზე გამოფიტვის პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს ფერდოების მთლიანი დეზინტეგრაცია. ორი ტექტონიკური რდვევის მონაკვეთის გადაკვეთისას ფერდოების დაქუცმაცების ზონა საგრძნობლად ფართოვდება.

ურთიერთ და ფერდოს ზედაპირთან გადამკვეთი დიდი მანძილზე გაჭიმული გრძივი ან დიაგონალური ტექტონიკური ბზარები ხშირად წარმოადგენენ ფერდოების კალთების ჩამოშლის და კალთის ბერმების უწყვეტობის მოშლის მიზეზს (ნახ.2). ფერდოების კალთებზე ქანების გამოფიტვა დროთა განმავლობაში წარმოადგენს დაბზარული კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი ქანებით შემდგარი ფერდოების და ასევე გამოწვეულ ფხვიერ ქანების ნალექებით ჩამოცვენის და გამობურცვის ძირითად მიზეზს.



ნახ. 1. ფენილობით ან ფიქალურობით ან დიაგონალურად განლაგებული ტექტონიკური რდევებით ჩატრილი შესაძლო ჩამოშვავებული ბლოკის მოხაზულობა



ნახ. 2. კალთების ჩამოშლა ტექტონიკური ბზარებით:  
ა - ჩვეულებრივი გავრცელებით; δ - დიაგონალური გავრცელებით

სრულად დაქუცმაცებული ქანების ჩამოცვენა წარმოიშვება (როდესაც ნაწილაკი ხახუნის ძალით ფერდოს ზედაპირზე თავს ვერ იმაგრებს) იმ შემთხვევაში, როცა ფერდოს ბუნებრივი დახრის კუთხეზე მეტი კუთხითაა დახრილი ფერდოს კალთები. დროთა განმავლობაში ფერდოს ჩამოშვავება ან მისი ცალკეული ნაწილების ჩამოცვენის პროცესი იწვევს კალთების ზედაპირზე ჩამონაცვენის დაგროვებას და დაუშვებლად დიდი სიმაღლის ნაყარის წარმოქმნას, რაც იწვევს ბორტების გაწმენდის და საპროექტო სიგანის ან გრუნტის დაყრით ნაწილობრივი დამუშავების შემდეგ თანდათანობით გაფართოების აუცილებლობას. ფერდოს ჩამოშლა ასევე იწვევს სატრანსპორტო ბორტების დარღვევას, რაც იწვევს მის გაფართოების აუცილებლობას ზედა ქანობის შემცირების და სატრანსპორტო მაგისტრალის გადაწყობის ხარჯზე.

ფერდოების კალთების ჩამოცვენის სიჩქარე პირდაპირ დამოკიდებულია ქანობების გარე ბაქნების დახრის კუთხეებზე და გამოითვლება შემდეგი ფორმულით [3;4]:

$$v = v_0 \cos \gamma (\operatorname{tg} \gamma - \operatorname{tg} \dots), \quad (3)$$

სადაც  $v$  არის ფერდოს გარე ბაქნის პორიზონტისადმი დახრის კუთხე;

- სრულად დაქუცმაცებული ქანების ბუნებრივი ქანობის კუთხე.

(3) ფორმულის გამოყენებით შესაძლებელია 1 დახრის კუთხის მქონე ფერდოს ჩამონაცვენის სიჩქარის მიხედვით 2 კუთხის გადახრის კუთხით ფერდოს ჩამოცვენის სიჩქარეების განსაზღვრა.

ფერდოების კალთებზე ქანების გამოფიტვა დამოკიდებულია ქანების ლითოლოგიურ შემადგენლობაზე, ინტენსივობასა და ბზარიანობის ხასიათზე, რაიონის კლიმატურ პირობებზე და სინათლის მიმართ ფერდოს სივრცით განლაგებაზე [5].

### 3. დასპენა

კალთებზე ქანების გამოფიტვა დამოკიდებულია ქანების ლითოლოგიურ შემადგენლობაზე, ინტენსოვობასა და ბზარიანობის ხასიათზე, რაიონის კლიმატურ პირობებზე და ფერდოს სინათლის მიმართ სივრცით განლაგებაზე. უფრო ინტენსიურად გამოიფიტებიან სილა-თიხოვანი და თიხოვანი ქანები-თიხები, არგილიტები, არგვლორიტები, მერგალური თიხები, მერგელები.

ამოფრქვეულ და მეტამორფულ ქანებს შორის უფრო ინტენსიურად გამოიფიტებიან მყიფე კვარცშემცველი ქანები - დიაბაზები, განმეორებადი კვარცები და სხვა. ფერდოების კალთებში ჩამონაცვენის გამომწვევი ქანების გამოფიტვის პროცესები შეიძლება შევჩეროთ დამცავი საფარით. ელუვიალურ და დელუვიალურ დანალექების ჩამოშვავება კარიერებთან მიერთებულ დახრილ კლდოვან სიბრტყებზე, თუ მათი სრული მოშორება დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან, მიზანშეწონილია მათი წარმოშობის აღგილზე გამაგრებითი ფერდოს შემდგარი დეფორმაციების შევაჩეროთ.

კარიერულ ველთან მიერთებულ ბუნებრივ ( $15^{\circ}$ -მდე) დახრილ სიბრტყეებზე ელუვიალურ და დელუვიალურ დანალექების ძირეული ქანების კონტაქტები ხშირად ფერდოს მასივის დაცურების ზედაპირებს წარმოადგენს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გამოფიტული ქანების ძირეულ ქანების დახრილ სიბრტყეებზე გადაადგილების შედეგად წარმოიქმნება. დაცურების ასეთ ზედაპირებზე შეჭიდულობის სიდიდე არ აჭარბებს  $2 \text{ ტ/მ}^2$ -ს, ხოლო შიგა ხახუნის კუთხე  $10^{\circ}$ -ს. ქანების ნარჩენებით ასეთი დახრილ სიბრტყეებში უმცირესი შეჭრაც კი იწვევს მისი დეფორმაციის გააქტიურებას. მთის ქანების ჩამონაცვენი მასის მოცულობა შეიძლება იყოს საკმაოდ დიდი. ასეთი მასივების გამაგრება სპეციალური კონტრფორსებით შესაძლებელი და ეკონომიურად მიზანშეწონილია. კონტრფორსები უნდა მოეწყოს ფილტრადი აღგილობრივ სადრენაჟო მასალებით - სილით და მთის ქანების დორდით. რაც ასეთ ფერდოებში დეფორმაციის თავიდან ასაცილებლად ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.

### ლიტერატურა

1. კვიციანი ტ. ფერდოს მდგრადობა და ზვავისებრი ნაკადები. გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“. 2000. 140 გვ.
2. Цытович. Механика грунтов. Изд. Высшая Школа. М., 1993. 286с.
3. Арсентьев А.И. Букин И.Ю. Мироненко В.А. Устойчивость бортов и осушение карьеров. М., Недра. 1992, 164 с.
4. Хуан Я.Х. Устойчивость земляных откосов. М., Стойиздат. 1998, 236 с.
5. ინტენსიურ საიტების მონაცემები.

„რელსი-თვალი“ სისტემის დინამიკური ურთიერთობების  
ანალიზი საქართველოს რკინიბზის მაბალითზე მათარებელთა  
მოძრაობის უსაფრთხოების ამაღლების ღონისძიების  
შემუშავებისთვის

გ. მოისწრაფიშვილი, ა. კორელი  
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175,  
თბილისი, მ. კოსტავას 77)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია „რელსი-თვალი“ სისტემის დინამიკური ურთიერთობების ანალიზი საქართველოს რკინიბზის მაგალითზე მაგალითზე მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების ამაღლების ღონისძიების შემუშავებისთვის.

დასაბუთებულია რკინიბზის ტრანსპორტზე „რელსი-თვალი“ სისტემის დინამიკური ურთიერთობების საკითხის კვლევის აქტუალობა საქართველოს რკინიბზაზე არსებული შემთხვევების სტატისტიკურ ანალიზზე დაყრდნობით. განსაზღვრულია „რელსი-თვალი“ სისტემის ქვესისტემები და თითოეულის ქვესისტემის შემადგენელი კომპონენტის განხილვა ასპექტპოპლემების ჭრილში, რომლებიც წარმოდგენილია 4 პრობლემის გადაწყვეტისთვის: განივი დატვირთვების შემცირება; კერტიკალური დატვირთვების შემცირება; კონტაქტური ძაბვების შემცირება; მოძრავი შემადგენლობის დინამიკის გაუმჯობესება.

სტატიაში ჩამოყალიბებულია „მოძრავი შემადგენლობა-ლიანდაგის“ სისტემის ურთიერთობების გაუმჯობესების გზები და განსაზღვრულია პირველი რიგის გადასაწყვეტი საკვანძო საკითხები.

**საკვანძო სიტყვები:** „რელსი-თვალი“ სისტემა; განივი დატვირთვების შემცირება; კერტიკალური დატვირთვების შემცირება; კონტაქტური ძაბვების შემცირება; მოძრავი შემადგენლობის დინამიკის გაუმჯობესება.

## 1. შესაგალი

საქართველოს რკინიბზისთვის სისტემის „რელსი-თვალი“ დინამიკური ურთიერთობების საკითხების შესწავლას გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია როგორც მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების, ასევე რკინიბზის მუშაობის ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, რაც გამოიხატება მატერიალური რესურსების ხარჯვის შემცირებაში. ამ სისტემის გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული მოძრავი შემადგენლობის ლიანდაგიდან აცდენის შემთხვევების არიდება. მატარებლების რელსებიდან გადასვლა სარკინიგზო კომპანიისთვის დიდი ოდენობით ზიანის მიერნების თვალსაზრისით შემთხვევათა ყველაზე მაღალ რისკს წარმოადგენს.

აგრეთვე, აღნიშნული სისტემის შემადგენელ ნაწილები ერთმანეთზე ურთიერთობების გამო ხასიათდებიან მაღალი ცვეთით, რაც თავისთავად იწვევს ამ კომპონენტებზე საექსპლუატაციო-საოპერაციო დანახარჯების ზრდას. საქართველოს რკინიბზის ტექნიკური მდგომარეობის გამართულობის შენარჩუნების მიზნით რელსების და თვლების განახლებაზე მოსული ყოველწლიური ხარჯები ჯამურ საექსპლუატაციო ხარჯების 30-40%-ს შეადგენს, რაც საშუალოდ ათეულ მილიონამდე ლარს აღწევს.

„რელსი-თვალი“ სისტემის დინამიკური ურთიერთობის კრიტერიუმების შესწავლა და დახვეწა, შესაბამისი პრაქტიკული რეალმენდაციების შემუშავება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს რკინიბზის მუშაობის პარამეტრებს და შესაბამისად,

მისი გამოვლენის მიზნით მოითხოვს საქართველოს რკინიგზაზე არსებული მდგრმარეობის კვლევას და კვლევით მიღებული შედეგების გაანალიზებას.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია: რკინიგზის ტრანსპორტზე „რელსი-თვალი“ სისტემის დინამიური ურთიერთქმედების საკითხის კვლევის აქტუალობა საქართველოს რკინიგზაზე არსებული შემთხვევების სტატისტიკურ ანალიზზე დაყრდნობით, „რელსი-თვალი“ სისტემის ქვესისტემების აღწერილობა და პრობლემის გადასაწყვეტილი რიგის საკვანძო საკითხები.


რკინიგზის ტრანსპორტზე რელსი-თვალის სისტემის დინამიური ურთიერთქმედების საკითხის კვლევის აქტუალობა საქართველოს რკინიგზაზე არსებული შემთხვევების სტატისტიკურ ანალიზზე დაყრდნობით „რელსი-თვალი“ სისტემის დინამიკური ურთიერთქმედების საკითხის კვლევის აქტუალობის მიზნით შესწავლილი იქნა საქართველოს რკინიგზაზე ბოლო 5 წლის განმავლობაში ტექნიკური შეფერხებების და საექსპლუატაციო წუნების რაოდენობები და არსებული მიზეზები რამაც ისინი გამოიწვია.

2010 წლიდან 2016 წლამდე პერიოდში რკინიგზაზე დაშვებული წუნების ოდენობამ შეადგინა 1700 ერთეული. ამ უკანასკნელთაგან მოძრავი შემადგენლობის ლიანდაგიდან აცდენის და მისი გაუმართაობიდან მოსული წუნების რაოდენობამ შეადგინა 618 ერთეული (იხ. ცხრილები 1,2 და ნახაზები 1,2).

**საქართველოს რკინიგზაზე ბოლო 5 წლის განმავლობაში შემთხვევათა სტატისტიკა წუნების რაოდენობებისა და გამომწვევიმიზების მითითებით**

ცხრილი 1

მონაცემები 2010-2016 წლებში							
პერიოდი	2016	2015	2014	2013	2012	2011	2010
სულ წუნი	99	172	191	273	286	368	311
მშლიანდაგიდანაცდენადამო.შემადგ.დაზ.	38	55	74	110	105	126	110




ნახ. 1. საქართველოს რკინიგზაზე ბოლო 5 წლის განმავლობაში ტექნიკური შეფერხებების და საექსპლუატაციო წუნები

საქართველოს რკინიგზაზე ბოლო 5 წლის განმავლობაში ტექნიკური შეფერხებების და საექსპლუატაციო წუნების რაოდენობებში თვლის რელსიდან აცდენისა და მოძრავი შემადგენლობის დაზიანების მიზეზით

ცხრილი 2

სულ წუნები (2010-2016)	1700
მშლი ან დაგიდანაცდენა და მოძ. შემადგ. დაზ.	618
დანარჩენი წუნები	1082




ნახ. 2 . საქართველოს რკინიგზაზე ბოლო 5 წლის განმავლობაში ტექნიკური შეფერხებების და საექსპლუატაციო წუნების სტატისტიკა

როგორც ცხრილებიდან (ცხრილები 1 და 2) ჩანს მოძრავი შემადგენლობის ლიანდაგიდან აცდენის და მისი გაუმართაობიდან გამომდინარე წუნების ოდენობამ შეადგინა სრული წუნების ოდენობის 36 %, რაც წარმოადგენს საგანგაშო მაჩვენებელს და თავისთავად უკავშირდება „რელსი-თვალი“ ურთიერთქმედების სისტემის დინამიკის დარღვევებებს. აღნიშნულ ციფრებზე დაყრდნობით შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ „რელსი-თვალის“ ურთიერთქმედების სისტემის გაომჯობესების საკითხების კალევა წარმოადგენს აქტუალურ საკითხს რკინიგზის ტრანსპორტზე მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების და საექსპლუატაციო ხარჯების შემცირების მიზნით.

ჩვენს მიერ შემუშავებულია სქემა, „რელსი-თვალი“ ურთიერთქმედების სისტემის დინამიკის გაუმჯობესებისათვის და შესაბამისად, მისი კრიტერიუმების განსაზღვრისათვის. სქემას აქვს პირამიდული სახე, თითოეული ელემენტისთვის განსახილველი პირობის მითითებით, რაც საბოლოო ჯამში შექმნის მრავალ კრიტერიუმს და საერთო შედეგის მისაღებად საჭირო გახდება მულტიკრიტერიული ანალიზის გაკეთება.

აღნიშნული ანალიზი მოცულობითია და იმისათვის, რომ საბოლოოდ მიღებული იქნას რეალური საინინრო დონისძიებების ნუსხა, საჭიროა შესწავლილი იქნას თითოეული მათგანი და განსაზღვრული იქნას მათი გავლენის ხარისხი სისტემის შემადგენელი ელემენტების გაუმჯობესებული ურთიერთქმედებისთვის (ნახაზი 3).



ნახაზი 3. რელსი-თვალის სისტემის დინამიკაში ურთიერთქმედების გაუმჯობესების კრიტერიუმები მისი შემადგენელი ქვესისტემებიდან გამომდინარე

შემდეგი სქემაზე გამოსახულება (ნახაზი 4) ასახავს მოძრავი შემადგენლობა-ლიანდაგის ურთიერთქმედების გაუმჯობესების გზების დასახვისთვის განსახილველ

საინჟინრო დონისძიებებს, რომლებიც უნდა მიესადაგოს ზემოთ კრიტიკული და მათი განხილვა უნდა მოხდეს მისი გათვალისწინებით



ნახ. 4. მოძრავი შემადგენლობა—ლიანდაგის ურთიერთქმედების გაუმჯობესების გზები

თვითონეულ ამ ასპექტში სარკინიგზო ხაზისთვის ხელმისაწვდომი ტექნიკური ნოვაციების დანერგვა გამოიწვევს კონტაქტის ენერგეტიკული სურათის შეცვლას სხვადასხვა ხარისხით, შესაბამისად საკონტაქტო ზედაპირების ცვეთის შემცირებას. ცხრილში 3 ნაჩვენებია თუ როგორ აისახება ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვა განსახილველ პრობლემის ერთ, ან რამოდენიმე ასპექტზე.

მოძრავი შემადგენლობისა და ლიანდაგის ურთიერთქმედების გასაუმჯობესებლად სხვადასხვა ტექნიკური გადაწყვეტილებების მნიშვნელობები

ცხრილი 3

ტექნიკური გადაწყვეტები	ასპექტპრობლემები			
	განივი დატვირთვების შემცირება	გერტიკალური დატვირთვების შემცირება	კონტაქტური ძაბვების შემცირება	მოძრავი შემადგენლობის დინამიკის გაუმჯობესება
რესორსული შეკიდვის გაუმჯობესება	+		+	
რელსის და თვლების გაპოხვა	+		+	+
სატაბიკე კვანძის გაპოხვა	+		+	
რელსის პროფილის ოპტიმიზაცია	+		+	+
თვლების პროფილის ოპტიმიზაცია			+	+
მოძრავი შემადგენლობისა და რელსის ურთიერთქმედების მონიტორინგი	+	+		+
ლიანდაგის გეომეტრიული პროფილის გაუმჯობესება	+	+	+	+
ურიკების მდგრადი მოწყვეტილების გაუმჯობესება	+	+		+

როგორც სისტემის შემადგენელი ქვესისტემებიდან ჩანს „რელსი-თვალის“ ურთიერთქმედების სისტემის გაუმჯობესების მიზნით შესასწავლი საკითხები დაკავშირებულია ქვესისტემის ელემენტების გამართულ მუშაობასთან და მათი მუშაობის ეფექტურობის გაზრდასთან. კერძოდ ქვესისტემის შემადგენელი ელემენტებიდან საკვლევი საკითხებს წარმოადგენს მოძრავი შემადგენლობის და ინფრასტრუქტურის ურთიერთქმედების გაუმჯობესება დინამიკაში რელსებზე მოქმედი ძალების და თვალზე ხახუნის ძალების შემცირების მიზნით. ამავდროულად ვითვალისწინებთ დაშვებას, რომ მართვის რეჟიმების დარღვევის ფაქტორები იქნება უგულგებელყოფილი, ვინაიდან ეს უკანასკნელი მეტწილად ადამიანურ ფაქტორებზეა დამოკიდებული და არა ტექნიკურ აღჭურვილობაზე.

### 3. დასპგნა

საერთო ჯამში შეიძლება დავასკვნათ, რომ „რელსი-თვალის“ ურთიერთქმედების სისტემის გაომჯობესების საკითხების კვლევა წარმოადგენს აქტუალურ საკითხს რეინიგზის ტრანსპორტზე მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების და საექსპლუატაციო ხარჯების შემცირების მიზნით და მისი განხილვის საფუძველი უნდა იყოს სისტემის თითოეული ელემენტისთვის განსაზღვრული კომპონენტის განხილვა ასპექტპრობლემების ჭრილში, რომლებსაც დაეფუძნება საინჟინრო დონისძიებები 4 ძირითადი პრობლემის გადაწყვეტისთვის: განივი დატვირთვების შემცირება; გერტიკალური დატვირთვების შემცირება; კონტაქტური ძაბვების შემცირება; მოძრავი შემადგენლობის დინამიკის გაუმჯობესება.

### ლიტერატურა

1. მ. მოისწრაფიშვილი, რ. გაჩეჩილაძე. სისტემა „რელსი-თვალი“-ს პრობლემები სალიანდაგო მეურნეობის თვალსაზრისით. ინტელექტი. 2007წ. №1(27), გვ. 16-22
2. გ. შარაშენიძე, ე. მოისწრაფიშვილი, ს. შარაშენიძე. ლიანდაგისა და მოძრავი შემადგენლობი სურთიერთქმედება. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2008. 245 გვ.
3. . . . //  
. 2001. 5. . 71...74.

ტურიზმის განვითარების პროცესთან დაკავშირდები კულტურული  
მემკვიდრეობის სტატუსის მშობე დასახლებებში (უშგულის თმის  
მაგალითზე)

შ. გელაშვილი, თ. ჩიგოგიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, 0175 თბილისი  
საქართველო)

**რეზიუმე:** ნაშრომში განხილულია ზემო სვანეთის, უშგულის თემის ეთნო-კულტურისა და ბუნებრივი ლანდშაფტის შენარჩუნების მიზნით და ტურიზმის განვითარების პერსპექტივით ქმედითი ნაბიჯების აუცილებლობა, რომელიც გამოიხატება ძეგლების ადაპტაცია, რესტავრაციაში, მიწათსარგებლობის ხაკითხების კველვასა და რეგულირების გეგმების დამუშავებაში.

**საკვანძო სიტყვები:** ტურიზმი, კულტურული მემკიდრეობა, ზემო სვანეთი, უშგულის თემი.

## 1. შესაბამისობა

სვანეთი მაღალმთიანი საქართველოს ულამაზესი კუთხეა, განთავსებული კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობზე. ისტორიული და ბუნებრივი პირობების წყალობით იგი საუკუნეთა მანძილზე იზოლირებული იყო უამრავი გამანადგურებელი ისტორიული მოვლენისაგან, რომელიც მეზობელ რეგიონებში მიმდინარეობდა, თუმცა მუდმივი მოზიარე - მონაწილე იყო ქვეყანაში მიმდინარე ცხოვრებისა და პროცესებისა. შეა საუკუნეების სვანეთის არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების ძეგლები და არქეოლოგიური მასალა მკაფიოდ მეტყველებს სვანი ხალხის მდიდარ კულტურულ წარსულზე.

ზემო სვანეთის განუმეორებელი ლანდშაფტი, არქიტექტურისა და პეიზაჟის ერთიანობა ქმნის იმ მომხიბლავ, განსაკუთრებულ სურათს, რომლითაც ეს მხარე საგრძნობლად გამოიჩინა. ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონებისაგან.

ინტერესი სვანეთის უმდიდრესი წარსულის მიმართ საუკუნეების მანძილზე გრძელდება. მისი არქიტექტურის, ხელოვნების მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობა დიდად სცილდება საქართველოს ფარგლებს და მსოფლიო მნიშვნელობას იძენს.

2014 წელს საქართველოს მთავრობის ინიციატივით, დაიწყო კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის პროგრამა, რაც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ოთხი ძეგლის, კერძოდ - ხევსურეთში სოფ. მუცოს, თუშეთში სოფ. დართლოს, მესხეთში კლდეში ნაკვეთი კომპლექსის - ვარძიისა და ასევე ზემო სვანეთში სოფელ ჩაუაშის კონსერვაცია-რეაბილიტაციის მასშტაბური პროექტის განხორციელებას.

## 2. მიზანი ნაწილი

ისტორიულად ზემო სვანეთის უშგულის თემი შედგება ოთხი სოფლისაგან: ჩაუაში, ჟიბიანი, ჩვიბიანი და მურყმელი, რომელთა შორის თავისი უნიკალურობით და ავთენტურობით გამორჩეულია სოფელი ჩაუაში, რომელიც ასევე დაცულია იუნესკოს მიერ. მთავრობის მიერ წარმოდგენილი კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის პროგრამა მეტად მნიშვნელოვანი და უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია ჩვენი საგანძურის მოვლა-შენახვის საქმეში. თუმცა, მხოლოდ საკონსერვაციო ღონისძიებები არ იქნება საკმარისი ამ სოფლის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის, სამომავლო განვითარებისა და აღორძინება-განახლებისათვის. გასათვალისწინებელი და მნიშვნელოვანია, რომ სოფ. ჩაუაშის, როგორც არქიტექტურული კომპლექსის, გამორჩეულ და უნიკალურ დირექტულებათა დაცვის ღონისძიებები პრინციპულად არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს აღგილობრივი თემის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს.

ჩაუაშის კომპლექსი ტერიტორიის სიმცირის გამო მჭიდროდ დასახლებულ, განაშენიანებულ, ერთმანეთთან მიჯრილ ნაგებობათა ჯგუფს წარმოადგენს. ცხოვრების

მძიმე პირობების გამო ადგილობრივი მოსახლეობა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, მშობლიურ მხარეს სულ უფრო ინტენსიურად ტოვებს. ამას ცხადებულის, როგორც ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტის (ICOMOS საქართველო) 1999 წლის აგვისტოში, ისე ჩვენს მიერ 2016 წელს ჩატარებული სოცილოგიური კვლევა. სოფელ ჩაუშში მცხოვრებთა რაოდენობა 3-ჯერ შემცირდა XIX საუკუნის მონაცემებთან შედარებით.

სვანეთში ტრადიციულად მოსახლეობა მეცხოველეობა-მიწათმოქმედების საქმიანობას მისდევს. როგორც ICOMOS-ი კვლევაში აღნიშნავს, მოსახლეობის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს საქართველოს რეგიონებში, იმერეთში, კერძოდ ქუთაისში, მეცხოველეობით მოპოვებული პროდუქტების რეალიზაცია. შესაბამისად, მოსახლეობის საქმიანობა საქონლის მოვლა-პატრონობაზეა მიმართული. ხოლო ტურისტული ბიზნესი, რომელიც ადრეულ მომავლის პერსპექტივად ესახებოდათ, ახლა სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს. ოჯახები, რომლებიც ტურისტებს მასპინძლობენ, ცდილობენ ელემენტარული საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, რათა უფრო მიმზიდველი გახადონ სტუმრებისთვის სახლის გარემო (აწყობენ საბაზანოს წყლის გამაცხელებელი მოწყობილობებით, სახლის შიგნით ამონტაჟებენ ტუალეტს და ა.შ). სოფ. ჩაუშში მოსახლეობასაც გააჩნია სურვილი უმასპინძლოს ტურისტებს, რადგანაც თვალნათლივ ხედავს, მეზობელი სოფლების მაგალითზე, ამ საქმიანობის სარგებლიანობას და მიიჩნევს ტურისტულ ბიზნესს სამომავლო სავარაუდო შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ. მოსახლეობა ტურისტებს სთავაზობს შემდეგი სახის სერვისებს: სასტუმროსა და საოჯახო ტიპის სასტუმროს გაქირავებას, კვებას, გიდობას, მძღოლობას, ცხენების გაქირავებას, საფეხმავლო მარშრუტებში გაყოლას და სხვა. მაგრამ მოსახლეობა არსებული საცხოვრებელი ფონდით ვერ აკმაყოფილებს ტურისტების მზარდ ნაკადს. შესაბამისად მათი სურვილი საცხოვრებელი ფართის გაფართოებასთან დაკავშირებით რეალობად იქცა. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, სოფლის მოსახლეობამ თვითხელურად დაიწყო, საკუთარ სახლებზე სხვადასხვა დანიშნულების სათავსების მიშენება-დაშენება. ამასთან, ეს პროცესები უმეტეს შემთხვევაში სპონსორურად და არაკალიფიციურად ხორციელდება, რაც მნიშვნელოვნად უცვლის სახეს ძეგლს და სერიოზულ საფრთხეს უქმნის მის ავთენტურობას. აღნიშნულ პრობლემას მასშტაბური სასიათი მიეცა.

მსგავს პრეცენდენტს ადგილი პქონდა ქ. მცხეთაში, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ქადაქს, სადაც ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაში უკანონოდ დაწყებული პოლიციის, საქპატენტის და იუსტიციის სახლის მშენებლობა, 2012 წლის სექტემბერში სამთავრობო განკარგულებით დაკანონდა. დოკუმენტის მიხედვით ტერიტორიას, რომელიც არასოდეს ყოფილა განაშენიანებული, ახლა რეგულირებადი ზონის სტატუსი მიენიჭა. შედეგად 2009 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 33-ე სესიის გადაწყვეტილებით მცხეთის ისტორიული ძეგლები ძირითადი ნუსხიდან გადატანილი იქნა საფრთხეში მყოფ ძეგლთა ნუსხაში.

1970 წლიდან სოფელი ჩაუში დაცულია როგორც უშგული-ჩაუშის მუზეუმ-ნაკრძალი. საბჭოთა პერიოდში განსაზღვრული იყო ასევე მკაცრი დაცვითი ზონები. ბოლო ოცწლეულში, კულტურული მემკვიდრეობის კანონმდებლობის არაერთგზის ცვლილებების გამო, დაცული ლანდშაფტის საზღვრები შეიცვალა. დღეს, როგორც უმავისობრივი მემკვიდრეობის ძეგლის გარშემო 1 კმ. რადიუსსა და ეროვნული ძეგლების გარშემო 500 მ. რადიუსში მდებარე ტერიტორიას. სამართლებრივად ეს ზონა დაცულ ბუფერულ ზონას წარმოადგენს, სადაც მკაცრადა შეზღუდული განვითარებითი საქმიანობა. აქ არსებული ცალკეული არქიტექტურული ობიექტები და უშგულის თემის სოფლები კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონით დაცულია როგორც ეროვნული ძეგლები.

მიუხედავად ზემო სენატებულისა, ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ მკაცრი დაცვითი ზონის ფარგლებში მიმდინარეობს სტიქიური განაშენიანება, კერძოდ გაჩნდა სოფელი ლამჯურიში, რომელიც პირველად 2014 წლის საყოველთაო აღწერაში

ფიქსირდება. აღწერის მიხედვით სოფელში 48 კაცია, ასევე მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის და ტურიზმის აღმინისტრაციის მიერ გამოშვებულ ცნობარში აქ მითითებულია ოთხი საოჯახო ტიპის სასტუმრო. სოფელ ლამჯურიშის არსებობას გვამცნობს უშგულის ცენტრში არსებული საინფორმაციო აბრა, საიდანაც ჩანს რომ უშგულის თემი შედგება ხუთი სოფლისგან. კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს ცნობით, აღნიშნულ ტერიტორიაზე არ გაცემულა არც ერთი სამშენებლო ნებართვა. 2016 წლის მონაცემებით, რომელიც მოგვაწოდა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კ. უორულიანმა, ახლა სოფელ ლამჯურიშში ფიქსირდება 15 კომლი, მათ შორის 26 ქალი და 26 ქაცი, სულ 52 სული.

კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ - მუხლი 45-ის მიხედვით ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში დისონანსის შემტანის აღქმისთვის ხელის შემშლელ ზონებში, დაცული კულტურული მემკვიდრეობისათვის, პრაქტიკულად თუ ესთეტიკურად, ზიანის მომტან ნაგებობებს ენიჭება შეუსაბამო შენობა-ნაგებობების სტატუსი. ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავებისა და დამტკიცების დროს, ასევე სამშენებლო და გეგმარებოთი გადაწვევების მიღებისას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანოები ვალდებულები არიან გაითვალისწინონ შეუსაბამო-ნაგებობების დემონტაჟი ან/და კორექტირების პერსპექტივა.

### 3. დასპბნა

უშგულის თემში ბუნებრივი ლანდშაფტისა და ეთნო-კულტურის შენარჩუნების მიზნით, ასევე შემდგომი განვითარების პერსპექტივით აუცილებელია დროული რეაგირება:

- კანონის თანახმად, სტიქიურად განაშენიანებულ ადგილს უნდა მიენიჭოს შეუსაბამო სტატუსი. უნდა მოხდეს არსებული შენობა ნაგებობების დემონტაჟი ან/და კვლევის შემდეგ კორექტირება;
- დღესდღეობით, სახელმწიფოს მხრიდან მიმდინარეობს მხოლოდ სოფ. ჩაქაშის კონსერვაცია, თუმცა უშგულის თემის ისტორიული განაშენიანების ვიზუალური მთლიანობის შენარჩუნებისთვის საჭიროა დანარჩენი სამი სოფლის სრული კონსერვაცია;
- ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობისთვის და ასევე ეთნო გარემოს შენარჩუნებისთვის, უნდა მოხდეს ისტორიულად ჩამოყალიბებული (კოშკი, მაჩუბი) საცხოვრისის ადაპტაცია, რესტრავრაცია. ინტერიერის ფორმირებისთვის შესაძლებელია გამოყენებული იყოს მესტიაში მდებარე მარგიანების სახლ-მუზეუმი, რომელიც ავთენტური სახით არის შემონახული.
- ვინაიდან ბუნებრივ-ეკოლოგიური და ისტორიულ-ეთნო-კულტურული წონასწორობა გვზრდავს მასიური განაშენიანების ახალი ფორმების შექმნაში, დღის წესრიგში დგება: მომიჯნავე თემების მიწათსარგებლობის საკითხების კველვა და ასევე იმ სოფლებში რეგულირების გეგმების დამუშავება, რომელთაც არ გააჩნიათ განსაკუთრებით გასაფრთხილებელი გეგმარებითი და კულტურული ღირებულება.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა, პატრონობა, სწორი ადაპტირება ხელს შეუწყობს ქვეყანაში დამატებიტი ინვესტიციების მოზიდვას, მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას, ზემო სვანეთის ჩამოყალიბებას საერთაშორისო ტურისტული და კულტურული დანიშნულების აღილად.

### ლიტერატურა

1. უშგულის თემის, სოფელ ჩაქაშის საკონსერვაციო სამუშაოებისათვის მოსამზადებელი გეგმის ექსპედიციის კვლევის მასალები-სოციოლოგიური კვლევის შედეგები - ავტ. არქ. კანდიდატი მარინა თუმანიშვილი. თბილისი 1999 წელი.
2. საქართველოს კანონი, კულტურული მემკვიდრეობის შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21076> გადამოწმებულია 04.04.2017
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2014წ.

[http://www.geostat.ge/index.php?action=page&p\\_id=2152&lang=geo](http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=2152&lang=geo) გადამოწმებულია 04.04.2017წ.

## პრტყელი ოთხეუთხედის თვისება

მ. ბეგიაშვილი, ნ. მუმლაძე, თ. შებიოთიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. 77, 0175,  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია წრეწირზე არსებული სამი წერტილის  
მიხედვით მეოთხე წერტილის აგება, რომელიც იგივე წრეწირზე  
მოთავსდება. მიღებულ პრტყელ ოთხეუთხედიში კი ჩაიხაზება წრეწირი.  
ამოცანის ამოხსნა უფრონება წრეწირში ჩახაზული და წრეწირზე  
შემოხაზული ოთკუთხედის თვისებებს.

**საკვანძო სიტყვები:** წრეწირი, ჩახაზული, შემოხაზული ოთკუთხედი,  
მოპირდაპირე, კუთხეების ჯამი, გვერდების ჯამი.

### 1. შესაბამისობა

სამი A, B, C წერტილით უნდა აიგოს ისეთი მეოთხე D წერტილი, რომ ოთხი ვე  
წერტილი ერთ სიბრტყეზე იყოს. მიიღება პრტყელი A, B, C, D ოთხეუთხედი.  
აღნიშნული (მოცემულობები) A, B, C წერტილები წრეწირზე მდებარეობენ, მეოთხე  
D წერტილიც ამავე წრეწირზეა, ე.ი. ოთხივე წერტილი მდებარეობს წრეწირზე.  
წრეწირში ჩახაზული A, B, C, D ოთხეუთხედი თავის მხრივ წარმოადგენს  
წრეწირზე შემოხაზულს, ეს წრეწირი პირველი წრეწირისაგან განსხვავებით  
მცირე ზომისაა.

### 2. მირითადი ნაწილი

წრეწირში ჩახაზული ოთკუთხედის თვისების თანახმად მოპირდაპირე  
კუთხეების ჯამი უდრის  $2d - s$  ანუ  $180^\circ$  და შებრუნებით. თუ ოთკუთხედში  
მოპირდაპირე კუთხეების ჯამი უდრის  $2d - s$ , მაშინ მის წვეროებზე შეიძლება  
წრეწირის შემოხაზვა.

აღნიშნული ამოცანის აგებისათვის მნიშვნელოვანია ასევე შემოხაზული  
ოთკუთხედის გვერდების თვისება. ამ თვისების მიხედვით შემოხაზულ  
ოთკუთხედში მოპირდაპირე ორი გვერდის ჯამი უდრის დანარჩენი ორი  
გვერდის ჯამს. ე.ი. იმისათვის, რომ A, B, C, D ოთხეუთხედში ჩაიწეროს  
წრეწირი აუცილებელი და საკმარისი პირობაა შესრულდეს ტოლობა [AB] + [CD]  
 $= [BC] + [AD]$  ან  $[AD] - [CD] = [AB] - [BC]$ .


მოცემულ წრეწირზე ნებისმიერად ავიღოთ A, B და C, წერტილები (სურ. 1). იგივე  
წრეწირზე გრაფიკული აგებით განვხაზდვროთ D წერტილის მდებარეობა.  
ამოცანა დაიყვანება სამკუთხედის ცნობილ აგებაზე:

გვერდით, ამ გვერდის მოპირდაპირე კუთხით და დარჩენილი ორი გვერდის  
სხვაობით. სურ.1 – ის მიხედვით  $[AB] < [BC]$ .  $[AC] - \frac{1}{2} < \alpha$  ავაგოთ  $\Delta AMC$ ,  $[AM] = [AB] - [BC]$ .  $< \angle AMC = 180^\circ - (90^\circ - \frac{1}{2} < MDC) = 180^\circ - \frac{1}{2} < \angle ABC$ . ( $AM$ ) წრფე გადაკვეთს  
წრეწირს D წერტილზე (სურ. 2).

შევნიშნავთ, რომ განხილული მაგალითის გარდა წრეწირში ჩახაზული შეიძლება  
იყოს მართკუთხედი, კვადრატი, ტოლფერდა ტრაპეცია, ვინაიდან ამ  
ოთხეუთხედებში მოპირდაპირე კუთხეთა ჯამი უდრის  $2d - s$ .

როგორც ავდნიშნეთ ABCD ოთხეუთხედის ოთხივე წვერო წრეწირზე მდებარეობს.  
ამ წრეწირის ცენტრის მდებარეობა შეესაბამება ოთკუთხედის გვერდების შეა  
წერტილებიდან გავლებული მართობების გადაკვეთის O წერტილს (სურ. 3).


D წერტილის განსაზღვრის შემდეგ A, B, C, D ოთკუთხედში ჩაგხაზავთ წრეჭირს. მოცემული ოთკუთხედის გვერდები მასში ჩახაზული წრეჭირის



სურ.1

სურ.2

მხებებს წარმოადგენს. ერთი და იმავე წერტილიდან გავლებული ორი მხები ტოლია. წრეჭირის მხები მონაკვეთების ეს თვისება იძლევა შემდეგ ტოლობას  $[AB] + [CD] = [BC] + [AD]$  ეს კი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ოთხკუთხედში წრეჭირის ჩახაზისათვის აუცილებელი და საკმარისი პირობაა (სურ .4).



სურ.3

სურ.4

### 3. დასპანა

წრეჭირზე მდებარე სამი წერტილის მიხედვით შესაძლებელია ისეთი მეოთხე წერტილის აგება, რომელიც იგივე წრეჭირზეა და დანარჩენ სამ წერტილთან ერთად ქმნის ოთხკუთხედს. მიღებულ ოთხკუთხედში კი შესაძლებელია წრეჭირის ჩახაზია მოცემული სამუშაოს გრაფიკული ნაწილი შესრულებულია გეომეტრიული ფიგურების გეგმილური თვისებების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს ზოგადი სახის პლანიმეტრიული ამოცანების მარტივად გადაწყვეტას.

### ლიტერატურა

1. . . . . „ 1966 .  
2. . . . / . , 1980 .

## ვერდოს და გალაკოფური ფქლის ჩამონადენის ეროზიული მუშაობა

ზ. დანელია, მ. თოფურია

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 0175, გ. კოსტავას 77,  
ქ. თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში ჩამოთვლილია ფერდოს ეროზის მიზეზები (ფაქტორები)  
და გაანალიზებულია თვითოვეულის როლი ეროზის პროცესზე.

**საბუნებრივი სიტყვები:** ფერდოს თხევადი და მყარი ჩამონადენი, ჩამონადენის  
ეროზიული მოქმედება.

### 1. შესაბამისობა

ფერდოს წყლის ჩამონადენი არის უპირველესი მიზეზი ფერდოზე აღმრული  
ეროზიული პროცესის წარმოშობის, რადგანაც წყლის ჩამონადენის არ არსებობის  
შემთხვევაში არ იქნებოდა ფერდოს ეროზიაც. ფერდოს ჩამონადენი წარმოშობა  
ძირითადად მიწის ზედაპირზე საქმაო რაოდენობის თხევადი ნალექის მოსვლით და  
თოვლის და ყინულის დნობით, რომლებიც წარმოშობებ მცირე ჭავლებს. ისინი  
ხშირად იცვლიან მიმართულებებს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მათ მოერვე  
ჩამოტანილი ადგილად ტრანსპორტირებადი ნივთიერებების (მაგალითად ფოთლები,  
მცირე ტოტები, მცენარეები, გრუნტის ნაწილაკები) დაგროვებით რაიმე მონაკვეთზე.  
ცხადია ცალკეული ჭავლების მიმართულება და სიჩქარეები ერთნაირი არ იქნება და  
დამოკიდებული იქნება აღგილობრივ რელიეფზე. ეს ჭავლები გზადაგზა  
ერთიანდებიან უფრო დიდ ჭავლებად და მცირე ზომის ნაკადებად რელიეფის  
დადაბლებულ ადგილებში და შემდგომში მათი შეერთება ქმნის საქმაო ზომის  
ნაკადულებს და მოზრდილ ნაკადებსაც. ცხადია ისინი იწვევენ ფერდოს გრუნტის  
ეროზიას და მის დახევებას.

### 2. მიზანი ნაწილი

დავიწყოთ ფერდოს ეროზის მიზეზების (ფაქტორების) ჩამოთვლა და  
შემდგომში მათი ანალიზი.

1. ფერდოს ჩამონადენი როგორც ფერდოს ეროზის მთავარი ფაქტორი;
2. თხევადი ნალექის სიდიდე და ინტენსივობის გავლენა;
3. თოვლის საფარის გავლენა;
4. ფერდოს სიგრძის გავლენა;
5. ფერდოს ქანობის (დაქანების) გავლენა;
6. ფერდოს ფორმის გავლენა;
7. ფერდოს ექსპოზიციის გავლენა;
8. ნიადაგის ტიპის (სახის) გავლენა;
9. მცენარეულო საფარის გავლენა;
10. ნიადაგის ზედაპირის მორფომეტრული თვისების გავლენა;
11. ადამიანის სამეურნეო მოქმედების გავლენა ეროზის განვითარებაზე;
12. შეერთებული ჭავლების და ნაკადულების კალაპოტური ეროზის პროცესები;
13. ფერდოს და კალაპოტის სიმღვრივეების ფარდობითობა მათი ჩამონადენის  
მიხედვით.

ფერდოზე წყლის ჩამონადენი წარმოადგენს უმთავრეს და უპირველეს მიზეზს  
ფერდოს წყლისმიერი ეროზის წარმოქმნაში. ფერდოს ჩამონადენი ჩნდება მიწის  
ზედაპირზე საქმაო რაოდენობის წიგნის მოსვლით, თოვლის და ყინულის დნობით.

ორივე შემთხვევაში ფერდოს ზედაპირზე ჩამონადენის ინტენსივობა ხასიათდება  
ჩამონადენი სითხის ფერის სიღრმით ( $h'$ ) და ამ ჩამონადენის საშუალო სიჩქარით  
( $v'_{\text{საშუალო}}$ ), ანუ ფერდოზე ჩამონადენის სითხის რაოდენობით დროის ერთეულში (1წ)  
ფერდოს ერთეულ სიგანეზე (1 მეტრ). მაშასადამე,

$$q' = h' \cdot v'_{\text{საჭ}}. \quad (1)$$

ზოგჯერ ფერდოს ჩამონადენის ინტენსივობას ახასიათებენ არა ერთ წამში ჩამონადენი ხარჯით, არამედ სხვა დროით, მაგალითად 1 წუთი და 1 საათიც კი.

ფერდოს ჩამონადენის ინტენსივობა დამოკიდებულია ბუნებრივ პირობებზე, რომელთაგან უმთავრესია: წვიმის და თოვლის ნალექის დნობის რაოდენობა და ინტენსივობა მიწის ზედაპირზე. ჩამონადენის დანაკარგის სიდიდე და ინტენსივობა მისი მოძრაობის გასწვრივ (აორთქლება, ინფილტრაცია და სხვა) ფერდოს ზედაპირის სიგრძე, დაქანება (ქანობი) და ფერდოს ზედაპირის ხასიათი, მისი ხორციანობა (მაგ. უსწორმასწორობა, მცენარეული საფარის არსებობა და სხვა).

როგორც უკვე აღვნიშნეთ ფერდოზე ჩამონადენი ჭავლები ერთდებიან დიდი ზომის ჭავლებად და მცირე ზომის ნაკადებად უფრო დადაბლებულ აღგილებში, ცხადია მათი სიჩქარეები უფრო ნაკლებია.

ამრიგად, ფერდოს ჩამონადენის ეროზიული მუშაობის საერთო ფონზე გაჩნდება და წარმოიშვება დროებით ნაკადულების და ნაკადების კალაპოტური ეროზიები დადაბლებულ აღგილებზე.

პირველ ყოვლისა განვიხილოთ (მოკლედ) საკითხი ჩამონადენის კოეფიციენტებზე ({}), ანუ ჩამონადენის სიდიდის ( $Q$ ) და ნალექის სიდიდის ( $M$ ) ფარდობა, რომელმაც გამოიწვია ეს ჩამონადენი. წყალშემკრები აუზის ერთი და იგივე ფართზე

$$\{ = \frac{Q}{M}, \quad (2)$$

სადაც  $Q$  და  $M$  მიღებულია გამოისახოს წყალშემკრებ აუზის ფართზე თანაბრად განაწილებულ ფენებად მიღიმეტრებში.

უნდა ადინიშნოს, რომ ჩამონადენის კოეფიციენტი ({} ) წლის სხვადასხვა დროს სხვადასხვაა. მეტია ზათარ-გაზაფხულზე და ნაკლებია ზაფხულ-შემოდგომაზე. ეს თანაფარდობები საქართველოს პირობებში რეგიონების მიხედვით მერყეობს (პროცენტები) 95%-51%-დან 70%-30%-მდე. ეს მერყეობა დამოკიდებულია წლებზეც (ნალექიანი თუ უნალექო წლები).

როგორია წვიმის ნალექის მაქანიზმი ეროზიულ პროცესზე? წვიმის წვეთი ეცემა რა მიწის ზედაპირს, იწვევს გრუნტის აგრეგატების მექანიკურ ნგრევას. ეს ნგრევა მით მეტია, რაც უფრო ნაკლებად არის დაცული ის მცენარეული საფარით, რაც უფრო დიდია წვიმის წვეთები და რაც უფრო ხშირად ვარდება ის, ანუ წვიმის ინტენსივობა.

ჯერ კიდევ 1944 წელს ინგლისელმა მეცნიერმა ელისონმა ლაბორატორიულ პირობებში ჩაატარა დაკვირვებები ამ მოვლენაზე. გაირკვა, რომ წვიმის წვეთის დაცემისას ნიადაგის ზედაპირზე ხდება მისი აგრეგატების დანაწევრება მცირე ნაწილებად და მათი გაფანტვა წვეთის დაცემის წერტილიდან სხვადასხვა მიმართულებით. ამავ დროს გამოირკვა, რომ დანაწევრებული ნაწილაკები, რომლებიც გაიფანტებიან ფერდოს დახრის მიმართულებით (ანუ ქვევით), სამჯერ აღემატება ფერდოს ზემო მიმართულებით გაფანტულ გრუნტს. ეს გვიჩვენებს, რომ თვითონ გრუნტის ნაწილაკების გაფანტვა, ფერდოს ჩამონადენის გარეშე, ხელს უწყობს გადაადგილებას ფერდოს დაბლა მიმართულებით. ფერდოზე ჩამონადენის ფენის გაჩქინის შემთხვევაშიც კი წვეთები აგრძელებენ ეროზიულ მუშაობას, ანგრევენ რა წყლის ფენის ზედაპირიდან გამოშვერილი გრუნტის ნაწილებს და იწვევენ მათ შეწონვას ჩამონადენის ფენაში. ამ ფენის და მისი სიჩქარის გაზრდა იწვევს ფერდოს ეროზიას უკვე როგორც პირდაპირი ზემოქმედება წყლის ნაკადისა გრუნტის აგრეგატებზე. ცხარია, რაც უფრო ინტენსიურია თხევადი ნალექი, მით მეტია მისი ეროზიული ზემოქმედება. შეიძლება ერთმა კოკისპირულმა წვიმამ ფერდოს ისეთი ეროზია გამოიწვიოს, რომელიც ბევრად მეტი იქნება, კიდრე ყველა

დანარჩენი დროის განმავლობაში მოსული წვიმის მიერ გამოწვეული ჯამური ეროზია.

ნალექის საერთო რაოდენობის გავლენა გრუნტის წარეცხვის სიდიდეზე შეიძლება პირველ მიახლოებაში მივიღოთ ი.გ. ნიილის მიხედვით. ნალექის ჯამური რაოდენობის პროპორციულ  $W = A \cdot i^{0.8} \cdot M \cdot m^{1.2}$ , (3)

სადაც  $W$  არის გრუნტის წარეცხვის სიდიდე (ტონა ჰექტარზე);  $M$  – ნალექების რაოდენობა მილიმეტრებში;  $i$  – ფერდოს ზედაპირის ქანობი გრადუსებში;  $m$  – ნალექის ინტენსივობა, მმ/წთ-ში;  $A$  – ცვლადი კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს წყლისმიერი ეროზის დანარჩენი გაუთვალისწინებელ ფაქტორებს.

ფერდოს ეროზიაზე თოვლის საფარის გავლენა მისი ინტენსიური დნობის პერიოდში, მიუხედავად დიდი მნიშვნელობისა, ბოლომდე შესწავლილი არ არის. თუ წვიმის ნალექი მოდის რეგიონის გარკვეულ უბანზე, თოვლის საფარი მოიცავს წყალშემკრები აუზის მთელ რეგიონს ანუ უზარმაზარ ტერიტორიებს. გარკვეულ პერიოდში თოვლის დნობის შედეგად გამოწვეული ეროზიული პროცესი მოიცავს რა დიდ ფართობებს ბევრად უფრო მასშტაბურია, ვიდრე წვიმის ზეგავლენით. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მდინარეთა შეწონილი ნატანის რაოდენობა აღწევს მაქსიმუმს, სწორედ გაზაფხულზე, ანუ თოვლის და ყინულის დნობის ყველაზე ინტენსიურ პერიოდზე. რასაკირველია მყარი ნატანის კონცენტრაცია კიდევ უფრო მასშტაბურ სიდიდეებს აღწევს, როდესაც თოვლის საფარის ინტენსიური დნობის პერიოდს ემთხვევა თავსხმა (კოკისპირული) წვიმების პერიოდი. ცხადია, მყარი ნატანის დიდი კონცენტრაცია გამოწვეულია წყალშემკრები აუზის ტერიტორიების ეროზით.

განვიხილოთ თოვლის საფარის სიმძლავრის და მისი დნობის ინტენსივობის გავლენა წყლისმიერი ეროზის განვითარებაზე.

სიმძლავრე ანუ თოვლის საფარის სისქე და მისი სიმკვრივე ერთ მხრივ მაჩვენებელია თოვლში წყლის მარაგის, ხოლო მეორე მხრივ მიწის ზედაპირის გაყინვის ხარისხის. რაც მეტია თოვლის საფარის სიმძლავრე (ერთნაირი სიმკვრივის შემთხვევაში), მით მეტი იქნება მდნარი წყლის ჩამონადენი და ამდენად მეტი იქნება ეროზიული პროცესი. ამავდროულად, რაც მეტია თოვლის საფარის სიმძლავრე, მით უფრო მცირე იქნება გრუნტის გაყინვის სიღრმე და ხარისხი და მაშასადამე მით მეტი იქნება გრუნტის მიერ მდნარი წყლის შთანთქმა და ნაკლები იქნება წყლის ჩამოსვლა და შესაბამისად ეროზიაც.

მდნარ წყლის ჩამონადენის ფორმირებაზე და მის მიერ ეროზიული პროცესის განვითარებაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება თოვლის დნობის ინტენსივობას.

სამწუხაროდ ლიტერატურაში მოყვანილი მონაცემები მდნარი წყლების ჩამონატანის გავლენაზე ფერდოს ეროზიაზე ძალზე მწირია და არ არის საკმარისი რაოდენობრივი კანონზომიერებების დასადგენად, ვინაიდან განსახილველი პროცესის განვითარება ძალზე მრავალფეროვანია, ცვალებადია დროში (სხვადასხვა წლებისთვის) და ტერიტორიების მიხედვით (სხვადასხვა რაიონებისათვის). იმისათვის, რომ გავარკვიოთ ამ პირობების ცვლილების ხარისხი და მათი რაოდენობრივი გავლენა ნიადაგის წარეცხვის პროცესზე, საჭიროა ხანგრძლივი სტაციონარული კვლევების ჩატარება. კერძოდ

- ა) გრუნტის გაყინვა და დნობა პაერის ტემპერატურის გავლენით, მათი განვითარების ხანგრძლივობა, თოვლის საფარის სიმძლავრე და დნობის ინტენსივობა, გრუნტის სტრუქტურა, მისი ტენიაბობა და სხვადასხვა ფაქტორები;
- ბ) მდნარი წყლის ფერდოს და დარტაფის ჩამონადენის განვითარების დამოკიდებულება: თოვლის საფარში წყლის მარაგისა და მისი დნობის ინტენსივობაზე, გაზაფხულის წვიმის ნალექზე, გრუნტის გაყინვის სიდიდეზე და მის სტრუქტურაზე, სოფლის მეურნეობის გამოყენებაზე და სხვა ფაქტორები;

გ) გრუნტის ჩარეცხვის და გარეცხვის პროცესის განვითარება ფერდოს და დარტაფის (დაბალი ფენის) ჩამონადენის გავლენით. კერძოდ, გრუნტის გაწყლოვანებით (დასველებით ანუ რბილი კონსტინტენციის წაროშობით) და ჩამონადენის ფენის სიმძლავრის მომატებით.

**ფერდოს სიგრძის გავლენა** ფერდოს ეროზიის განვითარებაზე მდგომარეობს იმაში, რომ ფერდოს საკმაო დიდი სიგრძის შემთხვევაში, ჩამონადენის ფენის სისქე, წყალგამყოფი ხაზიდან დაშორებით უფრო მძლავრი ხდება და იძენს ჩამონადენის დიდ სიჩქარეს. ამ დროს ხდება ფერდოს ზედაპირიდან გუმუსის ჩამოტანა. ფერდოს ქვედა ნაწილში გუმუსის რაოდენობა საშუალოდ 2,0-2,5-ჯერ მეტია, ვიდრე ზემოთ. დაკვირვებებით დგინდება, რომ საკმაო მიახლოებით ფერდოს ჩამონარეცხი ნივთიერებების ხარჯი  $R_{\text{ფ}}^{\text{ფ}}$  (კგ/წმ) შეიძლება ვიანგარიშოთ შემდეგი გამოსახულებით

$$R_{\text{ფ}}^{\text{ფ}} = Ai^{0,75} x^{1,5} M^{1,5}, \quad (4)$$

სადაც  $i$  – ფერდოს ზედაპირის ქანობი პროცენტებში;

$x$  – ჩამონარეცხის ხარჯის გაზომვის მანძილი წყალგამყოფიდან;

$M$  – ნალექის ინტენსივობა;

$A$  – კოეფიციენტი გულისხმობს დანარჩენი გაუთვალისწინებელი ფაქტორების განლენას.

როგორც აღნიშნული (4) დამოკიდებულება გვიჩვენებს ჩამონარეცხი ნივთიერებების საერთო სიდიდე იზრდება ფერდოს სიგრძის 1,5 ხარისხის პროპორციულად.

რაც შეეხება ფერდოს ქანობს  $i$ -ს, მისი გავლენა ფერდოს ზედაპირის ხასიათის მიხედვით იცვლება ქანობი ხარისხად 0,65÷0,85 და საშუალოდ მიიღება 0,75%.

ბევრი მცვლევარი აღნიშნავს, რომ **ფერდოს ფორმა** ახდენს გავლენას წყლისმიერი ერთზის ინტენსივობაზე და მიმართულებაზე.

მეტი ეროზია წარმოებს ფერდოს ამოზნექილ უბნებზე, სადაც მისი ქანობი ქვემოთ მატულობს და სადაც ამავე დროს მატულობს წყალშემკრები აუზის ფართი და ჩამონადენი წყლის მასა.

ნაკლები ეროზია წარმოებს ფერდოს ჩაზნექილ უბნებზე, სადაც წყლის მასა, თუნდაც კი მატულობს ფერდოს ქვემო უბნებისკენ, მაგრამ ვინაიდან ფერდოს ქანობი მცირდება, მცირდება ფერდოს ჩამონადენის ტრანსპორტირების უნარი და მიწის წარეცხვა თანდათან მცირდება ჩამონადენის აკუმულიაციის ხარჯზე.

სწორ ფერდოებზე ჩამონადენი წყლის მასა მატულობს ფერდოს ქვემო მიმართულებით მისი მუდმივი ქანობის პირობებში. ამიტომ წყლის დამანგრეველი ძალა იზრდება ნელ ტემპში, მხოლოდ ფერდოს გაზრდის ხარჯზე. მკვეთრად გამოხატული წარეცხვა ვლინდება დაახლოებით ფერდოს ნახევრიდან მისი ქვედა მესამედამდე, სადაც წარეცხვა, ჩაზნექილი დელუვიური შლეიფის ფარგლებში, შეიძლება კიდევ შეიცვალოს აკუმულაციით.

რთულ, კომბინირებულ, მაგალითთად ამოზნექილ ფერდოებზე ქანობი და ფერდოს სიგრძე უფრო ნაკლებ როლს თამაშობს, ვიდრე ფერდოს მომიჯნავე სხვადასხვა ქანობის მქონე უბნების თანაფარდობის ხასიათი (მიმდევრობა).

იგივე ფერდოს ფორმის სამი მირითადი ტიპი შეიძლება შედეგნაირად დახასიათდეს.

ფერდოს პირველი ტიპი, ამოზნექილი ფორმით, ხასიათდება გრუნტის წარეცხვის თანმიმდევრული მატებით წყალგამყოფიდან პიდროგრაფიული ქსელის მიმართულებით, რის გამოც უდიდესი წარეცხვის ზონა ემიჯნება დარტაფის კიდეს.

ფერდოს მეორე ტიპი, ამოზნექილ-ჩაზნექილი ფორმით, ხასიათდება ფერდოს საწყისი პროფილის დიდად ქანობებით და შედეგად გრუნტის გარეცხვის უდიდესი სიდიდით ფერდოს საშუალო ზონაში (ზოგჯერ მის ზედა ნაწილშიც). ქვედა

ნაწილში, რომელიც პიდროგრაფიულ ქსელს ემიჯნება ფერდოს ქანობი თანდათან მცირდება და ქმნის დელუვიურ შლეიფს.

ფერდოს მესამე ტიპი პირდაპირი პროფილით ხასიათდება ფერდოს წარეცხვით და გარეცხვის შენაცვლებით ფერდოს შუა და ქვედა ზონებში, რომლებიც შემდგომში აღმოჩნდებიან ეროზის შემდგომი განვითარების კერებად.

ნიადაგის წარეცხვის ინტენსივობა ფერდოს ცალკეულ უბნებზე აღნიშნული სამივე ტიპის შემთხვევაში ფასდება შემდეგნაირად:

ფერდოს პირველი ტიპისთვის ქვედა ზონაში წარეცხვის სიდიდე 10,5-ჯერ მეტია, ვიდრე ზედა ზონაში.

ფერდოს მეორე ტიპისათვის ეს თანაფარდობა უტოლდება 4-ს, ხოლო ფერდოს მესამე ტიპისათვის კი 5-ს.

ნიადაგის წარეცხვის საერთო სიდიდე ფერდოს პირველ ტიპზე, სხვადასხვა პირობების ტოლობის შემთხვევაში, გამოდის 1,25-ჯერ მეტი, ვიდრე ფერდოს დანარჩენ ორ ტიპზე.

პიდროგრაფიული ზონა წარმოადგენს პიდროგრაფიული ქსელის<sup>4</sup> მოედანს და ამიტომ ხასიათდება ზედაპირული ჩამონადენის განსაკუთრებით დიდი ინტენსივობით, რომლებიც აქ კონცენტრირდება, ჩამოედინება რა ყველა ზემოთ განლაგებულ წყალშემკრებიდან. მთავარი ნაკადი აწარმოებს ძირითადად ფსკერულ (სიღრმულ) გარეცხვას, ხოლო გვერდითი უფრო მცირე ნაკადები აწარმოებენ უპირატესად სანაპირო გარეცხვას.

ქსელის მიმდებარე ზონა, რომელიც პიდროგრაფიულ ქსელს ერტყმის ორივე მხრიდან უკავია მთელი ფერდოს დაახლოებით მესამედი.

რასაკვირველია ეროზიული პროცესები, ასევე ბევრად არის დამოკიდებული როგორც ფიზიკო-გეოგრაფიულ პირობებზე, ასევე ადამიანის სამეურნეო მოქმედებებზე და მათ თანაფარდობებზე.

**ფერდოს ექსპოზიციის გავლენა** ფართო გაგებით ექსპოზიციაში იგულისხმება ფერდოს განლაგება დედამიწის მხარეების მიხედვით და შესაბამისად განათების ხარისხის მიხედვით, ასევე ქარების მოქმედების მიმართულების და სხვა მოვლენების მიმართ. ცხადია ფერდოს ჩრდილოეთით ოუ სამხრეთით განლაგების მიხედვით, ის სხვადასხვა სიდიდის მზის სხივების ენერგიას დებულობს, ასევე სხვადასხვა რაოდენობის მყარ ნალექს, რაც იხატება სინოტივის სიდიდეზე და ნიადაგის გამყინვარებაზე, მცენარეული საფარის განვითარებაზე, ასევე ნიადაგწარმოების და გამოქარვის პროცესებზე.

სამხრეთის ექსპოზიციის ფერდოზე სინოტივე მცირდება წყალგამყოფიდან ფერდოს ძირისკენ. ხოლო ჩრდილოეთით ექსპოზიციის ფერდოზე კი პირიქით ფერდოს ძირიდან წყალგამყოფისკენ.

ამასთან დაკავშირებით სამხრეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის ფერდოებზე ადგილი აქვს ნაკლები თოვლის დაგროვებას, მეტ გამყინვარებას და ნიადაგის ნაკლებ ტენიანობას. ფერდოს ჩამონადენის ნაკლებ ეროზიულ მოქმედებას.

ინკვევა, რომ ქარპირა ფერდოების ძირში აღინიშნება თოვლის სისქის და სიმკვრივის სიმცირე, ვიდრე წყალგამყოფზე. რადგანაც თოვლდნობის პერიოდში პაერის ტემპერატურა ამ ფერდოების ძირში მეტია, ვიდრე წყალგამყოფზე, ამიტომ თოვლის საფარი იქ ჩამოდის უფრო ჩქარა და ნიადაგის ზედაპირი ფერდოს ძირში უკვე ასწრებს გადნობას მცირე სიღრმეზე, იმ დროს როცა წყალგამყოფზე ჯერ კიდევ დევს თოვლი. ამიტომ მდნარი წყლების ჩამოდინება რა წყალგამყოფიდან

<sup>4</sup> საჭიროა აღინიშნოს, რომ პიდროგრაფიულ ქსელში იგულისხმება არა მარტო კალაპოტები, ჰალები და ველები მუდმივად მოქმედი ნაკადების, არამედ ყველა დროებით მოქმედი სადინარების, დარტაფების და სხვა ეროზიულ დადაბლებულ ადგილებს.

ფერდოს ძირში ადგილად წარეცხავენ იქ წარმოქმნილ გალხობილი ნიადაგის „არაუანისებურ“ ზედაპირულ ფენას.

ამგვარად, ქარპირა ფერდები წარმოადგენენ ერთდროულად უფრო მეტად გამყინვარებულებს და არათანაბრად გალხობილებს. ფერდოს სხვა ექსპოზიციების შემთხვევებში გამყინვარება უფრო ნაკლებია და გალხობობა წარმოებს უფრო ნელა და თანაბრად. ამასთან დაკავშირებით ფერდოს ნიადაგის ზედაპირული ფენა ინარჩუნებენ მეტ მდგრადობას წყლისმიერი ეროზიის მიმართ. ნიადაგის ზედაპირის წარეცხვის ოდენობის თანაფარდობა ფერდოს ჩრდილოეთის და სამხრეთის ექსპოზიციებს შორის შეადგენს საშუალოდ ერთი სამთან.

ნიადაგის ტიპის გავლენა წყლისიერ ეროზიაზე დამოკიდებულია ნიადაგის სტრუქტურაზე, მის მექანიკურ შემადგენლობაზე, მასში გუმუსის შემცველობაზე და მდგომარეობაზე, ასევე ნიადაგის შთანთქმელობით კომპლექსზე განსაზღვრავს მის აგრეგატულ შესაძლებლობას და მასში თრგანული ნივთიერებების დაშლას და მინერალიზაციას.

აღნიშნული თვისებები ძირითადად განსაზღვრავენ ნიადაგის უნარს შეითვისოს და შეინარჩუნოს მის ზედაპირზე მოსული წყალი და შესაბამისად გავლენა იქონიოს ფერდოს ჩამონადენის განვითარებაზე.

უსტრუქტურო ნიადაგში შეიძლება შეადწიოს წვიმის არა უმეტეს 30%, ხოლო ნალექის დანარჩენი 70% ჩამონადენიები მის ზედაპირზე. სტრუქტურულ ნიადაგს კი შეუძლია შეინარჩუნოს წლიური ატმოსფერული ნალექის 70%.

ამასთან დაკავშირებით ზედაპირული ჩამონადენის კოეფიციენტი შეიძლება მნიშვნელოვნად იცვლებოდეს ნიადაგის სტრუქტურულობის ხარისხთან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს ფერდოს ჩამონადენის განვითარებას და მის ეროზიას.

გრუნტის მექანიკურ შემადგენლობაზე დამოკიდებული წყლის შეღწევის სიჩქარე ნიადაგის ფორებში. წყალშეღწევადობაზე მოქმედებს აგრეთვე მისი გამჭოლობა და წყლის ტემპერატურა.

გუმუსში არსებული ორგანული ნივთიერებების დაშლა იწვევს ნიადაგის აგრეგატების შეწებებას („ცემენტაციას“). მაშასადამე გუმუსის არსებობა ნიადაგში და შთანთქმედობითი კომპლექსი განსაზღვრავენ ნიადაგის წინაღობას წარეცხვის მიმართ.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მცენარეულ საფარს და მისი გავლენა ხშირად გადამწყვეტი ფერდოს ეროზიის განვითარებაში.

მცენარეული საფარი პირდაპირი გაგებით წარმოადგენს ნიადაგის ზედაპირის „საფარს“ წყლის ეროზიისაგან. ეს განპირობებულია შემდეგით:

ა) მცენარე იღებს რა თავის თავზე წვიმის წვეთების მექანიკურ ზემოქმედებას, იცავს ნიადაგს ნერგევისა და გაფანტვისაგან;

ბ) მცენარეები, უქმნიან რა მნიშვნელოვან დამატებით წინაღობებს წყლის მოძრაობას ამცირებენ მათ სიჩქარეებს ფერდოს ზედაპირზე და შესაბამისად მათ ეროზიულ შესაძლებლობებს;

გ) მცენარეულ ფენებთა სისტემა ქმნიან ნიადაგის ისეთ ფორმან სტრუქტურას, რომლის დროსაც წყლის შეწოვის უნარი მნიშვნელოვნად იზრდება. ზოგჯერ მცენარეული საფარის ფორმიანობა იმდენად დიდია (განსაკუთრებით ტყიან ზოლში), რომ წვიმის ნებისმიერი რაოდენობა თუ თოვლის წყალი შეიწოვება გრუნტის საფენის მასაში. მაგალითად ტყის საფენის შეუძლია შთანთქას თავის წონაზე (მშრალ მდგომარეობაში) 2-4-ჯერ (ზოგჯერ 6-ჯერ) მეტი წყლის რაოდენობა;

- დ) მცენარეული საფარის ფესვთა სისტემა ამავე დროს ამაგრებს (როგორც ბადე) ნიადაგის ნაწილაკებს და დიდად აფერხებს ფერდოს ეროზიულ პროცესს;  
 ე) მცენარეული საფარი აჩერებს თხევად ჩამონადენში არსებულ მყარი ნაწილაკების ჩამოდინებას, და გარკვეული ფორმით ასრულებს ერთგვარ ფილტრის როლს და იწვევს მათ კალმატაციას;  
 ვ) მცენარეთა საფარი მოქმედებს ნიადაგის გამყინვარების ხარისხეც და ხანგრძლივობაზე. უფრო გვიან იყინება ზამთარში და უფრო ადრე ლლვება გაზაფხულზე.

რაც შეეხება დედამიწის ჸედაპირის მორფომეტრულ თვისებებს, ამაზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ძირითად მორფომეტრულ მახასიათებლებს წარმოადგენს: წყალდენების ქსელის სიხშირე  $\{$  (ანუ პორიზონტალური განაწევრება) და დენუდაციის სიღრმე ანუ უფრო ზუსტად წყლის ეროზიის სიღრმე  $\Delta h$  (ვერტიკალურ განაწევრების მაჩვენებელი). მესამე მორფომეტრული მაჩვენებელია – ფერდოს საშუალო დახრილობა  $i$ , რომელიც წარმოადგენს პირველ ორის წარმოებულს.

როგორც გვქონდა ათნაშული, ფერდოს ეროზიის სიღიდე გამოსახული ჩამორეცხილი მასალის ხარჯი  $R$  დამოკიდებულია ფერდოს ქანობზე  $i$  ხარისხად  $n = 0,86 \div 1,0$  და ფერდოს სიგრძეზე  $x$  ხარისხად 0,5. რაც გამოვსახეო ტოლობით

$$R = Ai^n x^{1.5} \quad \text{როცა } n = 0,86 - 1,0. \quad (5)$$

ფერდოს საშუალო სიგრძე  $x$ , საშუალო ქანობის განსაზღვრის შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ ტოლად  $x = \frac{1}{\{}}$ , ამგვარად, ფერდოს ზედაპირის საშუალო ქანობი

იქნება

$$i = \frac{\Delta h}{x} = \Delta h \cdot \{ ,$$

მაშინ ფერდოს ეროზიის სიღიდე მიიღებს სახეს ( $n=1$ )

$$R = A(\Delta h \cdot \{ )^{1.0} \cdot \left( \frac{1}{\{}} \right)^{1.5} = A \frac{\Delta h}{\{^{0.5}}, \quad (6)$$

ანუ  $R$  პირდაპირპორციულ დამოკიდებულებაშია სიღრმეულ ეროზიასთან  $\Delta h$  და უკუპროპორციულია წყალდენების ქსელის სიხშირესთან ხარისხით 0,5.

ამრიგად, ფერდოს ეროზიის სიღიდის საანგარიშოდ მიღებული დამოკიდებულება ახასიათებს მხოლოდ წყლის ეროზიის განვითარების პირობას ფერდოს კალთებზე საშუალოდ მიწის საფარის რადაც გარკვეულ მცირე უბანზე. ამ თვალსაზრისით ქსელის სიხშირის მახასიათებლის  $\{-$  მნიშვნელში ყოფნა და არა მრიცხველში, აისხება იმით, რომ წყალდენებს ქსელის სიხშირის გაზრდით მცირდება ფერდოს საშუალო სიგრძე, და შესაბამისად მცირდება ჩამორეცხილი მასალის რაოდენობა (თანახმად (4) დამოკიდებულებისა).

მაგრამ წყალშემკრები აუზის ზედაპირის მორფომეტრული თვისებები გავლენას ახდენენ არამარტო ფერდოს ეროზიის განვითარებაზე, არამედ კალაპორტური ეროზიის განვითარებაზეც. ამიტომ რაც მეტია წყალდენების ქსელის სიხშირე მით უფრო დიდი ხარისხით ვითარდება წყლის მიერ ეროზიის განვითარება ზოგადად მიწის ზედაპირის ამ მონაკვეთზე. ამავე დროს ქსელს სიხშირის ზრდით, იზრდება ფერდოს ეროზიის პროდუქტების მოცილება აღებული უბნიდან. რაც ასევე უზრუნველყოფს ეროზიას. ამასთან დაკავშირებით მიწის ზედაპირის მორფოლოგიური თვისებების გავლენის გარკვევის მიზნით წყლის მიერ ეროზიაზე, საჭიროა (6) დამოკიდებულებაში მოვიყვანოთ ქსელის სიხშირის კოეფიციენტი  $\{$ . პირველ მიახლოებაში ჩაეთვალოთ ხარისხის მაჩვენებელი  $n = 1$ , მაშინ მივიღებთ

$$R = A \frac{\Delta h}{\{^{0.5}} = A \Delta h \{^{0.5}, \quad (7)$$

სადაც  $R$  – წყლის ეროზიის პროდუქტების (ფერდოს და კალაპოტის) გატანაა  
მიწის ზედაპირის გარკვეული მცირე უბინიდან.

საჭიროა აღინიშნოს, რომ წყალდენების ქსელში უნდა იქნას მხედველობაში მიღებული, როგორც მუდმივი წყალდენები ანუ წყალდენები, რომლებიც მოქმედებენ მთელი წელი ან წლის მნიშვნელოვანი დრო, ასევე დროებითი წყალდენები, რომლებიც მოქმედებენ მხოლოდ ატმოსფერული ნალექის დიდი რაოდენობით მოსვლის პერიოდში ან თოვლის დნობისას. ამ დროებითი წყალდენების განფენილობა და სიგრძე საკმაოდ დიდია და ცვლადი დროში იმასთან დაკავშირებით თუ რა რაოდენობის და ინტენსივობის ატმოსფერული ნალექია, გრუნტი როგორი ტენიანობისაა, როგორია მისი ზედაპირის გაყინვის ხარისხი და სხვა ბუნებრივი პირობები, რომლებიც განაპირობებენ ნიადაგის ინფილტრაციის უნარს.

ეროზის განვითარებაზე გავლენას ახდენს ადამიანის სამეურნეო მოქმედებაც. ადამიანის მიერ სულ უფრო მეტი ტერიტორიის ნიადაგის ათვისების პირობებში, ფერდოს ეროზის ხასიათი მნიშვნელოვანად იცვლება. წინა „ბუნებრივი“ ანუ „ნორმალური“ ეროზია თანდათან გადაგვარდა ეგრეთწოდებულ „დაჩქარებულ ეროზიაში“, რაც მრავალჯერ აღემატება „ბუნებრივს“. ამის ძირითადი მიზეზია ადამიანის მიერ ბუნებრივი დამცველის – მცენარეული საფარის განადგურება დედამიწის ზედაპირის უზარმაზარ ფართობებზე. რაც გამოწვეული იყო მათი გადახვნით, საძოვრებად არაორგანიზებული გამოყენებით, გზების გაყვანით დაცულობის პირობების გარეშე, წყალგამყვანების განხორციელება თხევადი ჩამონადენის სწრაფი მოცილების მიზნით.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ათვისებული ტერიტორიების ფართობები კატასტროფულად იზრდება და ამიტომ მათზე აჩქარებული ეროზიული პროცესები ბევრად აღემატება მიმდებარე აუთვისებელ ტერიტორიებზე მიმდინარე ბუნებრივ ეროზიულ პროცესებზე.

ამავე დროს ეროზის წინააღმდეგ ბრძოლა და ეროზის მავნე შედეგების საგრძნობლად შემცირება სრულიად შესაძლებელია, თუმცა მცდარი იქნება ფიქრი, რომ ბრძოლა ეროზიასთან და ეროდირებული ნიადაგების აღდგენა იქნება იოლი და მოკლე დროში შესასრულებელი. საჭიროა დიდი, თავდაუზიგავი და ხანგრძლივი მრავალწლიანი მუშაობა, რათა შეჩერდეს ეს დამდუპველი პროცესი და შეიქმნას ისეთი ახალი ბუნებრივი პირობები, რომლის დროს ინტენსიური მიწათმოქმედება არა თუ ცვეთავდეს ნიადაგს, არამედ პირიქით თანმიმდევრულად და მუდმივად აუმჯობესებდეს მას და მის ნაყოფიერებას. ამისათვის საჭიროა მეურნეობაში დაინერგოს მეცნიერული მიღწევები, როგორც საორგანიზაციო საქმიანობაში ასევე აგრომელიორაციულ და ირიგაციულ დარგებში. ასევე საჭიროა გაგრძელდეს კვლევები ყველა მიმართულებით, რათა მინიმუმადე იქნას დაყვანილი მავნე ეროზიული მოქმედები.

### 3. დასტვა

ფერდოს წყლის მიერი ეროზიის მიზეზები მრავალია და ყველა მათგანი მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მხედველობაშია მისაღები ადამიანის მიერ დაჩქარებით და ხშირად არაორგანიზებულად ჩატარებული სამეურნეო მოქმედებები. რაც მნიშვნელოვანად აჩქარებს და ინტენსიურს ხდის ეროზიულ პროცესებს. საჭიროა დიდი და ხანგრძლივი მუშაობა რათ გამოყენებულ იქნას თანამედროვე მეცნიერული მიღწევები როგორც აგრომელიორაციულ და ირიგაციულ დარგებში, ასევე საორგანიზაციო საქმიანობაში. საჭიროა შეიქმნას პირობები, რათ აღდგეს ეროდირული ნიადაგები.

### ლიტერატურა

1. Г.Е. Лопатин Наносы

, . . . . 1957 .

## საყრდენი კედლების მზიდუნარიანობის ამაღლება ჰორიზონტალურად ბანთავსებული ხიმინჯებით

გ. ჭოხონელიძე, შ. ბაქანიძე, ბაშარ ბდულლაძე ალ იმამ  
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო 0175 თბილისი,  
კოსტავას 77)

**რეზიუმე:** განხილულია არსებული და საპროექტო საყრდენი კედლების მზიდუნარიანობის ამაღლების საკითხი მის ქვედა ნაწილში ხიმინჯებით ჰამაგრებული ჰორიზონტალურად განთავსებული მონოლითური რკინაბურნის ხიმინჯების ხაშუალებით, როცა შეზღუდული პირობების გამო ვერ ხერხდება საჭირო გადარიცების მქონე საყრდენი კედლის მოწყობა.  
**საკვანძო სიტყვები:** საყრდენი კედლი, გადამბრუნებელი მომენტი, მოცურების ძალა, ჰორიზონტალური ხიმინჯი.

### 1. შესავალი

ცნობილია, რომ საყრდენი კედლის შემოწმებული უნდა იქნებ გადაბრუნებაზე და მოცურებაზე. გადაბრუნების მიმართ მათი მდგრადობის პირობაა  $M_{დამ} \geq M_{გად}$ , ხოლო მოცურების მიმართ:  $T \geq E$ , სადაც:  $M_{დამ}$ . და  $M_{გად}$ . არის, შესაბამისად, დამჭერი და გადამბრუნებელი მომენტები;  $T$  - კედლის მოცურების საწინააღმდეგო ძალა,  $E$  - გრუნტის დაწნევა კედლის 1 გრძივ მეტრზე.

მასიური საყრდენი კედლის შემთხვევაში ეს პირობები სრულდება კედლის მასით, ხოლო დრეკადი (მონოლითური რკინაბურნის) კედლის შემთხვევაში – საძირკვლის ფილის სათანადო სიგანით.

მაგრამ პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა საჭირო ხდება არსებული საყრდენი კედლის მზიდუნარიანობის ამაღლება მასზე გრუნტის დაწნევის მოსალოდნელი გაზრდის გამო (მაგ.: გრუნტის ზედაპირზე დატვირთვის მოსალოდნელი გაზრდა), მაგრამ ეს ვერ ხერხდება მისი გადარიცების გაზრდით, შეზღუდული პირობების გამო. ასეთივე მდგომარეობაა შეზღუდულ პირობებში ახალი, საყრდნი კედლის აგების შემთხვევაშიც.

ასეთი შემთხვევებისათვის ჩვენს მიერ შემოთავაზებულია კედლის ქვედა ნაწილში, მასში ხისტად ჩამაგრებული ჰორიზონტალური ხიმინჯების მოწყობა გარკვეული ბიჯით, რომელიც თავის თავზე აიღებენ როგორც კედლებზე გრუნტის დაწნევისაგან წარმოქმნილ გადამბრუნებელი მომენტის, ასევე მოცურების ძალის ნაწილს [1].

წინამდებარე ნაშრომში, რიცხვითი მაგალითის საფუძველზე, განხილულია დასმული საკითხი.

### 2. ძირითადი ნაწილი

ზემოაღნიშნული მოსაზრება განვიხილოთ რიცხვით (კონკრეტულ) მაგალითზე.

**საწყისი მონაცემები:** გრუნტი-თიხა ( $\ell = 15^0$ ;  $x_0 = 1,8 \text{ ტ}/\text{მ}^3$ )


საყრდენი კედლის სიმაღლე – 4 მ, საძირკვლის სიღრმე – 1,5 მ; საყრდენი კედლის 1 გრძივ მეტრზე გრუნტის დაწნევა  $E = 18,5 \text{ ტ}/\text{მ}$ ;

საყრდენი კედლის მასალა: ბეტონის კლასი  $B-20$ ; არმატურის კლასი  $A-III$ .


არსებული ან საპროექტო საყრდენი კედლის საანგარიშო სქემა იხ. ნახ. 1 საყრდენ კედლებზე (მის 1 გრძივ მეტრზე) მოქმედი გადამბრუნებელი მომენტი:

$$M_{გად.} = E \cdot e = 18,5 \cdot 1,33 = 24,6 \text{ ტ}\cdot\text{მ}$$

საყრდნ კედელზე მოქმედი მხები (მოცურების) ძალა  
 $T = E = 18,5 \text{ ტ}$



ნახ. 1. საყრდენი კედლის საანგარიშო სქემა  
 მივიღოთ არსებული ან საპოვექტო მასიური საყრდენი კედლის და მისი საძირკვლის შემდეგი გეომეტრიული ზომები ნახ. 2



ნახ.2 საყრდენი კედლის გეომეტრიული ზომები

$$\text{საყრდენი კედლის მასა: } Q_1 = \frac{0,5 + 1,0}{2} \cdot 4 \cdot 2,5 = 7,5 \text{ ტ}$$

$$Q_2 = 1,6 \cdot 1,5 \cdot 2,5 = 6,0 \text{ ტ}$$

$$\sum Q = 7,5 + 6,0 = 13,5 \text{ ტ}$$

დამჭერი მომენტი:  $M_{\text{დამ.}} = 7,5 \cdot 1,23 + 6,0 \cdot 0,8 = 14,0 \text{ ტ.მ} < M_{\text{გად.}} = 24,6 \text{ ტ.მ}$

მოცურების საწინააღმდეგო ძალა:  $T = \sum Q \cdot f = 13,5 \cdot 0,5 = 6,75 \text{ ტ} < E = 18,5 \text{ ტ}$


ე. გადაბრუნების და მოცურების პირობები შესრულებული არ არის, ანუ საყრდენი კედლის მიღებული გეომეტრიული ზომები საკმარისი არ არის.

რადგან შეზღუდული პირობების გამო არ არის მასიური საყრდენი კედლის მასის გაზრდის საშუალება მისი სისქის გაზრდით ან დრეკადი საყრდენი კედლის მოწყობის საშუალება რკინაბეტონის საძირკვლის ფილის მოწყობის ხარჯზე, ამიტომ ვაწყობთ საყრდენი კედლის საძირკველში ჩამაგრების დონეზე პორიზონტალურ რკინაბეტონის ხიმინჯებს, რომლებიც ხისტად იქნებიან ჩამაგრებული საყრდენი კედლის საძირკველში (ნახ. 3).

ხიმინჯებზე იმოქმედებს შემდეგი მნიშვნელობის გადამბრუნებელი მომენტი და მოცურების ძალა:

$$M_{\text{გად.}}^b = M_{\text{გად.}} - M_{\text{დამ.}} = 24,6 - 14,0 = 10,6 \text{ ტ.მ};$$

$$T_{\text{გოგ.}}^b = T_{\text{გოგ.}} - T_{\text{გაგ.}} = 18,5 - 6,75 = 11,75 \approx 11,8 \text{ გ.}$$



ნახ.3 პორიზონტალური ხიმინჯების მოწყობა

ხიმინჯების რაოდენობის განსაზღვრა:

თუ ხიმინჯის დიამეტრს მივიღებთ  $d = 0,3 \text{ მ}$  და მათ შორის მანძილს  $C = 2d = 2 \cdot 0,3 = 0,6 \text{ მ}$  და დავამრგვალებოთ  $C = 0,5 \text{ მ-მდე}$ , მაშინ საყრდენი კედლის 1 გრძივ მეტრზე გვექნება 2 ხიმინჯი.

ასეთ შემთხვევაში 1 ხიმინჯზე იმოქმედებენ:

$$\text{მდუნავი მომენტი } M_1 = \frac{10,6}{2} = 5,3 \text{ გ.მ.}$$

$$\text{მოცურების ძალა } T_1 = \frac{11,8}{2} = 5,9 \text{ გ.}$$

საძირკველში ხისტად ჩამაგრებულ ხიმინჯს ვიხილავთ, როგორც კონსოლურ კოჭს, რომელზედაც მის ზემოთ არსებული გრუნტი იმოქმედებს თანაბარგანაწილებული დატვირთვით

$$q = 4 \cdot \frac{0,3 + 0,5}{2} \cdot 1,8 \approx 2,9 \text{ გ/მ;}$$

$$\text{მასზე მოქმედი მაქსიმალური მდუნავი მომენტი } M = \frac{q \cdot l^2}{2};$$

$$\text{თუ ბოლო გამოსახულებაში შევიტანო } M = 5,3 \text{ გ.მ. და } q = 2,9 \text{ გ/მ}$$

$$\text{გვექნება: } 5,3 = 2,9 \cdot \frac{l^2}{2} = 1,45 \cdot l^2 \text{ და } l = \sqrt{\frac{5,3}{1,45}} = 1,9 \text{ მ}$$

ე.ო. ღუნვის პირობიდან გამომდინარე, საკმარისია ხიმინჯის სიგრძე  $l = 1,9 \text{ მ}$ . მიღებული სიგრძე შევამოწმოთ საყრდენი კედლის მოცურების პირობიდან.

**ხიმინჯოვანი გრუნტული ანკერის დაპროექტება.**

ევროპული სტანდარტის EN14199 [2] თანახმად, გრუნტული ანკერების და გაჭიმვაზე მომუშავე ხიმინჯების მზიდუნარიანობა განისაზრებება ფორმულით:

$$F_d = f D l_k \cdot q_{sk}, \quad (1)$$

ამასთან,  $F_d \geq 2,0 \cdot N$ ,

სადაც:  $D = d_{CKB} \cdot K_d$

აქ:  $d_{CKB}$  - არის ჭაბურდილის დიამეტრი;

$K_d$  - ანკერის (ხიმინჯის) ფესვის დიამეტრის გაზრდის კოეფიციენტი (თიხოვანი გრუნტებისათვის  $K_d = 1,3$ );

$l_k$  - ანკერის (ხიმინჯის) სიგრძე, ვიღებთ  $l_k = 3,0 \text{ მ}$ ;

$q_{sk}$  - ანკერის (ხიმინჯის) გვერდით ზედაპირებზე გრუნტის წინააღმდეგობა (თიხოვანი გრუნტისათვის  $q_{sk} = 100 \text{ კპა} = 10 \text{ ტ/მ}^2$ );

$N$  - ანკერზე (ხიმინჯზე) მოქმედი გამჭიმავი ძალა;


(1) ფორმულაში ჩვენი მნიშვნელობების შეტანით გვექნება

$$F_d = 3,14 \cdot 0,3 \cdot 1,3 \cdot 3,0 \cdot 10 = 36,7 \text{ ტ}$$

$$F_d = 36,7 \text{ ტ} > 2 \cdot N = 2,0 \cdot 5,9 = 11,8 \text{ ტ}$$

ე.ო. ხიმინჯების მიღებული დიამეტრი, სიგრძე და ბიჯი საკმარისია.

საყრდენი კედლის ელემენტების (ვერტიკალური კედლი და ჰორიზონტალური ხიმინჯი) ხიმტკიცებული გაანგარიშების (რომელიც ნაშრომში არ მოგვაქს [3]) შედეგად მიღებული დაარმატურება, იხ. ნახ. 4



ნახ. 4. საყრდენი კედლის ელემენტების დაარმატურება:

ა) ვერტიკალური კედლის; ჰორიზონტალური ხიმინჯის;

### 3. დასკვნა

შეზღუდულ პირობებში, არსებული ან საპროექტო საყრდენი კედლების საჭირო მზიდუნარიანობის მიღწევა, როცა არ არის მათი გაბარიტების გაზრდის საშუალება, შესაძლებელია კედლის ქვედა ნაწილში ხისტად ჩამაგრებული, ჰორიზონტალურად განთავსებული ხიმინჯების საშუალებით.

### ლიტერატურა

1. საავტორო მოწმობა №6613.06.07.2016 წ. გ. ჭოხონელიძე, ი. მშვიდობაძე, ბ. ბდულლაჲ ალ-იმამ, ო. მხეიძე, 06.07.2016 წ.
2. DIN 1054-2005, Subsoil – Verification of the safety of earthworks and foundations. (1, 2005)
3. . . . . , . . . . . , “”, 1985.

ხუროთმოძღვრული ძეგლების ბაძლიერების ძირითადი  
თავისებურებანი  
ი. ჭანტურია

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, 0175,  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** ნაშრომში განხილულია ბაგრატის ტაძრის ზოგიერთი მზიდი ელემენტის დაპროექტების თავისებურებებზე და მათ გავლენაზე. მთლიანი კონსტრუქციის მდგრადობაზე.

**საკვანძო სიტყვები:** სამშენებლო კონსტრუქციები, საძირკველი, შენობა-ნაგებობები, დეფორმაცია, მდგრადობა, სიმტკიცე.

## 1. შესავალი

დაზიანებული ტაძრებისადგენა-გაძლირების სამუშაოების შესასრულებლად პირველ რიგში მიმდინარეობს მათი არქიტექტურული და კონსტრუქციული მდგრამარეობის შესწავლა. ნაგებობის კონსტრუქციული კელევა დაკავშირებულია მის საანგარიშო სქემის დადგენასთან და მზიდი კონსტრუქციების დაზიანების თავისებურებებთან. რთულია პროცესი თუ ნაგებობა წარმოადგენს მნიშვნელოვან არქიტექტურულ ნიმუშს და თუ განეკუთვნება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხას. სწორედ ასეთი ძეგლის შესახებ და ზოგიერთი მზიდი კონსტრუქციის გადაწყვეტის თავისებურებაზე გვსურს მოგახსენოთ, ესაა გაერთიანებული საქართველოს სიმბოლო XI საუკუნის ხუდოობრივი ძეგლი-ბაგრატის ტაძარი, რომელიც გამოიჩინა კონსტრუქციული გადაწყვეტის მრავალფეროვნებით. თუმცა დრომ და ჟამთა სიავემ ტაძარს ძეგლი სიღიადე მაინც ვერ დააკლო.

## 2. ძირითადი ნაწილი

შენობა-ნაგებობის აღდგენა-რეკონსტრუქციისას მნიშვნელოვანია მისი ხანგამძლეობისა და სამიედოობის უზრუნველყოფა, რაც ხშირად არ სრულდება დაპროექტებისა და მშენებლობის ხარისხობრივი კონტროლის რეგულაციების (სტანდარტები, მშენებლობის სახელმწიფო ნორმები და წესები), არ არსებობის გამო.

ქუთაისის ბაგრატის ტაძარი განეკუთვნება შუა საუკუნის ნიმუშს. იგი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა, რომელი გუმბათი ოთხ მძლვრ ბურჯს ეყრდნობოდა, თუმცა მეოცე საუკუნის ბოლოს ის ჩამონგრეული, მიტოვებული და განადგურებული იყო (ნახ.1). ისტორიული ძეგლის არქიტექტურული იერსახის შენარჩუნების მკაცრი მოთხოვნის პირობებში, საკმაოდ რთული და პრობლემატური საკითხია მისი საიმედოობის ამაღლება, თუმცა ახალი ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული გაანგარიშების მრავალფეროვანი მეთოდების დახმარებით პრობლემა ადვილად წყდება.




ნახ.1 ბაგრატის ტაძარი

ასე მოხდა ბაგრატის ტაძარის რეკონსტრუქცია-გაძლიერებისას, რომლის მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენს ქვის კედლები, რომლებსაც პირველი რესტავრაცია გასული საუკუნის დასაწყისში ჩაუტარდათ და მონოლითური რკინაბეტონის შიდა კარკასის (თაღნარის) კომპლექსური კონსტრუქცია. ტაძრის ძირითადი მზიდი ფუნქცია დაკისრებული აქვს სვეტებს, რომლებიც დამზადდა დანარჩენი კონსტრუქციებიდან (ანტრესოლები, თაღების „კამარების, გუმბათის უელის და სახურავის კონსტრუქციებიდან) სტატიკური და დინამიკური (მათ შორის სეისმიური) დატვირთვების მისაღებად. ასეთ შემთხვევაში დამატებით მინიმალურად დაიტვირთება ტაძრის არსებული კედლები და როგორც გაანგარიშებებმა აჩვენეს თვითონ კედლების პორიზონტალური დეფორმაციები 8 ბალიანი სეისმიური ზემოქმედებისას აკმაყოფილებს სათანადო მოთხოვნებს. ყველა ახალი მზიდი კონსტრუქცია (ანტრესოლები, თაღები, კამარები, გუმბათის უელი და სახურავის კონსტრუქციები) მოეწყო რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენებით, როგორც სეისმურად ყველაზე მეღები სამშენებლო მასალა.

გუმბათის გარსული კონსტრუქცია, რომელშიც რადიანულად განლაგებულია 8 კედლები და ცენტრალური სვეტი, რომელთა თავზე მაგრდება გუმბათის სახურავი, წარმოადგენს გეგმაში ტექსტებკუთხების ფორმის მრუდწირული მოხაზულობის გარსულ ელემენტს. გუმბათის უელის კონსტრუქციები თოხი კოჭკედლის საშუალებით ეყრდნობა ტაძრის ცენტრალურ სვეტს კაპიტელების სიბრტყეში. გუმბათის კოჭკედლებს აერთიანებს თოხი აფრა. ამ კონსტრუქციების მონტაჟი განხორციელდა საპერანგე ქვების მონტაჟის შემდეგ.

ნახ2.-ზე წარმოდგენილია რკინაბეტონის გუმბათის სვეტისა და კედლის დაარმატურების სქემები.



ნახ2. რკინაბეტონის მზიდი კონსტრუქციების დაარმატურების სქემები:

ა) სვეტის დაარმატურების სქემა; ბ) კედლის დაარმატურების სქემა.

გადახურვის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციები მოეწყო არსებული ქვის კამარის თავზე საკურთხევლის სამხრეთით და ჩრდილოეთით, რომელთა მონტაჟი განხორციელდა უჯანგი ანკერების მოწყობით საპერანგე ქვებში.

### 3. დასპგნა

ამრიგად, ბაგრატის ტაძრის აღდგენა-რეკონსტრუქციის რთული სამუშაო პროცესი მისი მზიდი ელემენტების საბოლოო დაარმატურებისა და დამონტაჟის პროცესით დასრულდა, რომელიც თავის მხრივ შედგებოდა სხვადასხვა თანმიმდევრული ტექნოლოგიური პროცესებისაგან.

### ლიტერატურა

1. [www.sopho-kilasonias.blogspot.com/2009](http://www.sopho-kilasonias.blogspot.com/2009).

2. ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები (პნ 03.01-09) 171 გვ.

3. ვ.ჯაფარიძე, დ.ჯაფარიძე, ტ.გარსევანიშვილი, დეფორმირებული ზენობა-ნაგებობის ფუძე-საძირკვლის და ზედნაშენის გამაგრება-გაძლიერება სხვადასხვა გრუნტოვან გარემოში, თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2012წ. 258 გვ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის რელიეფური სპეციალობა და  
მისი გათვალისწინება ბანკასელებაში, რიპორტი –  
ზესტაცონის მონაკვეთის მაბალითზე

გ. მახათაძე

(თბილისის სახელმწიფო სამსატვრო აკადემია, საქართველო 0175,  
თბილისი, გრიბოედოვის ქ. №22)

**რეზიუმე:** საქართველო მთიანი ქვეყანაა. ტერიტორიის 82% მთა-გორიანია და „დაჭმუჭნელი“-ქედებით, მთებითა და ხეობებით. თვითონ ქვეყანაც შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც ერთი დიდი „b ე ო ბ ა“- ჩრდილოეთი კავკასიონის მთათა სისტემით და სამხრეთით მცირე კავკასიონით, რომელსაც ლიხის ქედი ყოფს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილად. სწორედ ამ ხეობას შორის მიუკვება დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი მთავარი მაგისტრალი. რთული, მთა-გორიანი რელიეფის ხასიათიდან გამომდინარე, ქალაური განაშენიანების თემა საქმაოდ აქტუალურია, განსაკუთრებით დღეს, როცა კვლავ გადაუჭრელია თანამედროვე ქართული არქიტექტურის ხასის პრობლემა. ამასთანავე ფრიად საგულისხმოა ქვეყნის ლანდშაფტის უნიკალური მონაცემები, რაც თავის მხრივ ფაქტი შეხებას საჭიროებს, განსაკითრებით კი ისეთი ხეობის მაგალითზე როგორიც რიკორდულისას მონაკვეთია.

**სამეცნიერო სიტყვები:** განაშენიანების მრავალფეროვნება. მეორე სართულის განაშენიანება. მეორე სართულის სივრცე. მაღლივი ტერასული. ინდივიდუალური ტერასული. სექციურ-პორიზონტური ტერასული. მდგრადი არქიტექტურა. ბიოენერგოპასიური საშუალება.

## 1. შესაბამის

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს იმერეთის რაიონში, რიკორდის გვირაბიდან დასავლეთის მიმართულებით, სოფელ უბისას ჩათვლით. ესაა 28 კმ. სიგრძის ხეობა, სადაც გადის საქართველოს დასავლეთ-აღმოსავლეთის დამაკავშირებელი მაგისტრალი.

ხეობა სხვადასხვა ფორმის, დახრის და სიმაღლის ფერდობებით ხასიათდება, ტერიტორიის დახლოებით 70% ტყიანია. დასახლებულია მეჩერეად ხარაგაულის რაიონებით და სხვა სოფლებით. საპროექტო წინადაღება წარმოადგენს ერთგვარ კონცეპტს, თუ როგორი მიღიონით შეიძლება რთული რელიეფების ათვისება და განვითარება, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ქართული რეალობისა და ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით ახალი ქალაქის შექმნა.

ქალაქის დაარსების წინა პირობა უძველესი დროიდანვე გარკვეულ მიზეზობრივ მოვლენებს უკავშირდებოდა, ეს შეიძლება ყოფილიყო გზა, მდინარე, ზღვა, რაიმე წიაღისეულის მოპოვება, საბადო, ნავთობი, სპეციალური დაკვეთა და სხვა. ამიტომაც ქალაქს ყოველთვის გარკვეული დანიშნულება გააჩნია ქვეყანასთან მიმართებაში, ასევე განსაზღვრავდა ქალაქის პროფილს, მასშტაბს, მოსახლეობის რაოდენობასა და ეკონომიკას. თუ რა მნიშვნელობა ექნება აღნიშნულ ქალაქს კონკრეტულ ადგილთან და ქვეყანასთან მიმართებაში, ამ საკითხის დასმა დღევანდელ მწვავე ისტორიულ-ეროვნულ და ეკონომიკურ პრობლემატიკას ეხება: პირველი ესაა არც თუ ისე ახალი მოვლენა, თუმცადა დღეს კატასტროფული მაჩვენებლით; მთის სოფლებიდან მოსახლეობის დაცვა და ბარში, ძირითადად თბილისისკენ წყვეტა. ფაქტიურად მთაში სიცოცხლის

გაქრობა. მეორე პრობლემა კი ესაა ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენა გარესამყაროსთან მიმართებაში.

ვინაიდან საქართველოს ეკონომიკის წამყვანი დარგი ოდიდგანვე სოფლის მეურნეობაა, გადავწყვიტე, რომ ქალაქის შექმნის წინაპირობა ამ დარგის განვითარებასთან ყოფილიყო დაკავშირებული. ამ კუთხით ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე მწვავედ აისახება ის გარემოებაც, რომ ქვეყანაში არ ექცევა სათანადო ყურადღება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოო ფაბრიკა-ქარხნების ფუნქციონირებას. (გარდა მცირე კერძო მეწარმეების შემთხვევებისა).

საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთ გამყოფ ტერიტორიაზე, სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობის სტატუსის ქალაქი, ხელს შეუწყობს ქვეყნის მნიშვნელოვან კულტურულ-სამეურნეო სფეროს აღორძინებას და იმერეთის მხარის ისტორიულ-გეოგრაფიულ გარემოზე იქნება ორიენტირებული.



სურ.1 საქართველო-იმერეთი



სურ.2 იმერეთის მუნიციპალიტეტი

სოფლის მეურნეობა მხარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. მემცნარეობიდან ძირითადად სიმინდი, ყურძენი და ბოსტნეული მოჰყავთ. მხარე გამოირჩევა სუნელების დამზადებით. (მიმდინარეობს მუშაობა სუნელების დამაზადებელ მინი საწარმოს მშენებლობისათვის). ცნობილია თაფლის მიღებით. ასამდე მსხვილი ფერმერული მეურნეობაა, აქედან ძირითადებია: მეცხოველეობა, მეგზანეობა, მელორეობა, მეფრინველეობა, მეხილეობა, მემწვანილეობა.

მხარე სარეკრეაციო რესურსების მხრივ მდიდარია. გავრცელებულია სამთო, ქვეითი, სამთო-საცხენოსნო ტურიზმი. რაფტინგი მდინარე რიონზე. ტურიზმის ერთ-ერთი უპირატესი მიმართულებაა კურორტები და გამაჯანსაღებელი ზონები, სამკურნალო წყლები და ბალნეოლოგიური კურორტები.

რთულ რელიეფზე პროექტირების ყველაზე გავრცელებული, ოპტიმალური ვარიანტია ტერასული ტიპის მშენებლობები და წერტილობები და ასე დანართები. ქანობის ტიპის ტერიტორიების განაშენიანება საქართველოში, სწორედ ამგვარი მიდგომით ყალიბდებოდა, რის შედეგადაც სახეზე გვაქს არქიტექტურის ბუნებასთან ჰარმონიული შერწყმა, ამასთანავე დახრილი რელიეფების ყველაზე რაციონალური ხურორთმოძღვრული გადაწყვეტები სივრცისა და კონკრეტულ ისტორიულ პერიოდებში, რაც თავისთავად ქართველი კაცის სამშენებლო-ხურორთმოძღვრული ნიჭის და ბუნებასთან ცოცხალი კონტაქტის გამოხატულებაა.

რთული რელიეფზე ტერიტორიების განაშენიანების საყოველთაოდ ცნობილი ქართული მაგალითებია: ისტორიული ძეგლი სოფ. შატილი - ხევსურეთში, კალოიანი სახლები ხევსურეთში, სოფ. ბარისახოში, სვანეური 20-25 მ. სიმაღლის ძირითადად 4-5 სართულიანი კოშკები, ხევსურული კოშკები, და სხვ. მსგავსი ტიპის ნაგებობები,

რომლებიც აგრეთვე ფართოდაა გავრცელებული ჩრდილოეთ კავკასიაში, ინგუშეთსა და ოსეთში, ხოლო შედარებით უფრო მაღალი, გვხვდება კავკასიის სოფლებში.



სურ. 3 სოფ. შატილი - ხევსურეთი



სურ. 4 კალოიანი სახლი-ხევსურეთი. სოფ. ბარისახო



სურ. 5 სვანეთი კოშკები



სურ. 6 ხევსურეთი კოშკები

## 2. მიზანთაღი ნაწილი- საპროექტო ჯინაღადნის კონცეპცია

საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს 66 მლნ. კვ.მ. ფართობს. იგი მოიცავს 16 სოფელს. ესენია: წაკვა, გრიგალეთი, ნადაბური, ციცქიური, გედსამანია, ხუნევი, გერტყევიჭალა, საქასრია, ვაშლევი, ამაშუკეთი, კვესრევი, მაქათუბანი, დორეშა, ბზინევი, ბორითი და უბისა. მოსახლეობის საერთო რაოდენობაა დაახლოებით 20-იდან 25000 კაცამდე ესაა მოსახლეობის ის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია ქალაქის ქვემოთ ჩამოთვლილი ფუნქციების განხორციელებისათვის, ხოლო ქალაქებისათვის ნორმებიდან გამომდინარე მოსახლეობის ამ რაოდენობას ვზრდით 4-ჯერ (პირობითად დედა-მამა, ბებია-ბაბუა...) შესაბამისად ქალაქი გვექნება 100000 მაცხოვრებელზე პერსპექტივითა და სათანადო ინფრასტრუქტურით 10-დან 15 წლის ვადაში გათვლით.



სურ. 7

საპროექტო წინადადებაში შენარჩუნებულია თექსმეტივე სოფელი, რომელთაც ექმნებათ შეუძარებლად გაუმჯობესებული საციცოცხლო პირობების დაგმაუღილება. ქალაქის მომსახურების წამყვანი დარგი, ეკონომიკური „მამუშავებული ღერძი“ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებული მრეწველობა იქნება. იგი მოქმსახურება როგორც ადგილობრივ სოფლებს, ამავე დროს ქვეყნის მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიღება-გადამუშავების ცენტრი გახდება.

ვინარჩუნებ ხეობაში გამავალ მთავარ გზას, რომელიც ფაქტიურად ქალაქის შიდა, მთავარი გზის ფუნქციას შეასრულებს. რაც შეეხება აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის დამაკავშირებელ ჩქაროსნულ გარე გზას, ის წარმოადგენს „სრულიად სწორ“ მონაკვეთს და გაივლის ქალაქის ტერიტორიის სამხრეთით. იგი ორი სადგურით დაუკავშირდება ქალაქს, სოფელ ღორეშაში და სოფელ გედსამანიაში. ჩქაროსნული მაგისტრალი მთიანი რელიეფის გამო რიკოთიდან უბისის ფარგლებში დაახლოებით 11კმ-ს გვირაბში გაივლის, ხოლო 8კმ-ს გარეთ, რის შედეგადაც მოვიგებთ დროსა და ენერგიას: რიკოთიდან უბისამდე გადაადგილებისას 28კმ-ის მონაკვეთს შევამცირებთ (28-19=9) 9კმ-ით, ანუ დაახლოებით 1/3-ით.



სურ. 8

საპროექტო ტერიტორია დაყოფილია შემდეგ ზონებად:

- 1). მომსახურება-რომელიც შეადგენს ქალაქის 35-40%-ს.
- 2). საცხოვრებელი - ქალაქის 25-30%.
- 3). გამწვანება-რეკრეაცია კი გარდა არსებულისა, რომელსაც ხელუხლებლად შევინარჩუნებთ თავისი საგარეულებით, შეადგენს ქალაქის ტერიტორიის 30%-ს.

მომსახურების ნაგებობები ძირითადად თავმოყრილია მდინარისა და გზის მონაკვეთის გასწვრივ, რომელიც ორი სახის მომსახურებას მოიცავს: ყოველდღიურს და სეზონურს, ხოლო ეპიზოდური მომსახურება უმთავრესად ქუთაისში იქნება.

როგორც ვხედავთ იქმნება ხაზოვანი ტიპის ქალაქი. ხეობას თითქმის მთელ სიგრძეზე მიუყვება მდინარე ძირულა პატარ-პატარა შენაკადებით. მომსახურების

სივრცეები ძირითადად ხეობის სიღრმეში გზისა და მდინარის გასწვრივ განლაგდება. მის შემდეგ საცხოვრებელი სივრცეები, შემდეგ კი სამეურნეო საგარეულები. გამწვანება და რეკრიაცია ტერიტორიის თრივე ნაწილს მოიცავს, მომსახურებასაც და საცხოვრებელსაც.

ქალაქის სარეკრეაციო ცენტრის - სოფ. ხუნევის გენერალურ გეგმაზე, წითელი ფერით აღნიშნულია მომსახურების სივრცეები, ყავისფერით საცხოვრებელი - არსებულიც და ახალიც, თეთრით ფერით სატრანსპორტო გზები, სადგურებითა და მოედნებით. ლურჯი ფერით კი მდინარე ძირულა, სტაფილოსფრით სანაპირო სარეკრეაციო ზოლი, მწვანე - გამწვანება, არსებულ „მწვანე“ ტერიტორიებთან ერთად.

სარეკრეაციო და მჭიდროდ განაშენიანებულ ადგილებში, მოვაწყობთ მდინარის კალაპოტს. ხოლო სპორტის, პარკებისა და დასვენების ზონებში კი ვზრდით კალაპოტის სიგანეს და წყლის დონეს საცურაო, სანაოსნო და გასართობი მომსახურებისთვის.



სურ. 9 სოფელი ხ უ ნ ე ვ ი გენერალური გეგმა


ესაა ცენტრის გარშემო ორიენტირებული ტიპის რაიონის კომპოზიცია. ცენტრში გვაქვს უნივერსალური მოედანი თავისი ინფრასტრუქტურითა და მის ირგვლივ მოწყობილი განაშენიანების ტიპებით. ესენია: 1) ტერასული ტიპის წერტილოვანი საცხოვრებლისა

და სექციურის „ნაერთი“ რომელიც დაპროექტდება შედარებით დამრეც ფერდობებზე ტერიტორიის ჩრდილოეთით, შემდეგი მიზეზებიდან გამომდინარე: ადგილისა და რელიეფის ნომინაციების მიხედვით გვაქვს ხუთი ძირითადი ტიპის განაშენიანება (იხ. ხუნევის გენ. გეგმა):

- 1). ტერასული - რომელშიც შედის მაღლივი ტერასული ტიპის საცხოვრებლები.
- 2). ინდივიდუალური ტერასული ტიპის.
- 3). ინდივიდუალური, ცალ-ცალკე მდგომი სოფლის ტიპის განაშენიანება.
- 4). მაღლივი წერტილოვანი.
- 5). იმ მონაკვეთებში კი სადაც ხეობა ვიწროა ვაკეთებ ე.წ. „გადახურვას,“ მ ე თ რ ე ს ა რ თ უ ლ ი ს გ ა ნ ა შ ე ნ ი ა ნ ე ბ ა ს ს,“ ძირითადად ლითონისა და მინის გამჭვირვალე კონსტრუქციების საშუალებით, სადაც ქვედა არსებული ნაწილი ხელუხლებელი დარჩება და გვექნება სრულიად დამოუკიდებელ ზედა, მეორე სართულის სივრცე.




სურ.10 „მ ე თ რ ე ს ა რ თ უ ლ ი ს“ განაშენიანება



სურ.11 მაღლივი წერტილოვანი და სექციური ტიპის საცხოვრებლის ნაერთი

იქ სადაც რელიეფი საკმაოდ დახრილია, ბევრად მოსახურებებელია წერტილოვანი მაღლივი შენობების დაპროექტება, ხოლო სწრაფი კომუნიკაციისათვის და დამატებითი საცხოვრებელი ფართების გამო მაღლივი წერტილოვანი საცხოვრებელი სექციური ტიპის „მიერთებით“ ფერდობს დაუკავშირდება. შესაბამისად მისვლა და გადაადგილება საცხოვრებელში, მოხდება ორივე მხრიდან დამოუკიდებლად. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი ისევ და ისევ დახრილი რელიეფიდან გამომდინარეობს, ესაა საცხოვრებლის ტერასული ხასიათი. იგი ფაქტიურად კიბისებურად მიუყვება რელიეფს, რაც საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა რაოდენობის კომპოზიციური ვარიაციების შექმნისა და ამავე დროს ძნელად მისადგომ ტერიტორიებზეც კი პროექტირების საშუალებასა და ცხოვრებას. მესამე ფაქტორი ლანდშაფტის მაქსიმალურად შენარჩუნებაში მდგომარეობს, ტყიანი ფერდობების გამო. ვგულისხმობ რაც შეიძლება მინიმალურ ჩარევას ბუნებაში, რითიც გაფუფრთხილდებით, ლანდშაპტს და ამავე დროს შევინაჩუნებთ არსებულ საცხოვრებლებსა და მეურნეობას.



სურ.12 მაღლივი ტერასული განაშენიანება.

2) მეორე სახისაა სექციური ტიპის განაშენიანება, რომელსაც შედარებით დაბალი ქანობის ფერდობებზე გაპროექტებ. 3) ინდივიდუალური, ერთ-ორსართულიანი

ტიპის განაშენიანება, საკუთარი მიწის ფართებით, სწორ და შედარებით დაბალ ფერდობებზე.


4) მეოთხე ტიპისაა ცალკე მდგომი, წერტილოვანი მაღლივი საცხოვრებლები, ესენიც სწორ და უმნიშვნელო დახრის ფერდობებზე. (ყოველივე ამის პროექტირება, როგორც უკვე ავდნიშნე, ხდება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული სოფლებისა და სახლების შენარჩუნებით, ანუ არსებულ სიტუაციას გაბამ ქალაქზე ტიპის მომსახურებასა და ინფრასტრუქტურასთან).



სურ.13 ფრაგმენტი - სოფელი ხუნევი. მაღლივი-წერტილოვანი, ინდივიდუალურ საცხოვრებლებთან ერთად.



სურ.14 სამთო ტურისტული ცენტრი



სურ. 15

21-ე საუკუნის არქიტექტურაში აქტუალური საკითხია ენერგოეფექტურობის პრობლემა, ე.წ. „მდგრადი არქიტექტურა“. ამიტომ შევეცადე არსებული სიტუაციიდან და დღევანდელი ტექნოლოგიური მიღწევებიდან გამომდინარე ქალაქი ყოფილიყო მაქსიმალურად ენერგოეფექტური:

1). მშენებლობის პროცესში გროვდება რა დიდი რაოდენობით საწარმოო ნარჩენი, ღორეშას ტერიტორიაზე, სადაც სამრეწველო რაიონი მაქს მოწყობილი, გვექნება გამოუყენებელი, გადასაყრელი საწარმოო ნარჩენების გადასამუშავებელი ქარხანა, მათი კვლავ გამოყენებისთვის.

2). მაღლივ საცხოვრებლებზე ვერტიკალურად მოთავსდება მზის პანელები (იხ.სურ.11), რომლებიც დღის განმავლობაში მზის გადადგილების მიხედვით იტრიალებენ კორპუსის გარშემო, სენსორული ტექნოლოგიების საშუალებით. ასეთი გადაწყვეტილება ესთეტიურ შესაბამისობაში მოდის ისევე როგორც შენობის არქიტექტურასტან, ამავე დროს მთიანი რელიეფის ბუნებასთან. მზის პანელები დამონტაჟდება ერთ საცხოვრებელზე იმ რაოდენობის, რაც მთლიანად შეძლებს ერთი საცხოვრებელი კორპუსის შენახვას, მზის სხივებისგან გამომუშავებული ელექტროენერგიით.

3). წერტილოვანის გადახურვაზე დამონტაჟდება მზის კოლექტორები, რაც საცხოვრებელს ცხელი წყლით მოამარავებს.(სურ.14)

4). სექციურ-ჰორიზონტალური საცხოვრებლების სახურავზე მოწყობა სარეკრეაციო ზონა თავისი დამაკავშირებელი მისავლელით ვერტიკალურ კორპუსთან(სურ11). იგი ხელს შეუწყობს საცხოვრებელში კლიმატური პირობების შენარჩუნებას და სახურავზე მოწყობილ აუზებში მოგროვებული წვიმის წყალი დაზოგავს შენობისთვის საჭირო წყლის მარაგს. ამგვარი გადახურვა იქნება საცხოვრებლის დამატებითი სარეკრიაციო სივრცეც.

5). გამოვიყენებოთ ბიოენერგოპასიურ საშუალებას, რაც ახალი აღმოჩენაა 21 საუკუნის ენერგოეფექტურ ძიებებში: შენობები ორმაგი მინიო შემინულია, რომელშიც მოთავსებულია საეციალური სითხე, ჭაობის ბუნებრივი მცენარეებით(სურ.11). ამის საშუალებით მიიღება ბუნებრივი აირი, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფს სახლს გაზმომარავებით. მისი არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქციაა საცხოვრებელში დაბეჭითო, სასიამოვნო კლიმატური პირობების შენარჩუნება და ამავე დროს შენობის არჩვეულებრივი იერსახის შექმნა.

6). რაც შეეხება ინდივიდუალურ დაბლივ ტერასულ საცხოვრებლებს აქაც გვექნება მწვანე გადახურვა საკუთარი აუზებით (სურ.16). აუზებში ლაგდება სპეციალური მილები, რისი საშუალებითაც ვდებულობთ ალტერნატიულ თბოენერგიას, გაგრილებასა და სამჯერ ვამცირებთ ელექტროენერგიის მარაგს.

### 3. დასპენა

„ქალაქი 100 000 მაცხოვრებელზე“, წარმოადგენს მცდელობას, რთულ რელიეფზე დასახლების სისტემის შექმნისა, სადაც წარმოდგენილია საცხოვრებლის ძირითადი სახეობების განვითარების ტენდენციები 21-ე საუკუნეში, ტურისტულად მიმზიდველობის, ეკოლოგიურად ჯანსაღ, ფუნქციონალურად გამართულობის და განაშენიანების მრავალფეროვნების გათვალისწინებით საქართველოს ისტორიული კუთხის-იმერეთის მაგალითზე. მუშაობის სისტემური დამოკიდებულების შემთხვევაში, საპროექტო წინადადება ეფუძნება განხორციელებას 2017-დან 2030 წლის მონაკვეთში.

### ლიტერატურა

1. ვ. ბერიძე-„ძველი ქართული ხურორთმოძღვრების ისტორია“, 1986
2. ა. ოქონპირიძე. „გეოგრაფიული გარემო და არქიტექტურა“, 2013
3. საქართველოს სამშენებლო სექტორში ჩასატარებელი გრძელვადიანი (2030 წლამდე) ენერგოეფექტურობის ღონისძიებების შემუშავება ევროგაერთიანების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
4. კევინ ლინჩი “ ” (1986)
5. [www.Wikipedia.org](http://www.Wikipedia.org) - თავისუფალი ენციკლოპედია.

## რპინაბეჭონის კედლების მოწყობა მრუდსაზოვანი ლიონების გათვალისწინებით

### 0.ქვარაია

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ.კოსტავას ქ.№77, 0175,  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია, რკინაბეჭონის კედლების მრუდხაზოვანი  
ლიონების გათვალისწინებით მოწყობის ტექნოლოგიური პროცესი, რომელიც  
დაკავშირებულია საყალიბო სისტემების არასტანდარტულ აგებასთან.


**საკვანძო სიტყვები:** არმირება, ყალიბი, ბეტონი, რკინაბეჭონი, ლიონი,  
დაბეტონება, მონტაჟი, განყალიბება.

### 1. შესავალი

მართლმადიდებელი ტაძრების და ეკლესია-მონასტრების შენობების კედლები,  
თავისი არქიტეტურული გადაწყვეტილან გამომდინარე ძირითადად ხასიათდებიან  
სხვადასხვა ტიპის მრუდხაზოვანი მოხაზულობის ელემენტებით (ნიშები, სარკმელები,  
კარებები, გასასვლელები და ა.შ.). რკინაბეჭონის კედლების აგების დროს, მსგავსი  
ლიონების მისაღებად აუცილებელი ხდება განსხვავებული საყალიბო სისტემების  
მოწყობა. ისინი ხშირად მხოლოდ ერთი ან სულ რამდენიმე ელემენტის  
დასაბეჭონებლად გამოიყენება და ყოველი ახალი შემთხვევისათვის ინდივიდუალურ  
გადაწყვეტას მოითხოვს. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე ასეთი ყალიბის მოწყობის  
მაგალითი.

### 2. ძირითადი ნაწილი

მრუდხაზოვანი ყალიბის მოწყობა, ზოგადად შეიძლება მარტივი სქემით  
გამოისახოს (ნახ.1). ძირითად მზიდ ნაწილს ყოველთვის წარმოადგენს სივრცითი  
კარგასი, რომლიც აიგება ერთმანეთისაგან 20-25სმ დაცილებული ბრტყელი, კარგად  
შეკრული, მყარი ჩარჩოების გაერთიანებით (ნახ.2).



ნახ.1. მარტივი თაღოვანი ყალიბის აგების სქემა

ხის კოჭებით ან ბელებით შექმნილი კარგასის სწორხაზოვანი უბნები გარედან  
იფარება ლამინირებული ფანერით. მრუდე ნაწილის მოსაწყობად გამოიყენება 8მმ  
სისქის ფანერა, რადგანაც იგი კარგი დრეკადობის გამო ნებისმიერი მოხაზულობის  
სიბრტყის ადვილად დაფანერების საშუალებას იძლევა. ანალოგიურად ხდება  
წრიული დიობების ყალიბის ბლოკის აგება.



ნახ.2 მრუდხაზოვანი სარკმლების მოსაწყობი ყალიბის ბლოკი

წრიული ან მრუდხაზოვანი ყალიბის ბლოკების დასამონტაჟებლად აუცილებელია რამდენიმე ელემენტიანი საყალიბო სისტემის აგება. იგი შედგება უშეალოდ ამ ბლოკებისაგან, რომლებიც ორივე მხრიდან უნდა მოექცეს საყალიბო ფარებს შორის. მანამდე კი აუცილებელია კედლის არმირების პროცესში ზუსტად გეოდეზიური კოორდინატების და ნიშნულების მიხედვით, კედლის არმატურის კარგასების მოწყობის პროცესში დატოვებული იქნას თავისუფალი ადგილები ამ ბლოკების განთავსებისათვის (ნახ.3).

ნახ.4-ზე ნაჩვენებია წრიული სარკმლების მოწყობის მაგალითი, რომელიც ყველა მრუდხაზოვანი ღიობის მოწყობის ანალოგიურია. არმატურის კარგასში ერთი მხრიდან მოდგმულ საყალიბო ფარში ჩამაგრებული წრიული ყალიბების დამონტაჟების სამუშაოების დასასრულებლად აუცილებელია წინა მხრიდან მეორე საყალიბო ფარის მიღება და მათი გამაგრება გამჭოლი ხრახნიანი დეროებით. შედეგად წრიული საყალიბები ბლოკი უძრავად ექცევა საყალიბო ფარებს შორის. დაბეტონების შემდეგ მათი იგივე თანმიმდევრობით განვალიბებით მიიღება დასრულებული კედელი შესაბამისი ღიობებით (ნახ.5).



ნახ.3 სარკმლების ბლოკების არმირებულ კედელში ჩასადგმელი ადგილები



ნახ.4. წრიული სარკმლის ყალიბის დამონტაჟება



ნახ.5. დასრულებული სარკმელები და ღიობები

### 3. დასპახა

რკინაბეტონის კედლებში მრუდხაზოვანი და წრიული ღიობების მოსაწყობად აუცილებელია წინასწარ იქნეს დამზადებული შესაბამისი მოხაზულობის და ზომის დახურული, ყუთისმაგვარი საყალიბო ბლოკები. მათი განთავსება ხდება საპროექტო კოორდინატების მიხედვით არმატურის კარკასში დატოვებულ სიცარიელეებში და ორივე მხრიდან მაგრდება საყალიბო ფარების საშუალებით, რაც გამორიცხავს საყალიბების მოძრაობას დაბეტონების პროცესში.

### ლიტერატურა

1. ი.ქარაია. გუმბათ-თაღოვანი რკინაბეტონის გადახურვების მოსაწყობი საყალიბო სისტემების აგების მაგალითები და მათი რეალიზაცია. “ტექნიკური უნივერსიტეტი”. თბილისი. 2017. 100გგ.

## რკინიგზის ლიანდაგში გიპლოფოიდური მრუდების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ

გ. მოისორაზიშვილი, ა. პორელი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში წარმოდგენილია საკითხი რკინიგზების მრუდების  
შესაძლო კლოტოიდური დაპროექტების შესაფასებლად და „მოძრავი  
შემადგენლობა-ლიანდაგი“ ხისტერის მოდელირების საფუძველზე წრიული  
და ბიკლოტოიდური მრუდების შედარებითი შეფასება.

გაანალიზებულია აღნიშნულ საკითხზე არსებული კვლევების შედეგები და  
შემოთავაზებულია ლიანდაგში ბიკლოტოიდური მრუდების გამოყენების  
შესაძლებლობის დასაბუთება.

დადგენილია, რომ ბიკლოტოიდური მრუდში 600 მ-იდან 800-მ-მდე  
რადიუსის სიდიდის შემთხვევაში მოძრავი შემადგენლობის 80 კმ/სთ  
სიჩქარით მოძრაობისას გვერდითი ძალების მაქსიმალური სიდიდეები 5-20 კნ-  
ით უფრო მცირები ვიდრე მოძრაობისას ტრადიციულ წრიულ მრუდებზე.  
თუმცა, სტატიაში ასევე მოცემულია რეკომენდაცია საუღელტესილო  
რკინიგზაზე საექსპერიმენტო პოლიგონის მოწყობისა და ნატურული  
შედეგებით თეორიული შედეგების დადასტურების თაობაზე.

**საბუნთო სიტყვები:** რკინიგზის ლიანდაგი; ბიკლოტოიდური მრუდი.

### 1. შესაბამის

რკინიგზის ლიანდაგის სწორხაზოვანი უბნების შეუდლება წრიულ უბნებთან  
ხორციელდება ცვალებადი რადიუსის მქონე გადასასვლელი მრუდების საშუალებით.  
გადასასვლელი მრუდების რადიუსი იცვლება უსასრულობიდან შესაუდლებელ  
წრიულ მრუდის რადიუსამდე და პირიქით. ეს კი უზრუნველყოფს ცენტრიდანული  
ძალის თანდათანობით ზრდას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს შემადგენლობის  
მდორე მოძრაობას სწორხაზოვანი უბნიდან წრიულზე გადასვლისას. საავტომობილო  
გზებზე მრუდი უბნების მოწყობა ხორციელდება ორი რადიანული სპირალის სახით  
(კლოტოიდით), რომელთა სიმრუდე იცვლება სიგრძის პროპორციულად, რაც  
უზრუნველყოფს ავტომობილის მდორედ მოძრაობას მრუდში ჩაწერისას.

ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა საკითხი რკინიგზებზე მრუდების შესაძლო  
კლოტოიდური დაპროექტებისა და „მოძრავი შემადგენლობა-ლიანდაგი“ სისტემის  
მოდელირების საფუძველზე წრიული და ბიკლოტოიდური მრუდების შედარებითი  
შეფასების შესახებ, რომელიც შესრულებულია ურალის მიმოსვლის გზათ  
სახელმწიფო უნივერსიტეტში ო. ა. კრავჩენკოს მიერ საპროგრამო კომპლექსი  
„უნივერსალური მექანიზმი“-ის საფუძველზე. ეს უკანასკნელი შექმნილია ბრიანსკის  
სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი მექანიკის კათედრაზე, პროფ.  
დ. პოგორელოვის ხელმძღვანელობით.

საპროგრამო კომპლექსის „უნივერსალური მექანიზმის“ გამოყენების ძირითადი  
მიზანს წარმოადგენდა მოცემული მაკროგეომეტრიის რეალურ უბანზე, როგორც  
წრიულ მრუდებზე, მისი გადასასვლელი მრუდებით, ისე ბიკლოტოიდურ მრუდებზე  
განსაზღვრულიყო მოძრავი შემადგენლობის ლიანდაგის ელემენტებზე ზემოქმედების  
გვერდითი და ვერტიკალური დინამიკური ძალების სიდიდები.

განხილული და გაანალიზებული იქნა რა, ზემოთმოცვანილი კვლევები, ჩვენს  
მიერ შემოთავაზებულია რკინიგზის ლიანდაგში ბიკლოტოიდური მრუდების  
გამოყენების შესაძლებლობის დასაბუთება.

## 2. ძირითადი ნაშილი

რკინიგზის ლიანდაგის მრუდების ბიკლოტოიდური პროექტირების შესაძლებლობის დასაბუთების კალევის საჭიროებას წარმოქმნის მრუდებში ლიანდაგის ექსპლუატაციის რიგი პრობლემური საკითხები:

1. მრუდზე მოძრავი შემადგენლობის მოძრაობისას წარმოიქმნება ხვედრითი წინაღობა  $\dot{S}_r, \text{dm}^2/\text{s}$
2. ხდება რელსისა და თვლების გვერდითი ზედაპირების დამატებითი ცვეთა, საჭიროა ლიანდაგის მოვლა-შენახვისთვის დამატებითი ხარჯების გაღება, რომლებიც უკუპროცესულია სიმრუდის რადიუსის კვადრატისა -  $R^2$ .
3. მრუდი უბნები მოითხოვს მიწის ვაკისის მოედნის გაფართოებას, ორლიანდაგიანი რკინიგზების შემთხვევაში ლიანდაგების დერძებს შორის მანძილის გაზრდას, საკონტაქტო ხაზების საყრდენებს შორის მანძილის შემცირებას და სხვა.
4. მრუდზე მოძრაობისას ხდება მატარებლის სიჩქარის შეზღუდვა [1].

აქამდე რკინიგზის ხაზის მრუდ უბნებზე არ მიმართავდნენ ბიკლოტოიდურ პროექტირებას, რადგან ეს დაკავშირებული იყო დიდი სიგრძის გადასასვლელი მრუდის დაკვალვის სინელეებთან. დღეისათვის უკვე არსებობს დაკვალვისათვის საჭირო მთელი რიგი ხელსაწყოები, როგორიცაა: შორსმზომები სიზუსტით 1-3მმ; ელექტრონული ტახეომეტრები- სიზუსტით 1 მმ; ჯპს-ის ხელსაწყოები- სიზუსტით 5მმ;

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ზემოთ ნახსენები კვლევებით მიღებული შედეგები, რამაც გამოიწვია ჩვენს მიერ ბიკლოტოიდური მრუდის საკითხის კვლევა გვეწარმოებინა რელსი-თვალის ურთიერთქმედების დინამიკის გაუმჯობესების მიზნით, კერძოდ:

1. ბიკლოტოიდური მრუდის მოწყობით ვიდრე წრიული მრუდის მოწყობისას (გადასასვლელი მრუდი-წრიული მრუდი-გადასასვლელი მრუდი) უმჯობესდება ლიანდაგის ისეთი საექსპლუატაციო მახასიათებლები, როგორიცაა გარე რელსის შემადლების ქანობი, სიმრუდის მდორედ ცვლილება, ლიანდის სიგანის ცვლილება და სხვა.

2. მოძრავი შემადგენლობის და ლიანდაგის ელემენტების ურთიერთქმედების პროგრამული კომპლექს „უნივერსალური მექანიზმი“-ით მოდელირებისას გაირკვა, რომ პრაქტიკულად ერთნაირი ვერტიკალური რეაქციის ძალების დროს, პორიზონტალური რეაქციის ძალების საშუალო სიდიდეები 30- 45%-ით და ზოგიერთ შემთხვევაში 60%-ითაც ნაკლებია ბიკლოტოიდურ მრუდზე მოძრაობისას, ვიდრე წრიულ მრუდზე. მონაცემები მიღებული იქნა სხვადასხვა რადიუსის მრუდებზე სხვადასხვა სიჩქარით მოძრაობისას (50 კმ/სთ-80 კმ/სთ) ძალოვანი მახასიათებლების შედარებით.

შესაბამისად, კვლევის მიზანია შემოწმებული იქნას მუდმივ რადიუსიანი წრიული მრუდის, მის ბოლოებში ორი გადასასვლელი მრუდით, ორი კლოტოიდით შეცვლა, რითაც მოხდება ცენტრიდანული ძალის თანდათანობითი ზრდა, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სწორი უბნიდან მრუდზე გადასვლისას შემადგენლობის მდორედ მოძრაობას.

აღნიშნული ეკრდნობა იმ ფაქტს, რომ ბიკლოტოიდის ფარგლებში რეგულირდება ლიანდის თანდათანობითი გაფართოება და გარე რელსის შემადლების საჭირო სიდიდეზე მდორედ გადასვლა.

ბიკლოტოიდის უპირატესობის შეფასება წრიულ მრუდთან შედარებით შესაძლოა ორი შემთხვევისას:

1. როცა ბიკლოტოიდის სიგრძე ( $2l_{\theta\theta}$ ) წრიული მრუდის სიგრძის ( $l_{\theta\theta}$ ) ტოლია:  $2l_{\theta\theta}=l_{\theta\theta}$  და მოხვევის კუთხეებიც ტოლია.

2. ბიკლოტოიდის სიგრძე  $(2l_{\theta})$  წრიული მრუდის სიგრძის  $(l_{\theta})$  ტოლი არ არის  $(2l_{\theta} l_{\theta})$ , ხოლო მოხვევის კუთხეები კი ტოლია.

განვიხილოთ შემთხვევა, სადაც წრიული მრუდის სიგრძე ტოლია ბიკლოტოიდის სიგრძისა, ერთი და იგივე მოხვევის კუთხეებისას. ჩატარებული ანგარიშების შესაბამისად, თუ გადასასვლელი მრუდის რადიუსი იცვლება დან  $R$  მდე, გამოვიყენებთ რა  $l_{\theta}=1/2 l_{\theta}$ , მივიღებთ კოეფიციენტის მნიშვნელობას  $a \cdot 2,5 \cdot 10^{-5}$ . მნიშვნელობა კოეფიციენტისა, ა იცვლება  $0,025 \cdot 10^{-5}$  დან  $12,5 \cdot 10^{-5}$  მდე (იხ.ცხრილი 1)

$$\text{გარე } R \text{ რელსის } \text{შემაღლების } \text{ქანობი } (i) \quad i = 2hRa \quad (1)$$

მაქსიმალური შემაღლებისას, როცა  $h_{max}=0,15$  მ, ქანობის მაქსიმალური სიდიდე


(1) დან ტოლია:  $i=0,3 R$ . (ცხრილი.1)

ცხრილი 1

$L_{\theta}, \text{მ}$	<b>20</b>	<b>50</b>	<b>80</b>	<b>120</b>	<b>170</b>	<b>400</b>	<b>600</b>
$\cdot R, i / \partial$	$25 \cdot 10^{-3}$	$10 \cdot 10^{-3}$	$6,25 \cdot 10^{-3}$	$4,2 \cdot 10^{-3}$	$2,94 \cdot 10^{-3}$	$1,25 \cdot 10^{-3}$	$0,83 \cdot 10^{-3}$
$i$	$7,5 \cdot 10^{-3}$	$3 \cdot 10^{-3}$	$1,8 \cdot 10^{-3}$	$1,26 \cdot 10^{-3}$	$0,882 \cdot 10^{-3}$	$0,37 \cdot 10^{-3}$	$0,25 \cdot 10^{-3}$
$L_{\theta}, \text{მ}$	<b>800</b>	<b>1200</b>	<b>1500</b>	<b>2000</b>	<b>2500</b>	<b>3000</b>	
$\cdot R, i / \partial$	$0,63 \cdot 10^{-3}$	$0,42 \cdot 10^{-3}$	$0,33 \cdot 10^{-3}$	$0,25 \cdot 10^{-3}$	$0,2 \cdot 10^{-3}$	$0,17 \cdot 10^{-3}$	
$i$	$0,19 \cdot 10^{-3}$	$0,13 \cdot 10^{-3}$	$0,1 \cdot 10^{-3}$	$0,08 \cdot 10^{-3}$	$0,06 \cdot 10^{-3}$	$0,05 \cdot 10^{-3}$	

300 მ-ზე მეტი სიგრძის წრიული მრუდების ბიკლოტოიდური დაპროექტებისას გარე რელსის შემაღლების ქანობი  $i < 1\%$ . ყველა სხვა შემთხვევისას, შემაღლების ქანობი რომ იყოს ნაკლები 1%-ზე, საჭიროა ბიკლოიდის სიგრძე იყოს წრიული მრუდის ლწმ სიგრძეზე მეტი.

გადასასვლელი მრუდის სიგრძისა და წრიული მრუდის რადიუსის თანაფარდობა კი მოცემულია ნახაზზე 1.



ნახ.1. გადასასვლელი მრუდისა სიგრძისა და რადიუსის თანაფარდობა

ბიკლოტოიდის გამოყენებით ლიანდაგის მრუდებში ხდება ტრასის შემოწევა შიდა მხარეს, ამიტომაც უბნის სიგრძე მცირდება და შესაბამისად მცირდება ლიანდაგის სამშენებლო და საექსპლოატაციო ხარჯები ტრასის შემცირებული სიგრძის პროპორციულად.


მიღებული შედეგები ძალზე მნიშვნელოვანია, თუმცა არასაკმარისი საბოლოო დასკვნის გამოსატანად. იმისათვის, რომ კვლევა გახდეს სრულყოფილი, საჭიროა მოეწყოს რეალური საცდელი უბანი საუღელტეხილო რკინიგზაზე, რის საშუალებაც ამ ეტაპზე საქართველოს რკინიგზას არ გააჩნია.

სწორედ ამიტომ, მოვიძიეთ მოძრავ შემაღლებულის ლიანდაგის ელემენტებზე მოქმედი ძალების რიცხობრივი მნიშვნელობების გამოკვლევისათვის შემოთავაზებული ზემოთ აღწერილი მოდელირება მოძრავი შემადგენლობის მრუდებზე მოძრაობისა, მოცემული არამილევადი აჩქარებით და „შემაღგენლობა -

« »

ლიანდაგი“ სისტემის სხვა საჭირო პარამეტრებით, პროგრამულ კომპლექსში „უნივერსალური მექანიზმი“ (უმ) და სინთეზში განვიხილეთ მათ მიერ მიღებული და ჩვენი შედეგები.

როგორც პედაგვის შედეგებმა გვიჩვენა, მოძრავი შემადგენლობის მრუდ უბნებზე მოძრაობის კომპიუტერული მოდელირება საპროგრამო კომპლექს „უნივერსალური მექანიზმი“-თ, ბიკლოტოიდური მრუდის გამოყენების დროს პორიზონტალური რეაქციების საშუალო სიდიდეები ნაკლებია, ვიდრე წრიულ მრუდის არსებობისას [2].



### ნახ.2. გვერდითი ძალების სიდიდეები

მოდელირებისას მიღებული გრაფიკები (ნახ.2) ასახავენ რეაქციული ძალების სიდიდეების დროში ცვლილებას, ამიტომაც მათზე ოვალნაოლივ ჩანს ძალების ექსტრემუმები და შეიძლება ვიზუალურად განისაზღვროს რელსზე შემადგენლობის ზემოქმედების რეაქციული ძალების მაქსიმალური რიცხობრივი მნიშვნელობები.

ბიკლოტოდურ მრუდზე და მოცემული რადიუსების თვითეულ ტრადიციული მოწყობის წრიულ მრუდზე მოძრავი შემადგენლობის მოძრაობის სიჩქარის ორ მოცემულ მნიშვნელობისათვის განსაზღვრული იქნა ვერტიკალური და განივი ძალების სიდიდეების საშუალო, მინიმალური და მაქსიმალური სიდიდეები მრუდის მთავრ სიგრძეზე და წარმოდგნილი იქნა გრაფიკების სახით (ნახ.2).

### 3. ლასპგნა

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ: გარდა იმისა, რომ ბიკლოტოიდური მრუდის გამოყენებით ვაღწევთ ტრასის სიგრძის შემოკლებას და სიგრძის პროპორციულიხარჯების შემცირებას, ამავე დროს მოძრავი შემადგენლობის 60 კმ/სთ-მდე სიჩქარით მოძრაობისას, გვერდითი დარტყმების მაქსიმალური სიდიდე თითქმის ორჯერ უფრო მცირეა, ვიდრე კლასიკურ წრიული მრუდის არსებობისას, როცა რადიუსის სიდიდე არის 600 მ-მდე და 1200 მ-ზე მეტი. აღნიშნულ დასკვნაში სალიანდაგო მეურნეობის თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია 600 მ-მდე რადიუსების მრუდებში გვერდითი დარტყმების შემცირების საკითხი, როგორც ლიანდაგის მოვლა-შენახვაზე გაწეული ხარჯების შემცირების საფუძველი.

მოდელირების დროს მიღებულ შედეგებმა გვიჩვენეს, რომ ბიკლოტოიდური მრუდის არსებობისას, მოძრავი შემადგენლობის 80 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობისას, გვერდითი დარტყმების ძალების მაქსიმალური სიდიდეები 5-20 კნ-ით უფრო მცირეა, ვიდრე მოძრაობისას წრიულ მრავალი გარე მარტივი დაზიანების გამო.

ଲୋକପାତ୍ରଙ୍କ

1. ქ. მოისწრაფიშვილი, გ. მოისწრაფიშვილი, ნ. რურუა. რკინიგზის ლიანდაგი,  
მეორე ნაწილი. „ტექნიკური უივერსიტეტი“, 2009. 7 გვ.  
2. . . - . . . ). – 1993. –  
72 28

## გულტურული ლანდშაფტის მდგრადი განვითარების სამრთაშორისო გამოცდილება

შ. გელაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, 0175  
თბილისი საქართველო)

**რეზიუმე:** ნაშრომში განხილულია კულტურული ლანდშაფტის მდგრადი განვითარების საერთაშორისო გამოცდილება იტალიაში ჩინკვე-ტერეს, ვალ დორჩას ეროვნული პარკის, ასევე გერმანიაში, ქვემო საქსონიის სოფელ ვენდლანდისა და რუსეთის ფედერაციაში, მაზენსკის რაიონში მდებარე ეთნოგრაფიული სოფელი კიმუას მაგალითებზე. როგორც საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, იმისათვის, რომ საქართველოში განხორციელდეს არსებული უნიკალური ლანდშაფტების როგორც კულტურული ძეგლების მდგრადირეობის მართვა, აუცილებელია სახელმწიფო და საზოგადოების ერთობლივი სტრატეგიის სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბება, რომელთა საშუალებითაც მიღებული იქნება კონკრეტული ზომები ლანდშაფტის დაცვის, მართვისა და დაგეგმვარების საქმეში.

**საკვანძო სიტყვები:** კულტურული ლანდშაფტი, მდგრადი განვითარება, კულტურული ძეგლების მდგრადირეობა.

### 1. შესაბამის

დღეისათვის ისტორიული ოუ კულტურული ძეგლების სტატუსის მქონე ობიექტები მკაცრი რეალობისა და ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ. მათზე უარყოფით ზეგავლენას მრავალი ფაქტორი ახდენს - მოძველებული ინფრასტრუქტურა, გარემოზე არანორმირებული დატვირთვა, უძრავი ქონების არარეგლარენტირებული მართვა და სხვა. ყოველივე ეს ხელს უშლის ისტორიული და კულტურული ღირებულების მქონე ობიექტების შენარჩუნების პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას. სავალადო შედეგების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, რომ ასეთი ღირებულების მქონე ობიექტების მართვა წარმოებდეს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანილი ძეგლების დაცვის პოლიტიკის კონტექსტში.

### 2. მიზანი ნაწილი

კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მის განვითარების კონტექსტში საინტერესოა ისტორიული დასახლებებისადმი გარემოს განვითარების მსოფლიო კომისიაზე (WCED) წარმოდგენილი ნორვეგიელი მკვლევარის ბრუნტლენის ნაშრომი „ჩვენი საერთო მომავალი“. იგი მდგრადი განვითარების კონცეფციას აკავშირებს ორ ისეთ ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებასთან, როგორიცაა ეკონომიკური განვითარება და გარემოს დაცვის ინტერესები. [1] [4]

მდგრადი განვითარების კონცეფცია ითვალისწინებს საზოგადოების განვითარების იმ ფორმებს, რომელთაც ხანგრძლივი დროის მანძილზე შეუძლიათ დაიცვან ადამიანების სიცოცხლე და დედამიწაზე არსებული რესურსები, ისევე როგორც ბუნებრივი რესურსების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისას მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების ორიენტირება ევროპური მიმართულებით.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ ეკონომიკური განვითარება და მემკვიდრეობითობის დაცვა ხშირად შეუთავსებლად მიიჩნევა, თუმცა მდგრადი განვითარების კონცეფცია იძლევა მათი ურთიერთშეთავსების საშუალებას.

ჩვენი კვლევისათვის მნიშვნელოვანი იყო ტურისტულად აქტიური და წარმატებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა-ანალიზი, იმ მიზნით, რომ გავცნობოდით ოუ როგორ განვითარეს ადგილობრივი ტურისტული რესურსები და

ამავე დროს როგორ შეინარჩუნეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული დასახლებების თვითმყოფადი გარემო. როგორ მოარგეს ძველი განაშენიანება თანამედროვე მოთხოვნებს და მიანიჭეს მათ ახალი ფუნქცია. როგორ იყენებენ ლანდშაფტსა და როგორ ახერხებენ ეკოსისტემის, თვითმყოფადი არქიტექტურისა და გარემოს დაუზიანებლად მის ჩართვას ტურისტულ ინფრასტრუქტურაში.

ევროპის ლანდშაფტების კონვენცია (ELC), რომელიც შემუშავებულ იქნა 2000 წელს ფლორენციაში, მიზნად ისახავს შეინარჩუნოს ლანდშაფტის ხარისხი და მრავალფეროვნება მისი დაცვის, მართვისა და დაგეგმვისათვის. ლანდშაფტის მართვა - არის მდგრადი განვითარების პერასპექტივების გათვალისწინებით ქმედება, რომელიც უზრუნველყოფს ლანდშაფტის რეგულარულ შენარჩუნებას, რათა მართოს და დააბალანსოს სოციალური, ეკონომიკური და გარემოს დაცვითი პროცესებით გამოწვეული ცვლილებები; ხოლო ლანდშაფტის დაგეგმვარება - ესაა არსებული ლანდშაფტის გაუმჯობესების, აღდგენისა და ფორმირების მიზნით შორსგამიზნული და გადამწყვეტი ქმედებები. [5]

აღსანიშნავია ადგილობრივი ლანდშაფტის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მაგალითი, იტალიაში ჩინკვე-ტერეს ეროვნული პარკი. ესაა იტალიის რივიერას უსწორმასწორო ზოლის მქონე სანაპიროს მონაკვეთი. იგი ლიგურიის რეგიონში, ქალაქ ლა-სპეციის დასავლეთით მდებარეობს. სანაპირო, აქ მდებარე ხუთი სოფელი (მონტეროსო-ალ-მარე, ვერნაცა, კორნილია, მანაროლა და რიომაჯორე) და მიმდებარე გორაკების ფერდობები წარმოადგენენ ჩინკვე-ტერეს ეროვნული პარკის ნაწილს, რომელიც თავის მხრივ იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაშია შესული. [6]

ჩინკვე-ტერე გამოიჩინევა თავისი განსაკუთრებული სილამაზით. საუკუნეოა განმავლობაში მოსახლეობა ამ უსწორმასწორო, ზღვაში ჩაშეებულ კლდეებზე ტერასებს აშენებდა. ამ რეგიონის თავისებურებას ისიც განსაზღვრავს, რომ იგი მოკლებულია თანამედროვე ცივილიზაციასთან აქტიურ კაგშირებს. სოფლებს ერთმანეთთან საცხენოსნო ბილიკები, მატარებლები და ნავები აკავშირებენ.

აღნიშნული ტერიტორიების მართვა ორ დონეზე - სახელმწიფო და რეგიონალური დონეზე ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ კანონების მიღება რეგიონალურ დონეზეცაა შესაძლებელი.

პარკის შექმნის მთავარ მიზანს კონკრეტულ ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის, ლანდშაფტის თავისებურებებისა და ადამიანების საქმიანობის შენარჩუნება წარმოადგენდა. რაც ისტორიული ტერასების აღორძინებას, სოფლის მეურნეობის განვითარებას, ტურიზმზე ორიენტირებული მოსახლეობის რეგიონში შემობრუნებასა და დამაგრებას გულისხმობდა.

ამ მიზანის მისაღწევად აუცილებელი იყო მიტოვებული ტერიტორიების გამოყენებისა და დამუშავების უფლების მოპოვება, რომელიც დაუმუშავებელი მიწის შესახებ კანონით რეგულირდება. პარკის აღორძინებისათვის, სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული იქნა გარკვეული ნაბიჯები, რაც მიწის მეპატრონების მიერ გაწეული ხარჯების 50 პროცენტის უკან დაბრუნებაში მდგომარეობდა. [2]

კულტურული ლანდშაფტების აქტიური კონსერვაციის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს იტალიაში ვალ დ'ორჩას პარკიც. ეს რეგიონი სათუთად კულტივირებული ბორცვებით, მათ შორისაც არხები, პერზაური პატარა ქალაქებითა და სოფლებით ტოსკანაში, ქალაქ სიენას სამხრეთიდან მონტე-ამიატამდეა გადაჭიმული. მათ შორისაა ქალაქები - პიენცა, რადიკოფანი და მონტალკინო. რეგიონი 5 კომუნას მოიცავს, მისი საერთო ფართობი 76000 ჰა. რომელთაგან 71000 ჰა. კულტურული ლანდშაფტია, ხოლო 5 000 ჰა. ინდუსტრიულად განვითარებული ტერიტორიაა, რომელიც არ აგმაყოფილებს იუნესკოს მოთხოვნებს. იუნესკომ ეს რეგიონი, როგორც კულტურული ლანდშაფტი, 2004 წელს

ხანგრძლივი შესწავლის შედეგად აღიარა. სტატუსის მოსაპოვებლად რეგიონის წარდგინება ხუთივე კომუნის ინიციატივით მომზადებული მართვის გეგმით განხორციელდა. მანამდე კი, 1988 წელს ხუთივე მუნიციპალიტეტი შეუერთდა კულტურულ ლანდშაფტად გაერთიანების დოკუმენტს. ეს პროცესი თითქმის ათი წლის მანძილზე ეტაპობრივად ხორციელდებოდა. ვალ დორჩას პარკის მართვის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრა 1999-2007 წლების რეგიონალურ კონფერენციებზე, რაც გულისხმობდა: ტურისტული მარშრუტების განვითარებას; ადგილობრივი ლანდშაფტის, ლოკალური ტრადიციების, ისტორიულ-კულტურული და რელიგიური არეალების აღმოჩენასა და ჩართულობას; ადგილობრივი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების გამოვლენასა და მათი განვითარების ხელშეწყობას; სოფლის მეურნეობის, მეცხოველეობის, მცირე საწარმოებისა და ხელოსნების სტიმულირებას, საკუთარი უნიკალური პროდუქციის წარმოების ზრდასა და მის შემდგომ რეალიზაციას.

მნიშვნელოვანი იყო განხორციელებული ღონისძიებების შედეგებიც: პარკმა ბიძგი მისცა ლანდშაფტის ხარისხის ამაღლებასა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შექმნას შორის მჭიდრო კავშირების დამყარებას; განხორციელდა მთელი რიგი პროექტები კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების, ბუნებრივი და ისტორიული დირექტულების მქონე არეალებისა და ლანდშაფტებთან მიმართებაში, მათი ადგენის, გაუმჯობესებისა თუ გააქტიურების მიმართულებით; განვითარდა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულები; განვითარდა სასტუმროებისა და ტურისტულ-რეკრეაციული ქსელი და მისი ინფრასტრუქტურა; მნიშვნელოვანად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო მიწების დირექტულება. ვალ დორჩას პარკის კულტურული ლანდშაფტები აქტიურადაა ჩართული ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაში. ამასთან, პარკის განვითარების მოდელი კულტურული და ლანდშაფტის დირექტულებების, როგორც ერთი მთლიანობის დაცვას ეყრდნობა.

სხვადასხვა ინიციატივებისა და პროექტების ერთობლივი კოორდინირების მიზნით, შემუშავებულია ერთიანი მართვის გეგმა, რომელიც მორგებულია და ითვალისწინებს ეკონომიკური ლანდშაფტების კონვენციისა და ისტორიულ-ურბანული ლანდშაფტების მართვის რეკომენდაციებს (2011 წ. პარიზი). [7]

ავთენტური საცხოვრებელი გარემოს და უნიკალური არქიტექტურის გადარჩენის, შენარჩუნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურაში ჩართვის ერთ-ერთ მცდელობას წარმოადგნს გერმანიაში, ქვემო საქსონიის ოლქში ვენდლანდის მაგალითი. იგი ტრადიციული წრიული სტრუქტურის მქონე გერმანული სოფლის დასახლების ტიპურ ნიმუშს წარმოადგეს. აქ განხორციელდა სოფლის ტერიტორიის რესტავრაცია, გაკეთდა მუზეუმი, მოეწყო მცირე ზომის ოჯახური და მუნიციპალური სასტუმროები. რეგიონების მესვეურები ცდილობენ მიზიდონ ტურისტები. თუმცა, ამავე დროს, გამოიკვეთა სამწუხაო ტენდეცია - ახალგაზრდობა კვლავაც ტოვებს სოფელს. ვფიქრობთ, ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზების შესწავლა ცალკე კვლევის საგანს უნდა წარმოადგენდეს. [3]

საინტერესოა ისტორიული გარემოს შენარჩუნებისა და განახლების პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითები. ამ მიმართებთ თვალსაჩინოა რუსეთის ფედერაციაში, მაზენსკის რაიონში მდებარე ეთნოგრაფიული სოფელი კიმეა. იგი იმ მცირერიცხოვან დასახლებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც შეინარჩუნს ტრადიციული იერი და ცივილიზაციისგან ხელშეუხებელი ლანდშაფტი. განახლებული სოფელი სრულ წარმოდგენას იძლევა თუ როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ბუნებრივ გარემოში 100 ან 200 წლის წინ. [3] [8]

სოფელში ფასეულია არა მარტო არქიტექტურული ძეგლები, არამედ სოფლის კულტურული ლანდშაფტიც, რომელიც გზების, ბოსტნების, ლობე-კორეების და მდელოების ერთობლიობაა, და რომელიც ერის ფრომირების ისტორიასთან მჭიდრო კავშირშია. კიმეას მცხოვრებლებმა თავიანთი სოფლის უნიკალურობის

შესანარჩუნებლად 2004 წელს შექმენს საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველი ორგანო “კიმუა”, რომლის ძირითად საქმიანობას სოფლის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და ტურიზმის განვითარება წარმოადგენს. შესაბამისი და დორული ღონისძიებებით კიმუას მოსახლეობამ დაიცვა და შეინარჩუნა სოფლის ავთენტურობა, ამასთან, გაიჩინა დამატებითი შემოსავლის წყარო.

როგორც ამ მიმართებით სამამულო პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არ იცნობს კულტურული ლანდშაფტის ცნებას. [9] ვფიქრობთ, საქართველოში კულტურული ლანდშაფტის აღნუსხვის ფორმის არარსებობა აღლოგიკურია, რადგან ქვეყანას სწორედ ამ ტიპოლოგიის მრავალფეროვნება და სიმრავლე გამოარჩევს. მიუხედავად იმისა, რომ ქვევრის წესით დვინის დამზადების ტრადიცია მსოფლიოს არამატერიალური მემკვიდრეობის ნუსხაშია შესული, საქართველოს ისეთი გამორჩეული, ავთენტური, ისტორიული, ეთნიკური და აგრარული კულტურის მნიშვნელობის არეალი როგორიც მაგალითად აღაზნის ველია, არაა იდენტიფიცირებული როგორც კულტურული მემკვიდრეობა და არც რეგისტრირებულია როგორც კულტურული ლანდშაფტი. როგორც კულტურული მემკვიდრეობა არაა დაცული საქართველოსათვის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მრავალი უნიკალური ადგილი, ლანდშაფტი თუ ობიექტი. [9]

ამ სახის ხარვეზების გამოსწორების გზები და საშუალებები ცალკე კვლევის საგანსა და მნიშვნელოვან კვლევით მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს, სადაც გაზიარებული უნდა იქნეს მდიდარი საერთაშორისო გამოცდილება.

საყურადღებოა, რომ ამ მიმართებით ჩვენს ქვეყანაში პირველი ნაბიჯები იდგმება, კერძოდ საჯარო სამსახურების დამმობილების პროექტის „ინსტიტუციონალური ღონისძიებების განხორციელების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის მართვის მოქნილი სისტემის დახერგვის“ (TWINNING) ფარგლებში 2015 წლის 1-8 მარტს შედგა ევროკომისიის სასწავლო ვიზიტი. ვიზიტის მიზნები იყო: კულტურული ლანდშაფტის რაობის შეცნობა და საკანონმდებლო ბაზაში მისი ადგილის განსაზღვრა კონკრეტული მაგალითების საფუძველზე; კულტურული ლანდშაფტის მართვისა და მსოფლიო მემკვიდრობის საიტის მართვის საკითხების გაცნობა; ლანდშაფტური დაგეგმარების გამოცდილების გაზიარება; ლანდშაფტის ადგილობრივი დაგეგმარებასთან და დაცვასთან, ასევე ტერიტორიის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული საკითხების გაცნობა; ადგილობრივი განვითარებისათვის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გამოყენების, მსოფლიო მემკვიდრეობის საიტების მარკეტინგის და ბრენდინგის დანერგილი მიდგომების ადგილზე შესწავლა. [2]

### 3. დასკვნა

როგორც საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, იმისათვის, რომ საქართველოში განხორციელდეს არსებული უნიკალური ლანდშაფტების როგორც კულტურული მემკვიდრეობის მართვა, აუცილებელია სახელმწიფო მოახდინოს ევროპის ლანდშაფტების კონვენციის რატიფიცირება, რისთვისაც საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება: მომზადებეს საკანონმდებლო ბაზა. არსებულ ნორმატიულ აქტებში შეტანილი იქნას შესაბამისი ცვლილებები, რომლთა მიხედვითაც ლანდშაფტები აღიარებული იქნება, როგორც მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს მნიშვნელოვანი კომპონენტი; ჩამოყალიბდეს და განხორციელდეს ლანდშაფტების პოლიტიკა, რომლის მიზანი იქნება მათი დაცვა, მართვა და დაგეგმარება; სახელმწიფო იზრუნოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე ლანდშაფტების ღირებულების, მათი როლისა და შესაძლო ცვლილებების თაობაზე;

სახლემწიფომ მოახდინოს არსებული ლანდშაფტების შეფასება და იდენტიფიცირება, რაც მათი განსაკუთრებული ღირებულებების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. ასევე უნდა გაანალიზდეს ის მახასიათებლები და გარემოებები, რომლებიც მათ ტრანსფორმირებას იწვევენ; ლანდშაფტის იდენტიფიცირებისა და შეფასების პროცედურები უნდა წარიმართოს არსებული საერთაშორისო გამოცდილებისა და მეთოდოლოგიის გათვალისწინების საფუძველზე, სამართლებრივი რეგულირების შესაბამისად.

გარდა ამისა, აუცილებელია ლანდშაფტების ინტეგრირების პროცესის განხორციელება რეგიონალური დაგეგმარების, კულტურულ, გარემოსდაცვით, სოფლის მეურნეობის, სოციალურ-ეკონომიკურ სივრცეში, რაც ლანდშაფტზე პირდაპირი ან/და არაპირდაპირ გავლენას ახდენს.

ამ მიზნით საჭიროა: სახელმწიფოს მხრიდან ხელი შეეწყოს ლანდშაფტების შეფასებისა და მართვის დარგის სპეციალისტების მომზადებას; სახელმწიფო თუ სხვა სახის დაინტერესებული ასოციაციებისათვის განახორციელდეს სატრენინგო პროგრამები, რომლებიც ლანდშაფტების მართვის პოლიტიკასთან იქნება დაკავშირებული; საუნივერსიტეტო დონეზე ხელი უნდა შეეწყოს იმ დისციპლინათა სწავლების განხორციელებას, რომლებიც შეისწავლიან ლანდშაფტებთან დაკავშირებულ ფასეულობების დაცვის, მართვისა და დაგეგმვარების საკითხებს; სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური ხელშეწყობა ლანდშაფტების საკითხებში სათანადო დონის კვლევითი პროექტების განხორციელებისა და მათი შედეგების პრაქტიკაში დანერგვასათვის; საერთაშორისო დონის თანამშრომლობა იმ ქვეყნებთან, რომელთაც კულტურული ლანდშაფტების მართვისა და მათი განვითარების მდიდარი გამოცდილება გააჩნიათ.

მიზანშეწონილია განხორციელდეს საზოგადოების, ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის ხელშეწყობის ყველა დონისძიებები, რათა შესაძლებელი გახდეს ერთობლივი სტრატეგიების, ზოგადი და სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბება, რომელთა საშუალებითაც მიღებული იქნება კონკრეტული ზომები ლანდშაფტის დაცვის, მართვისა და დაგეგმვარების საქმეში.

## ლიტერატურა

1. ხუროთმოძღვრების კონსერვაცია (პრინციპები და მოსაზრებები), თბილისი. 2007 წელი.
2. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო, კულტურული ლანდშაფტები - სასწავლო ვიზიტის ანგარიში. იტალია - ლიგურიის და ტოსკანის რეგიონები 2-7 მარტი 2015 წელი.
3. ინგა გაბაშვილი - სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: „საცხოვრისის ფორმირება მთიან რეგიონში რეკრეაციული ფაქტორების გათვალისწინებით (ხევსურეთის მაგალითზე) - თბილისისტუ. 2012 წელი
4. Report of the World Commission on Environment and Development: Our Common Future – Oxford University Press. 1987
5. [http://rbth.com/articles/2011/03/11/kimzha\\_outpost\\_of\\_tradition\\_in\\_the\\_russian\\_north\\_12548.html](http://rbth.com/articles/2011/03/11/kimzha_outpost_of_tradition_in_the_russian_north_12548.html) გადამოწმებულია 23.10.2016
6. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკა - თბილისი 2014 <http://culturepolicy.gov.ge/getfile/00f3c22d-d784-4f14-ad86-67a2a8ba05d3.aspx>

## გეტონისა და რკინაგეტონის ნაკეთობათა ტექნოლოგია პომპინირებული ჰელიორიერმული დამუშავების გამოყენებით

დ. ბაქრაძე, თ. ამყოლაძე, კ. ჯინჭარაძე  
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77,  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** სამშენებლო ინდუსტრიის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს თბური დამუშავება წარმოადგენს. საუკეთესო ხარისხის ბეტონისა და რკინაბეტონის ნაკეთობის შექმნა კონომიკური სითბური პროცესებით, ხაწვავისა და ელექტროენერგიის მინიმალური ხარჯებით საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შემცირდეს კაპიტალური დაბანდებები მშენებლობის სფეროში.

აღნიშვნლიდან გამოდინარე შეიქმნა ისეთი ტიპის დანადგარები, რომლებიც სითბოს უფრო ეფექტურად იყენებენ.

ბეტონისა და რკინაბეტონის ნაკეთობათა დამუშავების ტექნოლოგიის შემდგომმა განვითარებამ და ენერგომატარებლების კონომის აუცილებლობამ, საჭირო გახადა ალტერნატიული ენერგიის გამოყენების აუცილებლობა.

**საგვანძო სიტყვები:** თბური დამუშავება; საწარმო ციკლი; კაპიტალური დაბანდებები; ენერგომატარებლები; ალტერნატიული ენერგია; ჰელიორმული დამუშავება; სტენდური ტექნოლოგია; ყალიბ-ვაგონებები, გადამცემი ურიკები; ურიკების ჯაჭვური მშიგავი.

### 1. შესავალი

სამშენებლო ნაკეთობებისა და დეტალების ტექნოლოგიაში ტექნიკურული დამუშავების გამოყენების მეცნიერული დამუშავება დაიწყო XX საუკუნის ოციანი წლებიდან, ხოლო პრაქტიკულ განხორციელებას საფუძველი ჩაეყარა ოთხმოციან წლებში.

სამშენებლო ინდუსტრიის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს თბური დამუშავება წარმოადგენს, რომელზეც იხარჯება სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობების წარმოების ღირებულების 30%. თბური დამუშავება მოიხმარს მთლიანი საწარმო ციკლის სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაახლოებით 80%. საუკეთესო ხარისხის ბეტონისა და რკინაბეტონის ნაკეთობის შექმნა ეკონომიკური სითბური პროცესებით საჭირო განვითარების მინიმალური ხარჯებით, საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შემცირდეს კაპიტალური დაბანდებები მშენებლობის სფეროში.

### 2. ძირითადი ნაწილი

ორგორც ცნობილია, ბეტონის ნაკეთობების ორთქლით დამუშავებისათვის მრავალი ტიპის დანადგარი არსებობს. დანადგარში განლაგებული დასამუშავებელი ნაკეთობების მაღალი წყობის შემთხვევაში ადგილი აქვს ნაკეთობებში ტექნიკურის არათანაბარ განაწილებას, ამის გამო ამ პროცესის გასაუმჯობესებლად საჭირო გახდა ისეთი ტიპის დანადგარების შექმნა, რომლებმიც სითბოს უფრო ეფექტური გამოყენების შესაძლებლობა იქნებოდა, ასეთებია: კასეტები და პაკეტები, ხვრელის ტიპის პორიზონტალური გასაორთქლი კამერები და სხვა.

#### თბური დანადგარების მომარაგება ორთქლით

ორთქლმა თბური დანადგარების მომარაგებისათვის უნდა გადალახოს მიმწოდებელ მაგისტრალში არსებული წინადობები საკუთარი წნევის ხარჯზე. ამიტომ იგი უნდა მიეწოდოს ქარხანას ან მზადდებოდეს ქარხნის საქვაბეში, ორთქლის ჭარბი წნევით. ამისათვის საჭიროა ორთქლით მომარაგების სისტემის გაანგარიშების პრინციპის ცოდნა და ორთქლის წნევის დანაკარგების განსაზღვრა მისი ტრანსპორტირების დროს.

წევის დანაკარგები ტრანსპორტირების დროს იყოფა გრძივ და ადგილობრივ სახეებად.

გრძივ დანაკარგებში  $P_b$  გულისხმობენ წინაღობების დაძლევას ორთქლსადენის მთელ სიგრძეზე, რომლებიც გამოითვლება ფორმულით

$$\Delta P_b = (\frac{1}{2} v^2 \cdot l) / 2d_{\text{ა}} ,$$

$$\Delta P_s = (\frac{1}{2} v^2 \cdot l) / 2 ,$$

სადაც } – მიღსადენის ერთეული სიგრძის ხახუნის კოეფიციენტი; < – ადგილობრივი წინაღობის კოეფიციენტი,  $v$  – ორთქლის ნაკადის მოძრაობის სიჩქარე; ... – ორთქლის ნაკადის სიმკვრივე;  $l$  – მიღსადენის სიგრძე;  $d_{\text{ა}}$  – მიღსადენის მავიგალენტური დიამეტრი.

არხების ან სითბური დანადგარების წინაღობა თრთქლის ნაკადის მოძრაობაზე


$$\Delta P = av^2 l ,$$

სადაც  $\Delta P$  – აერო და ჰიდროდინამიკური ჯამური წინაღობა;  $a$  – საერთო აერო და ჰიდროდინამიკური წინაღობების კოეფიციენტი;  $v$  – ნაკადის მოძრაობის სიჩქარე;  $l$  – არხის ან დანადგარის სიგრძე.

ორთქლსადენებში ყველა ადგილობრივი წინაღობა დაყვანილი უნდა იქნეს გრძივ წინაღობაზე, ანუ ნებისმიერი ადგილობრივი წინაღობა წარმოდგენილი უნდა იქნეს მისი ეკვივალენტური გრძივი დანაკარგებით ორთლსადენის მთელ სიგრძეზე. ორთქლსადენის ასეთი საანგარიშო სიგრძეს ეკვივალენტურს უწოდებენ და აღინიშნება  $L_{\text{ა}}$ . თუ ორთქლსადენის ყველა უბანზე ადგილობრივ დანაკარგებს შევცვლით  $L_{\text{ა}}\text{-თი}$ , მივიღებთ  $\Sigma L_{\text{ა}}$ , მაშინ ორთქლსადენის სრული წინაღობა  $P_{\text{ს.}} = \Delta P_b (L + \Sigma L_{\text{ა}})$ .

### უწყვეტი მოქმედების ხერელის ტიპის გასაორთქლი კამერა

ხერელის ტიპის ჰორიზონტალური კამერა (ნახ. 1) წარმოადგენს  $L=100-120$  მ სიგრძის გვირაბს, სიგანით  $B=5\cdots 7$  მ, სიმაღლე  $H=1,0\cdots 1,17$  მ. კამერაში თავსდება 17-დან 27-მდე ვაგონები ნაკეთობებით. კამერა სიგრძეზე იყოფა შესაბამის ზონებად: ტემპერატურის აწევის, იზოთერმული დაყოვნების და გაცივების.



ნახ. 1. ხერელის ტიპის ჰორიზონტალური გასაორთქლი

კამერის სქემა. 1 – კამერის სიგრძე:  $l_1$ ,  $l_{\text{II}}$ ,  $l_{\text{III}}$  – შესაბამისად ტემპერატურის აწევის, იზოთერმული დაყოვნებისა და გაცივების ზონების სიგრძეებია.

ბეტონის ნაკეთობათა დამზადების ტექნოლოგიის შემდგომმა განვითარებამ და ენერგომატარებლების ეკონომიის აუცილებლობამ, საჭირო გახადა ალტერნატიული ენერგიის გამოყენების აუცილებლობა. აღნიშნული სტატია სწორედ ნაკეთობების ჰელიოთერმული დამუშავების სქემას განიხილავს.

ნაკეთობათა კომბინირებული ჰელიოთერმული დამუშავება შეიძლება გამოყენებული იქნეს მათი წარმოების ყველა ძირითად ტექნოლოგიურ ხერხების პირობებში (აგრეგატულ-ნაკადურის, სტენდურის და კონვეირულის), მაგრამ ყველაზე იოლია მისი რეალიზება სტენდური ტექნოლოგიის პირობებში. ამავე დროს სტენდური ყალიბების აღჭურვა ხდება სრულყოფილი კონსტრუქციის გამჭვირვალე

სახურავით; მათ გვერდულებს და ზოგიერთ შემთხვევაში ქვეშებსაც ფარავენ თბოიზოლაციით.


კომბინირებული ჰელიოთერმული დამუშავების დროს სითბური ენერგიის განსაკუთრებით ეფექტურ დამატებით დუბლირებულ წყაროებს წარმოადგენს სხვადასხვა სახის ელექტროგამათბობლები: მიღოვანი გამაცხელებელი კაბელები და სადენები, მიღოვან-დეროვანი, კუთხოვან-დეროვანი, ბადისებრი და სხვა.

უკამერო ტექნოლოგიური ხაზის რეალიზაციისათვის საჭიროა ჰელიოფალიძები – ვაგონები, დამატებით ენერგიის წყარო (მაგალითად, ინფრაწითელი ელექტროგამათბობები), სარელსო გზა და მბიძგავები (ნახ. 2, ა). ხვრელური კამერები ხელს უწყობენ ტექნოლოგიური ხაზის ეფექტურობის ზრდას, ძირითადად გარემოში თბოდანაკარგების შემცირებით და კამერის კედლებით აკუმულირებული მზის ენერგიის გაზრდით (ნახ. 2, ბ, გ).

ხვრელური კამერის ორშრიანი გამჭვირვალე სტაციონალური სახურავის დანიშნულებაა კონსტრუქციულ-თბოსაიზოლაციო მსუბუქი ბეტონის ან მძიმე ბეტონის ნაკეთობების კომბინირებული ჰელიოდამუშავება აფსეწარმომქმნელი შემადგენლობების გამოყენებით (ნახ. 2, დ).

კამერის კონსტრუქცია ეფექტურია წლის თბილ პერიოდში (ნახ. 2, ე). ხვრელური კამერის გამჭვირვალე სახურავი წარმოადგენს A -ის საფარს, რომლის მიმართ გადაადგილდება ყალიბი ნაკეთობებით (ნახ. 2, ვ).

ტექნოლოგიური ხაზის სქემა, თბოტრასების დარების სახურავის ფილების დასამზადებლად მოცემულია (ნახ. 3). ტექნოლოგიური ხაზი წარმოადგენს ჩაკეტილ კონვეირს დაყალიბების ხაზით და ორი ჰელიოგამერით (გვირაბული თერმოკამერების სახით) გამჭვირვალე მასალის საფარით, რომლის დანიშნულებაა წლიწადში 6 ათასი მ³ დარების სახურავის ფილებისა და საკანალიზაციო ჭების წარმოება.




ნახ. 2. გვირაბის ტიპის ხვრელური კამერების პრინციპიალური სქემები რკინაბეტონის ნაკეთობებისათვის ა – უკამერო ხაზი; ბ – დასაშლელი გვირაბისებრი კამერა; გ – გვირაბისებრი კამერა მოსახსნელ-სტაციონალური გამჭვირვალე ორშრიანი მასალის სახურავით;

დ – გვირაბისებრი კამერა სტაციონალური ორშრიანი გამჭვირვალე სახურავით; ე – გვირაბისებრი კამერა სტაციონალური ერთშრიანი გამჭვირვალე სახურავით; ვ – გვირაბისებრი კამერა სტაციონალური ორშრიანი გამჭვირვალე მასალის სახურავით და შემამჭიდროებელი მოწყობილობით; 1 – სრულყოფილი კონსტრუქციის სახურავი; 2 – რკინაბეტონის ნაკეთობა; 3 – ყალიბის თბოიზოლირებული გვერდული; 4 – რელსი; 5 – თბოიზოლირებული ქვეში-ვაგონები; 6 – ელექტრო-გამათბობელი; 7 – ამრეკლი; 8 – კამერის კედელი; 9 – გამჭვირვალე დასაშლელი საფარი; 10 – კამერის ორშრიანი გამჭვირვალე საფარი; 11 – ქვეში-ვაგონები; 12 – ყალიბის გვერდული; 13 – ჰელიოფალიბის ერთშრიანი საფარი; 14 – კამერის ერთშრიანი გამჭვირვალე საფარი; 15 – გრძივი შემამჭიდროებელი მოწყობილობა.

ხაზი შედგება რიგი პარალელური სარელსო გზებისაგან. ყალიბ-ვაგონებით. ერთ-ერთი გზა წარმოადგენს კონვეირს, რომლის გასწვრივ განლაგებულია ყალიბების

გახსნისა და ნაკეთობების ამოდების, ყალიბების გაწმენდის და შეზეთვის, არმატურის ყალიბებში დაყენების, ბეტონის ნარევის ჩაწყობისა და ვიბრომაგიდით შემჭიდროვების პოსტები, აგრეთვე ბეტონჩამწყობი და სკიპური ამწე ბეტონის ნარევის ბეტონჩამწყობში ჩასატვირთად.

დანარჩენი გზები განლაგებულია გვირაბული კამერის შიგნით. მათი ტორსის პარალელურად მოწყობილია სარელსო გზები, რომლებზეც დაყენებულია გადამცემი ურიკები მბიძგავბით. თითოეულ გზაზე დგანან ყალიბ-ვაგონებები, ხოლო ერთი – მათ შორის გადამცემ ურიკაზე.



ნახ. 3. თბოტრასის დარების გადახურვის ფილტრის დამზადების ტექნიკულოგიური საზის სქემა.

1 – სარელსო გზა; 2 – ყალიბის გახსნის პოსტი; 3 – ყალიბების გაწმენდისა და შეზეთვის პოსტი; 4 – ყალიბში არმატურის ჩაწყობის პოსტი; 5 – ბეტონჩამწყობის; 6 – ბეტონის ნარევის ჩაწყობისა და შემკვრივების პოსტი; 7 – ყალიბ-ვაგონებები; 8 – გადამცემი ურიკები; 9 – მბიძგავები; 10 – სკიპური ამწე; 11 – სარელსო გზა; 12, 14 – ჰელიოკამერების შესასვლელი და გამოსასვლელი ღირებები; 13 – ორშრიანი მინაპაკეტები; 15 – გადამცემი ურიკები.

საველე ტიპის გვირაბისებრი ჰელიოკამერები – მათი შესასვლელი და გამოსასვლელი ღირებები ადჭურვილია გასაგორებელი მოძრავი კარებით, რომლებიც იღება და ისურება პირდაპირ და უკუსვლის დროს. გადასაცემი ურიკების სპეციალური გამოსაწევი საბჯენებით ჰელიოკამერების გამჭვირვალე საფარი დამზადებულია ორშრიანი მინაპაკეტებით, დაწყობილი ლითონის კარკასზე რეზინის შუასადებით. კარკასსა და მინაპაკეტებს შორის არსებული დრენაჟების ჰერმეტიზაციას აწარმოებენ გაუმჯარებადი მასტიკით.

ჰელიოკამერის საფარი ორქანობიანია, დახრის კუთხით 1°. საფარის დახრა აუცილებელია შიგნითა ზედაპირიდან კონდენსატის წვეთებისა და ზედა ზედაპირიდან მტკერის გადარეცხვის და ატმოსფერული ნალექების მოსაშორებლად.

ღრებრ მინაპაკეტის ქვედა მინასა და ყალიბ-ვაგონების ზედაპირს შორის შეადგენს 30...50 მმ.

ყალიბ ვაგონებები ზედა გარე ჰერიმეტრზე ადჭურვილია დახრილი ლითონის ფირფიტებით, რომლებზეც ხრახნებით მიმაგრებულია გრძივი და განივი რეზინის ფურცლები. ფირფიტების დახრის კუთხე – 40...45°, მათი ზომა ირჩევა დარებში გარანტირებული შესვლის პირობით. განივი რეზინის ფირფიტების ზომა განისაზღვრება მათი ყალიბ-ვაგონებების ბუფერების ზონიდან გასვლით. როდესაც ჰელიოკამერაში ყალიბ-ვაგონებები განლაგებულნი არიან თანმიმდევრულად და მათი ბუფერები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან განლაგებული გრძივი რეზინის ფირფიტები მდებარეობენ წყლიან დარებში, და ქმნიან ჰიდრავლიკურ საკეტს თერმოკამერის კედლებთან. ამგარად, ჰელიოკამერები ვაგონებებით და მათი ერთმანეთთან და კამერის კედლებთან შემჭიდროების საშუალებით მოედ სიგრძეზე და სიმაღლეში ორ ზედა და ქვედა ნაწილებად.

საზი მუშაობს შემდეგი თანმიმდევრობით: საწყის მდგომარეობაში დაყალიბების კონვეირისა და თერმოკამერის სარელსო გზა შეგებულია ყალიბ-ვაგონებებით, ხოლო თერმოკამერის შესასვლელი და გამოსასვლელი ღირებები დახურულია გასაგორებელი კარებით. ყალიბ-ვაგონებები ახლადდაყალიბებული ნაკეთით გადაეცემა სპეციალური

გადამცემი ურიკებით ჰქონილი კამერების საზე. გადამცემი ურიკა მიიღებს რა შემდგომ ყალიბ-ვაგონებზე ახლადდაყალიბებული ნაკეთობებით, გადაადგილდება სარელსო გზაზე ჰქონილი კამერებთან, სპეციალური სატაციო აღებს ჰქონილი კამერის კარებს და ჩერდება ზუსტად მისი დერძის მიმართ.

ამის შემდეგ ირთვება ურიკის ჯაჭვური მბიძგავი და მასზე განლაგებულია ყალიბ-ვაგონების წაბიძგებით შექავთ თერმოკამერაში. რეზინის გრძივი ფირფიტები იღუნებიან ლეკალურ მიმმართველზე, და შემდეგ იკავებენ მუშა მდგომარეობას წყლიან ღარებში. დანარჩენი ყალიბ-ვაგონების თერმოკამერაში გადაადგილდებიან ახლად შემოგორებული ყალიბ-ვაგონების ხემოქმედების საშუალებით, მათი რეზინის გრძივი ფირფიტები გადაადგილდებიან წყლიან ღარებში, ხოლო განივი ფირფიტები ეხებიან ერთმანეთს. ამგვარად, თერმოკამერის პერმეტული დაყოფა ზედა და ქვედა ნაწილებად რჩება მუდმივად ისე, როგორც თერმოკამერაში ყალიბ-ვაგონების სტატიკური მდგომარეობის დროს.

ყალიბ-ვაგონებების თერმოკამერიდან გამოსვლის დროს მისი რეზინის გრძივი ფირფიტები ისევ გადაიღუნებიან გამოსასვლელ ლეკალურ მიმართველებზე და შემდგომი ყალიბ-ვაგონები გამოგორდება გადამცემ ურიკაზე. ამის შემდეგ გადამცემი ურიკები დაბრუნდებიან დაყალიბების კონვეირის დერზე, და ერთდროულად ახდენენ თერმოკამერის კარებების ჰერმეტიზაციას. ირთვება გადამცემი ურიკის მბიძგავი და მთელი შემადგენლობა გადაადგილდება დაყალიბების კონვეირზე, ხოლო გადამცემ ურიკაზე შემოგორდება ყალიბ-ვაგონები ახლადდაყალიბებული ნაკეთობით. ამის შემდეგ მუშაობის ციკლი მეორდება.

წლის ცივ დროში გათვალისწინებულია სითბოს ენერგიის დამატებით წყარო – გაჯერებული წელის ორთქლი, რომლის მიწოდება ხორციელდება. გვირაბულ პელიოდამერაში ჩაწყობილი მიღებით. ასეთი კომბინირებული სქემა ქმნის დუბლირებული ენერგიის წყაროს გამოყენების შესაძლებლობას ღამის საათებში და გაზაფხულ-შემთვეობის პერიოდში.

თერმოკამერების დაფოფა სიმაღლეში და იზოლირებულ ზედა ნაწილში არსებული ნაკეთობის უშუალოდ დაი ზედაპირის გაცხელება, ქმნის პირობას ნაკეთობის მაღალეფებზე თბოდამუშავებისათვის, ენერგორესურსების მცირე ხარჯით მზის ენერგიის არარსებობის დროს, რადგანაც ამ შემთხვევაში სითბომატარებელი (ორთქლი, ცხელი ჰაერი და სხვა) შეიძლება მიეწოდოს ჰაერსადენებიდან ან მიღებით ოქრმოკამერის ზედა ნაწილში.

მნიშვნელოვნად მცირდება ენერგორესურსების ხარჯი, ვინაიდან სითბო არ იკარგება კამერის ქვედა ნაწილში – იატაკის, პედლების ზედა ნაწილისა და რელსების გასაცხლელებლად.

3. დასტანა

აღნიშვნელი სქემის განხილვა გვაძლევს უფლებას გაგარეთოთ შემდეგი სახის დასკვნა. ყალიბების გაცხელება მზის ენერგიით ბეტონის ნარევის ჩაწყობამდე, ყალიბის ოქროპამერაში მოთავსება ნაკეთობასთან ერთად 15...20 წუთში დაყალიბების დამთავრების შემდეგ, კამერაში საობურის ეფექტის შექმნა, მზის ენერგიის აგუმულირება მზიანი დღის განმავლობაში, რკინაბეტონის ნაკეთობის კედლებით და კამერის ფსკერით უზრუნველყოფებ მაღალი ხარისხის ნაკეთობისა და ბეტონის მოცემულ სიმტკიცის მიღებას ყალიბების დაგონერების დღედამური ბრუნვით.

გამოთვლები გვიჩვენებს, რომ კონვეიურული ტექნოლოგიური ხაზის პელიოდერებით გამოყენებისას სითბური ენერგიის გაონომია შეადგენს 70 კგ პირობით საწვავს 1 მ<sup>3</sup> ანაკრებ რეინაბეტონზე.

ଲୋକପାତ୍ରାଳୋକା

1. . . . ., . . . . ., 2010.
  2. . . . ., . . . . ., 1983.
  3. . . . ., . . . . ., 1990.

ისტორიულ-კულტურული ძეგლების დიაბნოსტიკის  
ორგანიზებული სტრუქტურის შექმნა

მ. წიქარიშვილი, ნ. ტაბატაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო 0175 თბილისი,  
გოსტავას 77)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია ისტორიულ-კულტურული ძეგლების კონსტრუქციების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის მართვის პრინციპები და დიაგნოსტიკის ორგანიზებული სტრუქტურის შექმნის აუცილებლობის დასაბუთება.

**საკვანძო სიტყვები:** ძეგლი, კონსტრუქცია, დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა, მდგრადობის მართვა, დიაგნოსტიკა.

## 1. შესავალი

დიაგნოსტიკის პროცესის სტრუქტურული ორგანიზაციის საერთო სქემა უნდა შეიცავდეს შემდეგ პოზიციებს: დიაგნოსტიკის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა; დიაგნოსტიკის ტიპის განსაზღვრა; კვლევის მეთოდების სისტემის არჩევა; მონაცემთა დამუშავების, დაგროვებისა და რეგისტრაციის სტრუქტურის შექმნა ან არჩევა; შედეგების ანალიზი და დამუშავება; ძეგლის მდგომარეობის კომპლექსური ეკოლოგიური შეფასება; მრღვევი პროცესების საექსპერტო შეფასება; ძეგლის დაცვის სტრატეგია.

## 2. პირითადი ნაწილი

ზემოთ აღნიშნული პოზიციების შემადგენლობა შეიძლება გაკორექტირდეს და შეივსოს სპეციფიკური ღონისძიებებით, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება:

ძეგლის პოზიცია უძრავი კულტურული მემკვიდრეობის რეესტრების სისტემაში;

ინფორმაცია რეკონსტრუქციის ობიექტებისა და ახალი მშენებლობების შესახებ ძეგლის ახლოს ისტორიულ ტერიტორიაზე;

თანამედროვე მიწათსარგებლობის საზღვრების გეგმები და ა.შ.

დიაგნოსტიკის სისტემის ორგანიზაციის მოდელის მსგავსი ტიპი საშუალებას იძლევა [1]:

განვახორციელოთ ძეგლის მასალაზე გარემომცველი არის ზემოქმედების პროცესებზე სწრაფი, ეფექტური კონტროლი;

შევაფასოთ ობიექტის ქალაქის არესთან ურთიერთქმედება;

შევაფასოთ ობიექტის ფუნქციონალური მთლიანობისა და მდგომარეობის მაჩვენებლები;

გამოვავლინოთ კონსტრუქციულ მასალებში დესტრუქციული პროცესების დაზიანების, რღვევისა და განვითარების დინამიკის პირდაპირი და ირიბი მიზეზები;

შევქმნათ ობიექტზე გარემომცველი არის ზემოქმედების შერბილების ზომების განსაზღვრისათვის საჭირო წინაპირობები;

განვსაზღვროთ პროფილაქტიკური და მაკორექტირებელი ღონისძიებების დამუშავებასთან ერთად პრინციპულად ახალი და ეკოლოგიურად დასაბუთებული მიღვომები;

შევიმუშაოთ ძეგლის „მოვლის“ სისტემა პრაქტიკაში არსებული მისი „ექსპლუატაციის“ სისტემის ნაცვლად.

ჩამოთვლილი მმართველი ღონისძიებების განსახორციელებლად, არქიტექტურის ძეგლის დაცვის მიხედვით, დიაგნოსტიკის სისტემით გადაწყვეტილი ამოცანების მონაწილეობით, დაზიანებების დიაგნოსტიკის ერთიანი პროგრამა უნდა შეიცავდეს ქვემოთ მოყვანილ პრინციპულ პოზიციებს.

1. გარემომცველი არის მდგომარეობის შეფასება მეტეოროლოგიური პირობების და კლიმატური მახასიათებლების ცვლილების გათვალისწინებით.

2. ძეგლის მდგომარეობის საშიშროების მცირევადიანი და ხანგრძლივი პროგნოზირება. ძეგლის დაბინძურების, დაზიანების გათვალისწინება მათ კონსტრუქციებზე ტენისა და ტემპარატურის ცვლილების ციკლური ზემოქმედებისას შეიძლო დამაბინძურებლებისა და მასალაში მეტასტაბილური სტრუქტურების არსებობისას. შემადგენლობის ქიმიური და ფაზური ანალიზი მასალის ხანგამდლეობის რესურსისა და დაბინძურების ხასიათის, დონის, სახეობის შეფასებისათვის.

3. რეკომენდაციების შემუშავება მასალის მდგომარეობის (ხარისხის) გაუმჯობესებისათვის დროის სხვადასხვა პერიოდში, ძეგლის დაცვის სისტემაში მმართველი ზემოქმედების რეჟიმისა და გრაფიკის ფარგლებში.

4. ძეგლის შენარჩუნებისათვის ჩატარებული ღონისძიებების უფასება მისი ექსპლუატაციის ციკლის მიხედვით.

დიაგნოსტიკის ორგანიზაციისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი პრობლემები, რომელებსაც შეიძლება შეეჯახონ რეგიონალური და საქალაქო სამსახურები:

ძეგლების შენარჩუნების უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ძეგლების დაცვის სახელმწიფო ორგანოებს, რომელებიც თავისი კომპეტენციის საზღვრებში ახორციელებენ სახელმწიფო კონტროლს, თუმცა ხშირად არა აქვთ ახალი ტექნიკა და არა ჰქონებენ კავშირი კვალიფიციური სპეციალისტები (განსაკუთრებით რეგიონებში).

დღეისათვის არ არის სრული ცნობები (სააგრძოშო ფორმაში) ქვეყანაში შენარჩუნებული ძეგლების რაოდენობისა და დანიშნულების შესახებ, რადგანაც თავის დროზე დაწყებული მათი პასპორტიზაცია არ იქნა მიყვანილი ბოლომდე.

ძეგლების ზოგიერთი სახეობისათვის არ არსებობს დაცვისა და განსაზღვრის საგნის ზესტი ფორმულირება;

არ არის გათვალისწინებული არქიტექტურის ძეგლებისათვის სარესტავრაციო და სარემონტო ღონისძიებების გამოყენებული ტექნოლოგიები.

ამ პრობლემების გადაწყვეტისათვის აუცილებელია „ხარსიხის მართვის“ დანერგვა, რაც გათვალისწინებულია ICO-9000 da ICO-14000 სერიის სტანდარტებში.

საერთო ღონის დიაგნოსტიკის სტრუქტურა უნდა იყოს წარმოდგენილი შემდეგი ბლოკებისაგან: კონტროლი (რეჟიმული დაკვირვება – დაკვირვების რეგულარული სისტემა, რომელიც ასახავს ძეგლში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებას);

მართვა (ძეგლის მდგომარეობის, არქიტექტურის ძეგლების მასალებში და კონსტრუქციებში მრდველი პროცესების, დამცავი ღონისძიებების არჩევის დიაგნოსტიკის ეკოლოგიური შეფასების ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემა – სისტემური ანალიზი);

საარქივო ბლოკი. საარქივო ბლოკი თავიდანვე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შემდეგი თემატური განყოფილებების მიხედვით:

1. ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული, ისტორიულ-საარქივო მონაცემები;
2. პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაცია (მუდმივი ინფორმაცია, რომელიც ექვემდებარება შევსებას ახალი საარქივო წყაროების აღმოჩენისას, ძეგლზე აღმოჩენილი ახალი ცნობების მიღებისას და რესტავრაციის ჩატარების შემდეგ);
3. დაცვის დოკუმენტები (ცვალებადი ინფორმაცია).

დიაგნოსტიკის საერთო სისტემის განვითარებისა და დანერგვის პირველ ეტაპზე შეიძლება მოხდეს მისი საბაზო ვარიანტების ორგანიზება და განხორციელება, საარქივო ბლოკის გამოყენებით, რომელიც შეიცავს სამ მითითებულ თემატურ განყოფილებას.

ძეგლების აღრიცხვის რეალიზაციის პროგრამა შეიძლება შესრულდეს ორი გზით:

ძველი ტრადიციული ფორმით „ასპორტი“ და ა.შ.

ახალი ფორმით, რომელშიც შეთავსებულია აღრიცხვის ფორმალური მოთხოვნები და, ამავდროულად, ძეგლის შენარჩუნებისათვის აუცილებელი ცნობები. დიაგნოსტიკის სისტემიდან მიღებული მონაცემების მიხედვით მის ეკოლოგიურ ფაქტორებზე ზემოქმედების, მდგომარეობის და დაზიანების და ამ ზემოქმედებების შედეგებისა და სხვა მონაცემების აღრიცხვა.

დღეისათვის, სახელმწიფო კონტროლის საფუძველს შეადგენს პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაცია. ძეგლების დაცვის სახელმწიფო ორგანოებში არსებული საარქივო მონაცემები, არ იძლევა სრულ სურათს ძეგლებში მიმდინარე ცვლილებებზე. ერთი მხრივ, დაცვის დოკუმენტები (დაცვის ვალდებულებები და ტექნიკური მიმდინარე ცვლილებების აქტები) განსაზღვრავს ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოყენების და შემცველობის რეაქტივს, გვეხმარება მათზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაში აღრიცხვის, დაცვის, გამოყენების და რესტავრაციის წესების დაცვით. მაგრამ მეორე მხრივ, ეს იურიდიული ფორმა „მქადარია“, არ შეიცავს ინფორმაციას ძეგლის „სიცოცხლის“ შესახებ, ძეგლს განიხილავს იზოლირებულად, როგორც ცალკეულ ობიექტს, უკარის არ იღებს მის ურთიერთქმედებას გარემომცველ არესთან.

საპროექტო დოკუმენტაციის საარქივო ბაზა და პირველადი სააღრიცხვო ბაზა ასევე მოითხოვს ცოდნის სისტემატიზაციას მექანიზრების ობიექტების შესახებ. უფრო სრულყოფილ ფორმაში არსებული ნორმატიული და საკანონმდებლო დოკუმენტები ძეგლის არქიტექტურული და საინჟინრო-ტექნიკური მდგრამარეობის ექსპლუატაციასთან და კონტროლთან დაკავშირებულ განყოფილებებში მოითხოვს ძეგლის მდგრამარეობის გამოკვლევის ჩატარებას „5 წლიწადში არა ნაკლებ ერთხელ“, თუმცა პრაქტიკაში არის ფაქტები, როდესაც ძეგლის რესტავრაციის ჩატარებისთვის იგი განიცდიდა ისეთივე რდგევებს, როგორიც არსებობდა სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარებამდე. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ გარემომცველი არის და ჰიდროგეოლოგიის გაკლენისთვის დაკავშირებული ყველა ნებაზიური პროცესი არ იყო აღრიცხული, რომ ეს პროცესები აგრძელებდა მოქმედებას მუდმივმოქმედი ძალით, ხოლო შემდგომი ტექნიკური გამოკვლევის ჩატარების დრო, დოკუმენტების მიხედვით, ჯერ არ იყო. ძეგლი ნებ-ნება, მაგრამ ნამდვილად ირდვეოდა.

მეორე გზა მოითხოვს დიაგნოსტიკის პროცედურის დანერგვას, სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო სისტემის შემუშავებას, მაგალითად, დაზიანების ეკოლოგიური შეფასების საინფორმაციო სისტემები (დეშს), საძიებო-საინფორმაციო ბლოკები, ძეგლზე მოქმედი დატვირთვის სახეობების, დაზიანების მდგრამარეობისა და სახეობის მიხედვით დიაგნოსტიკური ინფორმაციული სისტემა (დის), მრღვევი პროცესების შეფასების საექსპერტო სისტემები (მპშს) და ა.შ. ასეთი სისტემების შემუშავება საშუალებას იძლევა, ჩამოყალიბდეს შესაბამისი სახეობების დოკუმენტაცია ერთიან კომპლექტში, კულტურული მემკვიდრეობის ყოველ ობიექტზე, რაც უზრუნველყოფს მის საარქივო შენახვას, მიზნობრივ გამოყენებას და სამუშაოების ავტომატიზებული სისტემის მართვაზე გადასცვას არქიტექტურის ძეგლის შენახვის უზრუნველსაყოფად.

დღეისათვის დიაგნოსტიკის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგრამარეობს ძეგლების დაცვის სისტემაში ეკოლოგიური პროცედურების წარმატებით გადაწყვეტაში და, კერძოდ, რესტავრაციის ხარისხის შემცირების ეკოლოგიური მიზეზების განსაზღვრაში. დიაგნოსტიკა ეკოსისტემის საზღვრებში საშუალებას იძლევა მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შეფასებით უფრო სრულად იქნას გამოვლენილი დაზიანების მიზეზები და უფრო ეფექტურად აღიკვეთოს ისინი.

თუ გავრცობილად ვისაუბრებთ, დიაგნოსტიკის სისტემის აქტუალობა და მნიშვნელობა მდგრამარეობს იმაში, რომ მისი არსებობისას შესაძლებელია ოპერატიულად მივიღოთ ინფორმაცია ძირითად საკითხებზე: ძეგლის დაცვის მდგრამარეობაზე; მის ტექნიკურ დაცვაზე; ძეგლის დაცვისათვის აუცილებელ ოპერატიული სამუშაოების განსაზღვრაზე; ძეგლის დაცვისათვის მოქმედების პრიორიტეტული მიმართულებების დაგეგმვისას საჭირო ფაქტორების განსაზღვრაზე.


ინფორმაციით სარგებლობის ორგანიზება შესაძლებელია, მაგალითად, ძეგლის მდგრამარეობის ხარისხის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის ციკლის მოდელის მიხედვით.

მართვის მოდელის მსგავსი სისტემების შექმნა საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ პროდუქციის ხარისხის მართვის სისტემის ფარგლებში დაცვითი ქმედებების განხორციელება, ISO-9000 სერიის სტანდარტების სისტემების მეთოდოლოგიის გამოყენებით – „ხარისხის რეგულირება – ხარისხის სისტემა –

ხარისხის „უზრუნველყოფა“, როგორც ძეგლის დიაგნოსტიკის დროს ხარისხის მოცემული მოთხოვნების დაქმაყოფილებისათვის აუცილებელი პროცესების, მეთოდიკების, სტრუქტურების ორგანიზაციული მახასიათებლებისა და თვისებების ერთობლიობა. ასეთი მოდელების ფარგლებში შეიძლება შემუშავდეს ხარისხის მართვის (მენეჯმენტის) სისტემების სხვადასხვა ელემენტები. ასეთ ელემენტებს მათი შემუშავების შემდეგ შეიძლება მივაკუთვნოთ დიაგნოსტიკის და მათი ქვესისტემების პროცედურები – ინფორმაციის სხვადასხვა ბლოკები, მათი დახმარებით მიღებული საძიებო-ინფორმაციული ბლოკები, საარქივო ბლოკები და ა.შ.

ისტორიულ-კულტურული ძეგლების დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის (მდგრადობის) მართვისათვის აუცილებელია თანამედროვე მეთოდური და ორგანიზაციული ანალიზი პროექტირებაში, რომელიც განსაზღვრულია დღევანდელი სტანდარტებით ISO-9000-ით, აჩვენებს, რომ პროექტის ხარისხის „უზრუნველყოფისათვის, აუცილებელია კვლევისა და დიაგნოსტიკის პროცედურების ობიექტების ამაღლება. „მდგრადი რესტავრაციისა“ და ექსპერტიზის ხარისხის „უზრუნველყოფისათვის, საჭირო განხორციელდეს ძეგლის მდგომარეობის ანალიზი მისი არსებობის ყველა სტადიისათვის, როგორც ეს ასახულია ნახ. 1-ზე.

ნახ. 1-ზე მოცემულია სისტემის დიაგნოსტიკის ეტაპები, რომლებიც ასახავს ტექნიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდიკის სამეცნიერო-მეთოდურ პრინციპებს: სისტემურობას და ურთიერთშეპირისპირებას.



ნახ. 1. ძეგლების სიცოცხლის ციკლის მიხედვით საპროექტო ანალიზის სქემა და ამ ანალიზში სისტემური დიაგნოსტიკის ადგილი

მიღებული ინფორმაცია გამოიყენება ძეგლების ექსპლუატაციის ციკლის სხვადასხვა სტადიაზე.

### 3. დასპბენა

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მდგრადი რესტავრაციისა და ექსპერტიზის ხარისხის „უზრუნველყოფისათვის საჭირო განხორციელდეს ძეგლის მდგომარეობის ანალიზი მისი არსებობის ყველა სტადიისათვის, რითვისაც დამუშავდა ბლოკ-სქემა. იგი ისტორიულ-კულტურული ძეგლის მდგომარეობის მდგრადობის მართვის გაუმჯობესების საშუალებას იძლევა.

### ლიტერატურა

- მ. წიქარიშვილი, მ. ვარდიაშვილი. ისტორიულ-კულტურული ძეგლების სისტემური მონიტორინგი და დიაგნოსტიკა. თბილისი “ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2012 წ. გვ. 148

საქართველოს თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის ძირითადი  
ასპექტები და თანამედროვე საინჰორმაციო-ტექნიკური  
შესაძლებლობები, ორგორც სამხედრო ძლიერების ფარო

ა. ხატელაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას № 77,0175,  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** თავდაცვის ხელისუფლი მიმოხილვის რეკომენდაციების განხორციელება წარმოადგენს საქართველოს უმთავრეს ამოცანას. შეზღუდული რესურსები და ცვლადი უსაფრთხოების გარემო კვლავ რჩება მთავარ გამოწვევად. აღნიშვნულის გათვალისწინებით, სახელმწიფოს მიზანია მაქსიმალურად დაბალანსებულად და გეგმაზომიერად განახორციელოს თხბის რეკომენდაციები, რაც განაპირობებს ეფექტური მართვისა და სტრუქტურის ძლიერ, პროფესიული, მობილური, სათანადოდ აღჭურვილი და ნატოხთან თავსებადი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებას, რომელიც შეხდებს უზრუნველყოს ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას, საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობას და სამოქალაქო ხელისუფლების დახმარებას ბუნებრივი და ტექნიკური კატასტროფების დროს. გეოპოლიტიკური ძღვანელობიდან და რეგიონული ცვლადი უსაფრთხოების გარემოდან გამომდინარე, საქართველო რიგი საფრთხეების და რისკების წინაშე დგას. უსაფრთხოების გამოწვევებზე საპასუხოდ, აუცილებელია თავდაცვითი შესაძლებლობების შემდგომი გაუმჯობესება და თავდაცვის სისტემის ტრანსფორმაცია.

**საკვანძო სიტყვები:** ქსელურ-ცენტრული ომი, შეიარაღებული ძალები, თანამგ ზავრული კავშირი.

## 1. შესაბამისობა

გლობალიზაციის ეპოქაში საქართველოს უსაფრთხოების გარემო დამოკიდებულია როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონულ და საერთაშორისო ფაქტორებზე.

ტერიტორიული უსაფრთხოება - რესერვის მიერ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილების ოქუპაცია საფრთხეს უქმნის საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო მთლიანობის და პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური დესტაბილიზაციის უმნიშვნელოვანების ფაქტორს წარმოადგენს.

ევროატლანტიკური ინტეგრაცია - ნატოში გაწევრიანება საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ქვეყნის ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, შექმნის ეროვნული უსაფრთხოების მყარ გარანტიებს და ხელს შეუწყობს მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებას სამხრეთ კავკასიაში. საქართველო აქტიურად არის ჩართული და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ავღანეთში საერთაშორისო უსაფრთხოების მსარდამჭერი ძალების (ISAF) ოპერაციაში.

კავკასიაში არსებული კონფლიქტები - კავკასიაში არსებული კონფლიქტები ნებატიურ გავლენას ახდენს საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე.

კიბერუსაფრთხოება - 2008 წლის რესერვ-საქართველოს ომა ცხადყო, რომ საქართველოს კიბერსივრცე მოწყველადია არსებული საფრთხის წინაშე და ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისათვის რისკის შემცველი ფაქტორია.

ტერორიზმი და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული - ქვეყნის ტერიტორიაზე ოკუპირებული რეგიონების არსებობა და რეგიონში არსებული კონფლიქტები ხელსაყრელ გარემოს ქმნის საერთაშორისო ტერორიზმისა და

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულისთვის. არსებობს საშიშროება, რომ ოკუპირებული ტერიტორიები გამოყენებულ იქნეს ისეთი არალეგალური საქმიანობისათვის, როგორიცაა ნარკოტიკების, შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის კომპონენტების უკანონო გადაზიდვა და ვაჭრობა.

## 2. მირითადი ნაწილი

საქართველოს შეიარაღებული ძალების ამოცანაა ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება კომპეტენციის ფარგლებში (საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის ჩათვლით), აგრეთვე, ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების დროს სამოქალაქო ხელისუფლების დახმარება.

საქართველოს თავდაცვის სტრუქტური მიმოხილვის დოკუმენტით განსაზღვრულია ქვეყნის წინაშე მდგარი სამხედრო ხასიათის პოტენციური საფრთხეები:

- რესერტის ფედერაციის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შეუსრულებლობა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო სამშვიდობო ძალების არყოფნა და ოკუპირებული ტერიტორიების მილიტარიზაცია ზრდის პროცესის რისკს და ახალი სამხედრო აგრესიის ალბათობას;

-საქართველოს მისწრაფება გაერთიანდეს ევროპული სტრუქტურებში მიუღებელია რესერტის ფედერაციისთვის, რაც ზრდის სამომავლო საფრთხის რისკს;

-ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული დაძაბულობის შესაძლო ესკალაცია კვლავ წარმოშობს საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო კონფლიქტის გადმოდინების რისკს;

-მზარდი დამოკიდებულება კიბერტექნოლოგიებზე ზრდის ეროვნული კიბერსივრცისა და კიბერუსაფრთხოების დაცვის მნიშვნელობას.

დასახული ამოცანების შესახულებლად და არსებული უსაფრთხოების გარემოდან გამომდინარე, აუცილებელია თავდაცვითი შესაძლებლობების გაუმჯობესება შეიარაღებული ძალების უფრო მობილურ და პროფესიულ, ნატოსთან თავსებად ძალებად გარდაქმნის გზით.

არსებული უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით, სასიცოცხლო მნიშვნელობას იდენს შეიარაღებული ძალების თავდაცვითი სისტემების მოდერნიზაცია. ამ მიმართულებით, სშძ-ისტვის ძირითად დაბრკოლებად რჩება თავდაცვის შეზღუდული რესურსები. აღნიშნული წინააღმდეგობის გადასალახად აუცილებელია შესაბამისი მოდერნიზაციის გეგმების შემუშავება, არსებული ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაუმჯობესება.

თავდაცვის სტრუქტური მიმოხილვის დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფაქტორებს, რომლებიც ემსახურება ნატოსთან თავსებადი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებას:

-მართვისა და კონტროლის (C2) სისტემის სრულყოფა;

-შეიარაღებული ძალებში დაგეგმვის სცენარული მეთოდის (ცენტრალიზებული დაგეგმვა დეცენტრალიზებული აღსრულებით)დანერგვა;

-აქცენტირება მეთაურთა მომზადებისა და განვითარების თანამედროვე პროგრამებზე;

-მობილური, კარგად ორგანიზებული, გაწვრთნილი და თანამედროვე შეიარაღებითა და ტექნოლოგიებით აღჭურვილი შეიარაღებული ძალების გადაზიდვა და ვაჭრობა.

საქართველოს საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკისა და პრინციპების გათვალისწინებით, რომლებიც არ განიხილავს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს

საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტად, თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტის თანახმად „მიზანშეწონილია განხილულ იქნეს საკითხი, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს დაერქვას საქართველოს თავდაცვის ძალები“. აღნიშნული ცალსახად ადასტურებს, რომ საქართველო სამხედრო მოქმედებებს გეგმავს მხოლოდ საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში, რაც სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით წინა პლანზე აყენებს სივრცითი განვითარების გეგმებში ქვეყნის სამხედრო-საინჟინირო მოწყობის ასპექტებისა და ერთიანი ინფორმაციული გელის ჩამოყალიბების პრიორიტეტულობას.

მოწინააღმდეგის სამხედრო შესაძლებლობების გათვალისწინებით, აუცილებელია, საომარი მოქმედებების დაგეგმვისას, ძალთა თავმოყრაზე დაყრდნობილი მიღების გადავიდეთ მასიურ ქმედებაზე დაყრდნობილ მიღების, რომელიც გულისხმობს თპერაციების წარმოებას გეოგრაფიულად გაფანტული ძალებით, რაც წარმოადგენს ქსელურ-ცენტრული ომის (NCW) წარმოების ძირითად პრინციპს.

NCW არის ომის წარმოების აუცილებლობის თეორია ინფორმაციულ ხანაში. ეს არის კონცეფცია, რომ მადალ დონეზე იქნება დაკმაყოფილებული სამხედრო მოთხოვნები ინფორმაციულ ხანაში. ქსელურ-ცენტრული ომი აღწერს/წარმოადგენს სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე პროცედურულ და ორგანიზაციულ დონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც შეიძლება ქსელმა უზრუნველყოს, რომ შეიქმნას ომის გადამწყვეტი უპირატესობა. ქსელურ-ცენტრული ომი ცნობს ინფორმაციის ცენტრალურ ადგილს და მის პოტენციალს როგორც სიძალიერის ერთ-ერთ წყაროს. ეს პოტენციალი აღიქმება როგორც ცალკეულ პერსონებს, ორგანიზაციებსა და მიმდინარე პროცესებს შორის სრულიად ახალი ურთიერთდამოუკიდებულების შედეგი. ეს ახალი ურთიერთდამოუკიდებულება განაპირობებს როგორც ქცევის ახალ ნორმებს, ასევე სამუშაოს ახალ რეექტს. გაზრდილი საბრძოლო სიმძლავრე არის, სწორედ მებრძოლ სტრუქტურებს შორის ახალი ურთიერთდამოუკიდებლობით მიღწეული ერთობლივი ძლისხმევის ეფექტურობის შედეგი.

აღნიშნული ხედვა უზრუნველყოფს ახალ კონცეპტუალურ ჩარჩო-სტრუქტურას, რის მეშვეობითაც ხდება სამხედრო მისიების, საომარი დავალება-ოპერაციების და ორგანიზაციების ქმედებების განხილვა და შესწავლა-გამოკვლევა. ამ ჩარჩო სტრუქტურის მიზანია ისეთი ახალი პერსპექტივის უზრუნველყოფა, რომელიც ხელს შეუწყობს იმ გარანტიას, რომ ახალი მიღები და გადაწყვეტილებები არ იქნება შეზღუდული მოძველებული აზრებით და ხედვებით.

NCW ეხება ადამიანების და სტრუქტურების ქცევას. NCW მიმართულია ახალი-ქსელურ-ცენტრული აზროვნების აღქმა-შეთვისებაზე და კრიზისული/სამხედრო/საომარი ოპერაციებისთვის მის გამოყენებაზე. NCW წარმოადგენს ერთობლივ ძალას, რომლის გამოყენებაც შეიძლება ომში/კრიზისში მონაწილე სტრუქტურების ყველა რგოლის ეფექტური ურთიერთდაკავშირების ან ერთიან ქსელში ეფექტური ჩართვის მეშვეობით. ეს განისაზღვრება გეოგრაფიულად გაფანტული ძალების(ცალკეული ერთეულებისგან შემდგარ ძალები) მეთაურების მიერ საერთო საბრძოლო სივრცის აღქმისა და საერთო ოპერატიული სურათის ფლობის უნარით, რათა ეს ცოდნა გამოყენებული იქნას თვითსინქრონიზაციის და ქსელურ-ცენტრული ოპერაციების მეშვეობით ზემდგომის მიზნის/განზრახვის მისაღწევად. ჩე უზრუნველყოფს ზემდგომის მიერ გაცემული ბრძანებების შემსრულებლებამდე სწრაფად დაყვანას და ეფექტურ აღსრულებას.

NCW-ს გააჩნია პოტენციალი ხელი შეუწყოს ომის ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული ასპექტების შერწყმა-ინტეგრირებას. სამხედრო ძალები, როგორც ქსელურ-ცენტრული ერთეული, ამყარებს ურთიერთობებს იმ ძირითად ელემენტებს შორის, რომელიც საჭიროა ქსელურ-ცენტრული ერთეულის აღრე განხილული

◀◀ ▶▶

მოდელის საბრძოლო ძალით აღსაჭურვავად. ის იძლევა ერთობლივი საბრძოლო სივრცის აღქმვისა და მასში უკეთ გარკვევის საშუალებას, ეს ცოდნა და გარკვეულობა უზრუნველყოფს მართვისა და კონტროლის სისტემის უვეძებლურობას. საბოლოო შედეგად აქ გვევლინება ოპერაციების მომეტებული ტექნი, მომეტებული რეაგირების უნარი, უფრო დაბალი რისკი, უფრო შემცირებული ხარჯები და მომეტებული საბრძოლო უფაძლებელობა.

### 3. დასტვება

საომარი მოქმედებების რაიონში საბრძოლო მოქმედებების წარმოების ქსელურ-ცენტრული ომის კონცეფცია ერთობლიობაში გულისხმობს საბრძოლო ძლიერების/პოტენციალის ზრდას ინფორმაციულ-კომუტაციურ ქსელების შექმნით. შედეგად მიიღწვევა ძალების და საშუალებების მართვის პროცესების და საბრძოლო ოპერაციების ტემპის დაჩქარება, მოწინააღმდეგებ მხარის გამანადგურებელი ძალის ეფექტური ჩახშობა/დაზიანება/განადგურება, საკუთარი ძალების სიცოცხლისუნარიანობის და მობილურობის გაზრდა, საბრძოლო მოქმედებების თვითსინქრონიზაცია.

ქსელურ-ცენტრული ომის პრინციპებით მოქმედ შეიარაღებულ ძალებს მიეცემა საშუალება კონკრეტულ მიმართულებებზე შეაკავოს ომის წარმოების შედარებით დიდი რესურსის მქონე მოწინააღმდეგებ, რომელიც ხემძღვანელობს ძალია თავმოყრაზე დაყრდნობილი მიღებით.

ଲୋକପାତ୍ରମାନଙ୍କ

მწვანე სარეპრეაციო სიცრცეების პროექტირებისა და  
მშენებლობის უცხოური გამოცდილება

თ. მახარაშვილი, გ. ხელაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 68,  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** ნაშრომში წარმოდგენილია უცხოური გამოცდილების როგორც  
მასშტაბური, ასევე ლოკალური, წარმატებული პროექტები. აქვე განხილულია  
გადაწყვეტების სტრატეგიული მნიშვნელობები, რისი საშუალებითაც  
განვითარებულმა ქვეყნებმა შეძლეს ლანდშაფტურ-არქიტექტურული  
ამოცანების გადაწყვეტა ისე, რომ ხელი შეუწყვეს ქვეყნის როგორც  
ეკოლოგიურ, ასევე ეკონომიკურ განვითარებას. უცხოეთის პრაქტიკაში აჩვენა,  
რომ პრობლემისადმი კომპლექსური მიღვოდა უფრო წარმატებულ შედეგებს  
იძლევა, ვიდრე პრობლემის ერთი კონკრეტული მიმართულებით გადაწყვეტა.  
განვითარებული ქვეყნების გამოცდილების ანალიზი და სიღრმისეული  
გააზრება ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანებში ლია გამწვანებული სივრცეების  
სწორი მიმართულებით განვითარებას.

**საკვანძო სიტყვები:** ლანდშაფტის არქიტექტურა, ლოკალური სივრცეები,  
*Natura 2000*, მწვანე არქიტექტურა.

## 1. შესაბამი

ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში დღითი დღე უფრო მწვავდება ეკოლოგიური  
საკითხები და ქალაქები დგანან ისეთი გამოწვევის წინაშე, როგორიცაა, მზარდი  
დეველოპერული პროექტებით და მოჭარბებული ტრანსპორტით გამოწვეული CO<sub>2</sub>-ის  
ემისიები, რომლებიც კიდევ უფრო მძაფრდება მავნე ნარგავების და სარეკრეაციო  
სივრცეების განადგურების ფონზე, საინტერესო იქნება, თუ განვიხილავთ  
განვითარებული იმ ქვეყნების მაგალითებს, რომლებიც გასული საუკუნიდან  
ებრძვიან ზემოთ ხსენებულ გამოწვევებს და ცდილობენ გააუმჯობესონ ქალაქების  
ეკოლოგიურ-სანიტარული მდგომარეობა.

## 2. პირითადი ნაწილი

ქალაქების ბუნებრივ გარემოში მიმდინარე პროცესები მსოფლიო  
საზოგადოების სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, რაც გახდა შესწავლის,  
დისკუსიების, მრავალრიცხოვანი პუბლიკაციების საგანი. უკანასკნელ წლებში  
განსკუთრებული აქტულობით გამოირჩევა ისეთი გლობალური გამოწვევები,  
როგორიცაა: გამწვანებული ტერიტორიები და მასთან დაკავშირებული საფრთხეები.  
ევროპასა და აშშ-ში აქტიურად არიან ჩართულები კლიმატის და გარემოს დაცვითი  
პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიების საკითხებში და ერთ-ერთ მნიშვნელოვან  
ინიციატივას წარმოადგენს „მწვანე ქალაქების“ მშენებლობა. მათი მიზანია:  
ქალაქებში გამწვანებისა და რეკრეაციის წილის გაზრდა – ენერგოეფექტური,  
ენერგო და რესურსდამზოგი ტექნოლოგიების განვითარება საქალაქო მეურნეობის  
სხვადასხვა სექტორში; განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება;  
ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო ტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობა;  
CO<sub>2</sub>-ის ემისიების შემცირება; ქალაქების ტერიტორიაზე მოსახლეობისთვის  
მდინარეებისა და წყალსაცავების ხელმისაწვდომობა; წყლის ხარისხის  
გაუმჯობესება; მოსახლეობისთვის კომფორტული საცხოვრებელი, სამუშაო და  
დასვენების პირობების შექმნა და სხვ.

ევროკავშირმა მიზნად დაისახა ევროპის მასშტაბით ამბიციური გეგმის  
შესრულება ბიომრავალფეროვნების შემცირების პროცესის შესაჩერებლად, რომლის  
მთავარ ქავეუთხედს წარმოადგენს ევროკავშირის მასშტაბით მოქმედი დაცული  
ტერიტორიების ქსელი, რომელშიც გაერთიანებულია 28 წევრი სახელმწიფო და

ეწოდა „Natura 2000“. დღეის მონაცემით ქსელი აერთიერებს 27 ათას ობიექტს და მოიცავს ევროკავშირის სახმელეთო ტერიტორიის დაახლოებით 18%-ს და საზღვაო აკვატორიას.

მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში ლოკალური სივრცეების კვლევამ აჩვენა, რომ ამ ტიპის სივრცეების ეფექტური მართვა ახდენს მათ ხელმისაწვდომობის დაბალი მაჩვენებლის კომპენსირებას და ხელს უწყობს საცხოვრებლად მიმზიდველი, კომფორტული ურბანული გარემოს ჩამოყალიბებას. აღსანიშნავია ავსტრალიისა და სხვა საზღვაოგარეთის ქვეყნების ურბანული განვითარების საუკეთესო პრაქტიკა, სადაც მიწის ფართის 25-50% გამოყოფილია დია გამწვანებული სივრცეების განვითარებისთვის, თუმცა ეს შესაძლებელია მოიცავს როგორც კერძო, ასევე საჯარო სივრცეებს. განვითარებულმა ქვეყნებმა დაიწყეს ფიქრი, თუ როგორ შეიძლება რეკრეაციულმა ზონამ უზრუნველყოს დამატებითი სარგებლის მიღება როგორც ეკოლოგიური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით, რაც დადგითად აისახება მცირე და საშუალო ზომის, ქალაქებისა და დაბების ტიპის დასახლებებში; უკვე განხორციელებული პრაქტიკა წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული საქართველოს იმ ქალაქებში, რომელთაც ხელი მოაწერეს მერთა შეთანხმების ხელშეკრულებებს CO<sub>2</sub>-ის ემისიის შემცირების თაობაზე, რამდენადაც ასეთი პარკის ყოველი პექტარი წლიურად შთანთაქვს 10 ტონა ნახშირბადს, რაც მნიშვნელოვანი კომპონენტია ამ ქალაქების ვალდებულების შესრულებისათვის. განვიხილოთ განვითარებული ქვეყნების გამოცდილების რამდენიმე მაგალითი.

მაგალითი 1. დიკეფერლდი, გერმანია.

ევროპის ქვეყნები აქტიურად ახორციელებენ ენერგოპარკების პროექტიორებასა და მშენებლობას. ასეთი პარკის ერთ-ერთი მაგალითია დიკერფელდი „Schlosspark“ გერმანიაში, რომლის ფორმირებაც ხდება დროთა განმავლობაში და პასუხობს თანამედროვე ლანდშაფტის ჩამოყალიბების მოთხოვნებს. ჩინური ვერცხლის ბალახი (მისკანტუსი), სიმულირებული მწვანე სივრცეში, პარკის ინოვაციურ ელფერს სძენს და უხსნის გზას მომავლისაკენ. ბადის პროექტიორების ხელონებისა და ლანდშაფტური კულტურის რეგიონული ცენტრი 24 პექტარზე 2002 წლიდან არსებობს. პარკი შექმნილია სამშენებლო პოლიგონებისა და მის მიმდევარე ტერიტორიაზე არსებული მეორადი მასალების გამოყენებით.

მისკანტუსის ნარგავები პარკის ძირითად ესთეტიურ სტრატეგიას წარმოადგენს, ამავდროულად ბალახი კომპლექსის ენერგიით მომარაგების წყაროცაა.

მაგალითი 2. მწვანე ინფრასტრუქტურა სანაპირო საინჟინრო სამუშაოებისთვის.

წყალცენარეებით დაფარული არეალები ეფექტური საშუალებაა სანაპირო ზოლის ზღვის დონის ზრდისა და ქარიშხლისაგან დასაცავად, რომლებსაც, თავის მხრივ, იწვევს კლიმატის გლობალური ცვლილება. იგივე მიზნის მისაღწევად წყალმცენარეებით სანაპირო ზოლის დაცვის მეთოდი არა მხოლოდ უთანაბრდება კონსტრუქციულ-სამშენებლო გადაწყვეტილებებს, არამედ ახასიათებს მთელი რიგი სხვა უპირატესობები: ისინი ცოცხალი ორგანიზმებია, რომელიც წარმოადგენს გასაყარს მდინარე დემერსა და მის სადორენაჟე არხს შორის. პარკის წვრილი ხერმნარეები ქვიშიანი ნიადაგი დაფარულია ნიადაგსაფარი მცენარეებითა და მრავალწლოვანი წიწვოვანი მცენარეებით, პარკის ტერიტორია მოიცავს უძველესი ტყის მასივებს და ბუნებრივ ტბებს, რომელთა ნაპირებიც წარმოდგენილია ქვიშისა და წვრილი ქვის ფაქტურებით. მისი უმაღლესი წერტილიდან კი იშლება თვალწარმტაცი ხედი. პოგ კემპენის მაღალ ლანდშაფტურ არქიტექტურულ ღირებულებას განაპირობებს ასევე მისი ფუნქციონალურად სწორი გეგმარება და სტრატეგიული ადგილმდებარეობა.

პარკის შექმნის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება, რეგიონის ბუნებრივი ღირებულების აღდგენა-განვითარება და ეკოტურიზმის მხარდაჭერა. ინიციატივის განხორციელება დაიწყო 1980 წლის ბოლოს ქვანახშირის საბადოს დახურვის შემდეგ, როდესაც საჭირო გახდა ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა. ინიციატივა წარმატებული აღმოჩნდა მრავალი მიმართულებით. ეკოტურიზმის განვითარებამ ხელი შეუწყო პარკის ეკონომიკურად მდგრად განვითარებასაც.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი პროექტების ხელშეწყობით ვიღებთ როგორც ეკონომიკურ, ასევე ეკოლოგიურად მდგრად გარემოს.

მაგალითი 3. ევროპის მწვანე სარტყელის ინიციატივა.

მწვანე სარტყელის ინიციატივა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დასრულებას უკავშირდება, როდესაც ევროპა დაყოფილი იყო დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად, ერთმანეთისაგან გამოყოფილი იყო სასაზღვრო ზოლით და ორივე მხარე მკაცრად იცავდა საზღვარს. გარკვეულ ადგილებში საზღვრის ზოლი ფართოვდებოდა. მრავალი წლის განმავლობაში ეს ზოლი ხელშეუხებელი რჩებოდა. თუმცა, რეინის ფარდის დაცემის შემდგომ, ბუნების დაცვის მიზნით გაჩნდა ინიციატივა აღნიშნული ზოლი აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას შორის გამხდარიყო ე.წ. ეკოლოგიური მწვანე დერეფანი, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას ბარენცის ზღვიდან შავი ზღვის აუზამდე და კვეთდა ევროპის 23 ქვეყანას. ევროპის მწვანე სარტყელი განიხილება როგორც მძიმე ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მდგომარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საყრდენი. მისი განხორციელებით ხელი შეუწყო ბიომრავალფეროვნების განვითარებას და მოსაზღვრე ქვეყნების მასშტაბით მოხდა ადგილობრივი ენდემური ჯიშების გავრცელება და შერევა სარტყელის მტელ ტერიტორიაზე. ვინაიდან სარტყელი შეიცავს სხვადასხვა კლიმატურ ზონებს, მისი განვითარება ასევე ხელს შეუწყობს მცანერების და ცხოველების ჯიშების სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერებას და გაზრდის მათ ადაპტაციის უნარს კლიმატის ცელილებასთან მიმართებაში.

მწვანე სარტყელის პროექტი მნიშვნელოვანია არა მარტო ბუნების დაცვის მიზნით, არამედ იგი ემსახურება ყოფილი საზღვრისპირა რეგიონების კულტურული და სოცი-ალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. პროექტის მკაფიო სტრატეგიული ხედვა და ამოცანები მიზნად ისახავს კაცობრიობის აქტივობის და ეკოლოგიური გარემოს პარმონიულ შერწყმას, რაც ამავდროულად გაზრდის ადგილობრივ თემებში საოციალურ-ეკონომიკურ საშუალებებსაც. პროექტი ეხმარება როგორც ადამიანის და ბუნების კავშირის აღდგენას, ასევე სოციუმის ჩამოყალიბებას ამა თუ იმ კონკრეტულ რეგიონში.

ასევე საინტერესო მაგალითები არსებობს მცირე და საშუალო პროექტებისა, რომელიც უშუალოდ ქალაქის ურბანულ, მჭიდროდ დასახლებულ ნაწილში განხორციელდა. მაგალითისათვის განვიხილოთ მიტოვებული, დასანგრევად განწირული ესტაკადები ნიუ-იორქსა და სეულში.

ნიუ-იორკის ესტაკადის სიგრძე 2410 გრძივი მეტრია და მოიცავს დასავლეთ მანეგეტენის 23 კვარტალსა და სამ სამეზობლო უბანს. ესტაკადა 1930 წელს აშენდა, რომლის მიზანი იყო მატარებლების მოძრაობა აერიდებინათ ქუჩის დონეზე და ნაკლების საფრთხე შექმნოდა მოსახლეობას. თუმცა 1980 წლის შემდეგ ესტაკადამ ფუნქციონირება შეწყვიტა და წარმოადგენდა ქალაქის იერსახის დამამახინჯებელ ობიექტს, შესაბამისად გათვალისწინებული იყო მისი დემონტაჟი. სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა ლანდშაფტის არქიტექტურის აღზევების ხანა ნიუ-იორქში და გაჩნდა ამორტიზებული ესტაკადის დასასვენებელ პარკად გადაკეთების იდეა. აქ ერთ სიგრცეში გაერთიანდა გამწვანება, განათება, ექსტერიერის ავეჯი, ქვაფენილი და შეიქმნა პარმონიული დასასვენებელ-გასართობი სივრცე ქალაქის

მაცხოვრებელთათვის. მწვანე ესტაკადა კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ ნაწილებში მოხდეს დასახლებების გაერთიანება და დაკარგული კომუნიკაციის აღდგენა როგორც ადამიანებს, ასევე ადამიანებსა და ბუნებას შორის. რაც შეეხება სეულის სადგურის ეტაკადის ტრანსფორმაციას, იგი 1970 წელს აიგო, რათა აღმოსავლეთით მდებარე ყველაზე დიდი ტრადიციული NAMDAMEUN MARKET ქალაქის დასავლეთ ნაწილში სამანქანო გზით დაკავშირებოდა სხვადასხვა სკვერებს. 2006 წელს ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დაადგინეს, რომ ესტაკადის 17 მეტრიანი კონსტრუქცია არ იყო უსაფრთხო, ამიტომ უნდა მომხდარიყო მისი დაშლა და განახლება. ესტაკადაზე მძიმე მანქანების მოძრაობა 2009 წელს აიკრძალა. მოლაპარაკებები მიმდინარეობდა მოსახლეებასთან და ექსპერტებთან, თუ როგორ მომხდარიყო აღნიშნული ტერიტორიის განახლება (საერთო ფართით 9,661 კვ.მ) ფეხით მოსიარულეთათვის. კონკურსი 2015 წელს ჩატარდა. კომპანია „MVRDV“-ის შემოთავაზებით, 938 მეტრი ესტაკადის ადგილზე, სეულის ცენტრალური სადგურის შემდეგ, განთავსედება სეულის „დაკიდული ბაღები“. იმედოვნებებს, რომ პროექტი იქნება ქალაქის მასშტაბური გამწვანების ერთ-ერთი წინაპირობა, რაც ქალაქს უფრო მიმზიდველს გახდის და გაგრძელდება მეზობელი რაიონების გამწვანებით. დიზაინერების გადაწყვეტილებით დაკიდულ ბაღებში იქნება 254 სახეობის ხის, ბუჩქისა და ყვავილის ჯიში, რათა შეიქმნას ადგილობრივი მცენარეების ბიბლიოთეკა, რომელიც სეულის მთელი მოსახლეობისთვის იქნება ხელმისაწვდომი და გახდება სათბური ქალაქის სხვა მწვანე ზონებისთვის.

### 3. დასპენა

ამრიგად, უცხოეთს განვითარებული ქვეყნების გამოცდილების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სარეკრეაციო დასასვენებელი პარკებისა და ეკოლოგიური გარემოს განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ქვეყნის წარმატებული ზრდისა და წინსვლისათვის, შესაბამისად, ურბანული ზრდის ფონზე არათუ ამცირებენ დია სივრცეებს, არამედ სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით ცდილობენ გაზარდონ და განავითარონ ისინი.

### ლიტერატურა

1. European Union 2013, ISBN 978-92-79-33428-3, Building a Green infrastructure for Europe;
2. Chris Van Uffelen, ISBN 978-3-03768-130-5 – Urban Spaces Plazas, Squares and Streetscapes

## გეტონის შეკლება

ა. საყვარელიძე, ნ. კანდელაკი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** შემუშავებულია ბეტონის შეკლების დუფარმაციების გამოსათვალები უნივერსალური ფორმულა. ფორმულა ხაშუალებას იძლევა მაღალი სიზუსტით ავსახოთ ბეტონის რეალური შეკლების პროცესი გარემოს ფარდობითი ტენიანობის მოქლ დიაპაზონზე 100%, გადაჭრილია ბეტონის შეკლების არაწრფივი ამოცანა.

**საკვანძოსიტუაცია:** შეკლება, წრფივი, დეფორმაცია, ტენშემცველობა, ფორმულა, ფარდობითი ტენიანობა, კრიტიკული ტენშემცველობა.

### 1. შესავალი

ჩატარებულია პარალელური ექსპერიმენტები ბეტონის ცილინდრულ ნიმუშებზე, გამოიცდებოდა 28 დღის ასაკის “სტანდარტული” ნიმუშები, ტენშემცველობით  $W=4,6\%$  (მასის მიხედვით). ცდების ერთ ნაწილში ტარდებოდა წონითი ექსპერიმენტები “სტანდარტული” ნიმუშები: ნიმუშის ასაკი 28 დღე, დამზადების შემდეგ შენახვა ფარდობითი ტენიანობის 100% და ტემპერატურის  $20\pm1,5^{\circ}\text{C}$  გარემოში, ნიმუშების ტენშემცველობა 4,6% მასის მიხედვით). თავსდებოდა 70;50;20 და 0% ფარდობითი ტენიანობის გარემოში, სადაც ისინი განიცდიდნენ სხვადასხვა ინტენსივობით გამოშრობას. ნიმუშების პერიოდული აწონვით ხდებოდა მასალის ტენშემცველობის იმ მნიშვნელობების დადგენა, რომლებიც შეესაბამება ბეტონის ტენშემცველობას ზემოთ მოყვანილ, ფარდობითი ტენიანობის გარემოში. ექსპერიმენტების ჩატარების მეთოდიკა დაწვრილებით /1,2,3/-ში.

პარალელური ექსპერიმენტების მეორე ნაწილში “სტანდარტული” ნიმუშები თავსდებოდა 70,50,20 და 0%-იან ფარდობითი ტენიანობის გარემოში. ამ პირობების ნიმუშები განიცდიდნენ შეკლებას, სხვადასხვა ინტენსივობით /1,3/. ხდებოდა შეკლების დეფორმაციების დადგენა.

### 2. პირითადინაზოლი

ჩატარებული ექსპერიმენტებით დადგინდა, რომ სხვადასხვა ინტენსიონი გამოშრობისას (ჩვენს შემოხვევაში 70,50,20 და 0% ფარდობითი ტენიანობის გარემო) თითოეული გარემოს ტენშემცველობის და შეკლების სიდიდეების ნიმუშები აღწევენ გამოშრობას 180 დღეში. 180 დღის შემდეგ ტენშემცველობის და შეკლების მიღწეული სიდიდეები გარემოს თოთოეული დენის ფარდობის გარემოშიექსპერიმენტების ჩატარების და შედგების დამუშავების მეთოდები დაწვრილებით იხილე სამუშაოებში /1,2,3,4/.

ბეტონის შეკლებისა და ტენშემცველობის სიდიდეები ცდის დასაწყისში და 180-ე დღეს (ცდების დამთავრება) მოცემულია ცხრილში 1.

ბეტონის შეკლება და ტენშემცველობა

ცხრილი

1

გამოშრობა, ფარდობითი გარემო %		ტენიანობის	ბეტონის ტენშემცველობა W %	ბეტონის შეკლების ზღვრული დეფორმაციები 180-ე დღეს, $\epsilon \cdot 10^{-6}$
ცდის დასაწყისი	ცდის ბოლოს 180-ე დღეს	ცდის დასაწყისი	ცდის ბოლოს 180- ე დღეს	
100	100	4,6	4,6	0
100	70	4,6	3,2	95
100	50	4,6	2,1	155
100	20	4,6	1,0	281
100	0	4,6	0	480

ცხრილი 1-ის მონაცმებით ტენშემცველობაზე დამოკიდებულების მრუდების ( $\varepsilon_y \sim W$ ) აგებით დავრწმუნდებით, რომ ბეტონში ისევე როგორც სხვა სახის ცემენტის ფუძიან კომპოზიტებში /1,2,3,4/ შეკლების ტენშემცველობაზე დამოკიდებულების გრაფიკი შედგება 2 ნაწილისაგან AB და CD (სურ. 1) რომლებსაც აქვთ სხვადასხვა დახრის კუთხე ტენშემცველობის პორიზონტალურ დერძობაზე OW. ფარდობითი ტენიანობის მოელ დიაპაზონზე 100÷0%. შეკლების დეფორმაციის  $\varepsilon_y$  დამოკიდებულება ტენშემცველობასთან არაწრფივია (სურ. 1).


AB და CD მონაცემების ინტერპოლაციით ვიდებთ გადაკვეთის E წერტილს, რომლის პროექციაც OW დერძზე წარმოადგენს მასალის კრიტიკულ ტენშემცველობას  $W_{kp}/1,2,3,4$ .

ჩატარებული ექსპერიმენტებით (სურ. 1) დადგენილია, რომ ბეტონისათვის კრიტიკული ტენშემცველობა  $W_{kp}=1,38\%$  (მასის მიხედვით). ტენშემცველობის ეს სიდიდე ბეტონს აქვს 35%-იანი ფარდობითი ტენიანობის გარემოში.

ცდების შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გარემოს ფარდობითი ტენიანობის მოელ დიაპაზონზე 100÷0% შეკლების დეფორმაციების გამოსათვლელად საჭიროა ორი სხვადასხვა სიდიდის წრფივი შეკლების კოეფიციენტი: ფარდობითი ტენიანობის დაიპაზონში  $100:35\% \beta_y$  და ფარდობითი ტენიანობის დიაპაზონში  $35:0\% \beta'_y$ .

ცნობილია  $W_{kp}$  ტენშემცველობის მიღწევისას კაპილარულ-ფოროვან ტანებში მყისიერად იცვლება წყლის კავშირის ერთი ფორმა, კავშირის სხვა ფორმით და შესაბამისად წრფივი შეკლების კოეფიციენტი იცვლება მეორე შეკლების კოეფიციენტით /2,4,5/.

ჩვენს მიერ შემუშავებული ცემენტის ფუძიანი კომპოზიტების შეკლების მექანიზმს /1,3,4/ ბეტონებისათვის წარმოვადგენთ შემდეგი სახით:



სურ. 1 ბეტონის დამოკიდებულება ტენშემცველობაზე

გარემოს ფარდობითი ტენიანობის დიაპაზონში 100÷35% გამოშრობის ბეტონის სტრუქტურიდან ხდება კაპილარული წყლის აოქროლება (ფიზიკა-მექანიკურად დაკავშირებული წყალი). წყლის კარგით გამოწეული კაპილარული ძალების მოქმედება განაპირობებს მასალის შეკლებას აღნიშნულ ტენიანობის დიაპაზონში. ამ შემთხვევაში ბეტონის ტენშემცველობა იცვლება ზღვარებში

$$W_{kp} \leq W \leq W_0 = W_{max} = 4,6\%$$

სადაც  $W_{kp}$  ტენშემცველობა ფარდობითი ტენიანობის გარემოში 35%;  $W_0 = W_{max} - \text{ტენშემცველობა } \text{ ფარდობითი } \text{ ტენიანობის } \text{ გარემოში } 100\% \text{ კრიტიკული } \text{ ტენშემცველობის } W_{kp} \text{ მიღწევის } \text{ შემდეგ, ფარდობითი } \text{ ტენიანობის } \text{ დიაპაზონში } 35:0\% \text{ ბეტონის } \text{ შეკლებას } \text{ განაპირობებს } \text{ ბეტონის } \text{ სტრუქტურიდან } \text{ კრისტალშორისი } \text{ და }$

შრეებშორისი წყლის კარგვით გამოწვეული ძალების მოქმედება. ამ შემთხვევაში მასალის ტენშემცველობა  $W$  იცვლება ზღვრებში

$$0 \leq W \leq W_{kp}$$

გამოშორისას, ბეტონის კრიტიკული ტენშემცველობის მიღწევის შემდეგ მასალის სტრუქტურაში წყლის კავშირის ერთ-ფორმა (ფიზიკა-მექანიკური კავშირი) იცვლება კავშირის სხვა ფორმით (ფიზიკა-მექანიკური კავშირი) /1,4,5/.

გარემოს ფარდობითი ტენიანობის დიაპაზონში  $100 \div 35\%$  შეკლება გამოითვლება ფორმულით:

$$\varepsilon_y = \beta_y (W - W_0) \quad (1)$$

სადაც  $\beta_y$  – ბეტონის წრფივი შეკლების კოეფიციენტია, გარემოს ფარდობითი ტენიანობის დიაპაზონში  $100 \div 35\%$ ;

$$1.38\% = W_{kp} \leq W \leq W_0 = 4,6\%$$

გარემოს ფარდობითი ტენიანობის დიაპაზონში  $35 \div 0\%$  შეკლება გამოითვლება ფორმულით:

$$\varepsilon_y = \beta'_y (W_{kp} - W) \quad (2)$$

სადაც  $\beta'_y$  – ბეტონის წრფივი შეკლების კოეფიციენტია, გარემოს ფარდობითი ტენიანობის დიაპაზონში  $35 \div 0\%$ ;

$$0\% = W \leq W_{kp} = 1,38\%$$

გამოთვლებით დადგენილია: ბეტონის წრფივი შეკლების კოეფიციენტი გარემოს ფარდობითი ტენიანობის დიაპაზონში  $100 \div 35\%$

$$\beta_y = 0,62 \cdot 10^{-2}$$

ბეტონის წრფივი შეკლების კოეფიციენტი გარემოს ფარდობითი ტენიანობის დიაპაზონში  $35 \div 0\%$

$$\beta'_y = 2,0 \cdot 10^{-2}$$

### 3. დასტვნა

ცხრილი 1-ის მონაცემებით (1) და (2) ფორმულით მიღებული შედეგებით ცხადია, რომ გარემოს ფარდობითი ტენიანობის მთელ დიაპაზონზე  $100 \div 0\%$  შეკლების დეფორმაციების დამოკიდებულება მასალის ტენშემცველობაზე არაწრფივია. უნივერსალური ფორმულა (3) საშუალებას გვაძლევს გადავჭრათ ბეტონის შეკლების არაწრფივი ამოცანა და გამოვიანგარიშოთ შეკლების სიდიდე გარემოს ფარდობითი ტენიანობის მთელ დიაპაზონზე  $100 \div 0\%$ . /2,3,4/

$$\varepsilon_y = \beta_y (W - W_0)(1 + \omega) \quad (3)$$

სადაც  $\beta_y$  შეკლების დეფორმაციებია დროის მომენტში  $t - t_0$ ;  $t -$  დროს ნებისმიერი მომენტი  $t - t_0$  – მასალის ასაკი გამოცდის წინ;  $t-t_0$  ცდის ხანგრძლივობა ჩვენს შემთხვევაში  $0 \leq t-t_0 \leq 180$  დღე,  $\beta_y$  – ბეტონის წრფივი შეკლების კოეფიციენტი კაბილარული ძალების მოქმედების დიაპაზონპონში (გარემოს ფარდობითი ტენიანობის დიაპაზონი  $100 \div 35\%$ ;  $W_0$  – ნიმუშების (მასალის) ტენშემცველობა ცდის დასაწყისში  $t-t_0=0$ ,  $W$  – მასალის ტენშემცველობა დროის ნებისმიერ მომენტში  $t - t_0$ .

ფორმულაში (3) კოეფიციენტი და გამოითვლება:

$$\omega = \frac{\beta'_y - \beta_y}{\beta_y} \cdot \frac{\Delta W - \Delta W_k}{\Delta W} \quad (4)$$

სადაც:  $\beta'_y$  ბეტონის წრფივი შეკლების კოეფიციენტია, გარემოს ფარდობითი ტენიანობის დიაპაზონში  $35 \div 0\%$

$$W = W - W_0 \quad W_k = W_k - W_0$$

$W_k$  მასალის კრიტიკული ტენშემცველობაა ცხადია  $\omega = \begin{cases} 0, & \text{როცა } W_k \leq W \\ (4), & \text{როცა } W_k > W \end{cases}$

(4)-ში ზოგიერთი გარდაქმნის შედეგად მივიღებთ

$$\Delta W = (W_0 - W_{cp})(v - 1)$$

$$\Delta W = (W_{k0} - W_{cp})(v_k - 1)$$

სადაც  $W_{cp}$  ტენსიურული გადატვის ზღვარია, რომლის მიღწევის შემდეგ, ტენსიურული გარემოსა და მასალას შორის წყდება, ტენისმიერი წონასწორობის დადგომის შედეგად /3,4/

ჩვენს შემთხვევაში  $0\% = W_{cp} \leq W \leq W_0 = 4,6\%$  მასის მიხედვით

$$V = \frac{W - W_{cp}}{W_0 - W_{cp}} \quad V_k = \frac{W_k - W_{cp}}{W_0 - W_{cp}}$$

აღნიშნული ცვლილების შეტანით (4) მიიღებს სახეს:

$$\omega = \frac{\beta_y - \beta_{y_0}}{\beta_{y_0}} \cdot \frac{v_k - v}{1 - v} \quad (5)$$

$$\omega = \begin{cases} 0, & W \geq W_k \text{ 且 } v \geq v_k \\ (4), & W < W_k \text{ 且 } v < v_k \end{cases}$$

ფორმულით (5) და ((3) გამოთვლილი შეკლების  $\varepsilon_y$  მნიშვნელობების აგებით კოორდინატებში  $\varepsilon_y \sim W$  დავრწმუნდებით თეოროულად გამოთვლილი  $\varepsilon_y$ -ის მნიშვნელობები კარგი სიზუსტით ასახავს ექსპერიმენტალურ გრაფიკს  $\varepsilon_y \sim W$  გარემო ვარდობითი რენიანობის მთელ დიაპაზონზე  $100\div 0\%$ .

ଲୋକପାତ୍ରାତ୍ମକ

1. . . . . , , 2004. . 4 184-189

2. . . . . ».

3. . . . . 2001 . 280-284

4. . . . . « » 1998 . . 135

4. ა. საყვარელიძე, ი. გიორგაძე. ბეტონის შეკლების პროცესების აღმწერი უნივერსალური მოდელების შექმნა. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ №2(17) 2010 თბილისი, გვ. 103-106

5. . . . . 1968 . . 471

## წყალნაჯერ, ლამიან და მცოცავ გრუნტებში “კედელი გრუნტები” გეორგიოთ მონოლიტური კედლის აბაზის ახალი ტექნოლოგია

**ვ. ლოლაძე, შ. დოლიძე, ი. ღარიბაშვილი**

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია მეთოდი, რომელიც მონოლიტური კედლის ამოყვანის საშუალებას იძლევა ლამიან, მცურავ და წყალნაჯერ ქვიშოვან გრუნტებში ე.წ. კომბაინის დახმარებით, რომელიც გულისხმობს ფორმაწარმომქმნელი ელემენტის მოთავსებას გარსაცმში. მოძრავი გადაადგილებადი თრსებლიანი ჭოკების მქონე სისტემების გამოყენება დაბეტონების პროცესის წარმოების დროს მეთოდით “კედელი გრუნტი” წყალნაჯერ ქვიშოვან, ლამიან და მცურავ გრუნტებში საშუალებას იძლევა დისტანციურად მართოს პროცესის ტექნოლოგიური თერაციები. გარსაცმი უზრუნველყოფს დაბეტონების პროცესში ფორმის დაცვას გარეშე დენადი გრუნტის ზემოქმედებისაგან.

**საკანც სიტყვები:** ხიდის ბურჯები; წყალგაჯერებული გრუნტები; ცილინდრული შეკრილი; გვერდითი დაწნევა; ბურღვითსატები; გათხევადებული გრუნტი, ინგენიერული შემომზღვდავები; მონოლიტური კედლები, ანაკრები კედლები.

### 1. შესაბამის


საქართველოს ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ეკონომიკის წინსვლის მისაღწევად მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა. ჩვენს დროში გამოიკვეთა რესურსებისა და შრომის პროდუქტების მიმოცვლის უმოკლესი გზა გეროპასა და აზიას შორის კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე დერეფანში მთელი საქართველოს გავლით. დასახულია საქართველოს ტერიტორიაზე ანაკლიაში პერსპექტული პორტის მშენებლობა. მშენებლობა ოპტიმალურად მოკლე დროში უნდა შესრულდეს. იმის გათვალისწინებით, რომ ასათვისებელ ტერიტორიაზე მდებარეობს წყალგაჯერებული გრუნტები, ნაგებობების ამოსაყვანად საჭირო ქვაბულები საჭიროებენ ისეთი ტექნოლოგიების გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფენ სამშენებლო მოედნის დაცვას გრუნტის წყლებისგან და დაიცავენ ქვაბულის კედლებს წყალგაჯერებული გრუნტების გვერდითი დაწნევისგან.

### 2. ძირითადი ნაწილი

წყალნაჯერ და ლამიან გრუნტებში მონოლიტური კედლის აგების ახალი მეთოდი განეკუთვნება ნაგებობებისა და სამირკვლების მოწყობას მეთოდით “კედელი გრუნტში”. შემოთავაზუბული ხერხის გამოყენება იძლევა მონოლიტური ბეტონის კედლების ამოყვანის საშუალებას წყალნაჯერ ქვიშოვან, ლამიან და მცურავ გრუნტებში, აგროვე ბეტონის მონოლიტური კედლების დაბეტონებით ამოყვანის საშუალებას წყალსაცავებში ფსაერის ქვედა ნიშნულიდან დაწყებული.

ცნობილია სახსნელი ფორმა მკვრივ და ნაყარ გრუნტებში ბეტონის კედლების სექციებად დაბეტონებისათვის მეთოდით “კედელი გრუნტში”, დაბლიდან ზედა ნიშნულამდე წინასწარ დამუშავებულ ტრანშეებში. ფორმა თვითოვეული დასაბეტონებელი სექციისათვის შედგება პარალელური ფარებისაგან. თითოეულ ფარს ერთ-ერთ ვერტიკალურ კიდეზე გააჩნია მომრგვალებული დაბოლოება, ხოლო მეორე კიდეზე – ნახევრად ცილინდრული. დაბეტონებამდე ფარებს აერთებენ პარალელურად ისე, რომ

მომრგვალებული კიდეებით ფარები შემოეხვეს მიმმართველ ხიმინჯს, რომელიც დაყენებულია დაბეტონების საწყის წერტილში. ფორმის პარალელური ფარების მეორე ვერტიკალურ კიდეზე კი, წარმოქმნება ცილინდრი, რომლის დიამეტრი მიმმართველი ხიმინჯის დიამეტრის ტოლია. ფარებით ფორმის შიგნით შექმნილი სივრცე, ბეტონით შევსებისა და ბეტონის გამყარების შემდეგ, წარმოქმნის კედლის სექციას, რომელსაც მიმმართველი ხიმინჯის საწინააღმდეგო ბოლოზე აქვს ცილინდრი. ცილინდრი განკუთვნილია მიმმართველი ხიმინჯის როლის შესასრულებლად კედლის სექციებად გრძივი დაბეტონების გაგრძელების დროს (სურ.1).




სურ 1. „კედლი გრუნტში“ მოდელი, პატენტი GE U 1491  
1.კედლის მოდელის ფორმა; 2. მიმმართველი ხიმინჯის ფორმა; 3. იარუსებად ამოუვანილი კედლის მოდელის სექციები.

ბეტონის მონოლითური კედლის ამოუვანა ცნობილი მეთოდით “კედლი გრუნტში”[2], საყალიბო ფორმის გამოყენებით, წყალნაჯერ ქვიშოვან, ლამიან ან მცურავ გრუნტებში რთულია, რადგან შეუძლებელია ასეთი სახის გრუნტებში მდგრადი კედლების მქონე ტრანშეების მოწყობა. ეს გრუნტები არის გადაჭარბებულად წყალნაჯერი, რის შედეგადაც თიხის წყლიანი სუსპენზია, რომელიც განკუთვნილია ტრანშეების კედლების ჩამონგრევისაგან შესაკავებლად, ერვა გარემომცველ გრუნტში, და ამ გრუნტოან წარმოქმნის ერთიან გათხევადებულ მასას, რომელიც არ იძლევა მდგრადი ტრანშეების შექმნის საშუალებას, ჩამოუშლელი კედლით.

ჩვენს მიერ დამუშავებული ახალი მეთოდი [3] უზრუნველყოფს მონოლითური კედლების დაბეტონების განხორციელების შესაძლებლობას წყალნაჯერ ქვიშოვან, ლამიან ან მცოცავ გრუნტებში, ტრანშეების წინასწარი დამუშავების გარეშე. შემოთავაზებული წინადადების ტექნიკური შედეგია მონოლითური ბეტონის კედლების ამოვანის გამარტივება წყალნაჯერ ქვიშოვან, ლამიან ან მცურავ გრუნტებში მეთოდით “კედლი გრუნტში”. შედეგის მიღწევას განაპირობებს კედლების სექციებისათვის განკუთვნილი ფორმა, რომელიც ახალი ხერხის მიხედვით საპროექტო *Hm* ნიშნულამდე ჩაეშვება უშუალოდ გრუნტის ზედაპირიდან. გრუნტში ჩაშვების წინ, სახსნელ ფორმას, რომელიც შედგება პარალელური ფარებისაგან და რომლის თითოეული ფარს ერთ ვერტიკალურ ბოლოზე გააჩნია მომრგვალებული დაბოლოება, ხოლო მეორე ბოლოზე – ნახევრადცილინდრული. მას ამაგრებენ მთლიან ან ასაწყობ-დასაშლელი გარსაცმის შიგნით, რომელიც იცავს ფორმას გათხევადებული გრუნტის მოხვედრისაგან. შემდეგ გარსაცმიან ფორმას შემოახვევენ დასატოვებელ ბუნიკს და მიმმართველ ხიმინჯს, რომელიც დაყენებულია დაბეტონების საწყის წერტილში. შემდგომ ფორმას გარსაცმიან და დასატოვებელ ბუნიკთან ერთად ჩაუშვებენ გრუნტის გამჭოლად მოთხოვნილ ნიშნულამდე. სახსნელი ფორმა, რომელიც დამაგრებულია დამცავი გარსაცმის შიგნით, გარსაცმიან ერთად წარმოქმნის თავისებურ ერთიან საყალიბე სისტემას,


ე. სისტემას, რომელიც შედგება ფორმაწარმომქმნელი ელემენტების, დამცავი გარსაცმისა და ფორმაწარმომქმნელი ელემენტების გარსაცმთან სამაგრისაგან. ეს საყალიბე სისტემა, შემოეხვევა დასატოვებელ ბუნიკს და მიმმართველ ხიმინჯს, თავისუფლად გადაადგილდება მიმმართველ ხიმინჯზე, მოთხოვნილ საპროექტო *Hm* ნიშნულამდე ჩაშვებისა და ამოწვევის პროცესში, კედლის სექციურად დაბეტონების აუცილებელ სიმაღლემდე. ბეტონის მიწოდებას ფორმაში ახორციელებენ შლანგებით ბეტონის ტუმბოდან მიღებულის გავლით, რომელიც გადის გარსაცმის გამჭოლად [3]. ნახ. 1-ზე მოცემულია კომპლექსური ფიგურა „კომბაინი“, რომელიც შედგება დასატოვებელი ბუნიკისგან, ფორმაწარმომქმნელი ყალიბისაგან [2] და გარსაცმისაგან [3].



ნახ. 1. კომპლექსური ფიგურა „კომბაინი“-ს განშლა

1. დასაბეტონებელი სახსნელი ფორმის ფარი; 2. მთლიანი ან ასაწყობ დასაშლელი დამცავი გარსაცმი დიობებით ზედა ნაწილში წნევის ქვეშ გამოსული წყლის მოსაშორებლად; 4. დასატოვებელი ბუნიკი დიობებით წნევის ქვეშ გამოსული წყლის მოსაშორებლად; 8. ამწეს კაუჭებისათვის განკუთვნილი რგოლები გარსაცმზე; 9. ბეტონის ნარევის მისაწოდებელი მიღებული; 13. სახსნელი ფორმის ფარების შესაერთებელი „ბოქლომი“; 15. მიღები უკუსარქვლებით ფორმიდან წყლის გამოსადევნად ფორმაში ბეტონის ნარევის მიწოდების დროს; 17. მიმმართველი ხიმინჯი; 22. მიღები გარსაცმის სახურავზე გარსაცმის შიგა სივრცეში ტექნოლოგიური შლანგების და ელექტრო კაბელების მისაყვანად; 23. ცილინდრული შვერილი დასატოვებელ ბუნიკზე, რომელიც განკუთვნილია საკეტი ნაწილით ფორმის ბუნიკზე შემოსახვევად; 26. შემზღვდველი შვერილი დასატოვებელ ბუნიკზე.


ნახაზი 2-ზე ნაჩვენებია „კომბაინის“ ჩაშვების ორი მეთოდი: 1. ტრავერსის გამოყენებით, როდესაც „კომბაინი“ ეფლობა გრუნტში სიმძიმის ძალის ძირში წყლის ჭავლის და კორპუსის ვიბრირებით; 2. მიმმართველი შტანგის გამოყენებით, როდესაც ზემოაღნიშნულ სამ ფაქტორს ემატება შტანგიდან გადაცემული დინამიური დატვირთვა.



ნახ. 2. „კომბაინის“ ამწეზე მიმაგრების სქემა ა) ამწეს კაუჭთან ბაგირებისა და ტრავერსის (1) გამოყენებით მიმაგრების სქემა ბ) ამწესთან ხისტად მიერთებულ მიმმართველ შტანგასთან (2) მიმაგრების სქემა

« »

ნახაზი 3-ზე ნაჩვენებია მონოლითური კედლის ამოყვანის პროცესი ქვევიდან ზევით.



ნახ.3. სექციების ამოყვანის პროცესი.

- დასატოვებელი ბუნიკი ნახვრეტებით წყლის წევით გამოსასვლელად; 9. მიღებელი დაბეტონების დროს ფორმაში ბეტონის ნარევის მისაწოდებლად; 10. ხორთუმის შლანგი ბეტონის ნარევის ფორმაში მისაწოდებლად; 15. მიღები უკუსარქვლებით ფორმიდან წყლის გამოსადევნად ფორმაში ბეტონის ნარევის მიწოდების დროს; 16. ფორმის ბეტონით შეკების დონე; 17. მიმმართველი ხიმინჯი; 20. კედლის დაბეტონებული სექციის ცილინდრული ნაწილი; 22. მიღებელი გარსაცმის (2) სახურავზე გარსაცმის შიგა სივრცეში უქნოლოგიური შლანგების და ელექტროკაბელების მისაყვანად; 24. სახელო, რომელიც დაკავშირებულია გარსაცმის მიღებითან (22) ტექნოლოგიური სითხეების, წყლის და ელექტროსადენების კაბელების შლანგების მისაყვანად შიგა სამუშაო ტექნიკურ მოწყობილობებთან, რომლებიც მოთავსებულია საყალიბე სისტემის გარსაცმში (2); 28. ტრავერსი გვარლების დახმარებით საყალიბე სისტემის ამწის კავშე დასამაგრებლად.

### 3. დასტვება

ამრიგად, ელემენტების ზემოთაღნიშნული კონსტრუქციული შეხამება იძლევა დაბეტონების მეთოდის “კედელი გრუნტში” გამოყენების საშუალებას წყალნაჯერ ქვიშოვან, ლამიან და მცურავ გრუნტებში. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახალი მეთოდი გამორიცხავს გათხევადებული გრუნტის მოხვედრას დაბეტონებისათვის აწყობილი ფორმის შიგნით.

ଲୋକପାତ୍ରଙ୍କାତ୍ମକ

1. Loladze G.V, Loladze V.V. "Mold for concrete", Official Bulletin of Industrial Property №23(267) 2008. (In Georgian).
  2. ლოლაძე გ., ლოლაძე ვ., პატენტი GE U 1491 ყალიბის კედლის დასაბუტონებლად. საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი #23 (267), 2008 წ. თბილისი
  3. ლოლაძე ვ., ლოლაძე ვ., დოლიძე შ., ღარიბაშვილი ი., ლოლაძე გ., ლამიან, მცურავ და წყალნაჯერ ქვიშოვან გრუნტებში მონოლითური კედლის დაბეჭონების ხერხი მეთოდით „კედელი გრუნტში“ სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენები №7(467), 2017 04 10.
  4. Katzenbach R., Dunaevsky R. A, Franivsky A.A. "The method of construction from top to bottom", Technical University, (In Russian).
  5. Dranovsky A.N. Fadeev A.B. "Underground structures in industrial and civil construction", Publishing house of Kazan University, 1993. (In Georgian).
  6. Loladze V.V. Loladze G.V, Loladze N.V, Loladze V.V. "Recoverable temporary ground anchors", Official Bulletin of Industrial Property, №5418. (In Georgian).

## ლილვზე განთავსებული პარაბოლური პეტიოს მქონე მბრუნავი დისკის დაძაბულ დუღორმირებული მდგომარეობის ანალიზი.

ზ. ჭედლიშვილი, ა. ტაბატაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, 0175,  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია, ნებისმიერ მანქანა-დანადგარში არსებული  
მბრუნავი დეტალების: ტურბინების ან ელექტრომანქანების დისკების, და  
მქევარების სიმტკიცეზე ანგარიში, რომელიც დრეკადობის თეორიის  
ლერძელ-სიმუტრიული ამოცანების ამოხსნის პრინციპებზეა აგებული.

**საკვანძო სიტყვები:** მბრუნავი დისკი, მქევარა, ცენტრიდანული ძალა,  
ძაბვა, დეფორმაცია.

### 1. შესავალი


ვენტილატორების, ტურბინების, მქევარებისა და სხვა დანადგარების სწრაფად  
მბრუნავ დეტალებს აქვთ დისკის ფორმა. ასეთი დისკების განივი კვეთები  
შემოხაზულია სწორი ან მრუდი ხაზებით, და შეიძლება იყენებ სიმტკიცეები ან  
არასიმეტრიულები შეა სიბრტყის მიმართ.

შესაძლებელია შემთხვევები, როდესაც დისკის პროფილი შემოხაზულია არა  
ერთი მრუდით არამედ შესდგება რომლენიმე უბნისაგან, რომლებიც  
შემოხაზულია სხვადასხვა მონაკვეთებით და მრუდებით.

საწარმო შეხედულებებით ცდილობენ დისკის პროფილი შემოხაზონ სწორი  
ხაზებით, ხოლო ძაბვების განაწილებისა და სიმტკიცის თვალსაზრისით  
მრუდწირებიანი პროფილის დისკი არის უფრო ოპტიმალური.

დისკის მრუდწირული პროფილები ბევრ შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს  
ჰიპერბოლური შემოხაზულობის პროფილით.

### 2. ძირითადი ნაწილი



სურ. 1 დისკის განივი კვეთი

სურ. 1-ზე მოცემულია ჰიპერბოლური შემოხაზულობის მბრუნავი დისკის  
განივი კვეთი.

ამ შემთხვევაში დისკის სისქე  $\rho$  რადიუსზე იქნება:

$$b = c \cdot \rho^a \quad (1)$$


სადაც:  $c$  და  $a$  დისკის პროფილის მუდმივებია, რომლებიც განისაზღვრება  
დისკის  $b_r$  სისქით  $r$  – რადიუსზე და შესაბამისად  $b_R$ -ით  $R$  – რადიუსზე,  
ფორმულებით:  $b_r = c \cdot r^a$   $b_R = c \cdot R^a$

$$\text{რომელთა მეშვეობითაც მივიღებთ: } a = -\frac{\lg\left(\frac{b_r}{b_R}\right)}{\lg\left(\frac{R}{r}\right)} \quad (2)$$

მუდმივი კვეთის დისკისათვის  $a = 0$ .

დისკისათვის, რომელიც ვიწროვდება ბოლოში რადიუსის გაზრდისას  $a < 0$ , ხოლო ბოლოში გაფართოების შემთხვევაში  $a > 0$ .

თუ დისკი არის მართკუთხა კვთის მქონე და მისი სისქე დერძული მიმართულებით არის მცირე, მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ტანგენციალური და რადიალური ძაბვები მთელს სისქეზე არ იცვლება.



სურ. 2 დისკის უსასრულოდ მცირე ელემენტი

ასეთი დისკის ძაბვების და დეფორმაციების გამოსახულების მისაღებად საჭიროა დისკიდან გამოვყოთ უსასრულოდ მცირე ელემენტი და შევადგინოთ მისი წონასწორობის განტოლება, იმის გათვალისწინებით, რომ წახნაგებზე მოქმედი ძალების გარდა მასზე მოქმედებს ცენტრიდანული ინერციის ძალა, რომელიც ტოლია:

$$\frac{\gamma \rho d\varphi d\rho}{g} \omega^2 \rho = \frac{\gamma \rho^2 \omega^2}{g} d\varphi d\rho \quad (3)$$

გამოყოფილი ელემენტის წონასწორობის განტოლება ცენტრიდანული ძალების გათვალისწინებით იქნება:  $\sigma_t - \sigma_r - \rho \frac{d\sigma_r}{d\rho} - \frac{\gamma \omega^2}{g} \rho^2 = 0$  (4)

თუ ძაბვებს  $\sigma_t$  და  $\sigma_r$  გამოვსახვოთ გადააღილებების  $u$ -ს მეშვეობით, მივიღებთ:

$$\frac{d^2 u}{d\rho^2} + \frac{1}{\rho} \frac{du}{d\rho} - \frac{u}{\rho^2} = -(1 - \mu^2) \frac{\gamma \omega^2}{g E} \rho. \quad (5)$$

ამ განტოლების კერძო ამონასნი იქნება:

$$u_2 = -(1 - \mu^2) \frac{\gamma \omega^2 \rho^3}{g E} \frac{1}{8} = -q \frac{\rho^3}{8} \quad (6)$$

$$\text{ხოლო საერთო ამონასნი იქნება: } u_1 = C_1 \rho + \frac{C_2}{\rho} \quad (7)$$

შემდეგ მივიღებთ მე-5 განტოლების სრულ ამონსნას:

$$u = u_1 + u_2 = C_1 \rho + \frac{C_2}{\rho} - q \frac{\rho^3}{8} \quad (8)$$

მუდმივები  $C_1$  და  $C_2$  განისაზღვრება სასაზღვრო პირობებიდან გარე და შიგა კონტურებზე.

თუ შიგა კონტურზე არსებობს ჩასმითი დაძაბულობები  $p_r$  და გარე კონტურზე  $p_\omega$  ცენტრიდანული ძალები, მაშინ სასაზღვრო პირობები იქნება შემდეგნაირი:

$$|\sigma_r|_{\rho=r} = -p_r, \quad |\sigma_r|_{\rho=R} = p_\omega. \quad (9)$$

ამ სასაზღვრო პირობების გათვალისწინების შედეგად შეგვიძლია მივიღოთ ტანგენციალური და რადიალური ძაბვების გმოსახულებები პიკერბოლური დისკის რადიალურ კვეთში, ბრუნვის დერძიდან  $\rho$  – რადიუსზე:

$$\sigma_t = \frac{1+3\mu}{[8+(3+\mu)a]} \sigma_i \left(\frac{\rho}{R}\right)^2 + (1+m_1\mu) C_1 \rho^{m_1-1} + (1+m_2\mu) C_2 \rho^{m_2-1} \quad (10)$$

$$\sigma_t = \frac{3+\mu}{[E+(3+\mu)a]} \sigma_i \left(\frac{\rho}{R}\right)^2 + (m_1 + \mu) C_1 \rho^{m_1-1} + (m_2 + \mu) C_2 \rho^{m_2-1} \quad (11)$$

რომლებშიც, პირველი შესაკრებები წარმოადგენენ ძაბვებს დისკი, რომლებიც გამოწვეულია დისკის მასაზე მომქმედი ცენტრიდანული ძალებით, ხოლო მეორე და მესამე შესაკრებები არის ძაბვები, რომლებიც განპირობებულია შიგა და გარე რადიუსებზე არსებული სასაზღვრო პირობებით, ე. ი. ძაბვებით  $p_r$ , და  $p_R$ , რომლებიც მოქმედებენ დისკის გარე და შიგა კონტურებზე.

აქ  $\sigma_i = \frac{\gamma r^2}{100}$  – არის ტანგენციალური ძაბვა, რომელიც მოქმედებს დისკის გარე კონტურის თხელ შრეში:

$\mu$  – პულარული კოეფიციენტია.  $a$  – არის დისკის კვეთის ფორმის მუდმივა. ხოლო  $C_1$  და  $C_2$  – ინტეგრულების მუდმივებია.

$$m_1 = -\frac{a}{12} - \sqrt{\frac{a^2}{4} - \mu a + 1} \quad m_2 = -\frac{a}{2} + \sqrt{\frac{a^2}{4} - \mu a + 1}$$

გარდაქმნების შედეგად მივიღებთ ტანგენციალური ძაბვების გამოსახულებებს დისკის განივ კვეთში  $\rho = r$  და  $\rho = R$  რადიუსებზე:

$$\sigma_{tr} = AR^2 - B\sigma_{pr} + C\sigma_{\rho R} \quad (12)$$

$$\sigma_{tR} = DR^2 - E\sigma_{pr} + F\sigma_{\rho R} \quad (13)$$

A, B, C, D, E, F – კოეფიციენტების მნიშვნელობები არის შემდეგი

$$A = \frac{3,3(C-\alpha^2B)-1,9\alpha^2}{91,5(1+0,4125\alpha)} \cdot \left(\frac{n}{1000}\right)^2 \quad (14)$$

$$B = \frac{m_1\alpha^{m_2-1}-m_2\alpha^{m_1-1}}{\alpha^{m_2-1}-\alpha^{m_1-1}} \quad (15)$$

$$C = \frac{E}{\alpha^{a+2}} \quad (16)$$

$$D = \frac{3,3(F-\alpha^2E)-1,9}{91,5(1+0,4125\alpha)} \cdot \left(\frac{n}{1000}\right)^2 \quad (17)$$

$$E = \frac{m_1-m_2}{\alpha^{m_2-1}-\alpha^{m_1-1}} \quad (18)$$

$$F = B + a \quad (19)$$

